


# საქართველოს საეკლესიო



საქართველოს საეკლესიო

თბილისი - 1987



ჯვარი ვაზისა — უემკული მოციქულთა ხწორის წმიდა ნინოს თმით. 17 ს.

ძლიერებაო ჯვარო ვაზისაო,  
დაგვიცვე და დაგვიფარე ჩვენ



ქრისტი



დაიბეჭდა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქ ილია II ლოცვა-კურთხევით



არა გეცრუვნეთ უნ სიწმიდით მუოგელო ჩუენო  
კათოლიკე ეკლესიაო, არცა განგცეთ უნ სიქადუ-  
ლო ჩუენო მართლმადიდებლობაო, რომლისა არცა  
განგცეველ ქმნილ ვართ, – არამედ სხუათა სექკლე-  
სიოთა ძიგბათათვის... უმეოვკრებით დღეს, რათა  
განვამტკიცოთ გუამი ეკლესიისა ჩუენისად, შთავ-  
გეროთ მას შინა სული ცხოველი, უმეოვზღუდოთ  
იგი მოძღუარებითა მართლისა სარწმუნოებისა-  
დთა და უმეოვოთ იგი კუართისა ჯეროვანისა  
მართვა-გამგეოვებისადთა. ესე არს ზრუნვაჲ ჩუ-  
ენი, ესე არს საქმე ჩუენი, რომელსა შინა წარ-  
გვიმართოს ჩუენ სულგან ღმრთისამან მეოხებითა  
წმიდათა და ღმერთუმეოვნილთა მამათა და მოღუ-  
აწითა ივერიის ეკლესიისათა.

ძეკლისწერაჲ წმიდისა და ღმრთივგანბრძნობილისა  
სრულიად საქართველოს სექკლესიო კრებისად.



፳፻፲፱

፳፻፲፱

፳፻፲፱

፳፻፲፱



დედას ღვთისმამა, ეს კვეთანა შენი სვედრია




სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II

ჩვენი ისტორიის სახელი და დიდება, ჩვენთა დიდებულთა წინაპართა სასწაულთ-მოქმედი მხნეობა, თავბანწირვა, თავდადება, ვაჟკაცობა სულ იმ ნათელით არის განსხივებული, იმ შარავანდედით არის მოხილი, რომელიც „ძელმა ჭეშმარიტებისა“ წმიდა ნინოს გადლით და ღვაწლით აღმართულმა, მოჭვინა მთელ ჩვენს ქვეყანასა. ამ ძელზე სხივოსანის ასოებით, ქრისტეს წმიდა სისხლით დაწერილი იყო და არის იგი მცნება, რომელიც უდიდესია, უძლიერესია ყოველს სხვა მცნებაზე: „ბიჟვარდეს მოყვასი უნეი, ვითარცა თავი უნეი“.

ამ მცნების მოძღვარს მთაყვანა ჩვენი ქვეყანა. იგი აღიარა ღმერთად და ამას აუნთო გული თვისი წმიდა სანთლად, რომელიც დღესაქამომდე არ გააქრალა და არც გაჰქრება, მინამ არ გაჰქრება თვითონ ქართველიცა. ამ კაცთმოყვარე ღმერთისათვის მუამა ჩვენი ქვეყანა, მას ანაცვალა, მას უმეწირა ყოველივე, რაც კი აღამიანს საბედნიეროდ ამჟს მინიჭებული. ეკლის გვირგვინი დაიდგა თავზე, თხუთმეტი საუკუნე გულგაუდრეკლად ატარა თავკირდასისხლიანებულმა, ჩვენ დრომდე შეუფიქვლელად მოიტანა და ტანჯულმა და წამებულმა, ჩვენ, უვილებს გადმოგვცა, ესლა თქვენ იცითო.

ილია ჭავჭავაძე



## სამოცდაათი წელი

### სამართველოს ეკლესიის

### ავტოკეფალიის აღდგენიდან

სახეიმოდ ირეკებოდა 1917 წლის 12 მარტს საქართველოს ეკლესიის სამრეკლოს ზარები. ეს არ იყო ჩვეულებრივი დღესასწაულის მუწელებელი. რაღაც სხვა სიხარული მოჰქონდა მას სამწყსოსათვის — ხელახალი დაბადების, დაკარგული თავისუფლების დაბრუნების, ახალი სიცოცხლის დაწყების სიხარული. ამ უურთხეულ-დღეს უძველესმა ქართულმა ეკლესიამ აღიდგინა დამოუკიდებლობა თავისი, მოიცოდა თავიდან მისთვის უცხო, ჩაგვრიხა და უფლებობის უღელი და იწყო ცხოვრება ახალი, თავისუფალი, იმედით აღვსილი. ეს იყო ის დიდი წყალობა; დიდხანს რომ მოელოდა ქართველი ერი. საუკუნეზე მეტ ხანს ჰქონდა თვითმწყსობის უფლება ჩვენს ეკლესიას ჩამორთმეული, საუკუნეზე მეტ ხანს იყო პატივყარილი უძველესი ქართული სამოციქულო ეკლესია. წმიდა ნინო განმანათლებელისაგან მოქცეული კურთხეული ქართველი ერი, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სამწყსო და საფარველი, — წმიდანთა სისხლით მორწყული და განწმედილი, იქცა უცხოთა სათარეშოდ.

რატომ დაუშვა დმერთმა ჩვენს თავზე — ასეთი მძიმე განსაცდელი? იქნებ შეირყა მაშინ ქართველთა მართლმადიდებლობა, იქნებ რაიმე მწვალებლობისადმი მიიდრბკა ერი ჩვენი და ამიტომ გახდა საჭირო დახმარება მეზობელი ეკლესიისა? მაგრამ ქართველთ თავიანთი ნებით არასდროს უღალატნიათ მამაპაპეული სჯულისათვის; საქართველო საუკუნეების განმავლობაში იყო მართლმადიდებლობის ბურჯი მთელს აღმოსავლეთში და ანგარიშგასაწევი თვით ახალგაზრდა რუსეთის ეკლესიისათვისაც. მიუხედავად ამისა, 1811 წელს, მეფის რუსეთის მთავრობამ თვითნებურად აღმინისტრაციული წესით, გააუქმა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა და იგი რუსეთის ეკლესიის საეგზარქოსოდ გამოაცხადა. ეს იყო ძალადობა და უხეში დარღვევა საეკლესიო კანონმდებლობისა. მაშინ უგულვებელყოფილი იქნა წმიდა მოციქულთა (30-ე, 35-ე), მსოფლიო (I — მე-4, მე-15; I — მე-2, I — მე-8, V — მე-5) და ადგილობრივ (ანკირიის მე-13 და 22-ე, სარდიკიის მე-3 და მე-15, კართაგენის

48-ე და 54-ე) საეკლესიო კრებათა დადგენილებანი, რომელთა მიხედვითაც არ შეიძლებოდა დამორჩილება სხვა ეკლესიისაგან უძველესი ქართული სამოციქულო ეკლესიისა, თვინიერ ქართველი სამღვდლოებისა და ერის ნებისა და სურვილისა. საქართველოს კათოლიკოს — პატრიარქი ანტონ II მოტყუებით გაიწვიეს რუსეთში, საიდანაც აღარ დაბრუნებულა. ხალხისათვის გაუგებარ ენაზე სრულდებოდა ღვთისმსახურებანი ტაძრებში, რის გამოც მნიშვნელოვნად შემცირდა მრევლი. ამას შედეგად მოჰყვა ზოგიერთი ისტორიული ეპარქიის და მონასტრის გაუქმება. მშობლიური ენაც განიცდიდა დევნას საქართველოში არსებულ სასულიერო სასწავლებლებში. საქართველოდან გაზიდულ იქნა საეკლესიო ქონების ძალზე დიდი ნაწილი.

ეკლესიის მძიმე მდგომარეობას დიდად განიცდიდნენ ერის სახელოვანი მამულიშვილები. მათ კარგად ესმოდათ, რომ უმოქმედობა და შეგუება არსებული მდგომარეობისადმი იქნებოდა დამღუპველი, ამიტომ დაიწყეს ბრძოლა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის დაბრუნებისათვის. საჭირო იყო მეცნიერული დასაბუთება იმისა, რომ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება XIX საუკუნის დასაწყისში იყო უკანონო აქტი და იგი უნდა აღდგენილიყო ქართველი ერის მოთხოვნით.

1905 წელს თბილისის სასულიერო სემინარიის შენობაში შედგა სამღვდლოების კრება, რომელმაც გაბედა ქართული ეკლესიის მძიმე მდგომარეობაზე მსჯელობა. ეგზარქოს ალექსის ბრძანებით დაშალეს და მკაცრად დასაჯეს კრების მონაწილენი. იმავე წელს ქართველმა სამღვდლოებამ რუსეთის მთავრობას წარუდგინა მოხსენება, სადაც საქართველოს ეკლესიის დაცემის მიზეზად ავტოკეფალიის გაუქმებას ასახელებდა და მოითხოვა მისი კვლავ აღდგენა. მთავრობამ ეს საკითხი გადასაწყვეტად გადასცა რუსეთის მომავალ საეკლესიო კრებას. აღნიშნული კრების წინასწარ თათბირზე, 1906–1907 წლებში, დაიწყო მსჯელობა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ, რომელშიაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ეპისკოპოსები: კირიონი, ლეონი-

დღე და ვითომ; აგრეთვე, პროფესორები: ალექსანდრე ცაგარელი, ალექსანდრე ხახანაშვილი და ნიკო მარი. დამაჯერებელი ფაქტებით დამტკიცდა, რომ მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიები საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალიის გაუქმებამდე აღიარებდნენ დამოუკიდებელ ეკლესიად.

მიუხედავად ქართული ერისა და სამღვდლოების კანონიერი მოთხოვნისა, რუსეთის საეკლესიო კრების წინასწარ თათბირზე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი უარყოფილი იქნა. ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლა ქართულ ეკლესიას არც ამის შემდეგ შეუწყვეტია. იგი ელოდა შესაფერის დროს დასახული მიზნის მისაღწევად. და აი, 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდგომ ქართველმა სამღვდლოებამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღადგინა. ეს მოხდა 12 მარტს; ავტოკეფალია ჩვენი ეკლესიისა გამოცხადდა მცხეთის სეკტიცხოვლის ტაძარში. კათოლიკოს-პატრიარქის არჩევამდე ეკლესიის დროებით განმგებლად დანიშნა გურია-ოდიშის ეპისკოპოსი ლეონიდე. საქართველოს უკანასკნელმა ეგზარქოსმა პლატონმა სამწყსო ფარულად მიატოვა.

16 მარტს თბილისში შედგა სამღვდლოების კრება, რომელმაც დაადგინა სიონის ტაძარში ღვთისმსახურების მხოლოდ ქართულ ენაზე შესრულება. იმ მრევლებში, რომლებშიც რუსებიც შედიან, ქართულთან ერთად დატოვა რუსული ენაც.

რუსეთის დროებითმა მთავრობამ 1917 წლის 12 მარტს მცხეთაში მომხდარი აქტი დაადასტურა, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალთა ძირითადად აღიარა, მაგრამ მხოლოდ ეროვნული მნიშვნელობით, ტერიტორიალურად კი არა. მართლმადიდებელი რუსებისა და არაქართველი მართლმადიდებლების ეკლესიები ისევ რუსეთის სინოდის განმგებლობაში რჩებოდა. რუსეთის მთავრობის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ასეთი არასრული აღიარება, ცხადია, ქართველ სამღვდლოებს არ დააკმაყოფილებდა. ამის გამო იმავე წლის 29 მარტს შედგა კრება, რომელმაც დაადგინა, რომ საქართველოს საეკლესიო კანონმდებლობას, რომ საკითხის ასეთი გადაწყვეტა მომავალში ხშირად გამოიწვევდა რუს — ქართველთა ინტერესების შეჯახებას. ამიტომ მოითხოვეს, საქართველოს ეკლესიას მის ცემოდა სრული — ტერიტორიული ავტოკეფალია. მოთხოვნა გაეგზავნა რუსეთის მთავრობას, რომელმაც აღნიშნული დებულებანი განიხილა და საქართველოს ეკლესიის ტერიტორიული დამოუკიდებლობა საბოლოოდ დაამტკიცა.

1917 წლის 8—17 სექტემბერს თბილისში, სიონის საკათედრო ტაძარში შედგა საქართველოს ეკლესიის კრება; რომელსაც დაესწრო 600 კაცი, მათ შორის 448 დელეგატი. კრების საგანი იყო ეკლესიის მართვა — გამგეობის დებულებათა შემუშავება და ეკლესიის თავის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის არჩევა. „ხოლო იქმნა, შეკრებამ ჩუენი არა თუ ბიწისათვის რაისამე ქართველთა სარწმუნოებისა, ნუ იყოფინ ესე, — სწერია კრების ოქმში, — არა გეცრუვნეთ შენ სიწმიდით

მშობელი ჩუენო კათოლიკე ეკლესიო, არცა განგცეთ შენ სიქადულო ჩუენო მართლმადიდებლობო, რომლისა არცა განმცემელ ქმნილ ვარ, — არამედ სხუთა საეკლესიოთა ძიებათათვის... შემოვკრბით დღეს, რათა განვამტკიცოთ გუამი ეკლესიისა ჩუენისაჲ, შთაებეროთ მას შინა სული ცხოველი, შემოვზღუდოთ იგი მოძღურებითა მართლისა სარწმუნოებისა-თა და შევმოსოთ იგი კუართისა ჯეროვანისა მართვა — გამგეობისაჲთა. ესე არს ზრუნვაჲ ჩუენი, ესე არს საქმე ჩუენი, რომლისა შინა წარგვიმართოს ჩუენ სულმან ღმრთისამან მეოხებითა წმიდათა და ღმერთშემოსილთა მამათა და მოღუაწეთა ივერისი ეკლესიისაჲთა“. /კრების ძეგლის — წერაჲ/.

კრებამ კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია და დაამტკიცა ეპისკოპოსი კირიონი. ახლადარჩეულმა მამამთავარმა მისაღოცი ეპისტოლეებით მიმართა სამწყსოსა და მსოფლიოს ეკლესიათა მეთაურებს /აღნიშნულ ეპისტოლეებს ვაქვეყნებთ ქვემოთ/.


დღეს როცა ღვთივკურთხეული ქართული ეკლესია აღნიშნავს ავტოკეფალიის აღდგენიდან 70 წლისთავს, არ შეიძლება უდიდესი პატივისცემით არ მოვიხსენიოთ ის კურთხეული მამულიშვილი, რომელთაც თავი დასდეს აქ დიდი ეროვნული საქმისათვის. განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II, მიტროპოლიტები დოსითეოსი და მრავალნი სხვანი. საუკუნო იყოს ხსენება და კურთხევა მათი. დედა ეკლესიის წმიდა ლოცვა ეწოდეს მათს სულელებს ზეციურ საქართველოში.

ასევე დიდი პატივით გვინდა მოვიხსენიოთ ცნობილი ქარველი მეცნიერები ალექსანდრე ცაგარელი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე და სხვები; რომელთაც თავიანთი მნიშვნელოვანი მეცნიერული გამოკვლევებით დიდად შეუწყვეს ხელი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას. ღმერთმა დაამკვიდროს ნათელში მათი სულები.

ვმადლობთ ღმერთს ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. ჩვენ გამოვხატავთ დიდ პატივისცემას ამ დიდი ეროვნული საქმის მესვეურთადმი. უღრმესი მადლიერებით ვიხსენებთ ნეტარხსენებულ წინაპრებს, რომელთაც მოუპოვეს ქართულ ეკლესიას დამოუკიდებლობა და მიაგეს მას ღირსეული ადგილი მსოფლიო ეკლესიაში. შევთხოვთ წმიდა კეთილმსახურ ვახტანგს, — მოთავეს ქართული ეკლესიის ანტიოქიის ეკლესიიდან გამოყოფისას, არ მოაკლოს მეოხება სრულიად საქართველოსა და მის წმიდა ეკლესიას. ვიხსენებთ ყველას, ვინც დაიცვა და განამტკიცა ეკლესიის დამოუკიდებლობა და შემდგომ თაობებს გადასცა იგი, როგორც ღვთის განსაკუთრებული ლოცვა — კურთხევა.

ვულოცავთ საქართველოს სამოცხატულო ეკლესიის ღვთივკურთხეულ სამწყსოს სახელოვან თარიღს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენიდან და ვუსურვებთ მარად ღვთისმშობლის საფარველის ქვეშ ყოფნას, სულიერ ზრდასა და ამაღლებას აღქმული ზეციური სასუფველის დასამკვიდრებლად.

წილკენელ-ურბნელი ეპისკოპოსი **ზ ო ს ი მ ე** /შიოშვილი/  
საგამომცემლო განყოფილების თავმჯდომარე



## ჟურნალ „სვეტიცხოველი“

### მომენტისათვის

12 მარტი 1917 წლისა ისტორიული დღეა ჩვენს ცხოვრებაში. ამ დღეს კვლავ ფეხი აიღვა მთელი საუკუნის განმავლობაში დატყვევებულმა ჩვენმა ეკლესიამ, საბოლოოდ აიყარა მონობის ბორკილი და დაადგა ახალს გზას განახლებისას და თვის დაქსაქსულ ძალთა მოკრებისას. ძნელია ეს ახალი გზა. ის მოითხოვს მრავალს ცდას და ღვაწლს ეკლესიის ყველა ერთგულ შვილთაგან. სინოდის რეჟიმმა განსაცდელის კარამდე მიიყვანა ჩვენი მრავალ საუკუნის ისტორიის მქონე ეკლესია, მოადუნა მისი მაცხოვრებელი ენერგია, დაუბნია მას სამწყსო, დაქსაქსა მისი ძალა. 12 მარტის აქტის შემდეგაც ჩვენს ეკლესიას დასჭირდა და კიდევ დასჭირდება მრავალი ბრძოლა მოპოვებულ უფლების განსამტკიცებლად და განსახორციელებლად. ყველამ იცის, თუ რამდენი დაბრკოლება გადაეღობა ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიურ უფლებათა ცხოვრებაში გატარებას 12 მარტის შემდეგ. ბატონობას ჩვეულებრივ ყოველი ღონისძიებით და სხვა და სხვა შევიწროებით სცდილობდნენ დაწვებული საქმის გაჭიანურებას და მისთვის საბოლოოდ ხელის შეშლასაც. მაგრამ ჩვენი ეკლესიის თავისუფლების საქმე, მიუხედავად მრავალ დაბრკოლებათა, თანდათან წინ მიდიოდა და ახლა უკვე სრულიად მკვიდრ და უტყუარ საფუძველზე დგას.

8 სექტემბერს ტფილისში დაიწება სრულიად საკათოლიკოსოს

თალიკოსოს საეკლესიო კრება, რომელიც დაავიგინებს 12 მარტს დაწვებულს საქმეს ეკლესიურ ცხოვრების და მის შინაურ ორგანიზაციის დებულებათა შემუშავებით და ეკლესიის თავის მიერ ამორჩეულ ორგანოებთან ერთად სათავეში ჩაუდგება ჩვენი ეკლესიის აღორძინების საქმეს.

რთულია და მრავალმხრივი ის დანიშნულება, რომელიც ადევს ჩვენს ახლად განთავისუფლებულ ეკლესიას. ამ დანიშნულების პირნათლად შესრულება მოითხოვს ყველა ჩვენი ძალების შემოკრებას მშობლიურ ეკლესიის გარშემო, რათა საერთო დახმარებით ეკლესიამაც შესძლოს თვისი დაღებითი წვლილის შეტანა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მხოლოდ არსებულ ცოცხალ ძალთა შემოკრებით შესაძლებელი იქნება სინოდალურ რეჟიმის ნანგრევებზე ახალ თავისუფალ წყობილების დამკვიდრება სარწმუნოებრივ და ეკლესიურ სფეროში.

ჟურნალი „სვეტიცხოველი“, რომელიც თავისი სახელით გვაგონებს წმიდა აკვანს ჩვენი სულიერი აღორძინებისას, თავის ვალად დაისახავს ხელი შეუწყოს ეკლესიის ერთგულ შვილთა დარაზმვას ახალ ცხოვრებისათვის საბრძოლველად, სარწმუნოებრივი ცხოვრების აყვავებისა და წარმატებისათვის.

## გ უ ჯ ა რ ი

უწმიდესი და უნეტარესი კათოლიკოზ-  
პატრიარქის კ ი რ ი ო ნ ი ს ა საქართველოს  
ეკლესიის სამწყსოს მამართ

წილხდომილო დედისა ღვთისაო,  
ივერიაჲ, დიდებულო და ღვთივ დაცულო!

„დიდება ღმერთსა, სრულყოფელსა ყოვლისა  
კეთილისასა“.



საქართველოს ეკლესიამ, ასის წლის მონობის შემდეგ, კვლავ პპოვა მოწყალეობა ღვთისა და დაიბრუნა თვისი დამოუკიდებლობა; ამიერიდან „არღარა ვართ მონა, არამედ აზნაურ“. ქართველმა ერმა ამა წლის 17 სექტემბერს დამადგინა მე უღირსი ახლად აღდგენილი თვისისა ეკლესიის მწედ და საჭეთმპყრობელად. აღვალ რა მცხეთის ძველ საპატრიარქო საყდარზედ, მოგმართავთ ყველას მოციქულის სიტყვებით: „მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და სიყვარული ღვთისა მამისა და ზიარება სულისა წმიდისა იყავნ ყოველთა თანა“.

საყვარელო სამშობლო, ღვთის დედის წილხდომილო, ბრძმელსა შინა ტანჯვა-ვაგებისასა განწმენდილო! შენთვის ტანჯული, შენგან განშორებული შენთვის მტირალი, მარად შენგან მოსწრაფებული, დღეს განვისვენებ ტკბილსა წიადსა შენსა შინა, არა ვითარცა შვილი უძღები, არამედ ვითარცა მესაიდუმლე და სინიდისი ეკლესიისა შენისა, ვითარცა მეხვაიშნე შენი წინაშე ღვთისა და კაცისა. ვიცი, თვალნი გონებისა შენისანი ამ ჟამად ჩემკენ არიან მოქცეულნი, და მეკითხები: რა მომიტანე, რა მაღამოსა სცხებ იარებსა ჩემსა, რით მანუგეშებ სვედამოსილსა? ყური მიპყარ: „არა მოველ, რათა გიმსახურო, არამედ მსახურებად შენდა და მიცემად სული ჩემი სავსრად შენდა“. (მთ. 20, 28) მოველ არა ვითარცა მწე სასყიდლით დადგენილი, არამედ ვითარცა მწე ერთგული და მარად მორჩილი და სიყვარულით აღვსილი.

დიდარს, მძიმე და პასუხსაგები საჭეთმპყრობელობა ახლად აღდგენილი ეკლესიისა; მეტადრე ჩვენს აწინდელ მძიმე და გასაჭირ დროში. სხვანი, ჩემზედ უფრო მტკიცენი ხასიათითა და მხნეობითა, მუხლს იდრეკდნენ ამ ფრიად მძიმე ტვირთის ქვეშ. „ჭეშმარიტად საღმრთო, დიდ და აღმატებულ არს წმიდაჲ ესე მსახურება, რომლისათვისაც, — თქმულისაებრ წმიდისა იოანე ოქროპირისა, — საჭირო არს ძალი და ბუნება ანგელოზთა“; გარნა მადლითა და სასოებითა კაცთმოყვარისა მეუფისაჲთა,

მივიღებ აღრჩევასა ქრისტეს მორწმუნისა ერისასა და მოსრული წინაშე ღვთივ-აღმართებულია ამის ბრწყინვალე სვეტისა და კვართისა ცხოველყოფელისა აღთქმისა ვპყოფ საღმრთოთა წესთა და სარწმუნოებისა დაცვისათვის, ერთგულებისათვის ამა კათოლიკე ეკლესიისა და თავისა და სულისა დადებისათვის, ვიდრე სისხლის დათხევამდე ერისა ჩემისა კეთილდღეობისათვის, აღჭურვილი ვარ ცხოველითა სარწმუნოებითა, რომ მეოხებითა და ვედრებითა ყოველთა წმიდათა ივერიის ეკლესიისათა წარმართოს საქმე კეთილად და სადიდებლად ღვთისა: „დიდი თამარი, ღმრთისა ამარი, ჩვენთვის ვედრებად მარად მზად არი“.

განმტკიცება ახლად აღდგენილ ეკლესიისა მის ისტორიულ უფლებათა ფარგლებში, — აი პირველი საზრუნავი. ასი წლის მონობის გამო შეირცა საქართველოს ეკლესიის მწყობრი ცხოვრება, ერის გულთან შეთანხმებული; დაირღვა კავშირი, გაქრა სული ცხოველი. განთავისუფლებული ეკლესია, პირველყოფლისა განახლებულ უნდა იქმნეს თანამედროვე ცხოვრების საჭიროებათა მიხედვით ყოველ სფეროში და ესრეთ გაცხოველებული კვლავ დაუბრუნდეს ერის მთლიან გვამს, რათა ვიყვნეთ ყოველნი ერთ გვამ და მრჩობლ ვიდვლოდეთ საერთო წარმატებისათვის.

ელვაგს და ბობოქრობს მსოფლიო ზღვა, მრისხანეთ ელვარებს ცეცხლი მსოფლიო ომისა, რომელსა შინა „ქვეყანა და საქმენი მისნი დაწვად განზადებულან“. (2 პეტ. 3, 10). ეხლა უნდა გამოიჭედოს და გარდაიქმნას ბერი სხვა და სხვა ქვეყნებისა, განსაკუთრებით კი პატარა ერებისა, ჩვენი ეკლესია მუდამ ედგა დარაჯად ქართველ ერის მთლიანობას და დამოუკიდებლობას; ის იყო დროშა, რომლის ქვეშ დვიოდა ნაპერწკალი ქართველთა თანხმობის იდეისა. ეროვნულ დროშის ქვეშ ქართველი უძლეველი იყო; გასაჭირის დროს ქუდზედ კაცი გამოდიოდა ოჯახიდან და საქართველო თავზარს სცემდა თვის

მტრებს, რომლებიც დიდის პატივისცემით ეკიდებოდნენ მამაც ქართველებს. ტყუილად კი არ ამბობდა ჯერ კიდევ მეათე საუკუნეში ცნობილი გიორგი მერჩული: „ქართლად ფრიადი ქვეყანაა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა უამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების“. თუ ასე იყო ძველად, დღესაც ვალად აძევს ჩვენს ეკლესიას ემსახუროს იმავე იდეას და მედგრად გაახსენოს კაცობრიობას სახელი ქართველ ერისა; მან უნდა ხელი შეუწყოს ჩვენს განმტკიცება-გაერთიანებას, რათა კაცობრიობის ფერხულში ჩვენც ვპოოთ შესაფერი და დამსახურებული ადგილი. აი მეორე საზრუნავი ჩვენი!

ჩვენის ეკლესიის სასიკადად უნდა ითქვას, რომ ის არასოდეს არ ყოფილა საერთაშორისო ურთიერთობის გამამწვავებელ იარაღად და ფანატიკოსობის დამყარების მიზეზად. პირიქით, ჩვენ ვიცით, რომ ქართული სახარება, ისრაელების თორა და მაჰმადიანთა ყურანი მშვიდობიანათ თავსდებოდნენ საქართველოში; ეკლესია იყო თავი მიხეზი იმისა, რომ ყველა უცხო ტომი ჩვენში ჰპოულობდა მეორე სამშობლოს და მისთვის სისხლსა ღვრიდა. ერთა შორის ძმურ ურთიერთობის განმტკიცება ახლა უნდა მორიგ საკითხად ჩაითვალოს, განსაკუთრებით კავკასიაში, სადაც ამ ძმურ განწყობილებას ხელოვნურად არღვევდნენ, ხშირად ძველი საეკლესიო წესწყობილების საშუალებით. განახლებული საქართველოს ეკლესია მიზნად ისახავს კვლავ წამოაყენოს ბევრისაგან დავიწყებული თქმულება: „ერთ არს ღმერთი და მამაა ყოველთა, რომელი ყოველთა ზედა არს და ყოველთა მიერ და ჩვენ

ყოველთა შორის“ (ეფ. IV,6). და ამ ნიადაგზედ ყველა მეზობელ ერებს ძმურ, შემოქმედებით მუშაობისაკენ მოუწოდოს. აჰა მესამე საზრუნავი ჩვენი!

ესლა თვალი გადავავლოთ ჩვენს, ქართველ ერის, შინაურ ცხოვრებას. რას დავინახავთ? — ხალხს, ჯეროვან სწავლა-განათლებას მოკლებულს და ამის გამო ეკონომიურად გაღატაკებულს და სოციალურად დაბეჩავებულს. ჩვენი ძველი კულტურა და სწავლა-განათლება ეკლესიათა წიაღში აღმოცენდა. აქ პოულობდნენ ჩვენნი წინაპარნი სულიერ საზრდოს და კეთილდღეობას. ეკლესია დიდი კულტურული ძალაა და ხალხს გაუწევს ფასდაუდებელ სამსახურს და გაუნათებს მას ცხოვრების უძჯობებს გზას. მღვდელი დღესაც ერთად-ერთი კულტურული ძალაა სოფელში და ჩვენის განახლებულ ეკლესიის საზრუნავია — ეს ძალა ჯეროვან სიმაღლეზე აიყვანოს, ხელი აღუპყრას დაბეჩავებულ ხალხს და დედობრივის გულშემატკივრობით უთხრას მას: „მოვედით ჩვენდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ“ (მთ. XI,28).

ჭკუშმარტად, როგორც ვხედავთ, „ფრიად არს სამკალი“; ვსასოებ. რომ მე უძღურმან, გარნა ღვთისა კურთხევითა და თქვენის დახმარების და თანაგრძნობის იმედით განმხნევებულმან კეთილად განვვლო მოღვაწეობა ჩემი და ჩემის სიცოცხლის დადებამდე ვემსახურო ურცხვინელითა სამსახურითა ჩემს მომწოდებელს ერს.

„ღმერთო, შეწვენასა ჩემსა მოხედენ, უფალო, შეწვენად ჩემდა ისწრაფე“ (ფს. 69,1). ამინ.

უმდაბლესი და უღირსი **კ ი რ ი თ ნ.**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

ქ. ტფილისით

19 ოქტომბერს 1917 წ.

## ე კ ი ს ტ ო ლ ე

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კ ი რ ი თ ნ II  
აღმოსავლეთის პატრიარქთა მიმართ

### უწმიდესო და უნეტარესო მეუფო!

ემბაზთა შინა ბერძენთასა შობილი და სძითა მართლისა სარწმუნოებისაათა აღორძინებული საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია დასაწყისსა მეთატცხრამეტისა საუკუნისასა განსაცდელსა დიდსა შთავარდა: ბრძანებითა და განგებით რუსეთის იმპერატორისაათა თავი ამა ეკლესიისა, უწმიდესი და უნეტარესი კათოლიკოს-პატრიარქი ანტონი მეორე, დამხობილ იქნა საყდრისაგან თვისისა და იძულებით წარიგზავნა კედართა ჩრდილოეთისათა, ხოლო მოსაყდრედ კათოლიკოსისა დაიდგინნეს ექზარხოსნი რუსეთის ეკლესიისანი; რომელნი ვიდრე მოაქამოდენ განაგებდენ ეკლესიასა ჩუენსა. ახლად დამყარებულმან რუსეთსა შინა დროებითან მთავრობამან გულისხმა ყო არაკანონიერი საქმე იგი იმპერა-

ტორისა და ნებასცა ქურივობასა შინა მეფსა ეკლესიასა აღრჩევად თავისა თვისისა და აღდგენად ძველთა საეკლესიოთა წესთა. ამა პირისათვის ქალაქსა ტფილისს შემოკრება ღმრთივ-განბრძნობილი კრებაა მორწმუნისა ერისა და სამღვდლოთა დასისა, რომელმან ათშვიდმეტსა სექტემბერსა მიმდინარისა წლისასა აღირჩია უღირსობაა ჩემი და სახელმძღვა მე „მთავარეპისკოპოსად მცხეთისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად“, ვითარცა იყო წესი ჩუენისა ეკლესიისა, აღსრული საყდარსა ზედა უწმიდესთა და უნეტარესთა ჩემთა წინამოადგილეთა, გულისხმა ვპყოვ ბრძანებასა მოციქულისასა დამარხვად ერთობისა მის სულისასა საკვირველითა მით მშვიდობისაათა“ (ეფეს. 1, 3). და გისწრაფი სიყვარულით მოგიკითხო, უნეტარესო მამაო, და

წრფელითა გულითა გითხრა: „ქრისტე არს ჩუენ შორის“. ღუაწლ ჩემდა იქმნების დაცვაჲ დღმტა მართლმადიდებლობისათა, რომელთა არცა განმცემელ ყოფილ არს ეკლესიაჲ ჩუენი; გზად ჩემდა იქმნების ზრუნვაჲ კეთილად-დგომისათვის წმიდათა ღმრთისა ეკლესიათა და კეთილწარმატებისათვის ერისა ჩემისა, ზღუდელ ჩემდა იქმნების კანონნი მსოფლიოთა და ადგილობითა კრებათანი, ხოლო კუერთხად დასაყრდნობელად ლოცვანი თქვენისა უწმიდესობისანი. აღმართა საყდარი ქართველთაჲ ეკლესიაჲ ჩუენი: მოციქულნი და ქადაგნი პრომის საყდრისანი, რომელნი მუათსამეტე საუკუნითან მოველინეს ქუეყანასა ჩუენსა, შეუორგულებელად იღუწოდეს საფარველსა ქუეშე ქართველთ მეფეთასა, ვითარცა მწყემსნი კეთილნი, მკურნალნი ხორცთანი და მომფენელნი ჩუენდა სწავლა-განათლებისანი. მათ აღაშენეს ქუეყანასა ჩუენსა ეკლესიანი თვისნი და დაუმოწა-

ფეს საყდარსა შენსა არამცირედნი ქართველნი, რომელნი მოაქამომდე აღიდებენ ღმერთსა წესისაებრ პრომთა ეკლესიისა და პატვიჲსა სცემენ სახელსა შენის უწმიდესობისასა.

ღღეს ამის აღდგენისა ქართველთა ეკლესიისა და სიხარულისა მათისასა, გულის-ხმის მყოფელი წარსულისა ჩუენისა, მოწლედ მოვიკითხავ უნეტარესობასა შენსა და აღთქუმასა ვსდებ, ვითარმედ მიმდგომნი შენისა საყდრისანი „არა შეიწრებულ იქმნებიან გულსა შინა“ ჩემსა და ქართველთა ერისასა. ვსასოებ, ვითარმედ უწმიდესობაჲ შენი არა უგულვებელს ჰყოფს ქართველთა კათოლიკეთა და მრავალფერთა მათთა სარწმუნოებრივ-ეროვნულ სახმართა.

„მაღლი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, სიყუარული ღმრთისა მამისაჲ და ზიარებაჲ სულისა წმიდისაჲ იყავნ ჩუენ შორის“.

უმაღლესი და უღირსი **პ ი რ ი თ ე II** მთავარეპისკოპოსი მცხეთისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი.

ქ. ტფილისი  
2 ნოემბერი 1917 წ.

## ქ კ ი ს ტ ო ლ ე

სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქის  
კირიონ II პრომთა პაპის მიმართ

### უწმიდესო და უნეტარესო მამაო!

უძველესა საყდარსა საქართველოსა საკათოლიკოზობისასა, რომელსა 1811 წლითან ვიდრე მოაქამომდე განაგებდენ ექსარხოხონი რუსეთის ეკლესიისანი, ათ-შვიდმეტსა სექტემბერსა მიმდინარისა წლისასა, აღრჩევითა მორწმუნისა ერისა და სამღვდლოისა დასისაითა, აღყვანილ იქნა უღირსოებაი ჩემი. აღსრული საყდარსა ამას ზედა „მოვიხსენებ დღეთა პირველთა და ვიწურთი ყოველთა მიმართ საქმეთა“ (ფსალ. 14, 25) უნეტარესთა მწყემსთ — მთავართა პრომისათა.

განგებამან ღმრთისამან არა უცხო ქმნა ეკლესიაი ჩუენი პრომისათვის დიდისა. პეტრე და ანდრია პირველწოდებულთა — მათ მოწაფეთა ქრისტესთა, რომელთა თესლი უბიწოჲ განიბნიეს მართლისა სარწმუნოებისაი ორნტთა რომ ქართველთა გულისათა, ძმობითა თვისითა წინასწარ მოასწავეს სიყუარული და თვისობაი ორთა ამით ეკლესიათაი. ჟამთა მოციქულთა სწორის ნინოისა და მეფისა მირიანისათა წიგნმან წმიდისა სილიბისტრო პრომისამან, ვითარცა ვარდი, აღაყუავილა ნაყოფი მართლმორწმუნეობისაჲ ქუეყანასა ქართლისასა, ხოლო წვალებითა უმჯულთასა ნესტორისაჲთა შეიწრებულმან ახალნერგმან ამან ქრისტესმან ლხინებაჲ პოვა ეპისტოლესა შინა გრიგოლ დილოღონისასა, რომელი მან პრომით წარმოუდღუანა უწმიდესსა და უნეტარესსა სეხნასა ჩემსა, კირიონ მცხეთისა კათოლიკოზსა. შემდგომითი შემდგომად მო-

ღუაწებამან წმიდისა ილარიონ ქართველისამან, რომელი წელ ორ სხემობდა ქალაქსა შინა შენისა უწმიდესობისასა, კულავ აუწა მკვიდრთა პრომისათა დიდებაჲ საქართველოჲს ეკლესიისაჲ და განამტკიცა ერთობაჲ პრომთა და ქართველთაჲ. გარდახდეს წელნი მრავალნი და შურითა ეშმაკისაჲთა განიხეთქა ძოწეული შუენიერი ერთმორწმუნოებისაჲ, რომელი ემოსა უბიწოსა მას სძალსა ქრისტესსა, ეკლესიასა აღმოსავლისა და დასავლისასა. გარნა საქმითა ამით არა გულარძნილ იქმნა შერყეული და ვენახსა მართლმადიდებლობითისა ეკლესიისასა განუცხოველდა რტოჲ ნაყოფიერი, მანქანებითა კაცთაჲთა დაწრდილული აღენთო ლამპარი ივერთაჲ დაშრეტილი და სარწმუნოებასა მართალსა აღმოსავლით კერძო აღედგინა ებგუერი, ამოებითა სოფლისაჲთა ძალამიხდილი. ვსასოებ, ვითარმედ „არა შეიწრებულ იქმნების“ ეკლესიაჲ საქართველოჲსა და მისთანავე უღირსოებაჲჲ ჩემი „გულსა შინა თქუენსა, რამეთუ „ერთ არს უფალი, ერთ არს სარწმუნოებაჲ, ერთ არს ნათლისღებაჲ, ერთ არს ღმერთი და მამაჲ, რომელი ყოველთა ზედა არს და ყოველთა მიერ და ჩუენ ყოველთა შორის“ (ეფეს. IV 5-6). ამინ!

უმაღლესი და უღირსი **პ ი რ ი თ ე II**, მთავარეპისკოპოსი მცხეთისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი.

ქ. ტფილისი.  
25. სექტემბერი 1917 წ.

## ეპისტოლე

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კ ი რ ი ნ II  
სომეხთა კათოლიკოს-პატრიარქის მიმართ


### უწმიდესო მეუფეო!

საქართველოს საკათოლიკოსო საყდარი, ასის წლის წინედ დაქურივებული, განგებითა ღმრთისაჲთა, კულავ თავდადგმულ იქმნა და საყდარსა ამას ზედა, აღრჩევითა კეთილმორწმუნისა ერისაჲთა, აღყვანილ იქმნა უღირსობაჲ ჩემი. შესრული სტადიონსა სულთა მოღუაწუობისა და მწვემსმთავრობითი საჭეთმპყრობელობისასა, მიმოვიხილავ გარემოჲს ჩემსა და თვალთა გონებისა ჩემისასა შევაყენებ ღმრთივ მოშიშსა ერსა ზედა ჰაიკანისასა. მძური ნათესაობაჲ ქართლოსიან-პოსიანთაჲ, მსვლელობასა საუკუნეთასა განმტკიცებული, განბრწყინვებულ იქმნა ემბაზსა შინა იერუსალიმის ქრისტეანობისასა და ძმანი ესე ახოვანნი უხვად ჰყენდეს კედართა აღმოსავლისათა შარავანდთა ღმრთივ-მეცნიერებისა და კეთილმსახურებისათა. გარნა მანქანებითა კაცთმოძულისა ეშმაკისაჲთა დაითესა ჩუენ შორის ღუარძლი სარწმუნოებითი ლალვისაჲ, და დასაწყისსა მეშვიდისა საუკუნისასა იქმნა განწუალებაჲ ერთმორწმუნეთა ძმთაჲ, განწუალებაჲმან ჩუენმან წარმოშვა დაკნინებაჲ ჩუენი,

ხოლო დაკნინებითა ამითა მტერმან სასტიკმან განამტკიცა ქედსა ზედა ჩუენსა საყდარი ბატონობისა თვისისაჲ. აღსრული საყდარსა უწმიდესთა ჩემთა წინამოადგილეთა, მოგიკითხავ უწმიდესო მეუფეო და ვლოცავ უფალს, რათა სწრაფითა ღუაწლითა ჩუენითა აღდგენილ იქმნეს ერთობაჲ ჩუენდამი რწმუნებულთა ერთაჲ; ერთობასა ვიტყვი არა სარწმუნოებრივ-დოღმატიურსა, არამედ მოქალაქეობრივ-განმანათლებლობითსა, რათა დაემყაროს ჩუენ შორის ძმობაჲ და ურთიერთას გულისხმისყოფაჲ, რათა სამშობლოსა შინა ჩუენსა განსახიერდეს სასუფეველი ღმრთისაჲ.


„მაღლი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, სიყუარული ღმრთისა მამისაჲ და ზიარებაჲ სულისა წმიდისაჲ იყავნ ჩუენ შორის“.

უმაღაბლესი და უღირსი **კირიონ II**, მთავარეპისკოპოსი მცხეთისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი  
ქ. ტფილისი  
14 ნოემბერ. 1917 წ.



# ს რ უ ლ ი ა დ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს

## ს ა ე კ ლ მ ს ი ო კ რ ე ბ ა



ძველისწერაჲ წმიდისა და ღმრთივ-განბრძობილისა კრებისაჲ, რომელი შემოკრბა ქალაქსა ტვილისს ჩმიზ წელსა, სკეტემბრისა 13 დღესა.

შემოკრებულნი სულისა მიერ წმიდისა და შედგომილნი მოძღურებასა უფლისა ჩუენისა და მაცხოვრისა იესუ ქრისტესსა, წმიდათა მისთა მოციქულთა და მოწაფეთა, ღირსთა ღმერთშემოსილთა მამათა, წმიდათა და ღმრთივგანბრძობილთა მსოფლიოთა და ადგილობითთა კრებათა, ვადაღებთ და ვიტყვით:

**„გურწამს ერთი ღმერთი, მამა, ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცაითა და ქუეყანისა, ხილულთა ყოველთა და არახილულთა. და ერთი უფალი იესუ ქრისტე, ძე ღმრთისა მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი, უწინარეს ყოველთა საუკუნეთა. ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღმრთისაგან ჭეშმარიტისა შობილი და არა ქმნილი, თანაარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა, რომელი ჩუენთვის კაცთათვის და ჩუენისა ცხოვრებისათვის გარდამოხდა ზეცით და ხორცილი შეისხნა სული-საგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა და განკაცუნა. და ჯუარს ეცუა ჩუენთვის პონტოელისა პილატეს ზე და ივნო და დაეფლა. და აღდგა მესამესა დღესა მსგავსად წერლისა. და ამაღლდა ზეცად და მჯდომარე არს მარჯუენით მამისა. და კუალად მომავალ არს დიდებით განსჯად ცხოველთა და მკუდართა, რომლისა სუფევისა არა-არს დასასრული და სული წმიდა, უფალი და ცხოველს-მყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყუანის იცემების და იდიდების, რომელი იტყოდა წინაისწარმეტყუელთა მიერ. ერთი წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიაჲ. აღვიარებთ ერთსა ნათლისღებასა მისატყუებლად ცოდვათა. მოველით აღდგომასა მკუდრეთით და ცხოვრებასა მერმისა საუკუნისასა. ამინ.“**

ხოლო იქმნა შეკრებაჲ ჩუენი არა თუ ბიწისათვის რაჲსამე ქართველთა სარწმუნოებისა, ნუ იყოფინ ესე, — არა გეცრუნეთ შენ სიწმიდით მშობელო ჩუენო კათოლიკე ეკლესიაო, არცა განგცეთ შენ სიქადულო ჩუენო მართლმადიდებლობაო, რომლისა არცა განმცემელ ქმნილ ვართ, — არამედ სხუათა საეკლესიოთა ძიებათათვის.

დასაწყისსა მეთატყუებლად ეკლესიისა ჩუენისაჲ, წარიტაცეს ჩუენგან მამაჲ მაკურთხეველი და დაგუამორჩილეს ჩუენ საყდარსა უცხოსა. ამისა გამო შეირყა ტრაპეზი ჩუენი და მოოხრდენ საჯანენი ჩუენნი; „დაემკვიდრენ

მათ შინა, თქმულისაებრ ესაია წინაისწარმეტყუელისა, მფრინველნი და ძღარბნი, ძერანი და ყორანნი და ვიროკენტავროსნი; აღმოცენდნენ მათ შინა საეკლესიო ხენი და იქმნენ იგინი საყოფელ სირინოსთა და ეხოებ სირაქელეთა“ (XXXIV, 11—13). გარნა არა მოკუდა ერთი ქართველი, რომელი ფიცითა წარსთქუამდა: „უკუეთუ დაგივიწყო შენ, სიონ, დავიწყებულ იყავნ მარჯუენ აჩემი. მრავალთა ღირსთა მწყემსთა და მწყემსმთავართა სული თვისი დასდევს ზრუნებასა შინა და ვაებასა აღშენებისა და კეთილწარმატებისათვის ეკლესიისა ჩუენისა, მრავალნი მოაქამომდე იღუწიან; ვითარცა მწყემსნი კეთილნი; და აჰა, აღმობრწყინდა „დღე, რომელ ქმნა უფალმან, ვიხარებდეთ და ვიშუებდეთ მას შინა; აღმობრწყინდა დღე აღდგომისა ჩუენისაჲ და ჩუენ ვიქმენით თვისად ეკლესიისა ჩუენისა. შემოკრებით დღეს, რათა განვამტკიცოთ გუამი ეკლესიისა ჩუენისაჲ, შთაებერთ მას შინა სული ცხოველი, შემოვზღუდოთ იგი მოძღურებითა მართლისა სარწმუნოებისაჲთა და შევემოსოთ იგი კუართისა ჯეროვანისა მართვა-გამგეობისაჲთა. ესე არს ზრუნვაჲ ჩუენი, ესე არს საქმე ჩუენი, რომელსა შინა წარგვიმართოს ჩუენ სულმან ღმრთისამან მეოხებითა წმიდათა და ღმერთშემოსილთა მამათა და მოღუაწყეთა ივერიის ეკლესიისათა. სიხარულითა და გულითა მადლიერითა შევეუდროთ უფალსა კრებული ესე ღმრთივგანბრძობილი და ვთქუათ:

კეთილად მსახურისა და ღმრთივდაცველისა, ემბაზსა შინა მართლმადიდებლობასა შობილისა, ქართველი ერისა მრავალმცა არიან წელნი.

ყოვლად ღირსისა მამისა ჩუენისა, სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქის მოსაყდრის, ტვილელ მიტროპოლიტის ლეონიდისა, მრავალმცა არიან წელნი.

ყოვლად სამღუდელთა მღუდელმთავართა, (სახელი მუნ დასწრებულთა) პატრიოსანთა მღუდელთა და ღირსთა დიაკონთა, ქრისტეს მოყუარეთა მონაზონთა და ღმრთისმოსავისა მორწმუნისა ერისა, რომელნი შემოკრბენ ღმრთივ განბრძობილსა ამას კრებასა, მრავალმცა არიან წელნი.

დღესა ამას სიხარულისა ჩუენისასა მოვიხსენოთ ჟამნიცა წარსულნი და ხმითა ღმობიერითა ვთქუათ: კეთილად მსახურთა და მართლმადიდებლობით

აღსრულებულთა, სანატრელთა მეფეთა ჩუენთა საუკუნომცა არს ხსენებაჲ და კურთხევაჲ მათი.

სანატრელთა და წმიდათა კათოლიკოსთა და ნეტართა მღუდელთაგართა და მღუდელთა ჩუენთა, საუკუნომცა არს ხსენებაჲ და კურთხევაჲ მათი.

საუკუნოჲსა ნეტარებისა ღირსთა და ეკლესიისათვის ჩუენისა ღვაწლმოსილთა მამათა: კათოლიკოსისა ანტონისა, მიტროპოლიტთა დოსითეოს და ევთიმიისა, არქიმანდრიტთა გრიგოლ და ზაქარიასი, მღუდელმონაზონისა ფილადელფოსისა და სხუათა ჭირნახულთა მამათა საუკუნომცა არს ხსენებაჲ და კურთხევაჲ მათი.


დაუსრულებელისა განსუენებისა მკვიდრთა მამათა და ძმათა ჩუენთა, რომელნი შოელოდენ დღესა ამას სიხარულისასა, საუკუნომცა არს ხსენებაჲ და კურთხევაჲ მათი.

თავისუფლებისათვის ერისა თავდადებულთა მამათა, ძმათა და დათა ჩუენთა საუკუნომცა არს ხსენებაჲ და კურთხევაჲ მათი:


„ჯერ უნდა სულსა წმიდასა და ჩუენცა“ გამოთქუმაღ განსაზღურებათა ამათ ქუემოწერილთა, ერთსულოვნად და თანხმობით შეწყნარებულთა.



ნიში კვართსა ზედა საუფლოსა და სვეტსა ღვთივ ბრწყინვალედ აღმართულსა და შირონთა აღმომცენებელსა ქალაქსა შინა მცხეთისასა. IV ს.



წმინდა ილია მართალი



## საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის განჩინება

მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქის, მცხეთა – თბილისის მთავარეპისკოპოსის, ილია II-ის თავმჯდომარეობით ა. წ. 7(20) ივლისს შედგა საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომა, რომელმაც ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 150 წლისთავთან დაკავშირებით განიხილა მისი ღვაწლი ჩვენი ერისა და ეკლესიის წინაშე.

წმიდა სინოდმა აღნიშნა, რომ ილია ჭავჭავაძე ქართველი ერის მიერ დიდი ხანია მიჩნეულია წმიდანად და მეოხად ჩვენდა წინაშე ღვთისა.

სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა წმიდა სინოდმა განაჩინა:

ერისა და ეკლესიის წინაშე გაწეული დიდი ღვაწლისათვის ილია ჭავჭავაძე შერაცხილ იქნას წმიდანად და ეწოდოს მას **ილია მართალი**.

მისი ხსენების დღედ დადგინდეს 20 ივლისი (2 აგვისტო)

დაიწეროს წმიდანისათვის საჭირო ლოცვები;

შეიქმნას შარავანდედით მოსილი წმ. ილიას ხატი.

წმიდა სინოდის თავმჯდომარე

### ი ლ ი ა II – სრულიად საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქი

წმიდა სინოდის წევრნი:

ალავერდელი მიტროპოლიტი **ბრიგოლი** (მრ.ცვაძე)

ცხუმ – აფხაზეთის მიტროპოლიტი **ლავითი** (ჭაღაძე)

ბათუმ – შემოქმედელი მიტროპოლიტი **კონსტანტინე** (მელიქიძე)

ავარაკ – წაღვის მთავარეპისკოპოსი **თაღეუზი** (იორაშაშვილი)

ბოდბელი მთავარეპისკოპოსი **ათანასე** (ჩახვაშვილი)

ნიკორწმიდელი ეპისკოპოსი **ამბროსი** (მათაბაძე)

მარგველი ეპისკოპოსი **პრისტუფორე** (წამალაძე)

ახალციხისა და სამცხე – ჯავახეთის ეპისკოპოსი **ანანია** (ჯაფარიძე)

ჭყონდიდელი ეპისკოპოსი **ვახტანგი** (ახვლედიანი)

წილენელი ეპისკოპოსი **ზოსიმე** (შიოშვილი)

ქუთათელ – გაენათელი ეპისკოპოსი **კალისტრატე** (მარბალიტაშვილი)

# ეს წინაყინად გინა წინათ



ტროპარი წმიდისა  
ილია მართლისა

ღვანლითა და სისხლითა შენითა უდა-  
გნოდ იგი სოფლისად მოიქუგაკუ, და გო-  
ნებითა ღვთივრწმინვალითა ღაცქულ-  
ნი კვალად აღგვაღინენ. ვამართებად  
სომსა და გვირგვინი უკვდავობისად მოი-  
კოვა; სიბართლისათვის დაითმინა და  
ზესთასოფელი დიდებისად დაიხვიდრა;  
ქყო ქართველია პრისაო, პრისათვის  
წამებული, წმიდაო ილია მართალი, მოვ-  
ლად დიდებული, ვვედრა პრისტესა ღმრ-  
თისა ძეგითა შენითათვის, შეწყალებად სულ-  
თა ჩვენითათვის.



მწუხარე საქართველო. ილიას ძეგლი მთაწმიდაზე  
ავტორი იაკობ ნიკოლაძე.

## ლოცვა

### მუხლთმოდრეკით სათქმელი წმიდისა და მართლის — ილია ჭავჭავაძის მიმართ

ჰოი, ყოვლად წმიდაო, ილია მართალო, ღვთისა მიერ წმიდისა სამებისა შეყვარებულო. მაცხოვრის მიერ ქადაგებული სიყვარულის კეთილად აღმასრულებლო და დამცველო, მამად ქართველთად წოდებულო და ყოვლისა ჭირვეულისა და დაწუნებულისა შემწეო და მათთვის შრომათა დიდთა და ბრძოლათა თავსმდებლო.

ჰოი, მართალო ილია, ღვთისადმი მტკიცედ მორწმუნეო და მეცნიერებითა სრულითა სჯულისა აღმასრულებლო, რომელსა ჭეშმარიტად გიყვარდა უფალი ჩვენი იესო ქრისტე და იყავ მობაძავ მისა ცხოვრებითა შენითა, რომელი არა კაცთაგან იყავ დადგინებულ, არამედ უფლისა მიერ იქმენ გამორჩეულ პატრონად ერისა ჩვენისა, არა ოდეს დაგიტყვევებია სამწყსო შენი ჟამსა იხილვიდი რა მგელთა მტაცებელთა, სრულიად განმწირველი თავისა შენისა, იდეგ მხნედ და ღვთისა მიერ განმტკიცებული ყოვლად უშიშრად ებრძოდი მათ და არა უტყვევდი სამწყსოისაგან შენისა არცა ერთისა ოდენ სულიერისა ცხოვარისა წარტაცებად.

ჰოი, მამაო ქართველთაო, წმიდაო ილია, რომელმან ღვთისა მიერ ზეგარდამოვლენილი მაღალი ნიჭი და ძალი შესწირე კაცთა შორის წმიდა გრძნობათა და სიყვარულის განმტკიცებას, მუხლთმოდრეკით შევივრდებით მკვიდრნი შენს მიერ ნამოღვაწარნი ვენახისანი, შევივრდებით და გვედრებით, რათა აწ და მარადის შუამავალ ექმნე ერსა ჩვენსა და ყოველსა სულსა გაჭირვებულსა და დაწუნებულსა, წინაშე ღვთისა ყოვლად მოწყალისა, რათა მოგვანიჭოს ჩვენ სიყვარული მამულისა და მოყვასთა, მოწყალება, სიხარული, შენდობა შეცოდებათა ჩვენთა: ევედრე, წმიდაო მართალო მამაო, მოწყალებსა ღმერთსა, რათა უმეტესად შეეწეოდეს ღვთივ — დაცულსა ერსა და ეკლესიასა ჩვენსა.

ევედრე, მამაო წმიდაო უფალსა, რათა მოანიჭოს შენგან შეყვარებულსა მამულსა შენსა მშვიდობა, შვილთა შენთა ურთიერთ სიყვარული, ქრისტიანული განათლება და კეთილწარმართებული ცხოვრება და მოღვაწეობა; ნუ მოგვაკლებ შეწევნასა შენსა, მართალო, აწ და უკუნისამდე, ამინ!

დედოფალო მარიაჲ, ბრწყინვალეზაო ყოველთა წმიდათაო, ლოცვითა და ვედრებითა წმიდისა და მართლისა ილიასითა, ევედრე ძესა. შენსა და უფალსა ჩვენსა იესოს, რათა მოგვანიჭოს შენდობაჲ შეცოდებათა და ღირს გვეყოს სუფევად დიდებასა შინა თვისსა უკუნისამდე, ამინ!

# მეფეებმა ქრებენ



სიონი. ღვთისმშობლის-პატრიარქი ილია II-ისა.

ჩვენი

ქვეყანა

შენი





ԵՒՅՅ

Գործը կ'ընէ՛ ինչպէս որ ինչ որ ասուի՛  
 Գործը, զարկուց ո՛ր, Եւ ինչպէս զընթացիկս ինչ  
 ինչ անորոքիս, ինչ յիշուց ուր ինչպէս ինչ  
 ինչ զորեւ ինչ ինչպէս կ'ընէ ինչ ինչպէս ինչպէս  
 ինչ ինչ ինչ ինչպէս ինչ ինչ ինչ ինչ  
 Ինչ ինչ ինչ ինչ ինչպէս ինչ ինչ ինչ  
 Ինչ ինչ ինչ ինչ ինչ ինչ ինչ ինչ  
 Ինչ ինչ ինչ ինչ ինչ ինչ ինչ ինչ  
 Ինչ ինչ ինչ ինչ ինչ ինչ ինչ ինչ

1858 թ. Եւր. 17 թ. 18  
 Ե. Գործը

# ქ ა ლ ბ ე ბ ა

## სრულიად სამართველოს კათალიკოს-პატრიარქ ი ლ ი ა II-ისა



### წმიდა ილია მართალი

„და აღვაგაღლე რჩეული ერისაგან ჩემისა“  
(შს. 88, 19.)  
„წმიდაა იგი, ვინაც ეღირსა მამულისათვის  
თავის დაღება“ („აჩრდილი“)

- ჩვენთან არს ღმერთი.

მრევლი - არს და იყოს.

დიდი დღეა დღეს. დღევანდელ დღეს წმიდა ეკლესია ზეიმობს ილია-ობას. ილია წინასწარმეტყველის დღეს, რომელიც თავისი დიდი რწმენით, თავდადებით ისრაელში იცავდა ჭეშმარიტ სარწმუნოებას. ქართველმა ერმა მრავალი ტაძარი ააშენა ილია წინასწარმეტყველის სახელზე, მის სახელს ატარებდა ჩვენი დიდი წინაპარი - ილია ჭავჭავაძე. ყოველ წელიწადს იგი დღესასწაულობდა წმიდა ილია წინასწარმეტყველის დღეს, ილიაობას.

ამიერიდან კი ჩვენ, ქართველები, წმიდა ილია წინასწარმეტყველის ლოცვა-კურთხევით, მუდამ ვიზიემებთ ჩვენი ახალი წმიდანის, დიდი ქართველი მწერლის, საქართველოს უგვირგვინო მეფის, მისთვის წამებულისა და მისი გადამრჩენლის, ილია ჭავჭავაძის-ილია მართლის დღეს.

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა იწყება საქართველოსთვის საბედისწერო უამს, როცა ჩვენმა სამშობლომ დაკარგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, როცა საქართველოს ეკლესიას მოჰკვეთეს თავი და დაუმორჩილეს რუსეთის ეკლესიის სინოდს, როცა ერის სული იყო ჩამკვდარი, სიწმიდე შელახული, - ბეთლემი უკაცური.

ამ დროს. ღვთის განგებით, მოგვევლინა ილია, როგორც წინასწარმეტყველი და მქადაგებელი, როგორც „ხმა მღაღადებელი უდაბნოსა შინა“, სიტყვა მართალი და ჭეშმარიტი, რათა ბიბლიურ მოსესავით აელთ მოწამებრივი ტვირთი ერის წინამძღვრისა.

მისი გენია, მისი საოცარი ნებისყოფა მბრუნებელი და შინაგანად მოშხადებული აღმოჩნდა ამ ისტორიული მისიისათვის.

თითქოს ილიასე განმეორდა იერემია წინასწარმეტყველისადმი თქმული უფლის სიტყვები: „ვიდრე გამოხვიდოდი შენ საშოდან, მე განგწმიდე შენ,

წინასწარმეტყველოდ ხალხთა დაგადგინე შენ“ (იერემია 1, 4-5).

მან იტვირთა ჯვარი სრულიად საქართველოსა და შეუდგა გოლგოთის აღმართს.

მან გაბედულად აღიმადლა ხმა ადამიანთა უფლებების დასაცავად: დაპ-გმო სიკვდილით დასჯა, როგორც უმკაცრესი ზომა სამაგიეროს მიზღვისა, როგორც უკიდურესად მიწიერი და არაქრისტიანული ქმედება.

ილიამ იცოდა, დამოუკიდებლობისათვის ჩვენს ბრძოლასა და ეროვნუ-ლობის შენარჩუნებაში, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქრისტიანულ რწმე-ნას, ამიტომაც სათავეში ჩაუდგა საქართველოს ეკლესიისთვის უკანონოდ მიტაცებული ავტოკეფალიის აღდგენის საქმეს.

სწამდა, იმ ქვეყნისა, რომელიც ჯვარს ეცვა ჯვარცმული მაცხოვრისათ-ვის, იმ ხალხის, რომელმაც თავის მკერდზე დაუდგა ქრისტიანობას საყ-დარი, ქვად ხაკუთარი ძეგლები იხმარა, კირად კი — სისხლი, რომელსაც ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ შეშუსრავენ.

სწამდა, რომ მისი თანამედროვე საქართველოს გადარჩენა მხოლოდ ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებას შეეძლო, რომ ესწავლა ხალხს გარჩევა კეთილისა და ბოროტისა, ცოდვისა და მადლისა, ჩასწვდომო-და ცხოვრების არსსა და მიზანს, პიროვნების დანიშნულებას, ეგრძნო ჭეშმარიტი თავისუფლება და ბედნიერება... იგი სულშემძრული წერდა:

„სად არის იგი მდალადებელი,  
ქვეყნის ხსენისათვის, — ჭეშმარიტება?  
სად არის იგი, ბიწის მღვენიელი,  
ჯვარცმულის ღმერთის მაღალი მცნება?“

ილიას ცხოვრების ეტლმა, ილია წინასწარმეტყველის ეტლის მსგავსად, ცეცხლის კვესებით გადაუარა საქართველოს ცაბ და წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენში.

გარდაცვალება არ ეთქმის მის სიკვდილს. ეს იყო ჯვარცმა და მსწრაფლ-ამაღლება: ეს იყო გარდასახვა, თითოეულ ქართველში განბნევა და მასში ერის სიყვარულად აღდგომა.

დიდებულად ბრძანა დიდმა აკაკიმ: თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ შენც მასთან ერთად უკვდავი იქნები.

ხეციური საქართველოს მკვიდრი, მიწიერი საქართველოს თანამდევრი ილიას ნათელი, უკვდავი სული ჭეშმარიტად დღესაც თავს დაგვტრიალებს.

გვსურს ვაუწყოთ მრევლს, ჩვენს მორწმუნე ხალხს, რომ საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდმა აღასრულა თავისი ვალი და ილია ჭავჭავაძე — ილია მართალი წმიდანად შერაცხა.

ამიერიდან მისი სული იკიაფებს იმ სათაყვანებელ თანაგარსკვლაველში, გზას რომ უნათებს მრავალტანჯულ, მაგრამ სულიერად გაუტეხელ, ყოველ-გვარი ბოროტების წინაშე ქედუხრელ ქართველ ერს.

ეს არ არის უბრალო განჩინება, ეს არის დიდი განგება ღვთისა... წმიდა სამება — მამამ, ძემ და სულიწმიდამ გამოხატა თავისი ნება და გამოაჩინა ახალი ბრწყინვალე წმიდანი, რომელიც იქნება მფარველი ჩვენი ერისა. ეს წირვა არის მისი პირველი დღესასწაული. ქართველი კრი ხე-იმობს ილია მართლის, როგორც წმიდანის დღეს. ეს კიდევ ერთხელ მეტ-ყველებს იმაზე, რომ ჩვენთან არს ღმერთი.

უნდა ვიცოდეთ:

დიდი ილია ჭავჭავაძის წმიდანად შერაცხვა არ არის მხოლოდ აღიარება მისი დამსახურებისა (დამსახურება კი მისი ერისა და ეკლესიის წინაშე მეტად დიდია). ეს არის უფრო მეტი. როცა ხდება ამა თუ იმ პიროვნების წმიდანად კანონიზირება, ღვთის ლოცვა-კურთხევით, მას ეძლევა განსაკუთრებული მადლი, განსაკუთრებული ძალა ერის შეწვევისა. ამიერიდან წმიდა ილია ჭავჭავაძე, წმიდა ილია მართალი არის შუამდგომელი წინაშე ღვთისა ჩვენი ერისა და ეკლესიისათვის.

რით დაიმსახურა წმიდა ილია მართალმა ეს პატივი? რა თქმა უნდა, თავისი ღვაწლითა და მოწამებრივი აღსასრულით.

წმიდანად აღიარების შემდეგ ილია არის არა მარტო პოეტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, არამედ გამორჩეული მოძღვარი, მქადაგებელი სიკეთისა და სიმართლისა, რწმენისა. წმიდანად აღიარების შემდეგ იგი არის დიდი სულიერი მფარველი ჩვენი, დამხმარე, შუამდგომელი წინაშე ღვთისა. იგი ამიერიდან არის მფარველი ჩვენი კულტურის, ჩვენი მწერლობის, ჩვენი ახალგაზრდობის, ჩვენი მომავალი თაობის.

მე მინდა მოგილოცოთ ეს ბედნიერი დღე, მოგილოცოთ თქვენ და თქვენთან ერთად მიუულოცო სრულიად საქართველოს.

აღამიანი და ერი რომ იყოს ძლიერი სულიერად და ფიზიკურად, უნდა იყოს ღვთისმოსიში, უნდა იყოს ღვთისადმი მლოცველი. ჩვენ დღეს წმიდა სამების განგებთა და, ახვეწ, დედა ღვთისმშობლის ლოცვითა და მფარველობით, რომლის წილხვედრიცაა ჩვენი ერი, შეგვემატა დიდი ძალა.

წმიდა ილია წინასწარმეტყველის ლოცვით, წმიდა ილია მართლის ლოცვით ღვთისმშობელმა დედამ დაიფაროს თავისი დედობრივი კალთით სრულიად საქართველო.

შემთხვევითი არ არის, რომ ილიას ეწოდა მართალი. უხეხავსი სიმართლე საღვთო წერილის მიხედვით, არის ღმერთი და სიმართლის მქადაგებელი, უპირველეს ყოვლისა, თვითონ უნდა იყოს მატარებელი სიმართლისა; თვითონ უნდა ცხოვრობდეს ამ სიმართლით. წმიდა ილია მართალი სწორედ ამ სიმართლით ცხოვრობდა და სიმართლეს ქადაგებდა.

სიმართლე არ შეიძლება დაეტეოს ერთ ადამიანში. ისევე, როგორც სიწმიდე და მადლი. ისიც იღვრება, ეფინება ხალხს. ილია მართალი დაადგა მაცხოვრის გზას. ეს კი არის გზა გოლგოთისა, რომელიც თუმც მძიმეა, მაგრამ აღდგომითა და ჰამაღლებით მთავრდება.

წინამშური ჩვენი წმიდა გოლგოთაა, წმიდა სამსხვერპლოა. სამსხვერპლოა ყველა მათი, ვინც იცავს ჭეშმარიტებას, სიმართლეს.

შვეთხოვ ღმერთს, წმიდა ილია მართლის ლოცვით, უფრო მეტად განამტკიცოს ჩვენი ერი ჭეშმარიტ სარწმუნოებაში, სიყვარულში, სიკეთეში.

შვეთხოვ წმიდა ილია მართალს, იყოს აწ და მარადის გამორჩეულად მფარველი ჩვენი ახალგაზრდობისა, ჩვენი სტუდენტობისა. ამიერიდან ჩვენი ახალგაზრდობა მიმართავს მას განსაკუთრებული ლოცვით, თხოვნით, ვედრებით და ღვთის მადლით, ასრულდება მათი ნატვრა:

ორივე ილიას მადლი გეწოდეთ, ღმერთმა დალოცოს ჩვენი დიდი წინაპარი, წმიდა ილია მართალი. ამიერიდან ის, როგორც ბრწყინვალე ვარსკვლავი ჩვენს წმიდანთა შორის ბრძანდება.

მისი შეწვევა არ მოგაკლოთ ღმერთმა თქვენ და სრულიად საქართველოს.



როგორც მაცხოვრის ხორცშესხმას, უმანკო ყრმად დაბადებას, თან სდევდა ბოროტის გააფთრებული ბრძოლა, რაც გამოიხატა პეროდეს მიერ თოთხმეტი ათასი ყრმის ამოწყვეტაში, გადმოცემის თანახმად, დიდი ილია ჭავჭავაძის ქვეყნად მოვლინებას, ლეკთა თავდასხმა და მშობლიურ სახლზე ალყა მოკეობა. ბნელი ძალა ებრძოდა სიკეთეს, ჭეშმარიტების ქომაგის ქვეყნად მოვლინებას, მაგრამ ქვეყნის გადამრჩენი სიცოცხლე დაიფარა სამყაროს შემოქმედმა და მარადის იფარავდა განსჯერ-თომელ ნათელამდე ამაღლებამდე, სადაც ვედარასოდეს ვერ მისწვდება მოშურნე ენა და ხელი. დიდი წინასწარ-მეტყველის და ფსალმუნთმგალობელის მეფე დავითის სიბრძნე განანათლებდა და მადლით აღავსებდა მოძველ წმიდანს: „წინასწარ ვხედავთ უფალსა, წინაშე ჩემსა მარადის, რამეთუ მარჯულ ჩემსა არს, რათა არა შევიძრა“ (ფს. დავითისი — 15—8).

აქვე გამოაფხიზლებდა მოვალეობის წმიდათა—წმიდა გრძნობა — „რაჲ მივაგო უფალსა, ყოველივესთვის, რომელი ესე მომაგო მე!“ — (ფს. 115—3) და დაამტკიცა, ჭეშმარიტებით, რომ მამულიათვის შეეწირა ყოველივე, და რამეთუ „კაცი ხედავს პირსა კაცისასა, ხოლო ღმერთი — გულსა“ — და დაიპყიდრებს მას, ამიტომ მიენიჭა ზეგარდმო ძალა დიდ მამულიშვილს. ერის გულმტკივნეული შვილი ხედავდა ერის საშინელ მდგომარეობას, გარკვეან დამხავერელ ძალას, შინაგან მოღუწებას, და ყოველთვის აუხიზლებდა ქვეყანას.

როცა ებრაელთა ერი ღმერთს დაშორდებოდა და მტერი გაუმრავლდებოდა და მოეძალდებოდა, ცისა და ქვეყნის შემოქმედი ჭეშმარიტებას დაშორებულებს წმიდა წინასწარმეტყველებს და მართალ ადამიანებს მოუფლენდა ხოლმე გადამრჩენად და სიბრძნის მდალადებლად. ერთ-ერთი ასეთი დიდად გამორჩეული მაღლისა იყო ისაია, რომელმაც იხილა დიდება უფლისა, მისი ცეცხლოვანი ტახტი და წმიდანნი ზეციურნი ძაღნი. უფალი ბრძანებდა: ქვეყანამ დაჰკარგა ჭეშმარიტება, სიკეთე, სიყვარული და განსრქა გული კაცისა და სიბრძნე მნიად სასმენად უჩნს, და ვინ გავავ ზავნო ერისა ჩემისა მიმართ და მან მოაქცოს ჩემდამო ერი ჩემო?

ამ ბრძანებამდე, ისაია, როგორც ლიტონი კაცი, ხე-

დავდა უფლის ცეცხლოვან საკურთხეველს, გრძნობდა თავის ადამიანურ სისუსტეს და უღირსებას და შიშით დაღაღებდა: ვაი მე, რამეთუ ვიხილე უფალიო, და ვვედრე-ბოლა განწმენდას. ერთმან ქერუბინთაგანმან მარწუხით აღილო ცეცხლი ზეციური საკურთხევიდან და შეახო ენასა მისსა და განიწმიდა ისაია და გაიგზავნა ერის მომ-ქცევად და გადამრჩენად. ასევე დედის წიაღშივე განწმი-და უფლის ნებამ დიდი ილია მართალი და დაჰბადა ქარ-თველთა სიხარულად. მას მხოლოდ სულიწმიდა ათქმევი-ნებს ზეციურ საიდუმლოს:

დიდის ღმერთის საკურთხევის  
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,  
რომ ერისა მოძმედ ვიყო —  
ჭმუნვასა და სიხარულში“.

ერისათვის და მხოლოდ ერისათვის მსახურება და თავდადება არის ღვთის ნების წმიდად აღსრულება.

წმიდა ილია მართლისადმი მიძღვნილ ტროპარში — უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათო-ლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკო-პოსი, დიდი მეუფე და ყოველთა ქართველთა დიდი გულმ-ტკივნეული მამა—ილია II — ბრძანებს: „ღვაწილთა და სისხლითა შენითა უდაბნოჲ იგი სოფლისაჲ მოიმუშა-კა“.

კაცის მიზანი ამო და ფუჭი დიდება კი არ უნდა იყოს, არამედ ღვთისა და ერის უანგარო მსახურება, მაგრამ თუ ადამიანები ამ ღვთისნიერ არჩევანს სრულად ვერ შეაფა-სებენ, თუ ვერ ჩასწვდება მათი სული და გონება ამ კე-თილ შობილების არსს, ამით არაფერი დაშავდება, მთავა-რია, მათი ლტოლვა იყოს წმიდა და შეუბღალავი, ყოვე-ლივეს ხედავს ღმერთი გულთამხილავი და იგი მიაგებს კაცად—კაცსა საქმეთა მისთავებ.

...უამრავი მშუქარი, სხივოსანი თვალმარგალიტი, დიდი ილიას შემოქმედებისა ანათებს ჩვენს სულს, გულს და გონებას. ღვთის დიდებით, ერისათვის თავდადე-ბით, ადამიანთა დიდი სიყვარულით, გმირული სულით და უკვდავების ბეჭდით არის აღბეჭდილი მისი ყოველი ქმნილება, მადლით აღვსილი და ცით კურთხეული. მისი შედევრები — „აზრდილი“, „განდგეილი“, „დიმიტრი თავდადებული“. მისი საკვირველი პროზაული ნაწა-

რმობები, მარადიულ წმიდა წყარობად მომდინარე მისი ღირსი ლექსები, საღვთისმეტყველო თუ საერო წერილები სულიერი საუნჯის დიდი შენამენია, ხოლო მისი „ლოცვა“ — საკვირველი წინასწარმეტყველება და მაცხოვრის საკვირველი მადლითაა შთაგონებული.

დიდმა ილიამ აღმოაჩინა და გადაარჩინა ნიკოლოზ ბარათაშვილის ღვთიური შედევრები. მოიძია მისი წმიდა ნაწილები, გადმოასვენა საქართველოში და მისი სიწმიდისა და დიდების წინაშე დააჩოქა მადლიერი ქართველი ერი; დიდმა ილიამ შეუწყო ხელი ვაჟას ნიჭის გამობრწყინებას; დიდმა ილიამ დააარსა, ქართული ენის ფრიად დაკნინების უამს, ქართული ჟურნალ-გაზეთები და გადაარჩინა ჩვენი ღვთივ კურთხეული ენა. დიდი ილია იყო წმიდა ქომაგი ჩვენი დაჩაგრული კვლევითა, დიდი ილია იყო შესაკრებელი ერის საუკეთესო დიდი შვილების ენერგიისა, მათი ნიჭის სამშობლოს სამსახურში ჩაყენებისა; მისი ღვაწლით გაიხსნა მრავალი ქართული სკოლა, დაარსდა ქართული თეატრი, შეიქმნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და სხვა. დიდი ილია იყო ფხიზელი მფარველი მრავალჭირვარამგადასახადი ქართველი ერისა. ვინ მოსთვალოს მის მიერ მამულზე ფიქრით გათეული ღამეები, ვინ შეაფასოს მისი მამობრივი ამაგი?

... დიდი იოანე წინასწარმეტყველის, წინამორბედისა

გზაა ბოროტის მოკლე,  
კეთილს ხმალი აქვს ელვის,  
დიდი სიცოცხლის მოკლეა  
ხელეწიფება ვერვის.  
სივრცე — სივრცეთა შორის,  
და სივრცეების იქით —  
ჩანს ცისარტყელა ორი —  
შხის სხივოსანი ჯიღით.  
ზოგის სიცოცხლე რადგან —  
კვლავ ეჭვების ქვეშ მდის,  
ეს სასწაული დადგა  
ბეჭედად სული წმიდის.  
იყო ვედრების ჟამი,  
წვიმა, დრუბლების გროვა, —  
მაგრამ დათრგუნვად ღამის  
თვითონ წმიდანი მოვა.  
მისი ღიმილის შუქში

და ნათლისმცემლის ტაძრის ეზოში აღიზარდა წმიდა ილია მართალი — ჭავჭავაძე. აქ შეისისხლხორცა ღვთისა და ადამიანის სიყვარული; აქ აღიჩნა უფალმა იგი ერის წინამძღოლად, აქ ისმენდა დიდებული ქართველი ტკბილმოუბრის — მოხუცი დიაკონის ქართულს, რომელმაც „ღმიტრი თავდადებული“ და მრავალი სხვა შედევრი ჩააგონა. აქ ეწოდა მას ქუხილის მბრძანებლის — უფლის დიდი წინასწარმეტყველის ილია თეზბიტელის სახელი. მთელი მისი სიცოცხლე იყო უფლის მადლით და მოსახელე წინასწარმეტყველის მფარველობით ღვთისა და მამულისათვის წმიდათა-წმიდა სანთლად წვა და ნათება და ბოლოს საკვირველად შეწირვა. ვითარცა წმიდა ილია თეზბიტელი აღიტაცა ცეცხლის ეტლით და ორმაგი მადლი დაუტოვა წმიდა მეგობარს — ელისე წინასწარმეტყველს, ისე წმიდა, დიდი და მართალი ილია — ქართველი — ჭავჭავაძე, თავისი მოწამებრივი სიკვდილით გახდა დიდი მეთოხი და მფარველი სრულიად საქართველოსა... ეს საკვირველი ღღე ორი დიდი ცისარტყელით, სულიწმიდის ბეჭდით დაიბეჭდა:


„მარად და ვველგან საქართველოვ, მე ვარ შენთანა...“

მე ვარო შენი თანამდევო, უკვდავო სული...“

დიდება შენს წმიდა სულს და დიდება შენს მარადიულ სიწმიდეს — ყოვლად დიდებული, მართალი ილია ჭავჭავაძე — ჩვენი ახალგაზრდობის და სრულიად საქართველოს მარადიული მფარველო — ამინ!

ლივლივებს ცა და მიწა,  
ის კაცი იყო გუშინ,  
დღეს ანგელოზად იქცა,  
გვესაუბრება ციდან  
ჭკმა-ქუხილის ენით, —  
დიდი, მართალი, წმიდა,  
მარად მფარველი ჩვენი.  
გზაა ბოროტის მოკლე,  
კეთილს ხმალი აქვს ელვის,  
მან თვით სიკვდილი მოკლა,  
რომ ერს მოსწმინდოს ცრემლი.  
ღვთის კაცო! — მადლით სრულით  
ახარე შენი ერი, —  
ცოდვით გზაბნეული  
და მაინც — მშვენიერი!...

მთავარეპისკოპოსი **თ ა ღ მ ე რ ი**.






[ილია] ეს იყო საუკუნეებში ნაჭადი  
გული ჩაბი პრისა...

ბრიბოლ როგაქიძე

## მძიმე ჯვარი



არსებობს ილია ჭავჭავაძის ერთი სურათი. იგი თბილისის რომელიღაც ქუჩაში ღვას და ხელის ოდნავ შესამჩნევი მოძრაობით ვილაცას უხმობს... „მე ასე მგონია, თითქოს ის ჩვენს თაობას უხმობს“, წერდა გერონტი ქიქოძე.

ჩვენს თაობასაც ასე ჰგონია... ჩვენც გვეძახის და გვიხმობს ილია. და რა დროსაც არ უნდა მივიდეთ მასთან, სიჭაბუკის ჟამს, თუ ღრმა მოხუცებაში, ყოველთვის შევიგრძნობთ მიახლებას იმ დიდ ნათელთან, იმ ნამდვილთან და ამაღლებულთან, რომელიც დაბადების დღიდანვე, შეუცნობლად თუ შეცნობილად ადამიანის უმთავრეს ნატვრად და ოცნებად ქცეულა.

ილია გვიხმობს, ილია გვეძახის, ილია გვზრდის, ილია გვასწავლის, ილია გვაიმედებს.

ილიას ცხოვრება და დეაწლი მისი, მისი მოწამებრივი აღსასრული მშობელ ქვეყანას, ერს მარად ზნეობრივი სიწმიდისაკენ მოუწოდებს... „ერი არა მარტო პურითა ერთითა ცოცხალ არს, — გვამცნობს იგი. — მართალია, მშვიერი დიდ მანძილს ვერ გაივლის ამ მადლისა და ბოროტის ჭიდილის გზაზე, მაგრამ უმადლოდაც, როგორც ხორცი უსულოდ, არაფრის მაქნისია. ცხოვრება ერთი მდინარეა ორის დიდის ტოტისა: ერთს რომ ხორცისთვის მოაქვს საზრდო, მეორეს სულისთვის. თუ ან ერთი დაშრა, ან მეორე, — გვამი ერისა მკვდარია... ამიტომ ვინცა სჩივის და ჰლაღადებს სახორციელო პურისთვის, ის იმდენადვე, თუ არა მეტად, უნდა იღვწოდეს სასულიერო პურისთვისაც. ადამიანი, თუ მთელი ერი იმისთვის კი არ არის, რომ პური სჭამოს, არამედ, პურსა სჭამს იმიტომ, რომ კაცურ-კაცურად იცხოვროს და აცხოვროს თავისი შთამომავალი“... ამას იგი წერდა იმ დროს, როცა საქართველოში ეროვნულ აზრს და მის სულიერ ძალმოსილებას ეძინა, როცა უსიცოცხლო და რწმენაჩამქრალი ქვეყანა უიმედობის ბურუსში თვლემდა. სამშობლოში სამშობლოს ვეღარ ჰპოვებდა, საქართველოში ქართვე-

ლებს ვეღარ ხედავდა, ეძებდა გზას, რომელიც მის ქვეყანას დაღუპვისაგან გადაარჩენდა, წერდა: „ერს, რომელსაც დავიწყებული აქვს თავისი ისტორია, არ იცის რა გაიმავროს, რისთვის გასწიროს თავი, რას გამოესარჩლოს და რას არა, ფეხ-ქვეშიდამ გამოცლილი აქვს ის მაგარი მიწა, იგი ტანი თავის ვინაობისა, რომელსაც ისტორია შეადუღაბებს ხოლმე მამა-პაპათა ნაღვაწ-ნამოქმედარისაგან საშვილიშვილოდ ფეხმოსაკიდებლად და მოსამავრებლად. იგი დიდება, იგი სახელი, რომელსაც ამისთანა ერი ჩაინარჩუნებს ხოლმე წარსულისაგან თავის გულში, თავის სამღერალსა და საგალობელში, თავის ზღაპრებსა და მოთხრობებში, მართალია, ბევრს ანუგეშებს ხოლმე ჭირსა და ღხინში, მაგრამ, რაც დრო მიდის, ეგ ნუგეშიც, ისტორიის დავიწყებასთან ერთად ნელდება და თანდათან ჰქრება. იმიტომ, რომ სამღერალსა და საგალობელში, ზღაპრებსა თუ მოთხრობებში ჩარჩენილნი სახსოვარნი, ისტორიის დავიწყების გამო მართალს აღარა ჰგვანან და უაზრო და უსაგნო ზღაპრად-ღა გარდაიქცევიან, როგორც მთქმელის, აგრეთვე, გამგონის თვალშიც. ამის გამო ამ სახსოვრებაში ცეცხლოსაკიდებელი ძალ-ღონე აღარ არის, რომელიც კაცს ააფეთქებს ხოლმე მოქმედებისა და გარჯისათვის და რაკი ეს არ იცის, ყოველი ეს განძი და საუნჯეც კი, წარსულისაგან გადმოლოცვილი, ამაო და ფუჭია ერის გამხნეებისათვის, ერის დღევრძელობისათვის“. იგი მთელი თავისი შემოქმედებით ამ წარსულის ფესვების გამოღვიპებასა და გაცოცხლებას ცდილობდა, უვლიდა და ეფერებოდა ყოველივეს და რასაც ქმნიდა, ზოგადქართულ, ეროვნულ სიმაღლეზე სწევდა... გამოიღვიპეთ, შეხედეთ, გაიგეთ, შეიფარეთ და სიცოცხლის ძალით აღივსენითო. შემთხვევითი არ არის, რომ ერის დაცემის ერთ-ერთ დიდ მიზეზად ილიას ეკლესიის დასუსტება მიაჩნდა. ქრისტეს მცნებისადმი ერთგულებითა და იმედით სავსეა მისი ქაღაგებები შობისა და აღდგომის დღესასწაულებზე, წმიდა

ნინოზე, გაბრიელ და ალექსანდრე ეპისკოპოსებზე, დავით აღმაშენებელზე, ლუარსაბ წამებულზე... „თუ ვინმეს სამართლიანად ეთქმის, რომ თვით დაიწვინ და სხვას კი გზა გაუნათესო, ეს ჩვენს მამა-პაპას ეთქმის და მალ-ლობელნი შვილნი ღმობიერებით პირქვე უნდა დავემხოთ მათ საფლავთა წინაშე და ვუგალობოთ დიდება დიდებულთა და ქება ქებულთა. ახალმა მშვენიერმა აღთქმამ განაახლა ჩვენი ქვეყანა ახალის ცხოვრებისათვის. ქართველმა ამ რჯულს, ამ ახალს აღთქმას შეუერთა ძველისაგან ყოველივე ის, რაც კი რამ ძვირფასია ადამიანისათვის და რაც თავის დღეში არ დაძველებდა, მინამ აღამიანი ადამიანობს, — შეუერთა მამული და ეროვნება. ეს სამი ერთმანეთის ღირსნი საგანნი ისე ჩაიწინენ, ისე ჩაქსოვდნენ ერთმანეთში, რომ რჯულის დაცვა საქართველოს მიწა-წყლის დაცვად გარდაიქმნა და მიწა-წყლის დაცვა — რჯულის დაცვად.

... ქრისტიანობა ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ნიშნავდა მთელს საქართველოს მიწა-წყალს, აღნიშნავდა ქართველობას. დღესაც მთელს ამიერკავკასიაში ქართველი და ქრისტიანი ერთისა და იმავე მნიშვნელობის სიტყვები არიან. გაქრისტიანების მაგიერ გეტყვიან, გაქართველდით. ჩვენმა სამღვდელთებამ კარგად იცოდა, რომ მამული და ეროვნება, რჯულთან ერთად შეერთებული, რჯულიდან შეხორცთვისებული, უძლეველი ხმალია და შეუღწეული ფარი მტრის წინაშე. სიტყვის გაქადაგებისას, სწავლას, მოძღვრებას სულ იმაზედ მიჰქცევდა ხოლმე, რომ მამული და ეროვნება რჯულამდე გააბატონოს, სარწმუნოებამდე ადამადლოს, ასწიოს და ყოველივე ამ სამს წმიდას და უდიდეს საგანს, ერთად შეერთებულს, თავდადებით ამსახუროს, თავგანწირვით ამოქმედოს. — წერს ილია. მისი ღრმა რწმენით ამაში იყო ჩვენი ეკლესიის ძალა და ძლიერება. ამან გადაარჩინა იგი. ამ სამთა უწმიდესთა საგანთა (სარწმუნოების, მამულის, ეროვნების) შეერთებამ ასწია ჩვენი სამღვდელთების დეაწლი, მისი ყოველი საქმე სამშობლო ქვეყნის წინაშე. სამღვდელთებაში შესვლა და ჯვარის ტვირთვა დიდი პატივი იყო. ამიტომაც დიდნი გვარიშვილნი, თვით მეფეთა ოჯახისანიც თავს ბედნიერად თვლიდნენ, თუ სასულიერო წოდებას მაღლწოდნენ. ყველამ იცოდა, რა მძიმეა ჯვარი ქრისტესი, ჯვარი მამულისა და ეროვნებისა და პატივიც ამ სიმძიმეში იყო ილიას ღრმა რწმენით, წმიდა ნინოს მოციქულობით მოფენილმა ქრისტიანობამ გვიხსნა არამცთუ სულიერად, ხორციელადაც, შეგვიანხა ჩვენი მიწა-წყალი, ენა, ვინაობა, ეროვნება და, როგორც თითონ ბრძანებს, „იშვილა ჩვენი მამული, ჩვენი ეროვნება და ერთსაც და მეორესაც დღემდე უპატრონა“.

მძიმე იყო მისი ჯვარი, საქმე, რომელიც მას მშობლმა ქვეყანამ მოსთხოვა. თანაბარი სიმშვიდით ვერ მიჰქონდა მას ამ გზაზე ეს ჯვარი...

**„მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო,  
ვით ფირველმა გარეჯანმა,  
არა მარტო ტკბილ ხმათათვის  
გამომგზავნა ქვეყნად ცაბა.  
მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის  
მიწიერი ზეციერსა,**

**ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,  
რომ წარუძღვე წინა ერსა.  
დიდის ღმერთის საკურთხეველის  
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,  
რომ ერისა მოძმედ ვიყო  
ტყუენასა და სიხარულში;  
ერის წელული მინდეს წელულად,  
მეწოდეს მის ტანჯვით სული,  
მის ბედით და უბედობით  
დამედაგოს მტკიცე გული...  
მაშინ ცილამ ნაპერწკალი  
თუ აღმიფუთქს გულში ცეცხლსა,  
მაშინ ვიმღერ, მხოლოდ მაშინ,  
მოვსწმენდ ერსაც ტანჯვის ცრემლსა“.**


ეს იყო მისი ცხოვრების პროგრამა, აზრი, მიზანი... ის ერთადერთი და ნამდვილი, რომელიც სჭირდებოდა მის მრავალტანჯულ ერს და ქვეყანას — შევიწინებულს, ფეხქვეშ გათელილს, ძლივსდა მსუნთქავს. გარეშე მტერთა, მაგრამ ყველაზე მეტად ისევ საკუთარ შვილთა მიხეზით. გადაგვარებული, დარღვეული, მხოლოდ საკუთარ ნაჭუჭში ჩალექილი, უშვილობიროდ გარდასული ადამიანების სახეში იგი თავისი ქვეყნის ყოფნა-არყოფნის სასწორს ტკერეტდა და ხალხს ამ გადაგვარებისა და უნაყოფობის წინააღმდეგ მოუწოდებდა, ეძახდა, უხმობდა... გამოიღვიძეთ, განიწმიდეთ, გამოფხიზლდით და კვლავ ძველი ღირსებით აღივსენითო.

„ქართველი საყოველთაო სახელია, და ამაში, ამ განკერძოებაში რა არის საყოველთაო, თვითო-თვითოდ, ერთ გაწვეტილ ჯაჭვის რგოლებივით ცალ-ცალკე და თავ-თავად დავგორავთ, ზოგი აქეთ, ზოგი იქეთ. თქვენ მე მიჩვენეთ ის ადგილი, საცა მაგ თვითოეულის გზები ერთად იყრება საყოველთაო საქართველოს სიკეთისათვის, მაშინ მეც ვიტყვი: ქართველი აგერ აქ არის მეთქი: ის საერთო ნიშანი მიჩვენეთ, საითკენაც თვითოეულის ჩვენგანის ტკუა, გონება, ფიქრი, გრძობა, სურვილი ერთად, ხალისიანად და შეუზოგრად მიიწვედეს საყოველთაო საქართველოს კეთილდღეობისათვის, მაშინ მეც ვიტყვი: ქართველი აგერ არის მეთქი... ის შემკრებლობითი, დიდებული, ერთიანი აზრი, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ქართველობაში უნდა ჰხედავდეს, ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა — დიდი ხანია დაირღვა, ჩვენის გონებიდან ამოშრა. ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო მარდვი გაუწყდა; ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო მარდვი სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თვითოში ყველა, საცა თვითოეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითოეულისათვის, საცა „მე“ ხშირია და „ჩვენ“ იშვიათი“... ასეთი იყო მწვავე ტკივილი, რომელმაც მას ეს სიტყვები დააწერინა.

წერილში, რომელიც ახალი წლის წინა დღეს, 1897 წლის 31 დეკემბერსაა დაწერილი, ვკითხულობთ:


„პა, ერთი კიდევ ახალი წელიწადი! რა მოულოცოთ ჩვენს თავს ქართველნი?“

არ ვიცით რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ — რანი ვართ, ვერ გამოგვიცვნი რანი ვიქნებით! ყურებში ბაბბა გვაქვს დაცული და თვალბზე ხელი აგვიფარებია. არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის. უხარმაზარი



გამოსვენება სიონის ტაძრიდან

# ფოტომეათიანი



მთაწმინდის გზა

დაე თუნდ მოგვედე, არ მეშინიან,  
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი  
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან,  
თქვან, აღასრულა მან თვისი ვალი

თხრილია ჩვენ, ქართველების, წინ და აინუნშიაც არ მოგვდის. ამ თხრილის პირას ვდგევართ და საკმაოა ხელი გვკრან და, შიგ გადავიჩიხებით დედაბუდიანად. ორბი, არწივიც კი ვეღარ გვიპოვის, ვეღარ დასწვდება ჩვენს ძვლებს, რომ გამოხრან, გამოსწიწნონ, ისეთი ღრმაა ეს თხრილი, ისეთი უბირო. ვდგევართ და უღონოდა ვბზუით: „მე ვარ და ჩემი ნაბადიო“ და ამ ბზუილიდან არა გამოდის რა. იქნება იმიტომ, რომ ყველა ბზუი ბზუის, ფუტკართან კი ყველა ტყუის. ახალო წელიწადო, თუ რამ შეგიძლიან, თვალი აგვიხილე, ყურებიდან ბაბბა გამოგვაცალე, ფუტკრისაგან გვასწავლე ღროთა შესაფერი სამამაცონი ზნენია, რომ ჩვენმა შემდეგმა მაინც აღარა თქვას: რა გითხრათ, რით გაგახაროთ?..“

რა მწარე სიტყვებია... თავისი ქვეყნის უმძიმესი ტკივილის განცდა აღაპარაკებდა მას ასეთი სიმძაფრით, მაგრამ არა უიმედოობით... არა ურწმუნობით...

მეორე წერილში, რომელიც ისევ ახალი წლის დღეებშია დაწერილი და იქნებ კვლავაც მძიმე, მაგრამ ბევრად მეტი სინათლის ფერებითაა აღსავსე, ვკითხულობთ: „ახალი წელიწადია, მაგრამ როგორ მოვილოცოთ ეს პირველი დღე ახალის წლისა, არ ვიცი. ჩვენს ძველს ჩვეულებას რო ავყვით, უნდა შაქრის ყინული მოვართოთ და მოვახსენოთ: „ღმერთმა ასე ტკბილად დაგაბეროთ“. მე თუ მკითხავთ, ამის თქმა ვერ მეჭაწნიკება, არ ვიცი, სხვა რას იტყვის და მე კი ვგ წყევლა მგონია და არა დალოცვა. ნეტა რა სანატრელია სიბერე? სიბერე ყველა ჭირზე უფრო ძნელი ჭირია...“

მე მხედველობაში მყევხართ ყველანი ერთად. ყველანი ერთად ხომ ვართ, ქვეყანაა. ნუთუ ვერს, ან ქვეყანას, მოუხდება ესეთი დალოცვა, ღმერთმა ტკბილად დაგაბეროსო. ღმერთმა ნუ ქნას. ერის სიბერე ერის აღგვაა დედამიწის ზურგიდამ. შორს ჩვენგან სიბერე! ვერს ერთი სული, ერთი გული აქვს. ხოლო ხორცი იმდენი, რამდენიც ცალკე ადამიანია. როგორც ყველასი ერთად და ერთ დროს დაბერება არ შეიძლება, ესეც ვართ. ივანე ბერდება და მიდის, პეტრე იბადება და მოდის, და ვრი კი ისევ ვართ, ერთ სულ, ერთ-გულ. ვრი თავისის სულით და გულით იმ ტურფა საბაღნაროსა ჰგავს, საცა, რუსთაველის სიტყვით, ერთი მიდის და მის მაგიერ სხვა მოდის, თითონ ბაღნარი კი არის და არის მუდამ მწვანე, მუდამ დაუტკნობელი, მუდამ ყვავილოვანი“...

ცხადია, ილია არ იქნებოდა, ქვეყნის ტკივილზე რომ მხოლოდ პაროდები ეწერა. ამ პაროდებს იგი თუმცა მკაცრი, მაგრამ გულმტკიცებული კალმით მხოლოდ ხალხის გამოღვიძებისათვის წერდა:

ჩემზედ ამბობენ, ის სიავეს ქართველისას ამბობს, ჩვენს ცუდს არ მაღავს, ეს ხომ ცხადი სიძულვილია, ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია“.

გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან საქართველოს, ქართველი ერის, ქართული ეკლესიის ცხოვრებაში არ ყოფილა არც ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, მოვლენა, ილია ჭავჭავაძე თავისი ბრძნული სიტყვით და საქმით რომ არ გამოხმაურებოდეს... რად ღირს მისი წერილები თუნდაც მარტო გაბრიელ და ალექსანდრე ეპისკოპოსებზე...

„მე არ ვიცი იმისთანა კაცი, — წერს ილია გაბრიელ ეპისკოპოსთან გამოსათხოვარ სიტყვაში, — საერო თუ სამღვდლო, რომლის გულშიაც მომეტებულის მშვიდობისყოფით, მომეტებულის და-ძმობით ერთად დაბინავებულიყოს სამოქმედოდ მეცნიერება და სარწმუნოება. განსვენებული ღრმად მიწვენილი მეცნიერი იყო და იმოდენადვე ღრმად მორწმუნეცა. აქ არის, ჩემის ფიქრით, მისი აღმატებულება, მისი მნიშვნელობა არამც თუ მარტო ჩვენთვის, სხვისთვისაც, რადგანაც ბევრსა ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურიგებელი და მოუთავსებელი არიანო. იგია მაგალითი ამ მორიგებისა და მოთავსებისა.“

... იგი ერთს თავის ქადაგებაში სთხოვდა თავისს სამწყსოს, რომელიც ყოველთვის სულგაკმენდით უსშენდა ხოლმე, ევედრებით ღმერთს, რომ მომცეს მე ძალა ჯეროვნად ვემსახურო ეკლესიასა. ესე იგი, თქვენს ცხოვრებასაო, რადგან თვითოეული თქვენთაგანი და ჩვენგანი ერთად შეადგენს იმ კრებულს, რომელსაც ეკლესია ღვთისა ჰქვიათ. ეს მისთვის ღმერთი სიტყვა არ იყო, საღვთო წერილიდამ ამოკითხული და გახეობიებული. ეს იყო მისი სიმბოლო, ეს იყო მისი განათლებული რწმენა, ეს იყო მისი გამეცნიერებული სარწმუნოება და გასარწმუნოებული მეცნიერება, ეს იყო ის, რასაც სიბრძნეს ეძახიან და რის გარეთ მსახურება თავისი მსახურებად არ მიანხნდა, ღვაწლი ღვაწლად, მადლი მადლად, საქმე საქმედ...“

კაცთათვის მსახურება ილიას ღვთის მსახურებად მიანხნდა. ამიტომაც, ზნემაღალ მოძღვრებად თვლიდა იგი ალექსანდრე ეპისკოპოსის ნაღვაწ-ნაშრომსაც... ილიას მოელი შემოქმედებაც ხომ ამ ზნემაღალი იდეალისა და ერის წყლულის მოშუშების ცდაა.

X X X

**„ბაზალეთისა ტბის ძირას  
ოქროს აკვანი არისო...  
და მის გარშემო წყლის ქვეშე  
უცხო წალკოტი ჰყავისო.  
მწვანეა თურმე წალკოტი,  
არასდროს თურმე არ სჭკნება,  
ქვეყნისა დროთა ტრიალსა  
იგი არ ემორჩილება,  
ვერ ერჩის თურმე მის მწვანეს  
ვერც სიცხე, ვერცა ზამთარი  
და იმის მზიან ჩრდილებში  
მუდამ გაზაფხული არი.  
წალკოტის შუაგულშია  
ის აკვანი ასვენია,  
და ჯერ კაცთაგან იქ ჩასვლა  
არავის გაუბედნია.  
მარტო ერთნი სირინოზნი  
იმ აკვანს გარს ეხვევია,  
მარტო ივინი გრანუელნი  
დასტრფიან და დამღერაიან.  
ამბობენ თამარ დედოფალს**

ის აკვანი იქ ჩაუდგამს,  
და ერს თვისთა ცრემლთ ნადენი  
ტბა კარვად ზედ დაუხურავს,  
ამას კი აღარ ამბობენ, —  
აკვანში ვინ ჩააწინა,  
ან თვით ერმა თვისი ცრემლი  
ზედ ტბად რისთვის დაადინა...

ერთხელ ბახალეთის ტბაზე გლეხებთან ერთად ილიაც ყოფილა. ტბა მშვენიერ გაშლილ მინდორზე ღურჯად იდგა და ტალღებს თავის ბორცვიან ნაპირებს ზვირთებდა აღვრიდა. ილია დაფიქრებული მისჩერებოდა ტბას. ბოლოს ადგა და მყინვარს გაჰხედა. უცქირა და იკითხა: — აბა ერთი მითხარით, ამ ტბის შესახებ თქვენი მამა-პაპანი რას იტყოდნენ, ან როგორ დადგა ამოდენა წყალი ამ ტრიალს მინდორზეო. — მე ასე გამიგონია ბატონო, რომ აქ ყოფილა სოფელი, მდგარა ერთი მაღალი კოშკი და ჰქონიათ ღრმა ჭა. ვინც ამ ჭიდან წყალს ამოიღებდა, აუცილებლად მაგრა უნდა დაეფარებინა სარქმელი, თორე წყალი გადმოვიდოდა და კოშკში მყოფ ხალხს დაარჩობდა. იმ კოშკში ერთ პატარძალს ჰყოლია თქროს-ქოჩრიანი ვაჟი შვილი. თურმე თქროს აკვანში ზრდიდა და გარს ამ ციხეს ჯარი იცავდაო. გამოსულა პატარძალი, აუვსია ვერცხლის კოკა და ჭა პირახილი დაიწყო. უცებ ამოვარდნილა ძლიერი წყალი, გავსილა კოშკი და ჩაძირულა. შიგ ჩაუტანია კოშკიც და სოფელიც. ამბობენ ეს ტბა უძირაო.

გადმოცემა რაღაც ღრმად შორეულ, მითოსურ ამბავს გვახსენებს და ჩვენივე ცხოვრების, ჩვენივე ისტორიის ტკივილში გვახედებს... თითქოს გვსაყვედურობს, რატომ ფხიზლად არ იყავით და, რაც ყველაზე ძვირფასი გქონდათ, რატომ არ გაუფრთხილდითო. მაგრამ რა იყო ეს ყველაზე ძვირფასი? ისე, როგორც ძველ წიგნებში, ხალხის შორეულ შრეებიდან მომდინარე აზროვნებაში ჩაფენილია უამრავი სიმბოლური აზრი და ამ აზრს ამოცნობა სჭირდება. ყოველთვის ვერ ვწვდებით მას, მაგრამ როცა ვწვდებით, ჩვენს თვალწინ ჩვენი წინაპრის ღრმად სულისმირი, სიბრძნისმირი სამყარო იშლება. ამ ურთულესი სამყაროს ამოცნობის გზაა ილიას მთელი შემოქმედება. ეს გზა იმიტომაცაა მიმზიდველი და სწორად მანიშნებელი, რომ მის ყველაზე მთავარ ამოსავალს ერთი სიმბოლური და მთელი მისი სულიერი მრწამსის განმსაზღვრელი ლექსის ავტორი ხალხის ყოფიერებასა და მის პოეტურ, თუ გონითს აზროვნებაში ეძიებს...

„იქნებ აკვანში ის ყრმა წვეს,  
ვისიც არ ითქმის სახელი...  
ვისაც დღე და დამ მნატრულობს  
ჩუმის ნატვრითა ქართველი?  
თუ ესე არის, ნეტა მას,  
ვაჯკაცსა სახელოვანსა,  
ვისიცა ხელი პირველად  
დასწვდება იმა აკვანსა!  
თუ ესე არის, ნეტა მას,  
ღედასა სახელდებულსა,

ვინც იმ ყრმას პირველ მიაწვდის  
თვის ძუძუს მდლით ცხებულსა...“

იქნებ აკვანში ის ყრმა წვეს... ეს ყველაზე მთავარი ტკივილი და, ამავე დროს, ნატვრაა არა მარტო დიდი პოეტისა, არამედ ერისა, რომელსაც მთელი ცხოვრების მანძილზე ზოგჯერ მძაფრად, ზოგჯერ მინაულელებულად, მაგრამ მაინც ოცნებად მოჰყვება იგი. ეს მთავარი ტკივილი გასულ საუკუნეში ყველაზე უკეთ სწორედ ილიას თაობამ იგრძნო და დაინახა. ეს ის ტკივილი იყო, რომელიც „ქვეყნის თვალად“ და „წალკოტად დაბადებულ“ ქართველის სამკვიდროს მრავალჯერ ყოფნა-არყოფნის სახელვრიდან კვლავ სიცოცხლისაკენ აბრუნებდა, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ შევიდოდა და დიდი ბრძენი, მამა მთელი საქართველოსა, ჩაჰყურებდა მის სიღრმეს და ამ ბოლომდე „ვერმიშველების მიზეზს“ ეძებდა, ეძებდა ხალხში, მის უკვდავ სულში. სწორედ ხალხის სულში ეძებდა იგი საქართველოს ფესვანაწვეტილი ისტორიის დაკარგულ ფურცლებს... თავს უყრიდა, ამთლიანებდა, ამდიდრებდა, სულს უბრუნებდა, „დაძებებს უთევდა თავის სულთმობრძავ ქვეყანას“.

თავისი მონუმენტური, ნატვრის სიტყვით ილია უადრესად ღრმად დგას თავისი მშობელი ხალხის წიადში. მთლიანად ხალხის გულიდან არიან ამოტანილი და ნაქანდაკევი მისი გმირები. ხალხურია ეს ხასიათები, ხალხური და, ამავე დროს, ღრმად ლიტერატურული, ცოცხალი, სახიერი. ამიტომაც ვიხსენებთ მათ, როგორც ჩვენს ახლობლებსა და ნაცნობებს. როცა ვამბობთ: ეს კაცი ლუარსაბ თათქარიძეა, ეს დარეჯანია, ეს ლამაზისიყულიაო, ვხედავთ, ვიცნობთ მათ; ვიცნობთ მის ლელთ ღუნისას.

„...ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟაა ვაუბოდის, ქალაა ქალობდის. ქვრივ-ობოლს ვივარევიდით, ატირდომილს ვიხიოშნიდით და ესრედ იყვის ბრალება კაცისა, ერთ-ურთობა...“ ყოველნი ქართველი მძანები ვართო, ადრიდა ჩვენ ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუნეს, მით იყვის უკეთო, რომ ამბობს... ტვინიდან გულამდე უცვარი ტკივილით რომ მსჭვალავს და აღარასოდეს აღარ ტოვებს ილიას სულს. როდემდის დამჩნეს ეგ ტკივილი გულში, ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამისი პასუხიო, რომ ათქმევინებს.

ვიცნობთ მის ოთარაანთ ქვრივს. ესაა ჭირსა და განსაცდელში გამოწრთობილი სახე ლეჩაქვახუნებული, შავკაბიანი ქართველი დედაკაცისა, რომელსაც, თვით მწერლის სიტყვებით რომ ვთქვათ, ვერასოდეს „ქალად ვერ დააღწობ“, რომელიც, ამ სიტყვის ილიასეული, ყველაზე მაღალი გაგებით, ნამდვილი დედაკაცია. ერთი იმ სანატრელ დედათაგანი, რომელნიც უკვე წავიდნენ, გაჰყვნენ დროთა დინებას, რომელნიც საუკუნეთა მანძილზე უცხოებდნენ პურს საქართველოს, რომლებმაც იხსნეს, გადაარჩინეს, დღემდე მოიტანეს ჩვენი მშობლიური დედაენა და სარწმუნოება — ეს ორი ყველაზე დიდი წმიდათაწმიდა ერის სიცოცხლისა. ამ სახეს არა ჰყავს რომელიმე ერთი კონკრეტული პროტოტიპი. იგი მთლიანად

ხალხურია, ხალხის სულიდან, ცხოვრებიდან, ოცნებიდან ამოღებული. ეს ხასიათები არასოდეს არ გვტოვებენ, არ გვავიწყდებიან.

X X X

„მამული, ამ სიტყვის ყოვლად მპყრობელი მნიშვნელობა ვრცელია და ფართო. იქ, საცა ხალხობა დარღვეული არ არის და განთვითეულება — ეგ ჭირთა ჭირი არ მეფობს, იქ მაგ სიტყვის აზრი ცხოვრების მომნიჭებელი სულია, მთელი ხალხის ერთიანი მაჯის ერთიანი ძარღვია. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ თვითეულსა — მთელის ხალხისა და მთელს ხალხს — თვითეულისა ჭირი და ლხინი წარმოუდგება ხოლმე. აქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ დიდი და პატარა, ქალი და კაცი თავის ქვეყნის ნაღველითა ნაღველობს, ლხენითა ლხინობს, დღეობითა და დიდებითა დღესასწაულობს. იქ მაგ სიტყვაში ყოველია და ყოველში ყველა არის.

ჩვენში? ჩვენშიც მაგ სიტყვას მაგეთი მნიშვნელობა ჰქონია თურმე, იგი როდის? როცა ჩემი „მე“ და შენი „მე“ ჩვენის ერთიანის ხალხის ცხოვრების საყვევარში ერთად ბმულა.

...„ხლვა კოვზით არ დაილევო“, ნათქვამია. აი, თუ არ დაილევა, სად არის მამულის ყოვლადმპყრობელი, ვრცელი, ფრთაგასასული მნიშვნელობა?

განვიმეორებ, განვთვითეულდით და თვითეულის ზურგმა ვედარ ზიდა ის დიდი აზრი მამულისა, რომელიც ყველასათვის ადვილად სახიდა.

...მაგ განთვითეულებამ, ცალ-ცალკეობამ ყოველგან და ყოველისფერში ის საქმე გვიყო, რაც ეზოპეს ზღაპარში თვითეულს წეკლას მოუვიდა, ერთად ძნელად გადასატრევს“. ეს უადრესად ცნობილი არაკი, რომელიც სულხან-საბა ორბელიანის წიგნსა და ქართულ საზღაპრო ეპოსშიცაა შესული, ცხოველმყოფელი ძალით აცოცხლებს ეროვნული მთლიანობის იდეას. ეს ის მთავარი ამოსავალია, რომლითაც სუნთქავს ილიას შემოქმედება, ეს იგავი გვამცნობს, რომ წეკლა, რომლის შეკრული კონა, ვერანაირი ძალით ვერ გადატეხეს, იოლად დაიმტვრა ცალ-ცალკე. ილია გვეუბნება, თუ ჩვენ ერთად ვიქნებით, თუ გვეყვარება ერთმანეთი და როგორც საჭიროა, ისე მოვუვლით ამ მშვენიერ წალკოტის ქვეყანას, ვერავითარი განსაცდელი ვერ მოგვერევაო.

X X X

„წიწამურში რომ მოჰკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი...“

და მაინც, დრო ყველაფერს ამშვიდებს, ყველას და

ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს. დრო ყველაზე დიდი მსაჯულია ამ მიწაზე. ეს სტრიქონებიც დროის გასვლის შემდეგაა დაწერილი. მაშინ კი, როცა ის შემზარავი ტრაგედია დატრიალდა, მთელი საქართველო ისევ შეერთდა. დიდი კაცის სიკვდილიც მუდამ რაღაც განსაკუთრებულის მანიშნებელიაო, წერს ერთი მწერალი და ილიას მკვლელობამაც კვლავ შეაერთა, ერთ სულ და ერთ გულ არსებად აქცია მთელი ერი. ეს იყო მართლაც თავზარდამცემი ამბავი. ერის მამას, როგორც მას სიცოცხლეშივე უწოდებდნენ, მარად და ყველგან საქართველოსთან მყოფს, მის მოამბეს და გადამრჩენელს მისსა, ესროლეს ტყვია და ამ გასროლით „ეპოქა გათავდა დიდი“...

საქართველოში იმ დროს არ დარჩენილა არც ერთი ადამიანი, რომელსაც ღრმად არ შეეცნოს ამ ტრაგედიის არსი.

ყველა მიიწევა პოეტთან უკანასკნელ გამოსათხოვრად. დედებს მოჰყავდათ ჩვილი ბავშვები, მაღლა სწევდნენ მათ, სურდათ სიმბოლურად დაენახათ პატარებს დიდი პოეტის განგმირული შუბლი, რომ შემდეგ გაზრდილებს მარად და ყველგან ილიას გზით ველოთ და ეცხოვრათ. ჟურნალ-გაზეთები აივსო უმძიმესი განცდით დაწერილი წერილებით, სიტყვებით. ხალხს ვერ იტევდნენ ტაძრები. მთელს საქართველოში, როგორც ერთდროულად, ისე სხვადასხვა დროს იხდიდნენ პანაშვიდებს, წარმოსთქვამდნენ სიტყვებს, შესთხოვდნენ შენდობას მის მაღალ სულს და ერს ურთიერთსიყვარულისა და ურთიერთდანილობისაკენ მოუწოდებდნენ.

X X X

სამშობლოს თავისუფლებისა და მთლიანობის იდეას, მის ქრისტიანულ მრწამსს შეეწირა მსხვერპლად ილიას სიცოცხლე. ისე, როგორც მთელი მისი ცხოვრება, ასევე მისი ტრაგიკული დასასრულიც ჩვენთვის უმაღლესი ეროვნული თვითშეგნების მაგალითია, მაგალითი, რომლის გარეშე წარმოუდგენელია არსებობა. იგი გვმოძღვრავს, გვასწავლის. და თუ ბოლომდე ვერ აშუშებს, პანაშობის მინც ყველა ჩვენს ტკივილს და გვიჩვენებს გზას ჭეშმარიტებისა და განახლებისაკენ. ეს არის ამაღლებული, ერის იდეალებით მოფენილი გზა, გზა, რომელზედაც თვით ილიას სისხლია დაღვრილი.

დიდხანს, დიდხანს, იქნებიან ილიას საქმენი ჩვენდა საოხად, სიტყვანი მისნი ჩვენდა ანდერძად და სახელის ხსენება მისი ჩვენდა საწვრთნელად.

მისი სიყვარული! ეს ყველაფერი შენთვის,  
 შენთვის მისთვის ხეივანში ეს ყველაფერი ხდება!  
 მისთვის მისთვის ხეივანში, ხეივანში ეს ყველაფერი,  
 მისთვის მისთვის! ხეივანში მისთვის მისთვის.  
 ხეივანში მისთვის ეს ხეივანში მისთვის.  
 მისთვის მისთვის მისთვის მისთვის მისთვის,  
 მისთვის მისთვის მისთვის მისთვის მისთვის,  
 მისთვის მისთვის მისთვის მისთვის მისთვის.  
 მისთვის მისთვის! მისთვის მისთვის მისთვის,  
 მისთვის მისთვის მისთვის, მისთვის მისთვის.  
 მისთვის მისთვის მისთვის მისთვის მისთვის,  
 მისთვის მისთვის მისთვის მისთვის მისთვის.  
 მისთვის მისთვის მისთვის მისთვის მისთვის,  
 მისთვის მისთვის მისთვის მისთვის მისთვის.  
 მისთვის მისთვის მისთვის მისთვის მისთვის,  
 მისთვის მისთვის მისთვის მისთვის მისთვის.

მისთვის ვაპირებ ვაქცინაციის  
 დრო-სავე ვაქცინაციის  
 ჩემთვის ღირს ვაქცინაცია  
 დავთმავ ჩემთვის - იმისთვის.  
 აქვე ვაპირებ ვაქცინაციის  
 დრო-სავე ვაქცინაციის  
 ჩემთვის ღირს ვაქცინაცია  
 დავთმავ ჩემთვის - იმისთვის.

„ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეკუთვნოდეს“. ამ სიტყვას მე დიდ ანალოგს: ილიამოსე. ამ არის გზადგენულ ერის გულკანურ მომთმან მიყვანა. აქედან უნდა გადავლილიყო ქართული რასის წინაშე დიდი სანახები ნების მოთმან და ახალი ცხოვრებისა. აქვე გაკვირებულია ჩვენი ახალი ისტორიისა და ახალი ყოფის ჯერაც კამლუტისეგური მერყეობით წარმოთქმული: ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეკუთვნოდესო.

დიდი სიყვარული გვირისა და წმიდანისა არასოდეს გაცივდება ერის გულში.

ქართველ ერს ის საწყალი გლეხის ბიჭიც არ დავიწყებია თავის სიმღერებში, რომელმაც სისხლით აგებია პასუხი საქართველოს სისხლის მსგავს, არც იმ ჯაგუკის სხელი, რომელმაც კისრადის გამენტში ჩააკირვინა თავი საქართველოს მტრების წინააღმდეგ ასევე ციხე-გადავანში.

ამი უმეტეს ვერ დავიწყებ ილია ჭავჭავაძის სხელს, რომელიც 50 წელი აგაჟი სარანგი იყო ქართული სულისა და სიცოცხლე თავისი მოწამებრივი სიკვდილით დაასრულა.

კონსტანტინე გამსახურდია



## ილია ჭავჭავაძე. წერილები

### შობა მაცხოვრისა

დაუძიებდა კაცთა ნათესავსა ძველი რჯული; ძველი აღთქმა. შეერყა საძირკველი კაცთა ცხოვრებასა, რომელსაც ქვაკუთხედად ეღვა ძველის აღთქმის მოძღვრება: „თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ“. სხვა მადლის მწყურვალმა სულმა კაცისამ იგრძნო, რომ ამ მოძღვრების საფარქვეშ ვედარ იდგომილება დიდხანს, — და ძველი ქვეყანა ირყევა, ირღვევა, მიდის და იფუშება. იგრძნო, რომ იგი ღმერთი მსჯავრისა და შურის-გებისა, ღმერთი წყრომისა და რისხვისა ამასთანავე კაცთმოყვარე, მადლის მომწვენი, ყოვლად მოწყალე და ყოველთა შემწყნარებელი ღმერთიც უნდა იყოს.

ამ ქვეყნის რყევასა და რღვევაში ჯერ კარგად ვერგამორკვეული სასოება ადამიანისა, ჰხედავს-რა ძველს დედა-ბოძს სულის საფარისას წარსაქცევად გამზადებულს, ჰკენეს და ჰდაღადებს ზეგარდმო შთაგონებულთ კაცთა ბაგითა. რყევისა და რღვევისაგან თავის ბუდიდამ ამომფრთხალი გული ადამიანისა უთვისტომოდ, უბინაოდ პრჩება. გული შეშინებული, ელდაცემული ეძიებს ახალს სადგურს, ახალს ბინას, რომ ამოვიდეს ახალი ვარსკვლავი, ახალი აღიონი, რომელმაც უნდა გზა აჩვენოს და გააგებინოს ძველის ქვეყნის რყევისაგან ატეხილს მტვერ-ბუქსა და ბინდ-ბუნდში. ერთხელ წაირღვნა ქვეყანა, ეხლა-კი უნდა დახსნილ იქმნას და აი ამ მხსნელს ელის ხსნის მწყურვალე სული.

**„შენ, ბეთლემ, ქვეყანა ეგე იუდასი! — ჰდაღადებს ზეგარდმო შთაგონებული წინასწარმეტყველი: — არა სადა უმრწემეს ხარ მთავართა შორის იუდასთა, რამეთუ შენგან გამოვიდეს წინამძღვარი, რომელმან დააწყოსთ ერი ჩემი, ისრაილი!“**

ადამიანი რაღაც ლოდინშია, გარღვეულ უფსკრულის წინაშე მდგომარე; სასოს არ იკვეთს, რომ შობა მაცხოვრისა

და თავის ყოვლად-მხსნელს ხელსა მომწველისო, სასოებით აღსავსენი, სულით განდიდებულნი და აღფრთოვანებულნი წინასწარმეტყველნი წინათ-ჰგრძნობენ ამა მოსვლასა და ვითა მახარობლნი ნუგეშს ცემენ გულ-წასულს ადამიანს, მოვარ, ოღონდ შენ „განმზადნე გზანი მისნიო“.

**„აბა ესერა მე წარვალინო ანგელოსი ჩემი წინაშე პირსა შენსა, რომელმან განმზადნეს გზანი შენნი წინაშე შენსაო, — ჰდაღადებს სრულის რწმენის დაღადითა წინასწარ-გრძნობით აღტაცებული ისაია წინასწარმეტყველი: — განმზადნით გზანი უფლისანი და წრფელ-ჰყვენით ალაგნი მისნიო“.**

და აბა ამა „გზათა განმზადებად და წრფელ-ყოფად ალაგთა მისთა“ მოველინა ქვეყანას იოანე წინამორბედი „მდაღადებელი უდაბნოსა შინა“. გულშერყეულს და ნუგეშის მწყურვალს ქვეყანას ჰგონია, რომ აი ეს არის იგი, ვინც ასე ძლიერ სწყურიათ ჩვენს ობლად შთენილს სულსა და ვისაც ასეთის სასოებით მოველოდებითო. არაო, ეუბნება წინამორბედი იოანე:

**„ესერა მოვალს უძლიერესი ჩემსა შემდგომად ჩემსა, რომლისა ვერ დირს ვარ განხსნად ხამლთა მისთასა. მე ნათელ-გცეთ თქვენ წყლითა, ხოლო მან ნათელ-გცეთ თქვენ სულითა წმიდითა“.**

იშვა ქრისტე, იშვა იგი, რომელმან ნათელ-სცა ქვეყანას სულითა წმიდითა, იშვა იგი დედისაგან, რომელ კურთხეულ არს დედათა შორის. იშვა იგი, რომელიც, როგორც იოანე მახარობელი ამბობს, — „დაემკვიდრა ჩვენ შორის და ვიხილეთ დიდება მისი, დიდება ვითარცა მხოლოდ-შობილისა მამისა მიერ, სავსე მადლითა და ჭეშმარიტებითა... რამეთუ რჯული მოსესაგან მოეცა,

ხოლო მადლი და ჭეშმარიტება იესოს მიერ იქმნა... რამეთუ არა მოავლინა ღმერთმან ძე თვისი სოფლად, რათა დაჰსაჯოს სოფელი, არამედ რათა აცხონოს სოფელი მის მიერ“. იშვა იგი, რომლის გამო სთქვა იოანე წინამორბედმავე:

**„აჰა ტარივი ღვთისა, რომელმან აღიხვნეს ცოდვანი სოფლისანი! ესე არს, რომლისათვის იგი ვსთქუ: შემდგომად ჩემსა მოვალს კაცი, რომელი პირველ ჩემსა იყო, რამეთუ უპირატეს ჩემსა არს“.**

„ნუ გეშინინ, — ახარებს ქვეყანას ანგელოზი: — ნუ გეშინინ, რამეთუ აჰა იშვა დღეს თქვენდა მაცხოვარი... და ესე იყო თქვენდა სასწაულად: ჰპოვით ყრმა იგი, შეხვეული და მწოლარე ბაგასა“.

რა დიდებული სახეა, რა დიდებული ხატია!... ღმერთი, მოვლინებული ცხონებად და ხსნად ქვეყნისა, ღმერთი ახალის აღთქმისა, რომელმან უნდა „აღიხვნას ცოდვანი სოფლისანი“. ძე ღვთისა და კაცისა, რომელმან უნდა ნუგეშ-სცეს ქვეყანას, — „მოვედინ, მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი, და მე განგისვენოთ თქვენ“, ღმერთი, რომელმან უნდა ნათელ-სცეს ბნელს ქვეყანას სულითა წმიდითა — იშვა ვითა ღარიბი ღარიბ საფარ ქვეშ და არის „შეხვეული და მწოლარე ბაგასა“!... მარტო ერთი ვარსკვლავიდაა აღმომხდარი აღმოსავლეთით და იგი დაჰნათის ზედ ადგილსა მას შობისასა ნიშნად მისად თუ, — რა სხივოსანი მადლი მოეფინა ქვეყანას დედისაგან, რომელიც ამიტომ „კურთხეულ არს დედათა შორის! ყრმა-ღმერთი „შეხვეული და მწოლარე ბაგასა“! არისდა სადმე სხვა ხატე, რომ დიდებამ ასე ადიდოს სიღარიბე და სიღარიბემ ასე ადიდოს დიდება! ყველაზედ უწინარეს ამ ხატითა ითქვა შობისავე უმაღ იგი თავდაბლობა კაცთმოყვარე ქრისტე-ღმერთისა, რომელმაც მერე გააოცა ცუდმედობით გარყვნილი ძველი ქვეყანა.

იშვა იგი, ვინც გაჭირვებულს და ძირით თხემამდე შერყეულს ქვეყანას მოაცალა უღმობელი საძირკველი „თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ“ და ამის მაგიერ შთაუდგა „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ და ამაზედ ხელახლად დაადგინა დასარღვევად გამზადებული ქვეყანა, ვითარცა კლდეზედ, რომელსაც ვერც ჭამი და ვერც დრო ვერ შეჰმუსრავს და ვერ შეფარყვს. ამ კლდეს ზედ დაანთხია მან თვისი ღვთაებური სისხლი და ზედ მოვლინებული, კაცმავე ჯვარს აცვა და ჯვარცმული მაინც ჯვართმცემლთათვის ჰლაღადებდა ღვთისა მიმართ: ღმერთო, შეუნდევ, რამეთუ არა უწყვიან რას იქმნან! აი რა სულგრძელი, რა კაცთმოყვარე, რა ყოვლადმოწყალე ღმერთი იშვა დღეს და ამას სამართლიანად ჰხარობს და დღესასწაულობს მთელი ქრისტიანობა.

მას აქეთია აღსდგა ქვეყანა ახალის აღთქმისა, ახალი ცხოვრებისათვის. მას აქეთ შეაფარა კაცმა თავი თვისი ღმერთსა სიყვარულისას, მშვიდობისას, მოწყალებისას და შენდობისას. განახლდა კაცი და დღეს განახლებულს კაცს ძალუძს სასოებით სთქვას: „შენ ხელახლად შემქმენ მე, ქრისტე-ღმერთო, და დამდეგ ჩემზედა ხელი შენი... შენ სცან დაჯდომამ ჩემი და აღდგომამ ჩემი. ალაგნი ჩემნი და ნაწილნი ჩემნი შენ გამოიკვლიენ და ყოველნი გზანი ჩემნი წინასწარ იხილენ... საკვირველ იქმნა ცნობა შენი ჩემგან, განძლიერდა და ვერ შეუძლო მას! შენ ხარ ხსნა ჩემი, შენი მოძღვრება — მაცხოვარ ჩემდა, და ვეღარსად განვერინო სულისა შენისაგან და პირისა შენისაგან ვეღარსად ვივლტოდე: აღ-თუ-ვგზდე ცად, შენ მუნ ხარ! შთა-თუ-ვგზდე ჯოჯოხეთად, ახლოსვე ხარ! აღ-თუ-ვიპყრნე ფრთენი ჩემნი განთიად და დავეკვიდრო მე დასასრულსა ზღვისასა, — და რამეთუ მუნცა ხელი შენი მიძლოდეს მე და მარჯვენებან შენმან შემიწყნაროს მე!“

(1886 წ., 24 დეკემბერი).

ილია ჭავჭავაძემ / ჩვენ საკუთარ  
თვალში გაასამართლიანა პატრიოტული  
ბრძოლა, დააპანონირა იგი, ჩამოაცალა  
ქველავური, რაც კი ჰქმანურ ბრძოლებს  
ეწინააღმდეგებდა, რაც კი სწავრავს კაცურ  
კაცობას და რაც ჰხდის მას მშვირალა  
კაცთმოქმედვარე ბრძოლად. ჩვენ მისი აღარ  
გვრცხვნიან, რადგან მასში გამოისატება  
ჩვენი აღამიანური უფლება, ჩვენი კანონიერი  
წადილი გუნდობისა და სიცოცხლისა.

არჩილ ჯორჯაძე



ქრისტე აღსდგა!.. აღსდგა ჯვარცმული იგი ღმერთი, რომელმანც მსთქვა: „ესე არს ხორცი ჩემი, თქვენთვის და მრავალათვის დანთხეული მისატკეებელად ცოდვათა“.

აღსდგა იგი ღმერთი, რომელმანც გვიანდერძა ჩვენ ურთიერთის სიყვარული და გვითხრა: „ამას გეტყოდი თქვენ, რათა სიხარული ჩემი თქვენთანა ვგოს და სიხარული თქვენში საცხებით იყოს. რამეთუ ესე არს მცნება ჩემი, რათა იყუარებოდეთ ურთიერთას, ვითარცა მე შევიყუარნენ თქვენ“.

აღსდგა იგი დევნული, ტანჯული, ვნებული ღმერთი, რომელმან ხსნად ჩვენდა გვითხრა ჩვენ: „უფროის ამისა სიყვარული არვის აქვს, რათა სული თვისი დასდვას მეგობართა თვისთათვის“.

აღსდგა იგი მეუფეთა-მეუფე, რომელმანც აღადგინა ღირსება ადამიანისა და პრქვა მონებით შეგინებულს ქვეყნიერობას: „არდა გეტყვიოთ თქვენ მონად, რამეთუ მონამან არა იცის, რასა იქმნ უფალი მისი; ხოლო თქვენ გარქუ მეგობრად, რამეთუ ყოველი, რაოდენი მესმა მამისა ჩემისაგან, გაუწე თქვენ“.

აღსდგა იგი ნუგეშმცემელი ღმერთი, რომელმან მსცა ნუგეში სასოწარკვეთილს კაცობრიობას ამ სიტყვით: „ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევებს სოფელსა“.

აღსდგა იგი ყოვლთა შემწყნარებელი ღმერთი, რომელმანც უბრძანა ჩაგრულთა, სოფლისაგან ძლეულთა და დევნულთა: „მოვედინ ჩემთან, მაშვრალნი და ტვირთმძიმენი, და მე განგისუენო თქვენ“.

აღსდგა იგი ღმერთი მადლისა, სიყვარულისა და გაჭირვებულთა განკითხვისა, რომელმანც სიმშლი, წყურვილი, სიშიშველე, სნეულ-ყოფა, პურობილება თვითოეულის ადამიანისა თავის საკუთარ სიმშლიად, წყურვილად, სიშიშველედ, სნეულ-ყოფად, პურობილებად მიითვალა და პრქვა წყალობით გამკითხველს ადამიანს: „მოვედით, კურთხეულნი მამისა ჩემისანო, და დაიმკვიდრეთ განმზადებული თქვენთვის სასუფეველი დასაბამითგან სოფლისათა, რამეთუ მშობიდა და მეცით მე ჭამადი, მწყუროდა და მასვით მე, უცხო ვიყავ და შემეწყნარეთ მე, შიშველ ვიყავ და შემოსეთ მე, სნეულ ვიყავ და მოხვედეთ მე, საპურობილესა ვიყავ და მოხვედით ჩემდა, ამინ გეტყვით თქვენ:

რაველნი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ!“.

აღსდგა იგი სიკვდილით სიკვდილის დამთრგუნველი ღმერთი, რომელმანც, რა მოიწია ჟამი მისის ვნებისა, აღიხილნა თვალნი თვისნი ზეცად და სთქვა: „მამო, მოიწია ჟამი ჩემი! აღიდე მე შენი, რათა ძემანცა შენმან გადიდოს შენ. მე გალიდე შენ ქვეყანასა ზედა; საქმე აღვასრულე, რომელი მომეც მე, რათა ვჰყო. წმიდა ჰყვენ ესენი ჭეშმარიტებითა, რამეთუ სიტყვა შენი ჭეშმარიტ არს; რათა ყოველი ერთ-იყვნენ, ვითარცა შენ, მამო, ჩემდამი და მე შენდამი. მე დიდებაჲ, რომელი მომეც მე, მივეც მათ, რათა იყვნენ ერთ, ვითარცა ჩვენ ერთ ვართ, მე მათ შორის და შენთანა; რათა იყვნენ სრულ ერთობითა და რათა უწყოდეს სოფელმან, რამეთუ შენ მე მომავლინე; და შეიყვარენ იგინი, ვითარცა მე შემიყვარე“.

აღსდგა იგი კაცთა-მხსნელი ღმერთი, რომელიც მის მიერ ხსნილთა კაცთავე „განჰსმარცვენს და ქლამინდი მეწამული შეჰმოსეს; შესთხხეს გვირგვინი კალთაგან და დაადგეს თავსა მისსა და ლელწამი მისცეს მარჯვენასა ხელსა მისსა და მუხლნი დაიდგეს მის წინაშე, ემდერდეს მას და ეტყოდეს: გიხაროდენ, მეუფეო ურიათო; და ჰნერწყვიდეს მას. მოიღეს ჭლელწამი და სცემდეს თავსა მისსა“.

აღსდგა იგი ჯვარცმული კაცთაგან კაცთმოყვარე ღმერთი, ღმერთი ყოვლადმხსნელის სიყვარულისა, შენდობისა და მიტევებისა, რომელიც ნამეტნაობისაგან მოწყალეებისა, სიბრალულისა და შეწყნარებისა იტყოდა მტერთათვის: „მიუტევე, მამო, რამეთუ არ იციან, რას იქმან“.

„და აჰა ძვრა იყო დიდი, რამეთუ ანგელოზი უფლისა გარდამოჰხდა ზეცით“ და აღსდგა ქრისტე მაცხოვარი ჩვენი!..

აღსდგა იგი ღმერთი მკვდრეთით, რომელმანცა სიკვდილითა სიკვდილი დასთრგუნა და განახლებულს კაცობრიობას ახალი ცხოვრება მიანიჭა.

ქრისტე აღსდგა!..

(1886 წ. 13 აპრილი)  
ტ. VIII. 1928 წ.

# დავით აღმაშენებლის მოსახსენებელი

(დავით აღმაშენებლის მოსახსენებელი  
დღისათვის — 26 იანვრისათვის)

არ ვიცით, სხვა როგორ ჰფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენება ის მაწანწალა ბოგანა, ვისაც აღარ ახსოვს — ვინ არის, საიდან მოდის და სად მიდის, ისეც ურად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც დემეთი გასწვრობია და თავისი ისტორია არ ახსოვს. რა არის ისტორია? იგია მთხრობელი მისი თუ, — რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავად. ისტორია თავის გულის-ფიცარზედ იჭდევს მარტო სულისა და გულის მოძრაობას ერისად და ამ დაჭდეკითა, როგორც სარკე, გვაჩვენებს იმ ღონეს და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღევრძელობისათვის და გაძლიერებისათვის.

უკეთესნი და უდიდესნი მომქმედნი ერისა ხომ სხვა არა არიან-რა, თუ არ ერის გულის-ნადების და წყურვილის გამომეტყველნი და გამახორციელებელნი, რომელნიც ამის გამო თითქო შემოქმედობენ, თითქო ჰქმნიან ისტორიასა. ამიტომაც ეს ამისთანა მომქმედნი, ვამბობთ ჩვენ, დაუვიწყარნი უნდა იყვნენ, თუ ერს კიდევ ერობა ჰსურს და დედამიწის ზურგიდამ მტკვერსავით ასაგველად არ გადაუდვია თავი. დავიწყება ამათი — საკუთარის ვინაობის დავიწყებაა, და თუ კაცს თავისი ვინაობა არ ახსოვს, რიდას მაქნისია? იგი ნადირია, რომელსაც, რაკი დედის ძუძუს მოჰშორდება, აღარ ახსოვს თავისი მშობელი და სიცოცხლის მიმნიჭებელი. გარდა იმისა, რომ ამ უკეთესთა და უდიდესთა მომქმედთა მეოხებით და ღვაწლით ვცხოვრობთ დღესა და ვსულდგმულობთ, ამათ სხვა სამსახურიც მიუძღვით ჩვენ-წინა. ისინი ცხოველი მაგალითებია მისი, თუ რა სიმაღლემდე შეუძლიან ერს ამა თუ იმ გარემოებაში მიაღწიოს. რამოდენადაც დიდ-ბუნებოვანია ამისთანა მომქმედნი, რამოდენადაც ეს დიდ-ბუნებოვანობა ხშირია რომელსამე ერის ისტორიაში, იმოდენად უფრო უტყუარი საწყაო გვაქვს ხელთ ერის სიკეთის, ძალ-ღონის და შემძლებლობის აწყვისათვის. თუ გუშინ იყვნენ ჩემის სისხლისა და ხორცის დიდებულნი და სახელოვანნი კაცნი, რა მიზეზია, რომ ხვალაც არ გამოჩნდნენ, თუ გარემოების იგივეობას ვიგულისხმებთ.

გარდა იმისა, რომ ამ უკეთესთა და უდიდესთა მომქმედთა მეოხებით და ღვაწლით ვცხოვრობთ დღესა და ვგულისხმობთ, ამას სხვა მნიშვნელობაც აქვთ ერისათვის. ერი თავის გამირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და შემძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს. ამიტომაც იგი ზოგს იმათგანს წმიდანების გვირგვინითა ჰმოსავს და ჰლოცულობს, ზოგს დიდ ბუნებოვანების შარავანდედითა, და თაყვანსა სცემს სასოებით და მადლობითა, ამიტომაც საჭიროა იმათი ხსოვნა, იმათი დაუვიწყარობა.

„ჩვენთვის, აღამიანებისათვის, საჭიროა, — ამბობს ბრძენი სენეკა, — იმისთანა კაცი, რომ მის მიხედვით და მაგალითით შევიძლოთ საკუთარი ხასიათის გაწვრთნა

და გამტკიცებლო. თუ, რა ბედნიერია იგი, ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვწვრთნის ჩვენ, არამედ მარტო თავისი სახელის ხსენებითაცაო“.

ამისთანა ბედნიერი დავით აღმაშენებელია საქართველოს ერისთვის. მისი მიცვალების დღე 26 იანვარია. ხოლო საქართველოს ეკლესია, რომელიც ყოველთვის თავდადებით ჰპატრონობდა ჩვენს ერს და არასდროს დიდებას ერისას დავიწყებას არ აძლევდა, 26 იანვარს აქებს და აღიღებს სახელოვანს დავით მეფეს, რომელსაც უტყუარმა განაჩენმა ერისამ, ეკლესიის დალოცვითა და კურთხევით, აღმაშენებლის სახელი დაარქვა საუკუნო სახსენებლად. ამ მართლა-და დიდებულმა მეფემ ერთად მოუყარა თავი ქართველობას. აოხრებული ქვეყანა ააშენა, მტერი გაუფრთხო და გაუფანტა, და დღეს თუ ჩვენ ჩვენს ბინაზედ ვართ, — ეს იქნება იმისი ღვაწლი, იმისი სამსახურიც უფრო იყოს. დიდება სახელსა მისსა!..

ხოლო დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვან მეფობითა, არამედ თავის დიდბუნებოვან კაცობითაც. იგი, თავგადადებული მოყვარე თავის ეროვნებისა და მართლმადიდებელის სარწმუნოებისა, დიდი პატივისმცემელი იყო სხვის ეროვნებისაც და სარწმუნოებისაც. ამისთანა შემწვანარებელი სხვისა მაშინ, როდესაც იგი ყოვლადშემძლებელ მბრძანებლად შეიქმნა სხვადასხვა თესლის და სხვადასხვა სარწმუნოების ერისა, ამისთანა სხვა ერის ღირსების თაყვანისმცემელი იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჭმელადაც არა ჰზოგავდა, ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვის ეროვნებისა, სხვის სარწმუნოებისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთერთმეტე საუკუნის კაცისაგან!

მეტი-და დიდ-ბუნებოვანობა მოეთხოვება განა მეთერთმეტე საუკუნის კაცს მაშინ, როცა დღეს, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს საკვირველებად მიგვანჩნია გლადსტონი, რომ ირლანდიის ეროვნებას და სარწმუნოებას ესარჩლება იმავე კაცთმოყვარეობით, რა კაცთმოყვარეობითაც დავით აღმაშენებელი სხვა ერს პატივისცემდა! ჩვენს მატრიანებს თავი დავანებოთ და ვიმოწოთ სხვა ერის შემატრიანენი. ისინიც კი აღტაცებით იხსენიებენ დავით აღმაშენებელს, როგორც კაცს, პატივისმცემელს და შემწვანარებელს სხვა ერისას და სხვა რჯულინას.

სომეხი მათე ედესელი ამბობს:

„დავით იყო წმინდა, კეთილმსახური, საესე ქველმოქმედებით და მართლმსაჯული. დავითის გარშემო იკრიბებოდა დანარჩენი სომეხთა ნათესავი, რომელთათვის მან დააფუძნა საქართველოში ქალაქი კორი (გორი), სადაც მრავალი ეკლესია და მონასტერი ააშენა. მიაგო ჩვენს ნათესავს ყოველგვარი ნუგეშის ცემა და შეება“.

ვარდან დიდი წერს:

„დავითს არავითარი სიძულვილი არა ჰქონდა სომეხურის წირვა-ლოცვისა და ეკლესიისა: იგი ხშირად იღრეკ-

და თავს ჩვენს ხელქვეშ და ითხოვდა ჩვენს ლოცვა-კურთხევას“.

ეგ კიდევ არაფერი, რომ დავით აღმაშენებელი ასე ექცეოდა სომხებს, რომელნიც, რაც უნდა იყოს, ქრისტიანები იყვნენ და არიან. დიდ-ბუნებოვანი კაცთმოყვარეობა დავით მეფისა მაჰმადიანებსაც მიუფინათ, და მით უფრო ბრწყინვალეა ეს ამბავი, რომ მაჰმადიანები თვით დავით მეფისა და მისის ერის სარწმუნოებას ერჩოდნენ აღმოსაფხვრელად. — მაჰმადიანთა მწერალი ალ-აინი აი რასა სწერს:

„დავითს სთხოვეს მუსულმანებმა, რომ ქრისტიანეთ არა ჰქონოდათ ნება მუსულმანებთან ერთად შესვლისა აბანოში და აღვერძაღნა გიაურებისათვის მათი ავად ხსენება. დავითმა ყოველივე ეს თხოვნა აუსრულა. დავითი თავის შვილის, დიმიტრითურთ ყოველ-დღე დადიოდა უმთავრესს მეჩეთში, ისმენდა სამეფო ლოცვას და თვით ყორანის კითხვას. დავითი უხვად აძლევდა ფულს ქატიბს და მუაძინებს. მან ააშენა უცხო ტომთათვის ქარვასლები, და პოეტთათვის, რომელთაც უღუფას უწინაჲდა. თუ ვინმე ისურვებდა ტფილისის დატყვევას, გულსავსებით ხელს უმყრობდა და მგზავრობის დონისძიებას აძლევდა ფულით. დავითი უფრო მეტს პატივსა-სცემდა მუსულმანთა, ვიდრე მთავარნი მუსულმანთანი“. (როგორც ეს ციტატა, ისეც ზემოყვანილი, ბ-ნ დ. ბაქრაძის შენიშვნისამ არის ამოღებული).

ყოველივე ეს დიდსულოვანობა და სულგრძელობა

დავითისა მაშინ არის მომხდარი, როცა ძლევამოსილი იგი მეფე სრულიად გაბატონდა თავის ქვეყანაში და, მაშასადამე, ამისთანა პატიოსანი და განათლებული ქცევა მარტო ამის დიდბუნებოვან გულს და გონებას უნდა მიეწეროს და არაფერს სხვას. იმას აღარ ვამბობთ, რომ სწეულთა, უღონოთა და საპყართათვის დავითმა ააშენა სამკურნალო, თითონ ხშირად დადიოდა ამ უბედურთა სანახავად და მოსაკითხავად.

აი ეს დიდებული მეფე — რა დიდებულ კაცურ-კაცის სახესაც მოგვივლენს თვალ-წინ და რა თავმოსაწონებელს საბუთს გვაძლევს ხელთა. აი ამისთანა კაცის ხსენებაა გამაცოცხლებელი ერისა და ამისთანა კაცის არ-ხსოვნა მომაკვდინებელ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს ერსა, რომელმაც იგი ჰშვა და თავის ძუძუთი გამოჰზარდა. ჩვენმა დამცველმა ეკლესიამ ეს კარგად იცოდა და ამიტომაც 26 იანვარი დაგვიწინა, რომ წელიწადში ერთხელ მაინც გავიხსენოთ ეს ქართველისათვის თავმოსაწონებელი დიდებული მეფე, დიდებული კაცი.

კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო, — ამბობს ჩვენი ერი: — ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლიო. ეს ანდერძი ქართველისა ისე არავის შეუხსრულებია, როგორც დავით მეფესა. აქ აღმაშენებლის სახელი დარჩა, როგორც მეფეს, და იქ, როგორც დიდბუნებოვანმა კაცმა — წაიყოლია სახელი წმიდანისა, დიდების გვირგვინით შემკობილი.

(1888 წ.)

## ათონის ქართული სავანის შესახებ

### ნაწილი პირველი

საქართველო, როცა კი მოიცლიდა ხოლმე გარეშე მტერთა ზედმოსევისა და მოგერიებისაგან, მაშინვე შეუდგებოდა ხოლმე ქრისტეს აღსარების გამტკიცების და გაძლიერების საქმესა. როცა-კი ქვეყნის მდგომარეობა ნებას აძლევდა, ქართველნი, ცნობილნი სულიერის მოღვაწეობითა და აღტყინებულნი ღვთის მოსაობით და სარწმუნოების გრძნობითა, გამოდიოდნენ გამავრცელებლად და მოსარჩლედ მართლმადიდებელის სარწმუნოებისა აღმოსავლეთში: მცირე აზია, სირია და თვითონ ბალკანის ნახევარკუნძული თვისდა ახლო მახლო კუნძულებითა დღესაც ჰმოწმობენ ქართველთა მოღვაწეობას სარწმუნოებისათვის. აქ ყველგან მრავალ გვარი ნაშთია დღესაც უტყვე, მაგრამ უტყუარ მოწამედ იმისა, რომ გულმოდგინებას ქართველებისას სარწმუნოებისათვის შორსაც გაუდგამს ფეხი და ხელი გაუწვდენია. მონასტრები, ქართველთა ხარჯით და ფულით აშენებულნი, არაერთი და ორი დღესაც ჰღადადებს ათონის მთაზედ, სინაზედ, სირიაში, იერუსალიმის ახლო-მახლო, რომ ქართველთა თავგამომეტებით და დიდის მხნეობით უღვაწიანთ თავის ქვეყნის გარეთაც სადიდებლად თვისის სარწმუნოებისა. მრავალი მაგალითებია დაშთენილი, მრავალი საბუთები ისტორიული, რომ ამ უცხო ქვეყნების მონასტრებში

წინამძღვრობა და ხელთმძღვანელობა ჰქონიან ქართველთა სულიერთა მამათა, რომელთა ცხოვრება და საქმენი თავმოსაწონად ექმნება ქართველთა ყოველთვის.

საქართველოს მეფენი, ჰკრძნობდნენ რა სიდიადეს წმიდათა მამათა მოღვაწეობისას საქართველოს გარეთ, არა ჰზოგავდნენ არა სახსარს, რომ ქონებით უღონობა და ნაკლებულობა არა ჰქონოდათ მონასტრებსა და ეკლესიებს ქართველებისას. ამიტომაც ყველაზედ უხვად შემწირველნი მეფენი იყვნენ. დიდძალი მამულები შეჰწირეს, დიდძალი ყმები, რომ ამ გზით წყარო ცხოვრებისა შეუწყვეტელი ყოფილიყო ქართველთა მოღვაწეთათვის საქართველოს გარეთ სადიდებლად და გასაძლიერებლად ქრისტეს სარწმუნოებისა.

იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის სიველ-გუჯარი, გამოცემული 1706 წელს ივლისის თვესა, ამტკიცებს, რომ მაშინ იერუსალიმს ქართველთა ჰქონიანთ ექვსი მონასტერი: წმ. ჯვარისა, წმ. ნიკოლოზისა, წმიდათა თეოდორეთა, წმ. ბასილისა, წმ. ანასი და წმ. გიორგისა. იმ ხანებში, როცა ზემოხსენებული გუჯარი გამოჰსცა პატრიარქმა დოსითეოსმა, საქართველო დაუძღვრებული იყო შინაურ და გარეულ მტერთაგან და ხელი შველისა და მფარველობისა ვეღარ მიეწვდინა ამ მონასტრები-

სათვის. რადგანაც ამ საუბედურო გარემოების გამო იქაურ ქართველთა იმედი მოესპოთ შევლისა და მფარველობისა საქართველოდამ და შური და მტრობა ოსმალთა მეტად აწუხებდათ, ერთი სახსარიდა დარჩათ, რომ მონასტრები არ გაუქმებულიყო და როგორმე შეერჩინათ, ვიდრე უკეთესი დღე დაუდგებოდათ, აიღეს და იგი მონასტრები ჩააბარეს თანამორწმუნეთა თვისთა ბერძენებსა საპატრონებლად, მათვე გარდასცეს ყოველი მამული და მამულების შემოსავალი, რაც-კი რამ ქართველთაგან შეწირული იყო გუჯრებითა, ხოლო იმ პირობით კი, რომ როცა უკეთესი დრო დაუბრუნდებოდათ ქართველთა, ყოველივე ეს უკანვე ჩაებარებინათ შეწყვეტილის მოდგაწიების განსაგრძობად.

ზემოხსენებულ პატრიარქის დოსითეოსის გუჯარში აღწერილია მიზეზი, რის გამოც ქართველთა მონასტრების გამგეობა მიუღია ბერძენთა სამდღველოებასა და სხვათაშორის აი რა სწერია:

„ხოლო ოდეს ღმერთი ინებებს და ივერიიდან მოვა წინა-მძღვარი (იღუმენი), მაშინ იმან უნდა ჩაიბაროს და თვის გამგეობის ქვეშ მიიღოს ყველა მონასტრები უწინდელი“.

წინათ დახანულია გუჯარში ის გარკვეობაც, რომ შესაძლოა ჩამოვარდეს ლაპარაკი იმ შემთხვევაზე-გასაუღისი ანგარიშის გასწორებაზედაც, რომელიც ექმნებოდათ მონასტრებს, ვიდრე იგინი ბერძენების საქმედგელოების ხელში იქმნებოდნენ განსაგებებლად და საპატრონებლად. ამ საგანზედ აი რა არის თქმული გუჯარში:

„არცა ჩვენ თვითონ, არცა ჩვენი შემდგომნი წმიდანი პატრიარქნი წმ. იერუსალიმისანი, არც წმინდა მამანი და მოაზრნი ყოვლად უწმინდადის საფლავისა ვერ მოვიტოვებთ ივერიელთაგან უფლს. ვერც ბერს და ვერც ცოტას, არც იმის სამაგიეროს, რაც ჩვენ მოგვიცია ეკლესია და სარგებელი. არც მის სამაგიეროს, რაც ჩვენ შეგვიწირავს მონასტრების განახლებისათვის, რაც ჩვენ დავგებავთ ფირმანებასა, პატი-შერიფებსა და სხვა სახარჯისა რაზედმე. ხოლო იფენდა იგი მონასტრები თავისუფლნი ყოველგვარის დავისა, ვალისა და შეწუხებისაგან და იქმნენ-და ქრისტეს მოკვარე ივერიელნი მათთა ჭეშმარიტ და სრულ პატრონად“.

დღეს, როცა საქართველო ძლიერის ხელმწიფის მფარველობის ქვეშ არის, ქართველთა მოღვაწეთა, რომელნიც დღეს საქართველოს გარეთ არიან და კარის ღვთისმშობლის მონასტერი ააშენეს ათონის მთაზედ, დიდი იმედი და სასოება მიეცათ ქართველთა მონასტრების უკანვე დაბრუნებისა. დღეს იგი დღეაო, ამბობენ იგინი, რომელსაც ამოდენა ხანს მოველოდებოდით, რომ ჩვენი დიდი ხნის წყურვილი აგვესრულებინა და უკანვე დაგვებრუნებინა იგი წმინდა ადგილები, საცა ქართველთა ხელით აშენებულნი ამოდენა სახსოვარნი ჰმოწმობენ საქართველოს, შეიღობა ჭეშმარიტს სარწმუნოებას, დიდებას მათის სარწმუნოების მოღვაწეობისას; და რომელიც ამასთანავე თავმდებნი არიანო იმ იმედისა, რომ სიმტკიცე ქრისტიანულის გრძნობისა კვლავ უწინდელბერ გავიმეცება სახელოვან სასულიერო საქმეთათვისაო.

იგი განზრახვა, რომლის გამოც ხსენებული ექვსი მონასტერი ქართველებისა იერუსალიმში ჩააბარდა ბერძენთა სამდღველოებას, რათა დრომდე უპატრონონ თვით მონასტრებსა და მისი ქონება შეინახონ ხელუხლებლად მერმისისათვის, როგორც დავალებულია შემწირველთა საქართველოს შეფეთა და ბიზანტიის იმპერატორების ანდერძითა, — იგი განზრახვაო, ამბობენ ათონის ბერძენთა მონაზნნი ქართველნი, დღეს, სწორედ დღეს ითხოვს, მონასტრები ქართველებისა ისევ ქართველთა დაუბრუნდეს თავის მამულებითაო, თორემ საფიქრებელია, რომ მონასტრებიც დაგვეკარგება და მათი კუთვნილი მამულეობიცაო.

ეს შიში უსაბუთო არ არის. არზაში, რომელიც ამ საგანზედ ხსენებულ ბერძენთაზონთა რუსეთის უმაღლესს მთავრობისათვის მიუერთებიათ, საბუთი იგი ნაჩვენებია ცხადად და თვალსაჩინოდ.

1886 წ.

## ოსმალ ოს საქართველო

ყოველი ერი თვისის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძვე, საცა ერი პოულობს თვისის სულის ღონეს, თვისის გულის ბგერას, თვის ხნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას. ჩვენი ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი ერთის დავაწლის დამდები, ერთს ისტორიულს უდელში ბმული, ერთად მეტროპოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული ერთსულობით, ერთგულობით, ძლიერია. თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაურღვიოს, — მაგრამ მაინც რდგეულთა შორის იღუმალი შემსჭვალება, იღუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ სამყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭექოს დაძინებულმა ისტორიამ, და ერთსულობამ, ერთგულობამ თვისი ძლიერი ფრთა გაშალოს. ამ დღეში ვართ დღეს ჩვენა და ოსმალეთის საქართველო.

„ივერიის“ წარსულ ნომერში მოხსენებულს ნაწილებს ოსმალთს საქართველოსას დიდი პატივსაცემი და სახელოვანი დავალი მიუძღვის ჩვენის ერის ისტორიაში,

დიდი შრომა გაუწევია, დიდი მსხვერპლი მოუტანია, მრავალი სისხლი დაუნთხევია ჩვენთან ერთად საქართველოს ერის თვით-არსებობისათვის. გარდა იმისა, რომ ჩვენ ვართ ერთის სისხლისა და ხორცისანი, ერთისა და იმავე ენით მოლაპარაკენი, ერთი ისტორიაცა გვქონია. ოდეს ბიზანტია, სპარსეთი და ოსმალთა ამ ჩვენს შშვენიერს ქვეყანას ეტანებოდნენ და ურთიერთს ტვილებოდნენ, მაშინ ის საქართველოს ნაწილი, რომელიც დღეს ოსმალთს ხელშია, მედგრად იბრძოდა ჩვენის სარწმუნოების დადგინებისათვის, და მათდა და ჩვენთა სასახელოდ ძველთაგ მოსილ იქმნა.

საკვირველს მედიდურს სანახაობას წარმოადგენს იგი საქართველოს ისტორიაში, როდესაც საქართველო დაყოფილ იყო წვრილ სამთავროებად და ერთი ნაწილი სპარსეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მეორე ჯერ ბიზანტიისა და მერმე ოსმალთს ზედ მოქმედების ქვეშ, ზემო-ქართლი, რომელსაც ეხლა ოსმალთს საქართველოს ვუწოდებთ, ხან ერთს ნაწილს მიემხრობოდა, ხან მეორეს, და თვისის მომხრეობით განაძლიერებდა ქართველებს თვით-არსებობის დასაცველად. მაშინ თითქმის მარტო

სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა  
ჩვენ ქართველებს მამაჰაჰაიაზან — მამუ-  
ლი, ენა და სარწმუნოება თუ ამათაც არ  
გუკატრონა, რა კაცები ვიქნებით, რა  
კაცები გავცნაო შეამოგავლობას. სხვისი  
არ ვიცით და ჩვენ კი გმობელ მამასაც არ  
დაუთმობდით ჩვენი გმობელიური ენის მი-  
წასთან გაცნობას. ენა სავითო რამ არ-  
ის, საზოგადო საკუთრებაა. მამას კაცი  
ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს.

ტომი III 1953. 26-27 გვ.

ი ლ ი ა

მას ეჭირა თავისუფალი დროშა ქართველთა ერთობისა.

პირველად ქრისტიანობამ იქ, სამცხე-კლარჯეთში მოიკიდა ფეხი ანდრია მოციქულის მოძღვრებითა, მაშინ როდესაც ქართლ-კახეთში ჯერ კიდევ კერპთ-მსახურება სუფევდა. ქრისტეს აქეთ პირველს საუკუნეში ადერკი მეფეს (60 წ.) უნდოდა კერპთ-თაყვანების სარწმუნოება მოეფინა და ამისთვის საშინელი ბრძოლა აუტყდა სამცხე-კლარჯეთს, მაგრამ სამცხე-კლარჯეთში ქრისტიანობა არამც თუ მოისპო, პირიქით, უფრო გავრცელდა და დამკვიდრდა, ჯერ ისევ წმიდა ნინოს მოსვლამდე.

როდესაც ბიზანტიის და სპარსეთის შუა ასტყდა შესანიშნავი ბრძოლა „ლაზიკის თაობაზედ, მაშინ ეხლანდელი ოსმალოს საქართველო დიდ საისტორიო ასპარეზად შეიქმნა მათა შორის. სპარსეთი ძლეულ იქმნა და იგი ნაწილი საქართველოს დარჩა ბიზანტიის უფლებს ქვეშ. შემდეგ ქართლ-კახეთთან შეერთების სურვილმა აღმოიჩინა თავი, მაგრამ ბიზანტიამ დაუშალა და მისცა მხოლოდ უფლება ქართველი კათოლიკოზი იყოლიონ, „რათა დასხდებოდენ კათოლიკოზად ნათესავნი ქართველნი და არა ბერძენნი, და აქენდეს უადრესობა ყოველთა ეკლესიათა და მღვდელ-მთავართა ზედა“. ეს მოხდა 586 წ. ქრისტეს შობიდან. ამ გვარად მთელის საქართველოს ერთობის წადილს ცოტად თუ ბევრად კმაყოფილება მიეცა, სულიერად მაინც, თუ არ ხორციელად. მეექვსე საუკუნის დასასრულს კლარჯეთის და ჯავახეთის მთავარი გურამ კურაპალატი, ბაგრატიონის გვარის კაცი, ბიზანტიის შემწეობით შეიქმნა მეფედ ქართლ-კახეთისა და ამგვარად დიდი ნაწილი საქართველოსი შეუერთდა საქართველოსვე; ეხლანდელის ოსმალოს საქართველოს შემწეობითა. თუმცა ამის შემდეგ ისევ დაირქვა საქართველო ნაწილებად, მაგრამ არტანუჯის ბაგრატიონთა გვარი გაძლიერდა და ამას მოჰყვა მთელის საქართველოსათვის ნაყოფიერი და საკეთილო შედეგი.

როდესაც არაბები საქართველოში შემოვიდნენ და

მაჰმადიანობის გავრცელებას ცდილობდნენ, ოსმალეთის საქართველო ქრისტიანობისათვის იღვწოდა ბაგრატიონების მეთაურობითა და წინამძღოლობითა. ეხლაც დარჩენილა მრავალი დიდ-მშვენიერი, თლილის ქვით ამოყვანილი და მხატვრობით შემკული ეკლესიები, იმ დროს აღშენებული. იმავე დროს სამცხე-კლარჯეთის ქართველნი მიდიოდნენ საბერძნეთს სწავლის მისაღებად, ნასწავლნი მოდიოდნენ უკანვე და ჰყენდნენ სწავლასა საქართველოს ხალხთა შორის. იმ დროს, როდესაც ტფილისსა და გარშემო ადგილებში მაჰმადიანობის გავრცელებას მეცადინეობდნენ თავისი არაბულის წიგნების შუამავლობითა, სამცხე-კლარჯეთის ქართველნი საღმრთო და საერო წიგნებს ქრისტიანობისას ჰსთარგმნიდნენ და ქრისტიანობის განმტკიცებისათვის აწესებდნენ მონასტრებსა, რომლებშიაც ყმაწვილებისათვის სისწავლებელთ მართავდნენ.


უწარჩინებულესნი მამანი, საღმრთო-საერო თხზულებათა მწერალნი ჩვენნი, ეხლანდელის ოსმალოს საქართველოს შვილნი და მცხოვრებნი იყვნენ. ჩვენი სასიქადულო „ვეფხისტყაოსანის“ მოქმელი შოთა რუსთაველი იმ მხარის კაცი იყო. რუსთავის დაბა, რომელსაც თვის სამშობლოდ იხსენიებს რუსთაველი, სამცხე-საათაბაგოშია. ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აღყვავებულია, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქეფნია, ჩვენის სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თვისი სახელგანთქმული დროშა. თითქმის იგია ჩვენი სულის აღმატებულების აკვანი და იგივეა სამარეც ჩვენის ყოფილის ადამიანობისა. სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდან ეფინებოდა ჩვენს ქვეყანასა ერთს დროს.

ბოლოს ბაგრატიონთა გვარის კაცი, მეფე ბაგრატ III გაძლიერდა იმოდენად, რომ 1014 წ. შეაერთა სრულიად საქართველო და ჩვენი ქვეყანა შეიქმნა ძლიერ და სახელოვან. ეხლანდელმა ოსმალოს საქართველომ ამ შეერთებისათვის დიდი ღვაწლი დასდო ჩვენს ქვეყანასა, დიდი

# ფოტომეათიანი



და ივანე ნება, უფალო, შივი







...მშვიდობით ძმად — გარემოება გა-  
დაგვაბა ჩვენ ერთმანეთზე. ნახევარ საუ-  
კუნის განმავლობაში ერთს უღელს ვეწე-  
ოდით; ერთი გზით დავდიოდით. ახლა  
ჩემი მართოდ დარჩენა, დარღვევა საქმე-  
ლთა, მავრამ მკ, არ ღირს პირადობაზე-  
თქმა და ისიც ჩვენში დღეს!...

შენ კი შენი ქვეყნიური ვალი შეასრუ-  
ლე და განისვენე სამარადისოდ. ამიერი-  
დან კუთხნი ისტორიას, შენი საქმეები  
და ღვაწლი თავის-თავად იღვავდება. იე-  
ათი ჩვეულგვრივი მითქმა-მოთქმა ვეღარც  
არას დააკლებს და ვეღარც რაიმეს მიუმა-  
ტებს! თუ საქართველოს სიკვდილი არ


უწარია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვ-  
დავი იქნები და თუ სხსიკვდილთა, რო-  
გორც ზოგიერთებს სურთ და გონიათ, მა-  
შინ ნეტავი შენ, რომ მავ შენი სიკვდილით  
წინაუწინარ მის სიკვდილს და თვალთ  
ვეღარა ნახავ! როგორც სიცოცხლე, ისე  
სიკვდილი შენი გახდა მიზნად ხალხის  
ამოქრახვევისა და აკა, საქართველოს ყო-  
ველ კუთხიდან თავ-მოყრილნი გუხვევიან  
გარს!... და ვინ იცის, ვგუ სიკვდილით  
მაინც განამტკიცო ის, რასაც შენი სი-  
ცოცხლე უწეწირე: ერთობას, თანასწო-  
რებას, ძმობას და სიყვარულს! მშვიდობით  
ძმად!... საუკუნოდ იყოს ხსენება შენი!...

აკაკი

ფოტოგრაფიები



პანაშვიდის სიონის ტაძარში



სისხლი დაანთხია, დიდი ქველობა გასწია.


თამარ მეფის შემდეგ, ესე იგი, მას ჟამს, როდესაც ჩვენის ქვეყნის ერთობა დაირღვა, ეხლანდელს ოსმალის საქართველოში მფლობელობდა სამცხის ათაბაგი, რომელიც ახალციხეში მკვიდრობდა, და იგი ადგილი წოდებულ იყო სამცხე-საათაბაგოდ. ბიზანტიის იმპერიის დაპყრობის შემდეგ ოსმალებმა მრავალი ჭირი მიაყენეს სამცხე-საათაბაგოსა, რომლის დაპყრობასაც ძლიერ ეტანებოდნენ, და ამისთვის ქრისტიანობის აღმოფხვრა უნდოდათ. მაგრამ 1625 წლამდე სამცხე-საათაბაგოს მთავრებს მტკიცედ ეპყრათ ქრისტიანობა და ყოველთვის თავგაწირულობით, თავდადებით ებრძოდნენ ოსმალთა, ასე რომ, ოსმალებმა ვერა დააკლეს რა ვერც სარწმუნოებასა, ვერც ქართველობის გვარტომობასა, თუმცა მრავალი მსხვერპლი კი შეაწირინეს. 1625 წ. ბექამ მოწამლა თვისი ძმისწული, უკანასკნელი ათაბაგი მანუჩარ, გადაუდგა ქრისტიანობას, ქართველობას, მიიღო ორთუდიანი ფაშობა ოსმალეთისაგან სამცხე-საათაბაგოში და სახელად დაირქვა საფარ-ფაშა. ამის გამო ბევრნი თავადაზნაურნი და გლეხნი გადმოიხვეწნენ ქართლს, ზოგიერთებს იქ დარჩენილთა მიაღებინეს მაჰმადიანობა. ზოგს ძალდატანებით, ზოგს მოტყუებით და მაცდურობითა; სამღვდლონი და ეპისკოპოზნი მოსწყვიტნეს, საყდრები დასძარცვეს, და ყოველი საღმთო-საერო წიგნები ცეცხლს მიჰსცეს. ჩვენი მოძმე ქრისტიანი ხალხი დარჩა უწინამძღვროდ, უმოძღვროდ, უეკლესიოდ, და სასოწარკვეთილი, მწარედ დაჩაგრული, უწყალოდ დევნილი და განადგურებული, ნელ-ნელად მიეცა მაჰმადიანობასა.

დღესაც იციან იქაურმა ქართველებმა, რომ ზოგის დედა, მამა, პაპა ჯერ კიდევ მათს ხსოვნაში ქრისტიანები ყოფილან. ამბობენ, რომ იქ ზოგიერთი დღესაც იღუმანლად აღიარებს ქრისტიანობასო, რომ დღესაც ათისა თუ თორმეტი წლის ყმაწვილები საჩვენოში გადმოჰყავთ მოსანათლავად, ზოგი ჩვენებურად ჯვარსაც იწერს ოსმალების იღუმანლად თურმე.

ვერეთ, — მძღავრობამ, მუხთლობამ, დალატმა, შავით მოსილმა საქართველოს ბედმა განგვაშორა ჩვენ ძმები — ერთად სისხლის მღვრენი, ერთად ღვაწლის დამდებნი, ერთად ტანჯულნი და ერთად მოლხინენი. დიდმა ღვაწლმა ბაგრატ მესამისამ, დავით აღმაშენებლისამ, თამარ დედოფლისამ, უქმად ჩაუარა ამოდენად ტანჯულს, ბედისაგან დევნულს, ერთობისათვის და ქრისტიანობისათვის სისხლ-დანთხეულს საქართველოსა. სარწმუნოების სხვა-და-სხვაობა ჩვენ არ გვაშინებს. ქართველმა, თავის სარწმუნოებისათვის ჯვარ-ცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოღესმე სხვისა სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა. სომეხნი, ებრაელები, თვით მაჰმადიანნიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ წაგვაყვედრებენ. სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილი და ჩაგრულნი — აქ, ჩვენში ჰპოულობდნენ მშვიდობის-მყოფელს სავანესა და სინდისის თავისუფლებასა.

არ გვაშინებს-მეთქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენს ძმებს, ოსმალის საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევეუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმობთ, და ქართველი, ჩვენდა სასიკმედლოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანასა, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინდისს, და დიდის ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თვის პატიოსანს და ღმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს, თვალში სიხარულის ცრემლ-მორეული ქართველი. და თუ ამისათვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიდვაროს, ნუ თუ ქართველი უკუდრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორიათისი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა...

(1877 წ.)



ილიასდროინდელი ყვარელი. ჭავჭავაძისან საგვარეულო ეკლესია



საქუნეთა მანძილზე მუდამ ერთად იყო ქართველი ერი და ქართული ეკლესია. ამაში იყო ძალა ერისა და ძალა ეკლესიისა. ამას გვასწავლის დიდი ილია ჭავჭავაძე... საქართველოს ეკლესიის ჭეუპერიტი, ღვიძლი შვილი, მისი დიდი ქომაგი და მამა მთელი საქართველოდსა.



## ილია ჭავჭავაძის აჩრდილს

გიორგი ლეონიძე

დიდო აჩრდილო, რას დაგვიბარებ,  
 წარბშერტყმით მდგარო, სევდით მღიმარო,  
 შუბლსა და მკერდზე ხელებს იფარებ,  
 ალბათ გსურს, წყლული რომ დაგვიმალო:  
 წყლული, რომელიც უყივის კრწანისს,  
 ჩვენი ვაება, ჭირი, ნაღველი,  
 ვერ გარეცხს სირცხვილს ჩვენი სიმწარის  
 თვით წარღვნის წყალი გადაშწარღვნელი.  
 ბევრი უნახავს შენს ნაბადს წვიმა,  
 ქარი და ვინვა, დრტვივნვა და ზარი...  
 ტვირთი მაგ მხრებმა არ დაიძიმა  
 და არც მაგ შენს გულს დაეტყო ბზარი,  
 ქართლის აზრი და სიმღერა იყავ,  
 დროშა მღელვარი, ტარუერთომელი,  
 მისთვის სიცოცხლის ბეწვი გაიყავ,  
 მისი დიდების იყავ მდომელი!

ქუხილის ენით მოლაპარაკე,  
 ნათლისმდებლო, იცი, ვინა ხარ? —  
 რუსთაველის სიმს, კრწანისის საფლავს,  
 თამარის ნათელს, — შენთან ვინახავთ!  
 დროშა ხარ სისხლში ამოვლებული,

უღელდებული ხალხის იმედად,  
 ხმალი ხარ მტრის წინ ამოღებული,  
 შარავანდელი შენ ხარ ივერთა!  
 მდინარეებზე ბაბილონისა  
 ცრემლით სტიროდა შენი თაობა,  
 სწუროდა შუქი ალიონისა,  
 სძულდა ცხოვრება მდგარი ჭაობად.  
 მდინარეებზე ახალ ქართლისა  
 სამშობლოს სულის სიცოცხლეს ვმღერით,  
 და წინამორბედს დიდ სიმართლისას  
 მღუღარ ცხოვრებით გადიდებს ერი!  
 ჩვენ გვზრდიდა შენი ნიჭის ნაშუქი,  
 შენს სისხლის წვეთში სული ჩავაწეთ.

გონების ბნელი და სიღარიბე  
 წყალს გავატანეთ, წელთა მრავლობას,  
 გახვრეტილ შუბლზე წყლულს რომ გვარიდებ  
 და გვიფრთხილდები შთამომავლობას,  
 ნუ შეგვიცოდებ, ახლოს გვაჩვენე,  
 დაგვწვას, დაგვდაგოს, ცეცხლი შეგვინთოს!  
 დავემხოთ მის წინ, რა შეგვაჩერებს —  
 შემდეგ აჩრდილმან შენმან შეგვინდოს.

### წიწამურიდან საგურამომდე

კოლაუ ნაღირაძე

წიწამურიდან საგურამომდე ეკლიანი და პატარა გზაა,  
 წიწამურიდან საგურამომდე სიცოცხლის გავლა ნეტავი რაა?  
 წიწამურიდან საგურამომდე აშრიალეულ ფოთლების ზღვაა.  
 ისევ დუღუნი ისმის არაგვის, ისევ ბიბინებს არაგვის ველი.  
 ღამით ამოსულ და აყვავებულ ვარსკვლავებს დილა მოთიბავს ცელით,  
 ღამით ამოსულს და აყვავებულს ნიავს არაგვი დილაბდე ელის.  
 ჰეი, არაგვო, არაგვიანო, გულში ეგ სევდა რად ჩაგწოლია?!  
 შენს სამას შვილზე ხომ არა დარდობ? — გვაავდა და თითქოს  
 არა გყოლია!  
 შენი ჩქერების თეთრი შხეფები, — ეგ ხომ ცრემლების წმინდა  
 ბროლია!  
 ჰეი, არაგვო, მიაძმე მაინც შენს სამას რაინდს თუ რას უმღერდი,  
 როგორ აღზარდე ქართულ ქოხებში და ქართულ აკვანს როგორ  
 ურწევდი!

პოი, არაგვო, მაშინაც, ალბათ, ამავე სვედას მოაქუხებდი!  
არავინ იყო ამბის მომტანი, არ გინათებდა გულს ალიონი,  
აღარ გესმოდა „ვისაც მოუკლავს“, არ გუგუნებდა ზარი სიონის,  
შენ დაგტიროდა მხოლოდ მოხუცი: — დამარცხებული ბაგრატიონი!..  
გზა ეკლიანი და უდაბური გმირებს და მგოსნებს გაუკაფიათ!  
საით ისწრაფვი მაინც, არაგვო, და მიაშფოთებ ტალღებს

ქაფიან?  
მცხეთის კარამდე დიდი ჩრდილებით მთებს შენი ტანი

დაუდაფნიათ!  
მცხეთის კარამდე გაისმის ძელების და მუხარადის მსხვერვის  
ხმაური!

მცხეთის კარამდე წარსულ ბრძოლების ისევ ამტყვადრა

აურზაური,  
მცხეთის კარამდე რეკავს ჯავშანზე დაჯახებული ხმალი ფშავური!  
წიწამურიდან გულის კარამდე ერთი გზა მოდის — გზა

სისხლიანი!  
ისევ ჰყვიან ცაში არწივნი და შრიალებენ მთანი ტყიანი;

მთებში ირმების ისმის ვვირილი გულის მზარავი და სვედიანი.  
ეგების მკერდში დასჭრეს ირემი და არ ურჩება ბეჩავს იარა?  
განგმირულ შუბლით ეკლიან გზაზე ისევ მგოსანმა თუ გაიარა?  
ეგების ამცნო მთებს საიდუმლო და დიდი ფიქრი გაუზიარა?  
პოი, არაგვო, არაგვიანო, გულში ეგ სვედა რად ჩაგწოლია?!  
მოკლულ პოეტზე ხომ არა დარდობ? — გჟავდა და თითქოს არა  
გვოლია.

შენი ჩქერების თეთრი შხეფები, — ეგ ხომ ცრემლების წმიდა  
ბროლია!

პოი, არაგვო, მიაბეე მაინც, როგორ დაეცა ეს გოლიათი?

ეგების შესწვდა ვარსკვლავთ კაშკაში, გადაეფარა მიწას  
წვედიადი,

და დამწუხრებულს, კაემნით მოცულს, მხესაც ამოსვლა  
დაუგვიანდა?

შთაგონებული სიმღერა მისი აღარ მოესმის მიდამოს შენსას.  
ალბათ, მისთვის ხარ გულნათხრობილი და აღარ ცხრება


ტალღების კენესა!  
ნატყვიარ შუბლის სისხლის წვეთები ახლაც აცხია მიწას და  
ქვებსა!..

წიწამურიდან საგურამომდე ეკლიანი და პატარა გზაა.

წიწამურიდან საგურამომდე სიცოცხლის გავლა ნეტავი რაა?  
წიწამურიდან საგურამომდე დიდი მთები და უძირო ცაა.



# ილია ჭავჭავაძის და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი



ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობასა და მრავალმხრივ პრაქტიკულ საქმიანობაში გამოჩენილ ინტერესს იწვევს მისი თვალსაზრისი ქართული ეკლესიის იდეოლოგიის ისტორიული და სამომავლო როლისა და ბედის შესახებ.

ჩვენ მიზნად არ ვისახავთ ამოწურავად დავახასიათოთ მწერლის ზემოთხსენებული თვალსაზრისი. იგი ვრცელი პრობლემაა. აქ მხოლოდ იმის აღნიშვნა იქნებოდა გამართლებული, რომ ილიაზე, რელიგიის ვაგებისას, სათანადო გავლენა მოახდინა მისი დროის პოზიტივისტურმა ფილოსოფიამ, რომელიც მეცნიერებასა და რელიგიას ერთმანეთისაგან კი არ თიშავდა, არამედ მათ ერთი მოვლენის ორ მხარედ მიიჩნევდა, რომელთაგანაც მეცნიერება უფუნება ცდისეულ ცოდნას, რელიგია კი იმას, რაც ცდისეულის მიღმაა.

ამ შეხედულების შუქზე აფასებდა, მაგალითად, ილია გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწისა და სწავლულის, გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძის) დამსახურებას, რომელმაც ილიას აზრით, სარწმუნოება გაამეცნიერა, მეცნიერება სარწმუნოებრივი გახადა.

ილია ჭავჭავაძისეულ რელიგიის ფილოსოფიაზე ბევრი რამ წინააღმდეგობრივი იწერება. ზოგიერთი ილიას რელიგიის ფილოსოფიაში ხედავს ერთდროულად ხან მატერიალისტურ საწყისს, ხან-მისგან უკუსვლას და იდეალიზმში ჩაჯარდნას. ასეთი მტკიცების საფუძველი ისაა, რომ ზემოხსენებული შეხედულებების ავტორები სათანადოდ არ არიან ინფორმირებულნი პოზიტივისტური ფილოსოფიის არსზე, იმაზე, რომ იგი ერთდროულად შეიცავდა როგორც იდეალისტურ, ისე მატერიალისტურ ამოსავალ პრინციპებს, თუმცა საბოლოოდ, მაინც იდეალისტურ თვალსაზრისად რჩებოდა.

ილია ჭავჭავაძეს ფართო წარმოდგენები გააჩნდა საქართველოს ისტორიაში ქრისტიანული ეკლესიის როლზე. იგი მის დიდ დამსახურებას ეროვნული ერთობისათვის პრაქტიკულ და იდეოლოგიურ ბრძოლაში ხედავდა, ფეოდალური ეპოქის კულტურის სამსახურში, ცივილიზაციის გზაზე დაწინაურებულ ხალხებთან საქართველოს კონტაქტების გაღრმავებაში, ეროვნული ენისა და წეს-ჩვეულებების შენახვის საქმეში, რასაც მუდამ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული თვითმყოფობისათვის.

ყოველივე ზემონათქვამის შემდეგ სავსებით ბუნებრივია, რომ ი. ჭავჭავაძეს სათანადოდ უნდა ეზრუნა ქართული ეკლესიის ბედობაზე.

როგორც ცნობილია, XIX ს. დამდეგს, სამეფო ხელისუფლების მოშლის შემდეგ, საქართველოში, ცარიზმი სხვა ქართულ სახელმწიფო ინსტიტუტებსაც მისდგა. 1811 წ. მან შიშველი სამხედრო-ადმინისტრაციული მეთოდებით, კანონიკური წესებისათვის გვერდის ავლით, გააუქმა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია და მსოფლიოში ეს ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული სამწყსო ცენტრალიზებული იმპერიის რიგით საეკლესიო დანაშაულებად აქცია.

მთელი XIX ს. ქართული საზოგადოება, შეძლებისამებრ, უკმაყოფილებას გამოხატავდა რუსეთის ადმინისტრაციის ზემოაღნიშნული უსამართლო აქციის მიმართ. ეს განწყობილება სათანადოდ აისახა თერგდალეულების პოლიტიკურ წარმოდგენებშიც, სადაც ქართული ეკლესია, როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე წარმოდგენებით ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ორგანიზაციად იქნა მიჩნეული. თერგდალეულებმა ქართული ეკლესიის ბედ-იბდლის პრობლემა ფართო დემოკრატიული იდეოლოგიის ფონზე გაიაზრეს.

XIX ს. 80-იანი წწ-დან ილია ჭავჭავაძე ვრცლად ამუშავებდა საქართველოსათვის ფართო თვითმმართველობის პროექტს, რაც სამომავლოდ ავტონომიის იდეაში გადაიზარდა. თავდაპირველად, ჩანს, ილიას სათანადოდ არ ჰქონდა გააზრებული ავტონომიის იდეასთან ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის კავშირი.

1905 წ. რევოლუცია რომ დაიწყო და ყველა საზოგადოებრივი კლასი და დაჯგუფება ამოძრავდა, ქართულმა სამდღელოებასაც თავისი სიტყვა თქვა. მღვდელმთავართა ერთმა ჯგუფმა პატრიოტული აქცია განახორციელა და იმპერიის ადმინისტრაციულ და საეკლესიო მესვეურებს მოსთხოვა დაუყოვნებლივ აღედგინათ ქართული ეკლესიისათვის საუკუნის წინ უკანონოდ წართმეული ავტოკეფალია. ამ მოთხოვნამ მწვავე პოლიტიკური ღვრადობა შეიძინა. იმჟამინდელ პუბლიცისტიკაში ვრცლად განმარტავდნენ ავტოკეფალიის აღდგენის არსს და მას ეროვნულ-განმათავისუფლებელი პროგრამის განუყოფელ ნაწილად თვლიდნენ, მიუთითებდნენ, რომ ავტოკეფალიის მოსპობას ჩვენში მოჰყვა ქართული ენის განდევნა ეკლესიისა და საეკლესიო განათლების სფეროდან, სარწმუნოებრივი გრძობის შესუსტება და აქედან გამომდინარე მრავალი უარყოფითი საზოგადოებრივი მოვლენის გაჩენა. ავტოკეფალიის აღდგენა, ამ თვალსაზრისით, ხელს შეუწყობდა ეროვნულობისა და სარწმუნოების პროგრესს. ამ პრობლემისათვის პრაქტიკულად, თუ კალმითაც, იბრძოდნენ ცნობილი მეცნიერები და მოღვაწეები: ალექსანდრე ცაგარელი, ნიკო მარი, თედო ჟორდანი, ივანე ჯავახიშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი, კათოლიკოსები კირიონი, კალისტრატე ცინცაძე და სხვ...

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი უნდა განეხილა რუსული ეკლესიის მომავალ საეკლესიო კრებას, რომელსაც, სხვათა შორის, პეტრე I-ის დროს გაუქმებული პატრიარქის თანამდებობის აღდგენაც უნდა გადაეწყვიტა. მანამდე კი აღნიშნულ პრობლემას იხილავდა წინასწარებო თათბირი, სადაც დიდი კამათი და ბრძოლა გაიმართა. შავრახმულად განწყობილი რუსული სამდღელოების ერთი ნაწილი მტრულად შეხვდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის იდეას. მათ ქართველების სეპარატისტული და ავტონომისტური განწყობილებები დაინახეს ამ აქციაში. ზოგი რუსი მოღვაწე კი, პირიქით, იმ აზრისა იყო, რომ სინოდი უნდა ჩამოეცილებინათ საეკლესიო ხელისუფლებისაგან და, როგორც რუსულ, ისე ქართულ

ეკლესიებს სათავეში კვლავ პატრიარქები ჩასვლილიყვნენ. ამ აზრს სლავოფილური ჯგუფი იცავდა /ეს უკანასკნელი საერთოდ, პეტრე I-ს და მთელ მის სახელმწიფოებრივ საქმიანობას უარყოფითად აფასებდა/.

ილია ჭავჭავაძე, როგორც მისი თანამედროვენი გადმოგვცემენ, ხაფიზდობიანად ეცნობოდა საქართველოს საეკლესიო ისტორიას, კერძოდ, ავტოკეფალიის პრობლემას, სწრაფი პოლიტიკური აზროვნების მონათობით აკავშირებდა მას საქართველოს ეროვნული გაანთავისებების მომავალ გზებთან.

ამასთანვე, ილია ჭავჭავაძე აქტიურად მონაწილეობდა ავტოკეფალიისათვის დაწესებულ საზოგადოებრივ მოძრაობაში.

1905 წ. ამ ამბების თვითმხილველის ვლ. ანბეტელის მოწმობით, ილია ესწრებოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საქითხანადში მიმდევალის პრობლემას, რომელიც მუშაობდა ნიკოლოზის ეკლესიის /ყოფ. რიუსი ქუჩაზე/ ხასწავლებლის შენობაში. აქ თავი მოიყარა მრავალმა პირმა, მათ შორის სოციალ-დემოკრატებმაც. სხდომის თავმჯდომარეობდა მარკო ტუშინაძე. მთავარი მოხსენება კი წაიკითხა კალის-სტრატე ცინცაძემ, რომელმაც მრავალი არგუმენტი მოიყვანა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის სასარგებლოდ.

კამათის დროს დარბაზში შემოვიდა ილია ჭავჭავაძე, რომელსაც ხიტყვის თქმა თხოვეს, მაგრამ ილიამ ცუდი ჯამთვრობა მოიმიზნა და უარი განაცხადა. ამ ყრილობაზე პოეტს ერთი არსებითი შენიშვნა მიიწვევდა: გამოსული ორატორები მოითხოვდნენ, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალაობა როცა აღდგება, კვლავ უნდა დაუბრუნდეს საეკლესიო მიწები. ილიას უთქვამს: „თქვენ-მოითხოვთ საეკლესიო მიწულებს აღდგენას. ვართუთ კი ხალხი მოითხოვს საეკლესიო და სათავადრო მიწულებს ჩამორთმევას. ამას თავი დაანებეთ. ჩვენი ხალხი მორწმუნეა, სარწმუნოების მათაყვანები და მორწმუნე და ღვთის მოსაყი ხალხი მუდამ შეინახავს თავის სულიერ მამას“.

სწორედ ამავე პერიოდს უნდა ეხებოდეს ე. თაყაიშვილის მოვლენებაც იმის შესახებ, თუ როგორ დაითანხმეს ილია ჭავჭავაძე ქართველმა მეგობრებმა, წასულიყო კავკასიის მეფისნაცვალ გრაფ ვორონცოვ-დაშკოვთან ავტოკეფალიის საკითხზე მოსალაპარაკებლად. ამ უკანასკნელს, ცხადია, არ დაუყოვნებამ ილია ჭავჭავაძის წინადადება პოლიტიკური თვალსაზრისით შეუფასებია და განუცხადებია: დამარწმუნებია, რომ ეგ ავტოკეფალია სასარგებლო იქნება საქართველოსათვისაც და რუსეთისთვისაც და მაშინ დაეჭვრთ მხარსო.

მეფისნაცვალს ის არგუმენტაც მოუტანია, რომ ყველა ეკლესია ქრისტიანული ეკლესიის შეერთებას შესთხოვს ღმერთს, თქვენ კი უკვე არსებული ერთობის დარღვევა გწადიათ. განა გაგონილა, რომ ერთ მართლმადიდებლურ სახელმწიფოში ორი სხვადასხვა საკათალიკოსო არსებობდესო?

ამ არგუმენტაციის მოტანამდე ვორონცოვ-დაშკოვს, ცხადია, გარდად ექნებოდა შესწავლილი ის საბუთები, რომელსაც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საწინააღმდეგოდ მონარქისტი შეგარაზმელები აყენებდნენ. მაშასადამე ეს იყო ოფიციალური თვალსაზრისიც, რომელსაც თვითმპყრობელური ხელისუფლება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მისი კონცეფციის საწინააღმდეგოდ იყენებდა.

ამ საკითხზე მსჯელობისას ე. თაყაიშვილს ილიასთვის გაუხსენებია: „ბატონო ილია, განა არ უთხარით, რომ ბიზანტია ერთი სამართლმადიდებლო სახელმწიფო იყო, მაგრამ მასში ოთხი ავტოკეფალური საპატრიარქო არსებობდა: კონსტანტინოპოლისა, იერუსალიმისა, ანტიოქიისა და ალექსანდრიისა“.

თუ რა მოჰყვა ამ საუბარს, ამაზე ე. თაყაიშვილი წერს: „ილია ცოტა შეწერდა, შემოხმუნდა თვალეში და მიპასუხა: „აკი გითხარით, რომ თქვენი კეფალიისა არაფერი მესმის და მე უკმაშაგზავნით შეთქიო“.

ე. თაყაიშვილივე ვგაძეცნობს: „ბოლოს და ბოლოს გადავწვერეთ დიდი დემონსტრაცია მოგვეწყო და ავტოკეფალია მოგვეთხოვა. თან უნდა წავველო ბაიარაღები და პლაკატები წარწერებით: „აღგვიდგინეთ ავტოკეფალია“ და სხვ. წამოიჭრა საკითხი: ვინ უნდა გახდებოდა წინ ამ არაჩვეულებრივ დემონსტრაციის? ილიამ გვითხრა, „თუ საჭიროა, მე წავიძღვე-ბითო“.

ამ მსჯელობაში მონაწილეობდნენ: ქართველი სამღვდლო-ების წარმომადგენლები, ქართველი მანწიფელები, მრევლთა წარმომადგენლები, ცალკეული მორწმუნეები. ილიას ბინახე ვიკარიებოვით ხოლმე გვესწრებოდა ექიმი ვახტანგ დამაშვი-ძეც /დეკანოზ დავით დამაშვიძის, ვურნალ „მწვემის“ რედაქტორის შვილი/, რომელიც კარგად ერკვეოდა საეკლესიო საკითხებში და უხსნიდა ილიას, ჩრდილოეთის საპატრიარქოს წევრი, ბევრად უფრო ძველი ეკლესიის გამგებლობის უფლება არა აქვსო. იაკობ გოგებაშვილიც ესწრებოდა ხოლმე სხდომებს და მონაწილეობდა მსჯელობებში და ბევრი სხვაიც. ერთი სიტყვით, საზოგადოება იყო ამ საქმეში ჩაბმული“.

ი. ჭავჭავაძის პირად საარქივო ფონდში შემორჩენილია რუსული, მისივე ხელთაწერი ტექსტი, რომელიც, ჩანს, წარმოადგენს ილიას მიერ წარმოთქმული მოხსენების ნაწილს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აუცილებლობის შესახებ. შესაძლოა, ეს სიტყვა ილიამ წაიკითხა ვორონცოვ-დაშკოვთან აუღებციხისას, რასაც მოწმობს მიმართვა: „თქვენო ბრწყინვალეობო“. არც ისაა გამორიცხული, რომ ზემოაღნიშნული ტექსტი იმ სიტყვის ნაწილი იყოს, რომლითაც ილია ჭავჭავაძემ სინოდის-ობერ-პროკურორს ა.დ. ობოლენსკის მიმართა 1905 წ. /იხ. ქვევით/.

ეს ტექსტი მეტად მნიშვნელოვანი წყაროა საიმისოდ, რათა წარმოდგენა შეგვექმნას ილია ჭავჭავაძის პოლიტიკურ შეხედულებებზე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. მოგვაყვას ამ ტექსტის ძირითადი ნაწილის ჩვენეული თარგმანი:

„მაქვს ბატონი ახლახან წაითხულის დამატებლ მოგახსენით, რომ ჩვენ მოვედით პროექტის წარმოსადგენად თქვენი ბრწყინვალეობისთვის, არა როგორც ვისიმე მოციქულები, არამედ როგორც საერონი, ვისაც ღრმად აქვთ შეგნებული საკუთარი მოქალაქეობრივი ვალი, რათა მძიმე წუთებში, რომელსაც ჩვენ განვიცდით, ვურადდევა შეგაციოთ ყველაფერს. . . რათა გარკვეული იქნეს საქართველოს შვილობიანობის რთული საქმე.“

თქვენი ბრწყინვალეობა, რუსეთის ფარგლებში ყველა არარუს /ინოროდეც/ სარწმუნოებრივი მმართველობის საქმეში საკუთარი დამოუკიდებლობა აქვს. სომხები, მუსულმანები, ებრაელები და ა.შ. თავიანთი აღმსარებლობის მმართველობაში თვითთავადნი არიან. მათ აქვთ საკუთარი სასულიერო სასწავლებლები, საღატე სწავლა მშობლიურ ენაზე და ყოველდღე მშობლიურის სწავლებას დათმობილი აქვს ფართო აღვილი: მათ დამოუკიდებლად მართავს საკუთარი სამღვდლოება. უცნაურია, რომ ამ ხიკეთეს მოკლებულნი არიან მხოლოდ მართლმადიდებელი ქართველები, თითქოს და, სასჯელად მათი მართლმადიდებლობის გამო.

მართლმადიდებელი ქართველების უფლებობამ შეიძლება წარმოშვას აზრი, რომ არარუსებისათვის, ეროვნული გაგებით, მართლმადიდებლურ რუსეთში სახიერო არაა მართლმადიდებლური სარწმუნოების აღმსარებლობა. საქმის ასეთი ვითარება შეიძლება აიხსნას მხოლოდ რადიკალურ გავრცობით, რომელსაც ამდენი ხანია, მხოლოდ ზიანი მოაქვს მართლმადიდებლობისათვის.

ამგვარი უფუნური ვითარების შემდგომი შენარჩუნება, ჩვენი აზრით, მიჩნეული უნდა იქნეს უდიდეს სახელმწიფოებრივ და რელიგიურ შეცდომად.

ამიტომაც, განსახილველად წარმოგიდგინებ შუამდგომლობას, ქართული ეკლესიისათვის მის წილში უძველესი დროიდან არსებული ავტოკეფალიის დაბრუნების შესახებ; ვიმედოვნებ, რომ ამით ვასრულებ ჩვენს მოქალაქეობრივ ვალს და ვსასოებით, რომ ამ თხოვნამ თქვენი ბრწყინვალეების მხარდაჭერა დაიმსახუროს“.

...1905 წ. 17 ოქტომბრის შემდეგ, როცა პოლიტიკურ ძალთა განლაგება კიდევ უფრო ნათლად გამოიკვეთა, ქართული დემოკრატიული ინტელიგენციის ერთმა ჯგუფმა /კ. აბაშიძე, გ. გვაზავა, ი. ზურაბიშვილი.../ სცადა საქართველოსათვის ფართო ეროვნული ავტონომიის მიმნიჭებელი პოლიტიკური პარტიის შექმნა<sup>7</sup>. ჩვენამდე მოღწეულია ამ ჯგუფის პროგრამის შავი მასალები /ხელნაწერთა ინსტიტუტის ი. ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი №455/, რომლებიც პირადად ილია ჭავჭავაძის ხელით, მისი აქტიური თანამშრომლობითაა შედგენილი. თავდაპირველად, ჩანს, პარტიისათვის უნდა დაერქმიათ „ქართველ პროგრესისტთა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“, მაგრამ იმ დროის პოლიტიკურ მოვლენათა ზეგავლენით, ილიას უმჯობესად მიუჩნევია სახელწოდებაში შეეტანა „კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია“. აღნიშნული დოკუმენტი, უნდა ითქვას, სათანადოდ არაა შესწავლილი არქეოგრაფიული და ისტორიოგრაფიული კუთხით. მაგრამ ერთი კი ცხადია, პროგრამის ეროვნული კითხვები არსებითად ილიას მიერაა ფორმირებული და მისი აზრებია. აღსანიშნავია, რომ პროგრამაში ერთ-ერთ მთავარ საკითხად მიჩნეულია საქართველოს /ივერიის/ ეკლესიისათვის ავტოკეფალიის დაბრუნება და ქართული ეკლესიის ეროვნულ სახელმწიფოებრივ ნიადაგზე მოწყობა<sup>8</sup>.

...1906 წ. აპრილში ილია ჭავჭავაძე სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს, სადაც მან ენერგიული მუშაობა გააჩაღა საქართველოს ეროვნული საკითხების გადასაწყვეტად. საბჭოში ილია მონაწილეობდა ე.წ. „შემარცხენეთა ჯგუფში“, რომელშიც შედიოდნენ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები: ვ.ი. ვერნადსკი, ა.ა. შახმატოვი, ა.ს. ლაპო-დანილევსკი, დ.ი. ბაგალევი, ი.ი. ბორგმანი. ილიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო ისეთ ცნობილ დიპლომატიურ-დემოკრატიულ აქციაში, როგორც იყო სახელმწიფო სათათბიროს და საბჭოს ზოგიერთი წევრის ბრძოლა სიკვდილით დასჯის გასაუქმებელი კანონის მიღების შესახებ. ამ საკითხზე ჩვენ ჯერ კიდევ ცოტა რამე ვიცით. ერთ-ერთი საინტერესო საკითხი, რომელიც ამ ამბებთან დაკავშირებით აღიძვრის, სხვათა შორის, ისაა, თუ ილიას სიკვდილით დასჯის საწინააღმდეგო წარმოდგენებზე როგორი გავლენა მოახდინეს

არა მხოლოდ იურისპუდენციის საერო, არამედ სასულიერო წყაროებზე, კერძოდ ქრისტიანულმა მსოფლმხედველობამ, რომელსაც; თავისი მკვეთრი პოზიცია კჰონდა სიკვდილით დასჯის აკრძალვის საკითხზე<sup>10</sup>.

პეტერბურგის პერიოდში ილია ჭავჭავაძეს სხვა საკითხებთან ერთად არ დავიწყებია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი.

ჯერ კიდევ 1905 წ. შემოდგომაზე, როცა, ჩანს, ილია ნიკო ნიკოლაძესა და გიორგი შურულთან ერთად სოლსკის კომისიაზე იყო ჩასული, რათა დაესაბუთებინა, რომ მომავალ სახელმწიფო სათათბიროში კავკასიასაც უნდა მისცემოდა ადგილები, იგი გ. შურულთან ერთად საგანგებოდ ეახლა სინოდის ობერ-პროკურორ ა.დ. ობოლენსკის, რომელსაც ვრცლად განუმარტავდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის არსს და ამ საკითხის მოუგვარებლობა მიანდა მრავალი უბედურების, კერძოდ, როგორც ილია განმარტავდა, ქრისტიანული კეთილდღეობის მოშლის ერთ-ერთ მიზეზად.<sup>11</sup>

ამავე ხაზს ილია ჭავჭავაძე სახელმწიფო საბჭოში მუშაობის დროსაც ადგა. მ. ბოლქვაძის შემუარული ცნობით, ილია ჭავჭავაძე აღექსანდრე ცაგარედთან ერთად ეახლა პეტერბურგის მიტროპოლიტ ანტონის, „როივე ქართველმა ხანგრძლივად ება-ასეს სინოდის თავმჯდომარეს ქართველთა ეკლესიის თავისუფლებასზე“.

ამ ვიზიტის შემდეგ ილია უფრო არკვევდა საჭირო მასალებს, რასაკვირველია მოხსენებებისათვის.<sup>12</sup>

მ. ბოლქვაძისავე მოგონებით, ილია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზე ხშირად ესაუბრებოდა, როგორც სახელმწიფო საბჭოს წევრებს, ისე სხვებსაც და ერთხელ გაოცებულა კიდევაც, როცა შეუტყვია, რომ ავტოკეფალიის თაობაზე თავისი მოსაზრებების წამოყენება მოუსურვებიათ სათათბიროს ქართველ სოციალ-დემოკრატებსაც კი.<sup>13</sup>

ასე დაიწყო და შენივთდა ილია ჭავჭავაძის ცხოვრების მიწვების საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლის ახალი ეტაპი, რომელმაც მოგვიანებით /1917 წ./ ნაყოფიც გამოიღო.

ჩვენი თაობის ვალია, სრულად და ობიექტურად იცნობდეს ქართველთა ეროვნულ – გამათავისუფლებელი მოძრაობის ზემოაღნიშნულ ასპექტს, იმ ბრძოლას ეროვნული თავისუფლებისათვის, რომლის წინამძღოლიც „მარად და ყველგან“ დიდი ილია ბრძანდებოდა.

<sup>1</sup> მ. ბოლქვაძე. ახლო წარსულიდან. ილია ჭავჭავაძე რუსეთში. „ანათლება“, 1908 № 3-4, გვ. 113.

<sup>2</sup> ელ. ახმეტელი. ილია ბრძენის გარშემო. ციტირებულია გ. შარაძის წიგნიდან „საქართველოს მზე და სიყვარული ალბინის კუნძულზე“. 1986 წ. გვ. 153-154.

<sup>3</sup> ე. თაყაიშვილი. მოგონებანი. რჩეული ნაშრომები. ტ. I, თბ., 1986 წ. გვ. 250.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> საქ. სსრ მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის ხელნაწ. ინსტიტუტი. ი. ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი. საქმე 202.

<sup>7</sup> ი. ზურაბიშვილი. კარგ ქართველთა ხსოვნისათვის. პარიზი. 1962, გვ. 015

<sup>8</sup> ამ პროგრამის ორიგინალის ფრაგმენტები გამოქვეყნებული აქვს პ. რატინსს წიგნში „ილია ჭავჭავაძე. ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი“.

<sup>9</sup> პ. რატინის დასახ. ნაშრ. გვ. 314.

<sup>10</sup> Адриан. Христианство и смертная казнь. 1914.

<sup>11</sup> კ. ცინცაძე. მოგონება ილიაზე. მნათობი №2 1985.

<sup>12</sup> მ. ბოლქვაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 113.

<sup>13</sup> იქვე.



## მზა ხსენისა

ილიას არცერთ თხზულებას თანამედროვენი ისე უარყოფითად არ შეხვედრიან, როგორც „განდევილს“. თითქმის ერთსულადად პოემა სუსტ ნაწარმოებად მიიჩნიეს.

ესტატე ბოსლეველი წერდა:

„ამ პოემიდგან სჩანს, რომ ჩვენმა ერთმა უკეთესმა პოეტთაგანმა თითქოს მიანება თავი ცხოვრებითის კითხვების გამოხატვას პოეზიაში, თითქო თვითონ ცხოვრებასაც შესწერა და მის ავსა და კარგს გვერდი აუქცია!...“

ბატონ ჭავჭავაძის პესიმისტურს შეხედულებას „სა-აქიოზე“ სამზღვარი არა აქვს. ამ შეხედულებასთან ღმერთმა შეარცხვინოს თვითონ ბაირონის აზრიც, რომელსაც ბუნება იმდენად მშვენივრად და სრულად მიანდა, რამდენადაც აღამიანი მდაბლად და ბოროტად.

ამ გვარს ფაქტს ლიტერატურაში და ცხოვრებაშიც კი აქვს რასაკვირველია, თავის გამამართლებელი საბუთი, მაგრამ ამას მიხედვით ვერ დავარქმევთ ჩვენ მწერლობის ფეხის წინ წადგმას. პირიქით, ძალიან სამწუხარო იქნება, თუ ჩვენმა ნიჭიერმა პოეტებმა რეალურ ცხოვრებას როგორც ერთს რაიმე ჭირიანს, თვალი აარიდეს და განსვენება ეძიეს „განდევილსთანა“ პოემებში“.

დავით კეხელი ჩიოდა:

„პოემა „განდევილი“ ჩემის აზრით, ყველაზე უსუსტესია, რაც კი ილია ჭავჭავაძის კალამიდან გამოსულა. უსუსტესია მეთქი, ვიძეორებ, როგორც შინაარსით, ისე გარეგანი ფორმით. ჩვენ დროს არ შეეფერება, რომ პოეტმა, მერე იმისთანამ, როგორც ილია ჭავჭავაძემა, თავისი ქნარი რომელიმე განდევილი ბერის უსაგნოდ და უმიზნოდ ცხოვრების დასამდერად მიმართოს... ჩვენი ხალხის იდეალს სრულებით არ ეთანხმება ამ სოფლიდან საბუდამოდ გაცლა და მარტო ლოცვაში სიცოცხლის გატარება“.

კიტა აბაშიძე გვიამბობს, რომ ქუთაისის საზოგადოებაც ძალიან აღმშფოთა „განდევილმა“: „ილიას კალამმა უმტყუნა, უაზრო თხზულება დაგვიწერაო, ამბობდა ერთი; აბა რა შვილიაო, გაიძახოდა მეორე, ილია გვიქადაგებს ბერად შევდგეთ, საწუთრო ესე საზიზღარია და სულის მშვიდობას მხოლოდ რომელსამე უდაბნოს სენაკში მოიპოვებთო. საშინლადაც სწყინდათ, ავტორმა „კაცია აღამიანისა“ და „კაკო ყანაღისამ“ ასეთი რამ რად დაგვიწერაო“.

„ვევ შემუშავებულ უარყოფით აზრს კ. აბაშიძე დაუპირისპირდა. იგი „განდევილს“ მნიშვნელოვან მხატვრულ ნაწარმოებად თვლიდა.

„განდევილი“, უკანასკნელი პოემა ილ. ჭავჭავაძისა, დამამთავრებელი და დამაგვირგვინებელია რეალური მი-

მართულების განვითარებისა. როგორც დედა აზრი პოემისა (ყოველი კაცი, რომელიც ცხოვრებას გაუზრბის და ზურგს აქცევს მას, განდევილივით დაისჯება და მის დამსჯელად ამ შემთხვევაში თვით ცხოვრება გამოვა), ისე მთელი მორალური ფილოსოფია ავტორისა, რომელიც ამ პოემაში იხატება, და ბოლოს თვით ჟორმაც პოემისა, არის სრული დამაკმაყოფილებელი რეალიზმის მოძღვრებისა“.

ამის მერე „განდევილზე“ ბევრი დაიწერა, მაგრამ კიტა აბაშიძის ძირითადი დებულება ყველამ გაიზიარა. ვახტანგ კოტეტიშვილი წერდა: „სხვა გვარად“ განდევილის“ გაგება ჩვენი აზრით შეუძლებელიც არის. აქ სრულიად მარტივად არის დაპირისპირებული საზოგადოებრიობა და ასკეტიზმი, და ასევე მარტივად არის ნაჩვენები უკანასკნელის დამარცხება“.

თუ მართლა ასეა, მაშინ ერთი რამ რჩება გაუგებარი — რატომ აქცია ილიამ ასკეტიზმის გმობა პრობლემად? უბრალო ლოგიკის თანახმად, დასაგმობი შეიძლება გახდეს ის უარყოფითი მოვლენა, რასაც, ამა თუ იმ მიზეზით, საზოგადოებაში აქვს ფეხი მოკიდებული. ასკეტიზმი კი მაშინ არც ფეხმოკიდებული ყოფილა და არც ფესვგადგმული. ამას, სხვა საბუთების მოუშველიებლად, ზემოთ ციტირებული სტრიქონებიც კი კარგად ადასტურებს. როგორც ვნახეთ, მაშინდელი საზოგადოება გაბრაზებულა კიდევ, ილიამ განდევილობის ქადაგება რად დაიწყო. მაშასადამე, განდევილობის გმობა ფუჭი გასროლა ყოფილა და არა არსებული პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლა. ასეთი შეცდომა ილიას ყოვლად შეუძლებელია მოსვლოდა. როგორც ჩანს, ეს აშკარა უხერხულობა ე.კოტეტიშვილს აწუხებდა. მართალია, იგი კ. აბაშიძის აზრს ეთანხმებოდა, მაგრამ აფართოვდა კიდევ: ილია „მოუსვენარი სიცოცხლის აპოლოგეტად დარჩა დასასრულამდე. ყველაფერი, თუნდაც მთელი ჯოჯოხეთი, ოღონდ კი მოძრაობა იყვეს, ილია ჭავჭავაძისათვის მისაღება, რადგან მისი სტრიქონი აქ იშლება. ეს მთავარი მოტივი გასდევს მთელს მის შემოქმედებას და ყველგან დაპირისპირებულია უძრაობისა და მოძრაობის სიავკარგე. მაგრამ თითქოს ილია ჭავჭავაძე არ დაეკმაყოფილა ამ დიდი პრობლემის უბრალო გადაწყვეტამ და სცადა ერთგვარი ფილოსოფიური ნიდაგის მოძებნა. მან აქაც („განდევილში“ — ა.ბ.) კონტრასტების წესით დაუპირისპირა „ვაი-ვაგლახიანი“ ცხოვრება, მოძრაობა, დაუდეგარი არსებობა „მეუღრო ნეტარებას“, დაყუდებულ ცხოვრებას, ცივს და მიუკარებელ ყველაფრის დაეწყებას“.

ასე დაკავშირდა, პრობლემატიკის თვალსაზრისით, „მგზავრის წერილები“ და „განდევილი“. ერთიც და მეორეც აქტიური მოქმედების აპოლოგიად იქნა მიჩნეული. ოღონდ ეს „მგზავრის წერილებში“ ლოზუნგის სახით გამოითქვა, „განდევილში“ კი პოემის აზრობრივ შინაარსად იქცა.

მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ასკეტიზმი, მონაზონობა სრულიად არ გულისხმობს პასიურ ცხოვრებას. მართალია, ასკეტიზმი ღმერთის უსახლდრო რწმენაა, გარნა, იაკობ მოციქულის სიტყვების თანახმად, „საქმეთაგან განმართლებების კაცი და არა სარწმუნოებისაგან ხოლო“, უფრო მეტიც: „ვითარცა გორცნი თუნიერ სული-სა მკუდარ არიან, ეგრეთვე სარწმუნოება თუნიერ საქმეთასა მკუდარ არს“ (იაკობი, 2, 24-26).

რწმენა და საქმე ერთიანი და განუყოფელი ყოფილა. ასკეტიზმი არ ყოფილა „მარტო ლოცვაში სიცოცხლის გატარება“, როგორც დავით კეხელმა განგვიმარტა ეს.

უცნაური ის არის, რომ არც „განდევილის“ მოწინააღმდეგეებს და არც მომხრეებს არ უცდიათ განდევნობის არსის ახსნა და მერე ილიას პოემის აზრობრივი შინაარსის ამოცნობა. ჩემი აზრით კი, უამისოდ ძნელი იქნება (თუ შეუძლებელი არა) „განდევილის“ ანალიზი. ამიტომ მკითხველის ყურადღებას მივაპყრობ დღევანდელი საზოგადოების მიერ დავიწყებულ ზოგიერთ საკითხს.

ქრისტიანული რელიგიის კანონების მიხედვით, ბერობა, კერძოდ, განდევნილობა, ნებაყოფლობითი აქტია. „ილია რჯულის კანონი“ ამბობს, რომ მონასტერში შესვლა შეუძლია ყოველ ადამიანს, ვისაც ათი წელი შეუსრულდა, მაგრამ ადტიმის მიცემის უფლება აქვს მხოლოდ მოწიფულ კაცს ან ქალს, ვინც იცის, რას აკეთებს და რატომ. მონაზონობის უფრო მკაცრი ფორმა განდევნილობა კი დაბატებით მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასაც საჭიროებს. დაყოფის მოსურნემ სამი წელი მკაცრ მორჩილებაში უნდა გაატაროს. ამით იგი ადასტურებს, რომ გულწრფელად და ნებით აირჩია განდევნილობა. ამის მერე ადგილობრივი ეპისკოპოსი უფლებამოსილია კიდევ გამოსცადოს იგი. ბერმა ერთი წელი უნდა გაატაროს მონასტრის გარეთ, რომ საკუთარი გადაწყვეტილებაც შეამოწმოს და კიდევ ერთხელ დაადასტუროს მისწრაფების აუცილებლობა და ურყევობა. გამოცდის წარმატებით ჩატარების შემდეგ, ბერს შეუძლია იცხოვროს მის მიერ არჩეულ განმარტოებულ ადგილას, ე.ი. გახდეს განდევნილი.

ეს წესი საყოველთაო და სავალდებულოა. ცხადია, ილიას განდევნილმაც ეს გზა გაიარა, თუმცა პოემაში ამაზე არაფერია ნათქვამი. ეს თავისთავად იგულისხმება. კი მაგრამ, რატომ ირჩევს ადამიანი ნებაყოფლობით არსებობის ასეთ ფორმას? რატომ ებრძვის ხორცს და სულს ეტრფიალება? აქ უნდა გავიხსენოთ, რას გულისხმობს ცნებები ხორცი და სული.

პავლე მოციქულის მკაფიო განმარტებით, ხორცის საქმეა სიძვა, მრუშობა, მტრობა, შური, წვალება, შფოთი, კაცისკვლა, მთვრალობა და ამდაგვარნი. მაშასადამე, ხორცი ბოროტებაა.

სულის ნაყოფია სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელობა, სიტკბობა, რწმენა, მყუდროება, მოთმინება და ამდაგვარნი. მაშასადამე, სული სიკეთეა (გალატელთა მიმართ ეპისტოლე, 5, 19-20-21-22).

ადამიანის მიწიერი არსებობის მიზანია განთავისუფლდეს ბოროტებისაგან (ცოდვებისაგან) და განწმენილი მიემსგავსოს პირველსახეს, რაკი ღმერთმა ადამიანი შექმნა ხატად თვისად. პირველი ხატად თვისად შექმნილი კაცი ადამია და ვიდრე იგი ცოდვით დაეცემოდა, იყო ღმერთის სახლი, ტაძარი ღმრთისა. მასში იყო სიტყვა, ე.ი. ღმერთი და სიტყვა იფარავდა ადამს. ამდენად, ადამი თავისუფალი იყო ცოდვისაგან, ბოროტებისაგან, მაგრამ ადამის არსში შეიპარა ცოდვა და შეაჩერა ადამიანის ლტოლვა ღმერთმიმსგავსებულობისაკენ.

ცოდვისაგან კაცობრიობის სახსნელად ამ ქვეყნად ღმერთმა გამოგზავნა მისი მხოლოდშობილი ძე: „რამეთუ არა მოავლინა ღმერთმან ძე თუხი სოფლად, რათა დასაჯოს სოფელი, არამედ რათა აცხოვროს სოფელი მის მიერ“ (იოანე, 3V171). ქრისტემ იტვირთა კაცობრიობის ცოდვა, გოლგოთის გზა გაიარა და ჯვარს ეცვა. ჯვარცმის პროცესის შინაარსია ხორცის (-ბოროტების) დასჯა და სულის (-სიკეთის) განთავისუფლება: „ხოლო ქრისტესთა მათ ვორცნი თუხნი ჯუარს-აცუნეს ვნებითურთ და გულის თქუმით“ (ეპისტოლე გალატელთა მიმართ, 5, 24).

ამიტომ მოსკოვის სასულიერო აკადემიის დოცენტის, არქიმანდრიტ ტიხონის სიტყვით, ქრისტიანობა უპირველესად არის ადამიანის შინაგანი მუშაობა, შინაგანი ბრძოლა თავისთავის გარდასაქმნელად, ქრისტეს მისამსგავსებლად.

ქრისტეს მიმსგავსება კი უფლის წიადში დაბრუნებას ნიშნავს, რამეთუ იესო იყო უხილავი ღმრთის ხატი, მოსული ქვეყნად.

თავისუფალი ნებით ადამიანი იმეტომ ირჩევდა განდევნილობას, რომ ტანჯვის გზის (სიმბოლურად ქრისტეს გზის) განმეორებით დაეგმო ხორცი (-ბოროტება) და სულით (-სიკეთით) ამალღებული მიმსგავსებოდა უხენაესს. ეს არის განდევნილობის არსი.

ეს გზა გაიარა ილიას განდევნილმაც.

**დღე-ღამე ლოცვით, გოდებით, გვემით  
ხორცი სულისთვის უწამებია  
და ვით ჭურჭელი იგი წყმდელი —  
ცრემლით ურეცხავს, უსველებია.**

ასეთი ცხოვრებით განდევნილმა მიაღწია კიდევ გარკვეულ შედეგს.

**ლოცვით და მარხვით ხორც-უძღურ-ქმნილი,  
ჰგვანდა წმინდანსა იგი წამებულს,  
მრავალგზით ტანჯულს და ტანჯვით ზედა  
ძლევეთ-მოსილსა და განდიდებულს.**

IV საუკუნის საეკლესიო მოღვაწე მაკარი მეგვიპტელი განმარტავს, რომ ქრისტიანული მოძღვრებით, ადამიანის ბუნება არის ბუნება შესაძლებლობისა და მისწრაფებებისა, მაგრამ არა უკვე დასრულებული იდეალებისა; ადამიანის ბუნებამ რომ იდეალური სახე მიიღოს, აუცილებელია ღმერთის დახმარება. დამოუკიდებლად ამის

გაკეთება ადამიანს არ შეუძლია. ამიტომ ადამიანი პირველხატს რომ მიემსგავსოს, ორი ფაქტორია საჭიროთავისუფალი ნება და ღვთაების დახმარება. ამ დახმარებას ღმერთი სათნოებით ავლენს. ღმერთის სათნოება არ აიძულებს ადამიანს იფიქროს ხსნაზე. სათნოება მხოლოდ ხსნის სურვილს უღვიძებს ადამიანს. სათნოება თანდათანობით იპყრობს სულს, რომ არ დათრგუნოს ადამიანის თავისუფლება და არ გააოროს მისი თვითშეგნება. ილიას განდევნილიც თავისუფალი ნებით და ღვთის დახმარებით მიისწრაფოდა უმაღლესი იდეალისაკენ.

ღვთაების დახმარება პოემაში შვის სხვიის ალგო-რით იხატება.

**წამება მისი ღმერთს შეუწირავს,  
ვედრება მისი ღმერთს უსმენია,  
და სასწაული ნიშნად მადლისა  
მლაღადებულზედ მოვლენია.  
ბნელსა სენაკსა, სად იგი მდგარა,  
ქქონია შვის მხრივ ერთი სარკმელი,  
და მუნით თურმე გადმოღენილა  
შუქი შვისა და მოვარის ნათელი.  
ოდეს უდაბნოს გასწვრივ შთის წვერზედ  
მზე სხივგაფენით ამოვიდოდა,  
იმ სარკმლით სხივი მისი სენაკში  
სვეტად ბრწყინვალედ ჩაეშვებოდა.  
როს პლოცელობდა, იმ სხივსა თურმე,  
თვის ლოცვანს შვირი ზედ დააყრდენდა,  
და ხორცთუსმელი შვის სხივი იგი  
უფლის ბრძანებით ზედ შეირჩინდა.**

თითქოს განდევნილმა მიზანს მიადწია. უზენაესსა და ადამიანს შორის კავშირი დამყარებულია. მაგრამ ტრაგედია მაინც მოხდა. რატომ? ადამიანის ღმერთისაკენ ღვთაება ორი სახით ხორციელდება, როგორც გრძნობის სურვილი და როგორც გონების ნება. პირველ ეტაპზე, ამბობს მაკარი მეგვიპტელი, ადამიანის მისწრაფება ჯერ კიდევ გაორებულია: ერთის მხრივ იზიდავს ზეციერი სულის იდეალური ხატი და მეორე მხრივ თავისკენ ეწევა მიწიერი ცხოვრების სახე. ამ დროს არსებითი მნიშვნელობა აქვს გონებას. გონებით უნდა შეერწყას ღვთაების არსს ადამიანი. მაშინ მყარდება უწყვეტი კავშირი უზენაესსა და ადამიანს შორის.

განდევნილისა და მწყემსი ქალის შეხვედრა მოხდა ადამიანისა და ღმერთის ურთიერთობის პირველ საფეხურზე, როცა კავშირი მათ შორის ხორციელდებოდა გრძნობის სურვილით და არა გონების ნებით, როცა განდევნილი ჯერ კიდევ გაორებული იყო. ამიტომ მწყემსი ქალი სხვა არა არის რა, თუ არა განდევნილის მიერ უარყოფილი მიწიერი სინამდვილე, რომელიც ჯერ კიდევ ეძახდა ბერს. ამდენად არ უნდა იყოს მართალი სიმონ ჩიქოვანის აზრი, რომ მწყემსი ქალი „თერგის მონათესავეა, თერგის განტოტება თუ თვითონ თერგია“. იმ აქტიურობის განსასახიერებლად, რომლის სიმბოლოდ ილია თერგს მიიჩნევს, მწყემსი ქალი არ გამოდგება. ასეთ საპროგრამო აქტივობას „განდევნილში“ მწყემსი ქალი არ იჩენს.

მართალია მან, გაახსენა მეუღაბნოეს მიწიერი ცხოვრების მშვენიერებანი, მაგრამ არაფერი უთქვამს ისეთი, რაც მწირისათვის უცნობი იყო. არც ამ ცნობილ მშვენიერების დასაცავად გამოუმუდავებია ქალს განსაკუთრებული ენერგია.

**ან შენ როგორ სძლებ უწუთისოფლოდ!  
მერე იცი კი რა-რიგ ტკბილია!  
აქ სიკვდილია, იქ კი სიცოცხლე,  
აქ ჭირია და იქ კი ღმერთია.  
ნუთუ თვისტომი, ტოლი და სწორი  
ვევლა გულიდამ ამოვიღია?  
ნუთუ ნაღველი, დარდი და ჯავრი  
თან არავისი წამოვიღია,  
არ გაგონდება არც მამა, დედა,  
ან ძმა, ანუ და, ან სახლი, კარი?  
ნუთუ მის-დღეში არა გყოლია  
მოკეთე, გულის შემატკივარი?!  
როგორ მოშორდი?...**

თუ საქმეს ზერელედ შევხედავთ, — როგორ მოშორდი? — კითხვის პასუხი განდევნილს იოლად უნდა ეპოვა — ჯერ ერთი იმიტომ, რომ მწყემსი ქალის მიერ დახატული ტკბილი წუთისოფელი განდევნილისათვის ნაცნობი და განცდილია, და ნებაყოფლობით უარყოფილი. მეორეც, განდევნილმა უარყო არა სიცოცხლე, არა თვისტომი და მოყვასი, არამედ — ქვეყანა.

**სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს  
განსაცდელსა მას ეშმაკისასა;  
სად ცოდვა კაცსა სდევნის დღე-ღამე,  
ვითა მძარავი და მტაცებელი;  
სად, რასაც მხადის მართალი მართლად,  
მას უმართლობად ქმნის ცოდვის ხელი;  
სად რყვნა, წაწმენდა და ღალატია,  
სადაც ძმა მხარბობს სისხლსა ძმისასა,  
სად ცილი, ხაკვა ძულუბადა მხდის  
წმინდა სიყვარულს მოყვასისასა.**

განდევნილს უარუყვია ცოდვა და არა — მადლი. თორემ სიკეთისა და მადლის სამსახური ქრისტიანობის უპირველესი მცნებაა. ამას დასტურად არ სჭირდება საბუთების მოშველიება. ეს პოემაში მკაფიოდ ჩანს. როცა ქარიშხალი ამძვინვარდა, ცამ პირი მოიხსნა და ქვეყანას წარდგინოთ დაემუქრა; განდევნილი

**ცრემლით აღტობდა ღვთის-მშობლის ხატსა  
და ზელ აბერობით ვვედრებოდა  
წარწყმენდისაგან ქვეყნისა ხსნასა.**

როცა გზადაკარგული ადამიანის შვილის ხმა მისწვდა განდევნილის სმენას, მეუღაბნოე გაეპასუხა:

**მართალი სთქვი შენ... თუ ხარ ძე კაცის,  
ცოდვაა გარეთ დაგტოვო ამ დროს...**

და მერე:

**-გამომევე, ვინც ხარ! ბინას მოგცემ შენ,  
გაგიზიარებ ჩემსა სენაკსა...  
სახლი ღვთისა... შენც შევივლომებს,  
შენებ მახვეწარს მრავალსაც სხვასა.**

მიუხედავად ამისა, — როგორ მოშორდი? — კითხვის პასუხის მიგება განდევილს მეტისმეტად უჭირს. ეს კითხვა ძველი ალტერნატივაა და იგი ყოველთვის აწუხებდა განდევილს: მაშინაც, როცა ბერად შედგა, როცა განდევილად ცხოვრობდა და მაშინაც, როცა მწყემს ქალს შეხვდა, ასე რომ, მწყემსი ქალი არ ყოფილა იგი, ვინც განდევილის რწმენა შეარყია. დაუძლეველი ეჭვი მის სულში ყოველთვის არსებობდა. ოღონდ ეჭვის გამოვლენისათვის აუცილებელი იყო რაღაც ბიძგი. ამ ბიძგის როლი შეასრულა მწყემსმა ქალმა.

რა აპირობებდა და ასულდგმულებდა განდევილის სულში ეჭვის არსებობას?

ერთხელ განდევილი ბუნების მშვენიერებას დააკვირდა:

**მზე გადახრილი ჯერ კიდევ სრულად  
მთისა გადაღმა არ დასულიყო  
და მთის წვერზედ, ვით ცეცხლის ბორბლი,  
ირგვლივ სხივგაშლით ანთებულიყო.  
ცისა ლაჯარდი, ვით ნაკვერჩხალი,  
წითლად და ყვითლად მზისგან პლუვოდა,  
და განმსჭვალული მისით ღრუბელი  
შორს ათასფერად სხივებში ჰორთოდა.  
ამა უბიწო დიადის ხილვით  
წარტყვენილ იქნა განყენებული  
და ვით ცხოველს ხატს ღვთის დიდებისას  
შესცქერდა მზესა განცვიფრებული.**

განდევილისაგან დამოუკიდებლად ბუნების ასეთივე სურათი იხილა მწყემსმა ქალმაც.

**ლამაზი იყო ამ დღის საღამო,  
რა-რიგ მშვენიოდა მზე დამავალი.  
შეხედე თუ არ იმ მზეს, იმ ცასა,  
გაჰშტერდი, ვეღარ მოესხლიტე თვალი.  
ღვთის სახესავით გარს შუქმოსხმული  
მთის წვერზედ დიდი მზე ბრწყინვალედა  
და საკვირველი ის სანახავი  
თვალთანა ერთად გულსა მტაცებდა.**

აქ საყურადღებოა ის, რომ სულის მსახური განდევილიც და ხორცის მხეველი მწყემსი ქალიც აღტაცებულიან და გაოგნებულან ბუნების დიადი სურათის ხილვით. ორივესათვის ამ სურათში ღვთაების სახე ვლინდება.

განდევილი „ვით ცხოველს ხატს ღვთის დიდებისას, შესცქერდა მზესა განცვიფრებული“.

„ღვთის სახესავით გარს შუქმოსხმული მთის წვერზედ დიდი მზე ბრწყინვალედაო“. ამბობს მწყემსი ქალი. მაშასადამე, მზის სახით ღვთაება თანაბრად ეცხადება როგორც სულს (ამ შემთხვევაში განდევილს), ისე ხორცს (ამ შემთხვევაში მწყემს ქალს).

ეს თანაბარი დამოკიდებულება პრობლემაა, რომელიც უნდა ამოხსნას განდევილმა. მეორე საკითხიც აქვს გადასაწყვეტი განდევილს — სულისა და ხორცის თანაბარი მშვენიერება.

მწყემსი ქალი უმშვენიერესი არსებაა.

**გასაოცარი რაღაც შვენება**

**განდევილს თვალწინ წარმოედგინა.  
ემაწვილი ქალი, სავსე სიცოცხლით,  
სავსე შვენების ჯადოთი, გრძნებით,  
ნახად, ამაჟად ცეცხლის პირს იჯდა,  
ვით მინდვრის შველი ყელმოდერებით.  
ეშხითა მფრქვევსა მის შავსა თვალებს,  
თვით ცეცხლი სითბოს ეცილებოდა,  
მის ელფერთაგან თვით ცეცხლის შუქი,  
ვითა ძლეული, უკუ -ჰკრთებოდა.  
თვით მადლს ტრფობისას რომ მოესურვოს  
ხორცსხმულად ვლენა ოდესმე ქვეყნად,  
უკეთესს სახეს ვერ ინატრებდა  
თავის სიცოცხლის გამომსახველად.  
მაშინაც ვინ სთქვას, — ვინ ვის აშვენებს,  
მადლი ამ სახეს, თუ სახე მადლსა!...  
თვით შური, მტრობა ვერ უპოვიდა  
ქალს მშვენიერსა ვერაფერს ნაკლსა.**

მწყემსი ქალის გარეგნული სილამაზის აღწერა საგანგებოდ ამოეწერე თავიდან ბოლომდე. როგორც ხედავთ, ილია არსად არცერთ სიტყვას არ ამბობს მწყემსი ქალის სულიერ მშვენიერებაზე. მხოლოდ და მხოლოდ გარეგნულ სილამაზეს ექცევა განსაკუთრებული ყურადღება. ეს ნიშნეულია. სამაგიეროდ, განდევილის გარეგნობას გულგრილად ეპყრობა მწყემალი. მეუღაბნოს სულიერ სილამაზეს კი, პირიქით,

**არ იყო ხნიერ, მაგრამ ვით წმინდანს,  
სულით სიმადლე ზედ დასჩენოდა,  
ზედ ეტყობოდა, რომ სული მისი  
სულ სხვა მსოფლიოს შეჰხიზნებოდა.  
სახე გამხდარი, კუშტი და მყვარალი  
სიწმინდის მადლით დაჰშვენებოდა,  
და მაღალ შუბლსა, ნაოჭად შეკრულს,  
შარაგანდელი გადაჰფენოდა.  
მისთა მცხრალ თვალთა ღრმა მეტყველება  
ესოდენ იყო წყნარი და ტკბილი,  
თითქო მათ-შიგან ჩასახებულა  
თვით სათნოება, კდემით მოსილი;  
თითქო ნელისა სიხარულითა  
სამოთხის ღია კარს შეჰხარაინ  
და სულთან ერთად უფლისა მიმართ  
სასოებითა მიისწრაფიან.**

ორი მშვენიერებაა. ერთი ხორცისა და მეორე სულისა. სრულიად ბუნებრივია, რომ ორივე მშვენიერება თანაბრად ძლიერია. ამის გამო ძნელია ხორციელი ცდუნებისაგან თავის დაღწევა, ცდუნების სიტკბოზე უარის თქმა. აქ ილია ტრადიციულ გზას მიჰყვება. ცდუნების პირველ ამბავშიც ევა მშვენიერია. ასეა სიტყვაკაზმული მწერლობის სხვა ნიმუშებიც; სადაც ცოდვითადაცემის სიუფეთია გამოყენებული. ჩემი ცოდნით, ერთადერთი შემთხვევა, სადაც მშვენიერება კი არ აცდუნებს ასკეტს, არამედ სიბრალოელი, ლ. ტოლსტოის „მამა სერგია“. განდევილი წინააღმდეგობების რკალში მოექცა. იცის, რომ ხსნა ღმერთის დაუხმარებლად არ განხორციელდება.

— მე ნუ მიბადლი, შვილო, შენს დახსნას.  
ღმერთია ყველას მშველელი, მხსნელი...  
ღვთით არ-განწირულს ყველგან წინ უძღვის  
მისი მარჯვენა შემწეარებელი.

მაგრამ რატომ ვლინდება ღმერთი ერთნაირად ხორცშიც და სულშიც? აქ გაორდა განდევნილის რწმენა და იფიქრა:

**„ხსნა ყველგან არის... ხოლო გზა ხსნისა  
ესეთი მერგო მე... უბედურსა“...**

ეს იყო საბედისწერო შეცდომა. რამ გამოიწვია იგი? ხორცისა და სულში ღმერთის თანაბარ გამოვლენას, ხორცისა და სულის თანაბარ მშვენიერებას განდევნილი გრძნობის თვალთ უყურებდა და არა გონების; ამიტომ მათ შორის განსხვავების აღმორენა გაუჭირდა, ანუ იაკობ ბოემეს სიტყვებით რომ ვთქვათ, გაუჭირდა დაპირისპირება. დაპირისპირებით ხდება ყველაფერი ნათელი: რომ გამოვლინდეს, სინათლეს სჭირდება სიბნელე, სიკეთეს — ბოროტება და ა.შ. ამის მისახვედრად გონების ნება იყო აუცილებელი. ესე იგი, განდევნილი ღმერთთან ურთიერთობის საფეხურზე იდგა, როცა კავშირი ხორციელდება გრძნობის სურვილით და ადამიანი ჯერ კიდევ გაორებულია.

გაორების დასაძლევად კიდევ ერთი გამოცდის გადატანა იყო აუცილებელი: ხორცის მშვენიერების კვლავ ხილვა და მისი დაძლევა.

**ნუთუ აწ ბედმა ქალის სახითა  
განსაცდელი რამ მას მოუვლინა?**

...

**მაგრამ იქნება ბედმა ვეე ჰქმნა  
მისდა საცდელად თვით უფლის ნებით!..  
და კისრად იღო, ვით ნება ღვთისა,  
სასოებით და გულდამშვიდებით.**

მიღებით მიიღო განდევნილმა განსაცდელი, მაგრამ ვეღარ გაუძლო. იგი დაეცა.

**მიეზარდა ლოცვანს, დააყრდნო სხივზედ  
და, ეჭე, სხივმა არ დაიჭირა!..  
დაესხა რეტი, თვალთ დაუბნელდა,  
გაშრა, გაშეშდა ხარდაცემული,  
ერთი საშინლად შეჰბღავლა ღმერთსა  
და იქვე სხივ-ქვეშ უტია სული.**

ამრიგად, „განდევნილში“ ილიას გამოყენებული აქვს ცოდვითდაცემის კლასიკური სიუჟეტი. მაგრამ ამჟამად დაცემა გამოწვეულია რწმენის დაღვრებით. ამდენად „განდევნილი“ რწმენის ტრაგედიაა. რწმენის დაღვრა კი შედეგია ადამიანის გაორებისა და ნებისყოფის სისუსტისა. ახლა კი პასუხი უნდა მოვუძებნოთ კითხვას — რატომ დაწერა ილიამ „განდევნილი“, ანუ რწმენის ტრაგედია? „განდევნილის“ ალღვორიული ხასიათი პირველად მარჯორი უორდროპმა შეამჩნია და აღნიშნა, პოემა საქართველოს ცხოვრების სიმბოლური ასახვააო. ეს მართლაც ასეა.

„ოცდახუთი წლის ილია ჭავჭავაძემ მკაფიოდ ჩამოაყალიბა მისი მოღვაწეობის პროგრამა: „ჩვენი საქმე

საქართველოს ხალხის ცხოვრება; მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია „(საქართველოს მოამბეზედ“), ამ პროგრამის განსახორციელებლად ილიას პირუთვნელად უნდა აეხსნა, რანი ვიყავით და რანი გავხდით. მაგრამ სახლი რომ ააშენო, ჯერ საშენებლო მოედანი უნდა გაწმინდო, გაასუფთაო, შემდეგ კი მშენებლობა დაიწყო. ილიაც ასე მოიქცა. მან მოურიდებლად და ობიექტურად ამხილა მე-19 საუკუნის ქართული სინამდვილე. „ანდრეის“ მიხედვით, იგი ასეთია:

**აქ არვის — დიდსა, თუ პატარასა, —  
ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული,  
დაპვიწყებია, რომ ქვეყნად ცასა  
ღვთად მოუცია მარტო მამული.**

ტყუილი, სიცრუე და უნდობლობა დასადგურებულა.

**აგერ უფალი და მისი მონა!  
თრთოლით, სასწორზედ ხარჯს უწონს ძნელსა  
და, რა დასწორდა სასწორზედ წონა,  
უფალი პინას ზედ ადგამს ფეხსა  
და მით მის ხარჯსა ერთსა — ორად ჰხდის...**

შური და მტრობა სუფევს მათ შორისაც კი, ვისაც ერთი საერთო საქმის გაძღოლა უწირიათ.

**აგერ ორ-სამ კაცს რაღაც უგრძნიათ,  
ქვეყნისა სახსრად ერთად მოდიან,  
ერთის საქმისთვის გაუღვიძნიათ  
და ერთმანეთს კი არ ენდობიან.  
ერთმანეთისა მათ სიკეთე მშურთ,  
თუმც ერთსათვის თითქო იღვწიან;  
თვით ამზობენ მას, რის აღდგენაც მშურთ,  
თვით მშველნი მას, რასაც ეგრძნიათ.**

უსამართლობას და თვალთმაქცობას უხეშია.

**შენში კაცისას გრძნობას არ ხედვენ,  
დედას ძუძუდგან შვილსა აპგლევენ,  
ვინ იცის, სიღამ სად გაპყიდიან...  
უწმინდურისა ხელითა სთხრიან  
დედისა გულში უკეთეს გრძნობას...**


...

**პლხინობენ კოდეც, კიდეც ჰხმარობენ,  
პფიქრობენ, პგრძნობენ და მოქმედებენ,  
პხედავ ფაცა-ფუცს და ყველგან უღვივლს,  
უბედურ ცრემლთა ბედნიერ ღიმილს,  
მაგრამ მათ ცრემლსა, ღიმილს თუ გრძნობას,  
ჭმუნვას, სიხარულს თუ მოქმედებას  
ფრწხილის ოდენაც არა აქვს აზრი  
და ყველა იგი თვალთმაქცი არი.  
ფუჭია იგი მისი ცხოვრება,  
უფერულია და ცარიელი...**

ყველაფერი წამხდარა, დაცემულა და შეგინებულა. მცხეთაში

**აწ აღარა სჩქეფს წყარო ცხოველი,  
ხე ცხოვრებისაც იგი დამჭანარა  
და იგი დედა-ქალაქი ვრცელი  
აწ სამიკიტნო დაბად გაშნდარა.  
ნგრეულან მისნი დიდნი პალატნი,  
დიდი ცხოვრება მის დაცემულა,**





მთაწმიდა. ილიას ძეგლის გახსნა.  
ქართველი სამღვდელთა. მათ შორის აკაკი

ილიას ძეგლს რომ შეეძლო,  
საქართველოსაც მოჰკლავდნენ.

ვაჟა ფშაველა.

**დღეს იმ ცხოვრების წმინდა ალაგნი პირუტყვთ ქელეითა შეგინებულა.**

არც თბილისშია უკეთესი მდგომარეობა.

**აგერ ტფილისიც... ყრმასაც და ბერსაც, ქალსა — მახინჯსაც და მშვენიერსაც. დიდსა, პატარას, თავადსა, გლეხსა, მე უხილავი ყურსა ვუგდებდი, მაგრამ კი, ვფიცავ ქართულის სახელსა, მათ აზრში აზრსა მე ვერ ვპოვებდი.**

...

**რისთვისც მაბანი იღვწოდნენ უწინ — დღეს შვილთ არ უდირთ არცერთ ფლურადა. გრძნობას — ოქროსა ფასად ჰყიდიან, მთავრის დიმილზე — პატოსნებას, და დაჟანგებულ ბოროტზე სცვლიან თავის მამულის თავისუფლებას.**

ტოტალურად გაბატონებულია მტრობა, შური, თვალთმაქცობა, გულგრილობა, უდარდებლობა, უზრუნველობა, ორპირობა, სიცრუე, მუხთლობა, დალატი... ე.ი. ყველა ის ცოდვა, რასაც ხორცის საქმედ მიიჩნევს პავლე მოციქული. ხორცის გაბატონების შედეგად უმაღლესი ჭეშმარიტება დაკარგულია.

**სად არის იგი, მალაღებელი ქვეყნის ხსნისათვის — ჭეშმარიტება? სად არის იგი, ბიწის მღვწელი, ჯვარცმული ღმერთის მაღალი მცნება?**  
(„აჩრდილი“)

ზუსტად ამ სინამდვილის უარყოფის მიზნით მიაშურა განდევნილმა ბეთლემს. დატოვა ქვეყანა დაცემული, იავარქმნილი და უბედური.

**მეცა ვტანჯულვარ, ჰე, ბედკრულო, შენის ტანჯვითა, შენისა ცრემლით თვალნი ჩემნი მიტარებია, მეც წარტყვევნილვარ წარსულთ დღეთა შენთა ნატვრითა, შენის აწმითი სული, გული დაძველულება. შენცა გფენია ქვეყნის მადლი — თავისუფლება, ეხლა აღგვილა ყველა ესე, ვითარცა მტვერი... და ძესა შენსა დღეს არც კი სწამს შენი აღდგენა, განწირულების შთასდგომია მას გულში წვლული, მას დაჰკარგვია ტანჯვით შორის შენდამი რწმენა და დაუგდინხარ, ვით ტაძარი გაუქმებული.**

იქნებ ეს განდგომა თავისთავის გადარწმუნას გულისხმობს და არა ქვეყნის ხსნას? ასე არ არის. აქ უნდა გავიხსენოთ, რომ განდევნილი მყინვარის ბეთლემში ცხოვრობს. ამას ყურადღება მიაქცია სიმონ ჩიქოვანმა და იკითხა — „რისთვის დააბინავა განდევნილი ავტორმა მყინვარწვერის წიაღში?“ სამწუხაროდ ს. ჩიქოვანმა ამ კითხვას ბოლომდე არ უპასუხა. საქმე ის გახლავთ, რომ ბეთლემში არის „სახლი ცხოვრებისა, გინა სიწმიდისა“ (საბა). მყინვარწვერი იმ უხენაესის საცხოვრისია, რომლის თვალთ დარაჯობს საქართველოს.

**და მომევლინა მე კაცი დიდი, მყინვარზედ მდგომი მოხუცებული; ვითა ქვეყანა — ის იყო მშვიდი, უძრავი, უხმო, დაფიქრებული.**  
(„აჩრდილი“)

ეს დიდი კაცი მიმართავს საქართველოს — „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა... მე ვარო შენი თანამდევნი, უკვდავი სული“. განდევნილმა მიაშურა საქართველოს უკვდავ სულს და მის წიაღში ეძებს, როგორც საკუთარ, ისე ქვეყნის ხსნას. ილიას აზრით კი, საქართველოს ეს უკვდავი სული ქრისტიანული მოძღვრებაა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა („ღვდავ ღვთისაო, ეს ქვეყანა შენი ხვედრია...“) და მეორეც, საქართველო თავად ეწამა მაცხოვრისათვის („ჯვარცმულის ღვთისთვის თვით ჯვარცმულო და წამებულო...“)

გარდა ამისა, კაცობრიობის საუკეთესო იდეალების განხორციელებას ილია აკავშირებდა ქრისტიანულ ზნეობასთან, საყოველთაოდ ცნობილია, როგორი ატლაცები შეხვდა ილია პარიზის კომუნას და როგორ განიცადა მისი დამარცხება.

**კვლავ ქვეყნისთვის დაიდგარა წმინდა სისხლი წამებულის, კვლავ დაბრცხდა დიდი საქმე ყოვლად მხსნელის სიყვარული, კვლავ ძირს დასცეს იგი მცნება, ქვეყნის ხსნად მოვლინებული, რომლისთვისცა თვითონ ღმერთი იყო ტანჯულ და ჯვარცმული.**  
(„აჩრდილი“)

ილია მთელ ერს მოუწოდებდა:

**ვემსხვერპლოთ ქრისტესა მცნებას, ვაშორით ქართველი მონებას, ქართველის უბრალო მადლობა გვერჩივნოს ყოველ დიდებას.**  
(„ჩემი თარიარალი“)

„ხორცი მივეცი თ სულისათვის და ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შევიხანეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში“ („რა ვითხრათ? რით გაგახაროთ“).

დამოწმებული ნიშნების გამრავლება შეიძლებოდა, მაგრამ ამ მცირედითაც სრულიად ნათელია, რომ ილიას შემოქმედებაში ქრისტიანული ზნეობა მიჩნეულია პიროვნებისა და ერის მხსნელ მოძღვრებად.

ზოგიერთს ჰგონია, რომ რელიგიურობა მხოლოდ ბრმადმორწმუნეობას გულისხმობს. უპირველეს ყოვლისა, რელიგიურობა მაღალ ზნეობრიობას ნიშნავს, ურომლისოდაც მწერლობა არ არსებობს. ნიშნავს იმ ეთიკური მრწამსის გაცნობიერებულ აღიარებას, რომელიც მოსე-იხმმა და ქრისტიანობამ ათი მცნებით გამოხატა — არა კაც კლა, არა იპარო, არა ცილი სწამო, არა იმრუშო, არა ქმნა თავისა შენისა კერპი, პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა და ა.შ. ამ ზნეობრივ პრინციპებს კაცობრიობამ ჯერჯერობით ვერაფერი მიუმატა, ვერც რომელიმე საზოგადოება, მათ შორის სოციალისტურიც, უარყოფს მას. ამ მორალურ-ეთიკური თვალსაზრისით არსებობს ქრისტიანობა ილიას შემოქმედებაში.

ქვეყნის ხსნა ვერ განხორციელდება, თვინიერ პიროვნების ხსნისა. აქაც ორი საფეხური ყოფილა: ჯერ პიროვნება, მერე ერი.

როცა პიროვნების სრულყოფის პროცესი დამთავრდება, მერე იწყება ერის ხსნა. ყოველმა კაცმა ხორცი უნდა მისცეს სულისათვის, მაშინ გახდება შესაძლებელი ერის გათავისუფლება. განდევნილსაც ეს გზა უნდა გაველო. ჯერ საკუთარი სულის ხსნისათვის უნდა ებრძოლა და შემდეგ მიეცემოდა საშუალება მამულზეც ებრუნა. მაგრამ პიროვნების სულის ხსნა არ არის იოლი საქმე

ამისთვის ჯვარცმულის რწმენა, ნებისყოფა და ენერგია უნდა ჰქონდეს კაცს. მისი სულის სიმტკიცისა და ძალის პატრონი უნდა იყოს. სხვანაირად არაფერი გამოვა. რაკი განდევნილს ეს თვისებანი არ აღმოაჩნდა, დაიღუპა კიდევ. ეს სიკვდილი სულის სიმტკიცის, ძალის. ენერგიის, ნებისყოფის აღზრდისაკენ მოუწოდებს მკითხველს.

...ილიას ღირსების სქმა კვავს გიგანთის ავტორების სქმას: მკრამლთა ერს დაუფლა მანკიერება. ამის გამო პოღებენ წინასწარმეტყველნი. იუფებანი მისის, მსხნელის მოსვლას. იგი მოღის. „შვს ძე და უწოდინ სახელი მისი იესო, რაგვიუ მან იხსნას მრი თვისი ცოდვითა მათთაგან“. ამითა მიმართავს ილია კართვლის დედას:  
აღზარდე შვილი, მიეც კალა სულს,  
საზრდოდ ხმარობდე მრისტმსა მცნებას

შთაავრებდე კაცთა სიყვარულს,  
ძმობას, მართობას, თავისუფლებას...  
აწმქოს გარდაქმნას, მომავლის მომზადებას, მსხნელის მოლოდინს შექვირა ილიას სიცოცხლე, მაგრამ როცა 1907 წელს, 30 აგვისტოს /ძველი სტილი/ წიწამურის ველზე იგი მართველი კაცის მიერ გასროლილმა ტყვიამ განგვირა, მას მისი ცხოვრების ძირითადი კითხვის — „ამაულო, საყვარელო, შენ როსღა ავკავდები?“ — ვასუსნი მიღებული არ ჰქონდა.  
ა. ბ.



საგურამო. ალექსანდრე ეპისკოპოსი ილიაობაზე. სტუმართა შორის არიან და-ძმა უორდრობები.

## „განდგობის“ ხალხური წყაროები

თითქმის ყველა, ვინც ილიას შემოქმედებას ზიარებია, დაინტერესებული ყოფილა მისი „განდგობის“ ფოლკლორული წყაროებით, მოკავდათ მაგალითები და პარალელები მსოფლიო ლიტერატურის ნაწარმოებებიდან. („წმიდა მარტინიანეს ცხოვრება“, ზოლასა და ფლობერის რომანები, სხვადასხვა ფოლკლორული სიუჟეტები, ქართული ხალხური ლექსები, თვით ბეთლემზე არსებული გადმოცემები და სხვა). დღეს კი, როცა ფოლკლორულ მეცნიერებას საკმაოდ უხვად მოეპოვება მყინვარწვერის ციკლის თქმულება — გადმოცემანი, აღარავის-ში ეჭვს აღარ იწვევს, რომ ამ პოემის ამოსავალი ქართული წინამძღოლია. ხოლო რაც შეეხება თვით ბეთლემის გამოქვაბულისა და ბერთ სანდგომის არსებობას, ყოველივე ეს მჭკვერმეტყველურად დადასტურებს ქართველმა მთასვლელებმა, რომლებმაც რამდენჯერმე დალაშქრეს ბეთლემის მიდამოები, ავიდნენ თვით ბეთლემის გამოქვაბულში და საკუთარი თვალით ნახეს ილიას განდგობის სადგომი, ნახეს კლდეზე გადმოიდებული ჯაჭვი (ამის შესახებ უფრო ვრცლად ქვემოთ გვექნება საუბარი).

ილიამ კარგად იცოდა, რომ თითქმის ყველა ლექსი დასაბუთებელი ხალხურ გადმოცემას საფუძვლად მუდამ რაღაც ნამდვილი ამბავი უდევს და ამ ნამდვილი ამბავის ამოცნობას ცდილობდა. მყინვარწვერი, და უფრო მეტად ბეთლემი, ყოველმხრივ ხაინტერესო იყო მისთვის. სწორედ ბეთლემის მთიდან იდგებოდა ამ იღუმელ ცოდნათა ნიაღვარი...

ჩვენ საჭიროდ ვთვლით, უფრო ვრცლად შევჩერდეთ ამ საკითხზე... გვინდა გავისხენოთ ხევში გავრცელებული ერთი თქმულება, რომელიც მყინვარწვერის შესახებ არსებულ თქმულებათა რიცხვს განეკუთვნება... იგი ილიასადმი მიძღვნილ თავის ეთნოგრაფიულ ნარკვევში შეუტანია ვ. ითონიშვილს.

ამ თქმულება-გადმოცემის მიხედვით, ხვეის შორეულ წარსულში სოფელ სათარგმნოში ცხოვრობდა გმირობით სახელგანთქმული ღურბელა ფიცხელაური. იგი მოხვევების ჯარის უფროსი ყოფილა. გადმოცემა ღურბელას სახელს სპარსელეთან ქართველი ხალხის ბრძოლასა და საქართველოს დედაქალაქად მცხეთის არსებობის პერიოდს უკავშირებს...

...ღურბელას ცოლად ჰყავდა სილამაზით განთქმული ქალი-იაშვი, რომელიც ქმრის სახელში არ ყოფნის დროს, მის მონათავებლად მოსულ ჩერქეზებთან ბრძოლაში დაიღუპა. ღურბელამ მოძალადეებზე შური იძია, ცოლი გამოიტერა, შეასრულა გლოვისათვის სავალდებულო ყველა წესი, ხელახლა მოინათლა, დაიქვა სტეფანე (აქედანაა სახელი სტეფანწმიდა) და მყინვარწვერის გამოქვაბულში, ბეთლემში მყოფი ბერების ცხოვრებას ეზიარა. ბერად აღიკვეცა.

ღურბელა უნუგემოდ უყვარდა ერთ გერგეტელ ქალს. მან იმ იმედით, რომ მყინვარწვერის კალთებზე როდისმე სტეფანეს შეხვდებოდა, მწყემსად წასვლა გადაწყვიტა. იგი ერთხელ მართლაც შეხვდა დათვიას ტყისაკენ შემის მოსატანად მიმავალ სტეფანეს. სტეფანემ ძმური აღერსი ან დააკლო ქალს და თავის შესაფერის კაცზე გათხოვება ურჩია. მაგრამ ამოღ. ამის შემდეგ სტეფანე შემის წასადებად მხოლოდ მთვარის შუქზე-და ჩამოდიოდა. დადგა მთორე ზაფხული. ქალმა კვლავ მეცხვარის ჯოხს მოჰკიდა ხელი. ერთ შემწვინერ დღეს მან მთის მწვეანე ფერდობზე ცხვარი შეჭონა. ნაშუადღევს კი, პურისჭამის შემდეგ სტეფანესე ფიქრში ჩაეძინა. ცხვარი ბალახს წაეხალისებია და თით-

ქმის ყინულბამდე — საბერწვერებამდე ასულიყო. ქალი აღმართს აჰყვა. შორიდან უცებ ბერების აბანოსაკენ 20 მეუღაბნოე შენიშნა. დაიმახსოვრა მათი გამოვლილი გზა. როცა ბერები იქიდან წავიდნენ, თითონაც მივიდა და იმ წყალში იბანა... იმ წყალში კი მხოლოდ წმიდანებს ჰქონდათ ბანაობის უფლება. სხვის მასში ჩასვლს საშინელი სეტყვა და ქარიშხალი მოჰყვა-ბოდა. მართლაც, უცერად შავმა დრუბელმა შეჰკრა პირი, ატყველვა და მეხი, მოსცა ძლიერი სეტყვა და მწვეანე ფერდობები ერთბაშად გადათურდა. შეშინებული ფარა უფსკრულისაკენ ჩაეშვა. ღონეგამოლეულმა მწყემსმა ვედარ შესძლო მისი ფეხ-დაფეხ მიყოლა და ერთ საღ კლდესთან ჩაიძუბლა. უცერად ზემოთ მბუტავი სინათლე შენიშნა. ჯერ შეეშინდა, ეშმაკის სადგომი არ იყოსო, იფიქრა, მაგრამ შუქზე აღამიანის ლანდიც რომ დაინახა, დამშვიდდა; ვეგებ ეს ბერების სავანეა და სტეფანესე ვნახოო. შეეცადა კიბე ან თოკი ეპოვა, მაგრამ ამაოდ. ბოლოს დაიკვილა. სავანის მკვიდრს ქალის ხმა ჯერ სულის მაცდურ ხმად მოეჩვენა, მაგრამ როცა იგი კვლავ განმეორდა, დარწმუნდა, განწირული ადამიანი რომ სთხოვდა შეკლას.

კლდეში გამოკვეთილი სავანე მთელს საქართველოში სახელგანთქმული, ერთი ყველაზე დიდი წმიდანის ადგილსამყოფელი იყო. მის გარდა იქ არც ერთი ბერი არ ცხოვრობდა. სხვა ბერები ბეთლემის ქვაბებში იმყოფებოდნენ და მოწიწებით ექცოდნენ ბეთლემზე, უფრო შემადლებულ ადგილას გამოკვეთილ სადგომის ერთგულ მკვიდრს, რომელსაც განსაკუთრებული სახელი — განდგობი ერქვა.

ბული სახელი — განდგობი ერქვა.

განდგობი ჯაჭვის კიბე ჩამოშვდა და ქალი ზევით აიყვანა. მის დანახვაზე პირჯვარი გადაიწერა და როცა დარწმუნდა, რომ ნამდვილად ადამიანი იყო, ცეცხლთან მიიწვია. განდგობი ცხვრის მოსაძებნად წავიდა, ხოლო ქალმა, რომელსაც მისთვის პირდაპირ შეხედვა ვერ გაუბუნდა, რადგან იგი სტეფანესე გონა, სველი ტანსაცმელი გაიხადა და მისი ცდუნება-მოჯადობის მიხნით ავიზიხიბულ ცეცხლს მიუჯდა.

განდგობი ცხვარი ვერსად ნახა, უკან მობრუნდა და თავის სავანეში ასვლისთანავე მისკენ ნახევრად ზურგშეკცეული, მტრედით ლამაზი ქმნილება დაინახა. მას უცერად ისე აებნა თავზე, ისე ადელდა, რომ ქალთან მივარდა და ხელები მოხვია. დილით ბერმა საშინელი ტანჯვა იგრძნო. მისი დანაშაული გამოუსწორებელი იყო. მივარდა ხატებთან, მაგრამ ამაოდ. ვეღარც სანთელს მოუკიდა და ვეღარც საკვამლე ზერელიდან შემომდგარ შხის სხივზე გადაჰკიდა თავისი „მადლიანი ხურჯინი“, რომლის თვითველ თვალში მუდამ სამ-სამი ცალი „სეფის-კვერი“ იყო, ვეღარც მოწხული კალათით წყაროს წყლის ამოტანა შესძლო, ადრე, ნაცარში შეხვეული ნალვერდელი ერთ შებერვაზე ინთებოდა, შხის სხივი ხურჯინს იმაგრებდა, ხოლო კალათი წყლის სახიდ ჭურჭლად ჰქონდა... ახლა ყველაფერი უცერად გაქრა. აწრიალდა და. თავზარდაცემული, ხან ბერების აბანოში ბანაობდა, ხანაც ხატებთან მუხლზე დაცემული ითხოვდა შეკლას... მხოლოდ მესამე დღეს გაიგო ქალმა, რომ იგი სტეფანესე იყო ყოფილა.

განუხომელ მწუხარებაში ჩავარდა და კლდიდან გადაჩეხვა გადაწყვიტა, მაგრამ ბერმა ამის ნება არ მისცა. ამ დროს განდგობისაგან მუდამ მასთან მყოფი მტრედებიც გაფრინდნენ... მეუღაბნოე კიდევ უფრო შემწოთდა და ღმერთს ძღურვა დაუწყო, „მავენ სული“ რად მომიგზავნეთ...

ამასობაში შეშინებულმა მოხლებმა ქალს ძებნა დაუწყეს და ბერის სადგომს მიადგნენ... გონებადაბნეულ განდევნილსა და ქალს დედამ სოფლად დაბრუნება და დაქორწინება ურჩია. ქალს ამაზე ფიქრიც არ შეეძლო, მაგრამ განზრახ მაინც დათანხმდა. სამივენი თავქვე დაეშენენ. ბეთლემს რომ მიუახლოვდნენ, განდევნილი ბერებთან შევიდა და თავისი უბედურება აუწყო. ისიც თქვა, სავანიდან უნდა წავიდეთ. ბერები შეწუხდნენ, არ უნდოდათ მისი გაშვება, ღმერთს პატიება შესთხოვეს.

სტეფანე ამ დროს შეშინის მოსატანად წასულიყო და უკან ბრუნდებოდა. მან არაფერი იცოდა ქალისა და განდევნილის შესახებ, მაგრამ ქალმა დაინახა თუ არა იგი, ყველაფერი დაუფარავად უამბო. შემდეგ დანა ამოიღო და გულში დაიცა.

მოულოდნელი უბედურებით დაბნეული სტეფანე ცეცხლიანად შეიჭრა... მან განდევნილის გაძევება მოითხოვა... ბერები კი მომხდარ უბედურებას ღვთის განგებით ხსნიდნენ და არ უნდოდათ მისი გაშვება... ატყდა დავა... ბოლოს, რაკი ვედარაფერს ვახდა, სტეფანემ შემოიტანა არეის ნეღლი ტოტი, დაერია მათ, მაგრა გასახრა და დაოსებულ-დასისხლიანებულები წიოკით ჩამოატარა გერგეტის ქედამდე, სადაც ახლა წმიდა სამების ტაძარია აღმართული.

ბერებმა მცხეთაში კათოლიკოსთან იჩივეს, მაგრამ კათოლიკოსმა სასტიკად დაპატიმროს განდევნილის სულმოკლეობა. დამნაშავედ გამოაცხადა ყველა, ვინც განდევნილის ამბავს ღვთის განგებად სოფლიდა და ბერობისაგან განკვეთა. სტეფანე კი უწმიდეს ღვთისმოსავად შერაცხა. სტეფანესთან დარჩა მხოლოდ ერთი ბერი — კვირიკე, რომელიც მომხდარი ამბის დროს ტყეში იმყოფებოდა. სტეფანე და კვირიკე განდევნილის სავანეში ავიდნენ და ნახეს, რომ კლდე, რომელშიც სავანე იყო გამოკვეთილი, გადმონგრეულიყო, დარჩენილიყო მხოლოდ გადმოკიდებული ჯაჭვი, რომელსაც განდევნილი კიბის მაგიერ იყენებდა. მათ ეს ჯაჭვი ბეთლემის ახლოს მდებარე ერთი პატარა სენაკის კარებთან ჩამოკიდეს და თითონაც იქ დამკვიდრდნენ.

კვირიკეს სტეფანესთან ერთად ურყევად სწამდა, რომ განდევნილის სავანის განადგურება ღვთის განგებით მოხდა. გავიდა წლები. ისინი ისევ თავიანთ სენაკში ცხოვრობდნენ. ზოგჯერ კი, როცა დღეობები იმართებოდა, სოფელშიც ჩადიოდნენ. ბოლოს სტეფანე და კვირიკე მოხუცდნენ. სათარგმნოს მცხოვრებლებს უთქვამთ, ბერები შეშინისთვის სიარული და სანაფრის ზიდვა აღარ შეუძლიათ და მათთვის ერთ განაპირა ადგილზე, რომელსაც საკიტრეს უწოდებდნენ, სავანე აუშენებიათ.

ერთხელაც, დღეობის დამთავრების შემდეგ, ხვეის ყველა სოფლიდან შეყრილა ხალხი და აუშენებიათ პატარა ეკლესია. უწოდებიათ ნინოწმიდა, ახალგაზრდებს კი „წითელის ეკლესია“ დაურქმევიათ. ბერების დასისხლიანების გამო სტეფანეს წითელ ბერს ევახდნენ.

წითელის ეკლესიის აშენებიდან ორი წლის შემდეგ ხვეში დიდი წვიმა და სეტყვა მოსულა. მთა-ყუროს მიწა-ქვიშაიანი ფერდობები ჩამორეცხილა და მდინარე ყუროს დაქანებულ კალაპოტში მძლავრი დვარცოფი დაშეგებულა. მის გრუხუნზე გამოდევნილი სტეფანეს, თავზე კოდით გარეთ გამოსულა და ელვის შუქზე შეუშინვია ვეებერთელა ქვა-ტალახიანი ნიაღვარი, რომელიც სოფელ სათარგმნოს წალკევით ეშუქებოდა. აზვირთებული ყუროს დინების მიმართულებით სტეფანე თავქვე დაშეგებულა, მივარდნილა სოფლის ცენტრში მდგარ შავხალის ციხესთან და ის ზარი დაურეკია, რომლის ხმაზე ჩვეულებით-სამებრ, მტრის შემოსევის, ან თემის ყრილობის დროს იკრიბებოდნენ. ხალხი ვეხზე დამდგარა და სტეფანეს კარნახით მდინარის მარცხენა სანაპიროზე გადახიზნულა. მალე მოვარდნილა „თავანი“ (დვარცოფის პირველი ტალღა) და სათარგმნო ტალახსა და ქვა-ღორღში ჩაუფლავს.

მეორე დღეს მთელი თემის კაცებმა მოიყარეს თავი. დაიწყეს

მუშაობა და ცოტა ხანში ახალი სოფელი გააშენეს... გადაიხადეს სამდოთ და ხალხის მხსნელი სტეფანე ბერის სახელის უკვდავსაყოფად სოფელს სტეფანწმიდა უწოდეს.

ეს ვრცელი გადმოცემა, რომელიც ყველაზე მეტად უახლოვდება ილიას „განდევნილის“ სიუჟეტსა და კომპოზიციას, ფოლკლორისტებს 1956 წელს მოხვევ ივანე ეფრემოვილისაგან ჩაუწერიათ. ილიას კი, როგორც ჩანს, მოხვევითაგან თვითონ მოუსმენია იგი. (თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ ბგერი რამ მასში ილიას პოემიდან შევიდა.)

გასულ საუკუნეში, დიდი ინტერესი აღძრა ბეთლემის ღვეგნდებმა რუს და უცხოელ მკვლევართა შორის... ქართველი მოღვაწე იმ ხანად ნაკლებად მისწრაფოდნენ მისკენ... ხალხს მკაცრად სწამდა, რომ წმიდა მთა და მისი მწვერვალები ხელშეუხებელია... ისინი ფიქრობდნენ, მასზე ასვლა უბედურებას მოუხეტანსო... ერთი მიზეზი შესაძლოა ესეც იყო, რომ საერთოდ, საქართველოს მთათა რთულ მწვერვალებზე პირველად უცხოელი ალპინისტები ავიდნენ (თუმცა ისიც ვიცით, რომ მათი მეგზურები ისევ აქაურები იყვნენ... სვანები, მოხვევები, საერთოდ, მთიელები) აქაურ ხალხს, რომელსაც არ უჭირდა მთაში სიარული, არც უცდია მწვერვალებზე ასვლა. მხოლოდ ჩვენს დროში მოეწყო ექსპედიციები კავკასიონის ყველა მნიშვნელოვან მწვერვალებზე და მყინვარწვერებზე. 1947 წელს ერთერთმა ექსპედიციამ, რომელსაც ჯაფარიძე ხელმძღვანელობდა, ბეთლემის მონაპოვშიც გაიარა... სწორედ მათ აღრიცხეს პირველად აქ 6 სენაკი, კლდეში ნაკვეთი ეკლესიის ნანგრევები და ნანგრევებს ქვეშ მოქცეული კარი, ასევე, ხის სვეტები, კათოლიკეები, ერთერთ მათგანში ჩადგმული ქვის ჯვარი, ასევე ზედ კლდეზე ამოკვეთილი ჯვარი (ი.ასლანიშვილი. მყინვარწვერზე ასვლა შემოდგომით, 1927 წლის 9 ნოემბერს. ტყეების 1928. გვ. 20-22).

შემდეგ 1930 წელს უკვე შედარებით ჩამონგრეული და დაშლილი სენაკების სამყაროში ს. მაკალათიამ ნახა ანდესიტის დიდ ღოდზე შემორჩენილი ქვის ჯვარი და იქვე ამოკვეთილი ხუცური წარწერა... მის სამხრეთით მიმდებარეული სამლოცველოს ნანგრევები (კოჭები, სახურავის ფიქლები, სასანთლე, ქვის ორი ბოძი) აიაზმისათვის განკუთვნილი ქვის ჭურჭელი და იმ მარხილის ნაწილი, რომლითაც „ბერები შეშინეს“ ეხილებიან თურმე“. ჩრდილოეთით ს. მაკალათიას შეუნჩნავეს, აგრეთვე, ორი მრგვალი სენაკის ნანგრევები და რაღაც ძველი შენობის ორი კედელი, რომელსაც „ირმის საწველს“ უწოდებდნენ. ამასთან ერთად, ს. მაკალათია გვაცნობს გავიწყობის იმის შესახებ, რომ ირმის საწველის გასწვრივ ოდესღაც განდევნილის გამოქვაბულიც მდებარეობდა ჯაჭვის კიბით, მაგრამ ამ რამდენიმე წლის წინათ ეს კლდე ძლიერ ნიაღვრის ჩამონგრევით და ბერების სენაკები და განდევნილის გამოქვაბულიც თან დაუტანიაო. (ს. მაკალათია. ხვეი გვ. 235-237).

ბოლოს მთამსვლელებმა (კერძოდ ღვეან სუჯაშვილმა) განდევნილის სავანე და მისი ჯაჭვის კიბეც შენიშნეს, რის შემდეგ 1948 წელს ალექსანდრა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით მოეწყო სავანებო ექსპედიცია, რომელმაც გააუქმა ყველა თვალსაზრისი, რომელიც ბეთლემის გამოქვაბულის ნამდვილად არსებობას ეჭვის ქვეშ აყენებდა და ერობაზად დადასტურდა წმიდათა ცხოვრების სინამდვილე. („Заря Востока. А. Джапаридзе. Пещера Бетлеми №30 1948). საგულისხმოა ისიც, რომ ბეთლემში უძველეს ნივთებთან (ძირითადად, ხატებთან) ერთად, თვით მეცხრამეტე საუკუნის ნივთებიც აღმოჩნდა... როგორც ჩანს, მასთან შესაწირავი ბოლო დრომდე მიჰქონდათ. ბეთლემი მხოლოდ ბერების ადგილ-სამყოფელი კი არ იყო, არამედ თემის სალოცავი.

როგორც მკვლევარები აღნიშნავენ (ვ. ითონიშვილი. „ი. ჭავჭავაძე და საქართველოს ეთნოგრაფია“ გვ. 53) ილიას ხალ-

ხურ გადმოცემათა არცერთი გამოქვეყნებული ტექსტით არ უხარავს. პოემა დაწერილია 1883 წ. ხოლო ამ გადმოცემათა ვარიანტები ქვეყნდება მომდევნო წლებში. ილიას უნდა ესარგებლა ერთის მხრივ, ვახუშტისა და იოანე ბატონიშვილის ცნობებით, მეორეს მხრით, ხალხში თავის მიერ დამოწმებული თქმულებებით. ეს იყო მყინვარწვერის ნისლიანი მწვერვალებიდან გადმოშლილი ლეგენდა-თქმულებანი, რომელიც ხალხის ხსოვნაში იმხანად ჯერ კიდევ ცოცხლად იყო შემონახული.

ბეთლემის გამოქვეყნების შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: „მყინვარის კლდესა შინა არიან ქვაბნი გამოკვეთილნი ფრიად მაღალსა კლდესა და უწოდებენ ბეთლემს. გარნა საჭიროდ ასავალი არს: რამეთუ არს ჯაჭვი რკინისა გარდმოკიდებული ქვაბიდან და მით აღვლენ. იტყვიან უფლის აკვანსა მუნ, და აბრაამის კარავსა, მდგომსა უსვეტოდ, უსაბლოდ და სხვათაცა საკვირველთაცა, არამედ მე ვლუმებ. კვალად ძირს მისსა არს მონასტერი, კლდესა შინა გამოკვეთილი უდაბნოდ და აწ ცალიერი“. როგორც ვხედავთ, აქ ჩართულია უაღრესად საინტერესო ლეგენდაც უფლის აკვინსა და სხვა საკვირველებათა შესახებ...

გასულ საუკუნეში სოფელ სანიბში მყინვარწვერის გარშემო არსებული ლეგენდები და გადმოცემები ჩაუწერია პასტუხოვს... მათ შორის, განსაკუთრებით საინტერესოა ერთი /ალბათ ეს ის ლეგენდაა, რომელზედაც ვახუშტი ბაგრატიონი წერს/, რომელიც გვაძინებს, რომ მყინვარზე დგას ოქროს აკვანი, სადაც ქრისტე გაიზარდა, ოქროს მტრედისა და ოქროსავე ცხვრის მზრუნველობით.

როგორც ვხედავთ, ამ სახითაც შენახულია თქმულება ოქროს აკვანზე და იგი სწორედ აქედან მოდის. საერთოდ მყინვარწვერიდან კი არა, მხოლოდ დამხოლოდ მისი ერთი მთიდან... იმ წმიდა ადგილიდან, სადაც დღესაც არსებობს ბეთლემის გამოქვეყნული... ხოლო თუ ყოველივე ამას თანამედროვე მეცნიერთა კვლევის აზრებს შევადარებთ, ფრიად საინტერესო დასკვნებთან მივალთ!

განდევნილზე თქმულება — გადმოცემაში კი ბედნიერი გამო-ნაკლისის სახით შენახულია დროისა და სივრცის მიმანიშნებელი ცნობები — სოფელი სათარგმნო... დურბელას ცხოვრების ამბავი, რომელსაც თურმე სპარსელებთან ბრძოლაში თავი გამოუჩინა... და ის, რომ იმ დროს საქართველოს დედა-ქალაქი მცხეთა ყოფილა... შესაძლოა, ბევრი რამ მერე ჩამებატა, მაგრამ... იტყვს არ იწვევს, რომ ეს გადმოცემა უძველესია... ეს ის დროა, როცა ქრისტიანობა უკვე სახელმწიფო რელიგიად დაკანონებული, როცა მცხეთაში კათოლიკოსი ზის... ფრიად საინტერესოა ცნობაც „უფლის აკვინს“ შესახებ... ყოველივე ეს ისე გადაუშუშავებია ილიას, რომ მკითხველში კვლავ იმ იდუმალებით მოცულ ინტერესსა და რწმენას აღვიძებს, რომელიც კვლავ და კვლავ ბავშვობის წლებიდან ხსოვნაში საძაღვად ჩარჩენილ კითხვას ამოატივტივებს...

#### იქნებ აკვანში ის ყრმა წევს?..

ისიც ხომ ცხადია, რომ ვახუშტი ბაგრატიონის შემდეგ, ქართველ მოღვაწეთა შორის ილია ჭავჭავაძე ერთერთი პირველი იყო, ვინც ხევში წმიდათა ადგილ — სამყოფელის შესახებ არსებულ ხალხურ გადმოცემებს იწერდა.

1957 წელს ილიას იუბილეს დღეებში ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფი ალექსანდრა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით ბეთლემის კლდოვან გამოქვეყნულამდე ავიდა და საკუთარი თვალთა ნახა ილიას განდევნილის სამყოფი ადგილი. ნახა კლდეზე გადმოკიდებული ჯაჭვიც. როგორც ჩანს, ილიას უშუალოდ მოხვედრის მისემინა ხალხში დარჩენილი საინტერესო გადმოცემა. შესაძლოა, სწორედ ეს.

ილია წერს:

**და ის ადგილი, ის არე-მარე,  
ესოდენ წმიდათ სწამს დღესაც ერსა,  
რომ ნასროლ ნადირს, მუნ შეფარებულს,  
მონადირეც კი ვერ ახლებს ხელსა,  
თუ არ ღვთის ღირსი, სხვა ვერინ, თურმე,  
ამ წმიდა ადგილთ ვერ შეეხება,  
და თუ შეპყრავს, მსწრაფლ რისხვა ღვთისა  
ტყეა-ქუხილით მოველინება.**

ხევში დარჩენილი გადმოცემისა და პოემის ცალკეული ადგილების, თვით სიუჟეტის შედარების შემდეგ, ალბათ, მდარია ყველა შეხედულება, რომელიც ცდილობს „განდევნილის“ პარალელი ზოლასა და ფლობერის ნაწარმოებებთან, ანაც „წმიდა მარტინიანეს ცხოვრების“ სიუჟეტთან დააკავშიროს. მისი ამოსავალი ქართული სინამდვილეა.

საინტერესოა, რომ წმიდანობის სიმბოლოური ნიშნებისა თუ მოტივების, მაგალითად, ლეგენდები: ბერების აბანოში არაწმიდანის ბანაობის შედეგად ქარიშხლის ამოვარდნის, განდევნილის შეცდომის შემდეგ სავანის ჩამოგარევისა და მზის სხივის სასწაულმოქმედებისა თუ ბეთლემში მტრედების ყოფნის შესახებ, ხევში და. საერთოდ საქართველოში ბევრი გადმოცემა არსებობს.

...ხეპირი გადმოცემით, მთიულეთის სოფელ ბეთლემის მაღალ და მიუვალ კლდეზე აგებულს ეკლესიაში ცხოვრობდა წმიდა კაცი, ისეთი წმიდა, რომ კითხვის დროს წიგნს მზის თინათინზე აყრდნობდა ხოლმე.

მსგავსი თქმულება არსებობს ერეკლე მეფეზეც... „ერეკლე როცა ლოცვაზე დადებოდა, ხმალს მზის შუქზე დაჰკიდებდა ხოლმე და ლოცვას როცა გაათავებდა, იმ სხივიდან ისევ აიღებდა ხმალსა“.

ქართული ბალადა მოგვითხრობს, რომ წმიდა ბერი თავისუფლად დადიოდა წვირულ ჯაჭვზე, რომელიც მცხეთის ჯვრის მონასტრიდან არავგებოდა იყო გაჭიმული, მაგრამ როცა მან მდინარეში მობანავე ქალი დაინახა და მით განიმსჯალა, ჯაჭვი ჩაწყდა და ბერი დაიღუპა... ყველა ეს გადმოცემა ილიას „განდევნილის“ მჭიდროდ აკავშირებს ქართულ ფოლკლორულ აზროვნებასთან, როგორც სიუჟეტურად, ისე სიმბოლოების განზოგადებითაც...

ილია ერთი იმათგანი იყო, ვინც მოამბავდ მოველინა ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებას... ხოლო ხევის მიმართ, სადაც მის ხშირი მიმოსვლა ჰქონდა დუშეთში მოპირებულ-მოსამართლედ ყოფნის გამო, განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა. ამას ძირითადად, თვით ხევის უნიკალური ფოლკლორი და ცოცხალი ნიჭიერება განსაზღვრავდა.

ამიტომაც იფადა იგი ასე ხშირად გლუხებთან ერთად ბაზალეთის მიდამოებში, ამიტომაც შეპყრებდა მყინვარწვერის მთას... შეპყრებდა და, მისი ხსოვნიდან ხალხური სიტყვის მარგალიტები გამოჰქონდა.

X X X

...მყინვარიდან ისევ დაგვეყრებს შარავანდელით მოსილი მოხუცის მჭმუნვარე სახე და გვაიმედებს... ისევ გვიხმობს ილია, ისევ გვაძინებს. იგი კვლავ ბაზალეთის ნაპირთან დგას და ხალხის ხსოვნაში შენახულ ლეგენდა-გადმოცემებს იწერს. ამ ლეგენდებით ოქროს აკვანი ზოგჯერ ამ მაღალი მთის რომელიმე კლდეში ინახება, ზოგჯერ ბაზალეთის ტბაში... შეფარებულია, მაგრამ იგი არის! იგი ირწვევა, იგი ზრდის ოქროს ქონიან ყრმას და ილიას სწამს, ილიამ იცის მისი საიღუმლო...

თ. ჯვარიძე



## ილია და აჭარა

1877 წელს, დაახლოებით ერთი წლით ადრე, სანამ აჭარა დედა-სამშობლო საქართველოს დაუბრუნდებოდა, დიდი ილია წერდა: „უწარჩინებულესნი მამანი, საღვთო-საერო თხზულება-თა მთარგმნენნი, სახელოვანი მწერალნი ჩვენნი ეხლანდელი ოსმალოს საქართველოს შვილნი და მცხოვრებნი იყვნენ.“

ჩვენი სასიქადულო „ვეფხისტყაოსნის“ მთქმელი შოთა რუსთაველი იმ მხარის კაცი იყო. რუსთავეს დაბა, რომელსაც თავისი საშობლოდ იხსენიებს რუსთაველი, სამცხე-ხაათაბაგოშია. ჩვენი ყოველი ცხოვრება იქ ავგავებულია, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქეფია, ჩვენი სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თავისი სახელოვანი დროშა.

სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული, თითქმის იქიდან ეფინებოდა ჩვენს ქვეყანას...

მძლავრობამ, მუხთლობამ, შავით მოსილმა საქართველოს ბედმა განგვაშორა ჩვენ — ძმები, ერთად სისხლის მღვრენი, ერთად ღვაწლის დამდებნი, ერთად ტანჯულნი და ერთად მოღბინენი“.

საქართველოს გულ-მკერდს ცეცხლითა და მახვილით მოწყვეტილი აჭარის ტანჯვას მალე მოედო ბოლო: 1878 წელს დიდი მოძვე რუსეთის მხედრობის დახმარებით და ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლის შედეგად თურქეთის მიერ საუკუნეების მანძილზე გაპარტახებული, მრავალტანჯული აჭარა შემოუერთდა დედა-სამშობლოს.

ჩვენ ღრმად გვჭამდა, რომ საქართველო არ დაკარგავდა თავის დვილ შვილს — აჭარას. დიდი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ: „თუ ამისათვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიდგაროს, ნუთუ ქართველი უკუ-დრეკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა?“... ასეც მოხდა, თურქი მოძალადეებისაგან აჭარის გადასარჩენად მრავალჯერ დაიდგარა ქართველი ხალხის საუკეთესო შვილების სისხლი.

ახლად შემოერთებული ძმების პოლიტიკური და კულტურული გათვითცნობიერების საქმეს სათავეში ჩაუდგა დიდი ილია, რომელმაც თავის ირგვლივ შემოიკრიბა იმ დროის გამოჩენილი მოღვაწენი — სერგეი მესხი, იაკობ გოგებაშვილი, ანტონ ჭურცელაძე, ნიკო ნიკოლაძე, ნიკო ცხველაძე, პეტრე უშიკაშვილი, ლუარსაბ ბოცვაძე, დავით კლდიაშვილი, პეტრე მირიანაშვილი და სხვ.

აჭარაში იმ დროს მრავლად იყო „მედრესეები“, სადაც ხოჯა-მოლები აჭარის ახალგაზრდობას სწამლავდნენ პანისლამიზმისა და პანთურქიზმის ბოროტი იდეებით.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით 1881 წლის 23 მარტს ბათუმში გახსნა ქართული სკოლა და ჩვენი მტრების გულის მოსაკლავად „მედრესეების“ გვერდით ამეტყველდა იაკობ გოგებაშვილის „დღეა ენა“:

თურქეთის აგენტები: მოლები, ხოჯები, მოღალატე ბუგები და საერთოდ, რეაქციის მსახური ყოველნაირად ცდილობდნენ

ჩაენ შოთ აჭარაში კეთილი მშობლიური წამოწყება დ მოუწოდებდნენ მოსახლეობას აი გამოეყვანათ „მედრესეებიდან“ შვილები და არ ჩაეგდოთ ისინი „ურჯულოთა“ ხელში.

მათი გესლიანი აგიტაცია უფრო შორს მიდიოდა. ახლად შემოერთებულ აჭარის მოსახლეობას ისინი ურჩევდნენ: აიყარენით და თურქეთში გადასახლდით, და თანაც ისლამის სახელით აშინებდნენ: აქ „ურჯულოების“ ხელში სიკვდილის შემდეგ „ცხოვება“ არ გიწერიათ.

მშობლიური სკოლისა და ქართველი ხალხის ძიობა-ერთობის წინააღმდეგ ახეთი პროვოკაციული გამოსვლები იმ დროს დიდ გავლენას ახდენდა მოსახლეობის ჩამორჩენილ ნაწილზე.

დიდი ილიას სამშობლოს მოღალატეებისა და თურქეთის აგენტების ასეთი მზაკურული წინააღმდეგობა წინასწარ ჰქონდა გათვალისწინებული და ამიტომაც იყო, რომ 1877 წელს, ვახუთ „ივერიაში“ წერდა: „არ გვაშინებს... ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენს ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევეერთდეთ, ერთმანეთი ვიძმით და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანას, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინდისს და დიდი ხნის განშორებულ ძმას მშურადვე მიიყრდნენ, თვალში სიხარულის ცრემლმორეული“.

სამშობლოს მოღალატეთა მოლოდინის წინააღმდეგ, აჭარაში თოვიდან მრავლად გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც გულთი ისმენდნენ ილიას სიტყვებს, „მედრესეებიდან“ გამოჰყავდათ შვილები და ახლად გახსნილ მშობლიურ ქართულ სკოლაში აბარებდნენ.

აჭარელითაგან ამ სკოლის ერთ-ერთი პირველი მოსწავლე იყო მეძედ აბაშიძე, შემდეგში ცნობილი საზოგადო მოღვაწე, რომელმაც ფრიად დიდი ღვაწლი დასდო საქართველოს ამ კუთხის აღორძინების საქმეს.

მეც მეძედა ბედნიერება პირველი ნათლობა ამ სკოლაში მიემდო. 1900 წლიდან, სხვა აჭარლებთან ერთად, მეც აქ ვსწავლობდი და დიდი ილიას ხელმძღვანელობით ამ სკოლაში მოვლინებული შესანიშნავი პედაგოგების მთავრობით ვეზიარე პირველად იმ შეგნებას, რომ ჩვენ — აჭარლები, თათრები კი არა, ქართველები ვართ.

საუკუნეების განმავლობაში თურქეთის ფეხქვეშ გათვლილ და დედის ტკბილ მუძუს მოწყვეტილ აჭარას პირველად ბათუმის ქართულმა სკოლამ გაუღვიძა მშობლიური სიყვარულის ნაპერწკალი, რომლის შედეგადაც აჭარაში გაიშალა ეროვნული გათვითცნობიერებისათვის ბრძოლის დროშა.

ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით ბათუმში ქართული სკოლის გახსნა იმ დროისათვის დიდი მოვლენა იყო. ამისთან დაკავშირებით, ჩვენი გამოჩენილი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი წერდა: „ერთი უპირველესი, რომელსაც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება შეუდგა, იყო სახალხო სკოლის დაარსება ბათუმში. განზრახვა, რომელმაც გამოიწვია ამ სკოლის დაფუძნება, მდგომარეობდა იმაში, რომ ახლად შემო-

ერთბუნებრივ მამადიან ქართველთა შვილები მოვიდნა, გაემართნა ქართულს წერა-კითხვაში, მათი შუამავლობით შემდეგში გავერცელებინა აჭარაში ქართული წიგნის ცოდნა და ამ გზით განეახლებინა კავშირი ღვიძლთა ძმბათა შორის, რომელნიც უღმობელმა ბედმა ერთმანეთს გაჰყარა წარსულ საუკუნეებში“...

გიორგი ნათაძის გარდაცვალების შემდეგ, 1891 წლის 10 იანვარს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობას ცნობილი პედაგოგი — მიხაკო შარაშიძე დაუმტკიცებია ბათუმის ქართული სკოლის გამგედ.

— ბათუმში გამგზავრებამდე, — იგონებს მიხაკო შარაშიძე, — ილია ჭავჭავაძემ მიმიხმო ბინაზე და ასე დამარიგა: „ჩემი პირადი სურვილი იყო, რომ შენ ასეთ პასუხსაგებ ადვილზე გამგზავნე. იმედია, რომ ჩემს ნდობას გაამართლებ. იყავი წყნარი და მშვიდი, როგორც მტრედი. დიდი სიფრთხილით და მორიდებით არის საჭირო ქართველ მუსლიმანებს შორის მუშაობა. გახსოვდეს, რომ ქართველი მუსლიმანები — ჩვენი ძმებია, — მტრად ნიჭიერი, დინჯი, დაკვირვებული და ზრდილობიანი ხალხია. ერთი უადგილო და ნაჩქარევად ნათქვამი სიტყვა მთელი წლობით დასწევს უკან ჩვენს საერთო საქმეს. იხმარე ყოველივე დონე, რომ მათი ნდობა და სიყვარული დაიმსახურო. დიდი მიღწევა იქნება ჩვენ მხრივ, წერა-კითხვისათვის ერთად თუ მათ შუაგენიანებთან, რომ ისინი ქართველებია, რომლებიც ჩვენგან განირჩევიან მხოლოდ და მხოლოდ სარწმუნოებით“.

ბათუმში სკოლის გახსნის საქმე დიდ სიმძნელებს აწყობდა და ამ საქმესთან დაკავშირებით ილია იქ ხშირად ჩაიღობდა ხოლმე.

1880 წლის 21 დეკემბერს ილია ჭავჭავაძე დეკემბრს უგზავნის ბათუმში ჩასულ მასწავლებელს, ალექსანდრე ნანეიშვილს და ავალებს მას — საჩქაროდ აღნობოს, როდის იქნება სკოლა მზად, რომ იმ დროისათვის ბათუმში ჩავიდეს.

სკოლის სწავლის ქირა წელიწადში ექვსი მანეთი იყო. ილიას განკარგულებით მისგან ათავისუფლებდნენ ქრისტიან ქართველ დარბაზ მოწაფეებს და რა ნივთიერი მდგომარეობაც არ უნდა ჰქონოდა, სწავლის ფულის გადასახადიდან განთავისუფლებული იყო ყველა ქართველი მაჰმადიანი მოწაფე. აი, ასეთი მშობლიური მზრუნველობით გვზრდიდნენ ჩვენ, ქართველ მაჰმადიანებს ჩვენი გამოჩენილი მოღვაწეები და პედაგოგები, დიდი ილიას რჩევითა და მეთაურობით.

1895 წელს ბათუმის ქალაქის თავის არჩევნები იყო. იხსენებდა რა ამ ამბავს, აჭარის მოამბე, ჩვენი საყვარელი და გამოჩენილი მწერალი დავით კლდიაშვილი თავის მოგონებებში წერდა: „საარჩევნო დარბაზში თვალსაჩინო ადგილას, საფარქელზე იჯდა და არჩევნის მსვლელობას უყურებდა განგებ ამ შემთხვევისათვის თბილისიდან ჩამოსული ილია ჭავჭავაძე... ქალაქის არჩევნებში ბრწყინვალე გამარჯვებამ დიდი აღტაცება გამოიწვია, ქალაქის თავად ლუკა ასათიანის არჩევას ქართველობა დიდი აღტაცებით მიეგება“.

ლუკა ასათიანი უდრესად მოწინავე ადამიანი იყო და გადაუჭარბებლად შეიმძებნა ითქვას, რომ იმ დროს ქალაქის თავის არჩევნებში ასეთი შესანიშნავი კანდიდატის გამარჯვება იმანაც განაპირობა, რომ არჩევნებს ილია ესწრებოდა.

ახლად შემოერთებულ ქმების კეთილდღეობისათვის დაუღალავმა მებრძოლმა ილიამ მრავალი თაყვანისმცემელი შეიძინა აჭარაში; მათ შორის გულო კაიკაციშვილი, ხუსეინ ბეკანიძე, დედი ნიჭარაძე, შავშეთიდან — ნური ხიმშიაშვილი, ბათუმელი აბაშიძეები, და სხვ.

საარქივო მასალებში დაცულია მრავალი საინტერესო დო-

კუმენტი, რომლებიც მეტყველებენ, თუ რაოდენი გავლენა ჰქონდა ილიას აჭარაში. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ იმ დროს გულო კაიკაციშვილმა და დედი ნიჭარაძემ თავიანთი ვაჟები გაგზავნეს თბილისში სასწავლებლად და არ შეუშინდნენ იმას — „შვილები გაგვიქრისტიანდებო“.

1958 წელს თბილისში გამოცემულ გიორგაძის წიგნში — „პირველი ქართული სკოლა ბათუმში“, ვკითხულობთ: „ბათუმის სკოლის მასალებში დაცულია 1882 წლის 21 მარტს ქართულ ენაზე დაწერილი წერილი ნური ხიმშიაშვილისა, გაგზავნილი ილია ჭავჭავაძისადმი. წერილის ავტორი აცნობებს ილიას, რომ იგი სტოვებს ბათუმს, მიდის შავშეთში, თავის მამულში საცხოვრებლად და სთხოვს ილიას შუამდგომლობას წერა-კითხვის საზოგადოების წინაშე, რათა შავშეთში გაგზავნისან სკოლა ქართულ ენაზე, რომ ჩვენმა შვილებმა დედა ენა ისწავლონ... „თუ ასეთი სკოლა გაიხსნება, საზოგადოების გამგეობამ მხოლოდ მასწავლებლის ჯამაგირი იხადოს, დანარჩენს მე თვითონ ვკისრულობ, სკოლის სახლს და ბინას მასწავლებლისათვის მუქთად მივცემ და 60 — 80 მოსწავლეს შევკრებ სკოლაში“.

საარქივო მასალებში, აგრეთვე, დაცულია დოკუმენტები, რომ ბათუმელ აბაშიძეებსაც ახლო ურთიერთობა ჰქონიათ ილიასთან.

იმ დროს ბათუმის აბაშიძეთა უფროსი თაობიდან დარჩენილი იყო სამი ძმა: ხუსეინი, სალიხი და იბრაჰიმი. მათ შორის უფროსი იყო ხუსეინი. იგივე იყო ბათუმის აბაშიძეთა ოჯახების მეთაური და ხელმძღვანელი, როგორც მათ შორის უფროსი ძმა.

გ. ნიორაძის ზემოხსენებულ წიგნში ვკითხულობთ, რომ როცა სკოლისათვის საკუთარი შენობის ასაგებად მიწის ნაკვეთის შოვნის საქმე გაძნელებულა, ხუსეინ აბაშიძეს 1887 წლის 27 აპრილს სპეციალური ბარათი გაუგზავნია ილია ჭავჭავაძისათვის და შეუტყობინებია — ჩემი მამულიდან მიწას შევწირავ ბათუმის სკოლის ასაგებადო.

იმავე წიგნში გ. ნიორაძე წერს: „სკოლის გახსნაზე ბათუმში ჩამოსული ილია ჭავჭავაძე სპეციალურ თათბირს აწყობს ნური ხიმშიაშვილის სახლში — ხუსეინ აბაშიძის, ხუსეინ ბეკანიძის და ბათუმის „უჩასტკის“ უფროსის, გაბუნიას თანდასწრებით“.

შემდეგ გ. ნიორაძე განაგრძობს: „1881 წლის 8 მაისის ცნობით, ე.ი. ილია ჭავჭავაძის მიერ მოწოდებული თათბირიდან და ბათუმის სკოლის გახსნიდან ერთნახევარი თვის შემდეგ, სკოლაში ირიცხებოდა 28 მოწაფე, მათ შორის 11 აჭარელი. საარქივო მასალებში დაცულია ამ მოწაფეთა სახელობითი სიებიც. აჭარელ მოსწავლეთა შორის 8 აბაშიძეა, რომელთაგან ერთი ქალია — ულიე აბაშიძე“.

როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძესთან თათბირის შემდეგ, ხუსეინ აბაშიძეს როგორც ბათუმის აბაშიძეთა ოჯახების უფროს ძმას, თავის შვილებთან და ძმების შვილებთან ერთად მშობლიურ ქართულ სკოლაში გაუგზავნია თავისი ქალიშვილი ულიეც.

იმ დროს აჭარელი ქალის გაგზავნა სკოლაში წარმოუდგენელი მოვლენა იყო, ისიც „გიაურების“ სკოლაში.

აქედან ნათლად ჩანს, თუ რა დიდი პატივისცემითა და უზომო სიყვარულით სარგებლობდა დიდი ილია აჭარაში.

ილიას ვერაგულად მოკვლის სამწუხარო ამბავმა ალაშფოთა მთელი აჭარა. ამ მიმე მწუხარებასთან დაკავშირებით შემდეგ აბაშიძის მიერ გაგზავნილი დეკლარაციაში ვკითხულობთ: „ქართველი მაჰმადიანები, აღმშობლები, პუბლიცისტის და საზოგადო მოღვაწის, ილია ჭავჭავაძის საზარელი მკვლელობით, მონაწილენი არიან მთელი ქართველობის ეროვნული მწუხარებისა“.

ილია და აკაკი — ეს ორი გოლიათია, რომელთა ფიქრი და აზრი შუქს ჰყენდა მთელ საქართველოს და მის შესანიშნავ კუთხეს — აჭარას.


ჩვენ მუდამ გვჯეროდა და ღრმად გვჭამდა დედა-საქართველოსთან შედუღებული აჭარის დიდი მომავალი. ამიტომაც აჭარის პატრიოტული ძალები, ქართველი ხალხის მოწინავე შვილების ხელმძღვანელობით თავდადებით იბრძოდნენ ქართველი ხალხის ერთიანობისა და მისი მთლიანობისათვის.

1921 წლის თებერვალში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს, კვლავ ვერაგულად შემოეკისვინა აჭარას თურქეთის ჯარები, კვლავ ბეწვზე ეკიდა დედა-სამშო-

ბლო საქართველოსთან აჭარის დარჩენის საკითხი და თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში კვლავ დაიღვარა ქართველი ხალხის შვილთა სისხლი. დიდი ილიას ვარაუდი — „ნათუ ქართველი უკუ-დრეკება და თავს არ შესწინა რავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავს ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა“, აქაც გამართლდა და ქართველმა ხალხმა ამჯერადაც დიდი მსხვერპლი გაიღო აჭარის გადასარჩენად...

კაილარ აბაშიძე

წიგნიდან „წერილები“. 1963 წ. გამოცემილი „საბჭოთა საქართველო“



## ილია და მე-19 საუკუნის საინგილო

„მოიხსენიეთ წინამძღვარნი იგი თქუენნი, რომელნი გეტყოდეს თქუენ სიტყუათა მათ მეცნიერებისათა, და ხედვით აღსასრულსა მას ცხოვრებისა მათისასა და პაპქედით შრომასა მათსა /ვბრ. XIII. 7/

წმიდა წერილში დაუნჯებული ეს სიტყვები ჭეშმარიტად შეესაბამება საქართველოს ყველა კუთხის ჭირისუფალსა და გულშემატკივარს — ილია ჭავჭავაძეს, რომელიც პეტერბურგიდან საქართველოსკენ მომავალი წერდა: „როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე“... და შეეყარა სამშობლო დამძიმებული, სანუგეშებელი და საპატრონო... ამ დღიდან ილიას გონებას და კალამს ზრუნვა არ მოუკლია, როგორც ერთიანი საქართველოს, ისე მისი განაპირა კუთხეებისათვის.

გარემოებამ მოითხოვა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება, რომლის შესახებაც ილია წერდა: „თუ მართლა საზოგადოებამ და მისმა გამბედაობამ მთლად აღასრულეს ყოველივე, რაც კი წესდებულა ბაში არის მოხსენებული, იმედია რომ ჩვენი ხალხის წარმატება და განვითარება ბევრად წინ წაიდგამს ფეხს; გავრცელება სწავლა-განათლება სამშობლო ენაზე და მით მიეცემა ჩვენს ქვეყანას ის ყოველად უსაჭიროესი ნიადაგი, ურომლოდ საგარტომო და თვითმოქმედი ცხოვრება და წარმატება შეუძლებელია. გავა რამოდენიმე ხანი და მაცხოვარი სხივი განათლებისა მოჰყვანს ნათელს ყოველს კუთხეს ჩვენი ქვეყნისას...“

გამართლდა მისი სიტყვა. მაგალითისათვის საკმარისია იმდროინდელი საინგილოს გახსენება. უშუალოდ მისი და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ საინგილოში გაიხსნა ქართული სახალხო სკოლები.

თუ რაოდენ მოწონებდას და სიყვარულს იჩენდა დიდი ილია იმდროინდელ ინგილო მოღვაწეთა მიმართ, ჩანს მოსე და დიმიტრი ჯანაშვილების, აბელ ბაირამაშვილის, ივან-ბაბა ბულუაშვილის, ბართლომე ხუციშვილის, სოფიო კენჭოშვილი-ყულოშვილის და სხვათა მიმართ. ურთიერთობის ამსახველი ცოცხალი ფაქტებით. ყველა ესენი ქ.შ.წ.გ. საზოგადოების მუდმივი წევრები იყვნენ, ხოლო მოსე ჯანაშვილი ამ საზოგადოების მდივანი. დიდა მოსე და დიმიტრი ჯანაშვილების ღვაწლი მშობლიური საინგილოს და საერთოდ, საქართველოსადმი.



დიმიტრი ჯანაშვილი კარგად გრძობდა, რომ მშობლიურ

საინგილოს და მის ეკლესია-მონასტრებს სჭირდებოდა ქრისტიანობის ერთგული მქადაგებელი. მან 12 წელი იმოღვაწა საინგილოში. გახსნა ქართული სკოლები, ქართული წირვა-ლოცვა გააძლიერა, როგორც საინგილოს სოფლებში, ისე საუდოს ტერიტორიაზე სოფელ ვართაშენში. იქიდან კი წუთით არ მოუწყვეტია კავშირი აღნიშნულ საზოგადოებასა და მის ხელმძღვანელთან — ილია ჭავჭავაძესთან. დიმიტრი ჯანაშვილის ერთ აუწყრელი ღვაწლი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ იმდროინდელი დაღესტანისა და ელისუს სულთნებს, ისინი ყოველნაირად ავიწროებდნენ და დასდევდნენ მას მოსაკლავად. ყოველი ცოცხალი ფაქტის მომსწრე იყო ილია. სწორედ ილიასა და სერგეი მესხის რჩევით 1873 წელს იგი გადმოიღის თბილისში. აქ ილია დიდი მოწინავეთა ეპყრობა ნიჭიერ ისტორიკოსსა და საზოგადო მოღვაწეს და ხშირად უქვეყნებს მასალებს მის მიერ დაარსებულ ჟურნალ-გაზეთებში.


დ. ჯანაშვილს, როგორც ღვთისა და უფლის სიტყვის მქადაგებელს, მჭევრმეტყველსა და უანგარო მღვდელს, ქუთაისის სემინარიაში თავისთან იწვევს იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი. აქაც ისევ ილიას სურვილს ექვემდებარება იგი.

1873 წელს დ. ჯანაშვილის საინგილოდან გადმოსვლის შემდეგ, დიდ ილიას საინგილოში სამისიონერო მოღვაწეობის სურვილს ამცნობს ცნობილი საზოგადო მოღვაწე ივანე როსტომაშვილი. იგი ილიას თანხმობით მიემგზავრება საინგილოში და სხივანაუქრობელი იმედის შუქი შეაქვს იქაურ სოფლებში; აარსებს სკოლებს, ეხმარება უფროსი ასაკის ქართველობას წერა-კითხვის შესწავლაში. პარალელურად აგზავნის წერილებსა და კორესპონდენციებს ჟურნალ-გაზეთებში. კახის ქართული საშუალო სკოლის გარშემო დღესაც ამავე მემკვიდრეობით გაკრძალულად მის მიერ დარგული მსხლის, ცაცხვისა და კაკლის უზარმაზარი გულდადარა ხეები, დარაჯად დასდგომიან 129 წლის ასაკის ქართულ ძეგლ-სკოლას. რამდენი სიხარული, რამდენი ცრემლი ახსოვთ ამ ბებერ, საუკუნეზე მეტი ხნის ხეებს ამ უტყვე შემატკივართ სკოლისას...

ილიას მახვილ თვალსა და გულს არც ეს ღვაწლი გამოჰ-



ეს ხატები ილია ჭავჭავაძის ცხედარს მიართვა თბილისის სამ-  
ღვდელოებამ. დაცულია საქართველოს სსრ გ. ლეონიძის სახელო-  
ბის ლიტერატურის მუზეუმის ფონდში.



გონების ბნელი და სიღარიბე  
წყალს გავატანეთ, წყალთა მრავლობას,  
გახვრეტილ შუბლზე წყლულს რომ გვარიდებ  
და გვიფრთხილდები შთამომავლობას,  
ნუ შეგვიცოდებ, ახლოს გვაჩვენე,  
დაგვწვას, დაგვდავოს, ცეცხლი შეგვინთოს,  
დავემხოთ მის წინ, — რა შეგვაჩერებს...  
შემდეგ აჩრდილმან შენმან შეგვინდოს!

წიწამური. ჯვარი, რომელიც აღმართული იყო ილიას მკვლელობის ადგილას.

1. გვ. ყინწვისი. წმიდა ნიკოლოზის ტაძარი. მთავარანგელოსი გაბრიელი XII—XIII სს.
2. გვ. ქართული მინაწერი  
ფესო ქრისტე  
ლეთისმშობელი მარიაში

პარვია. იგი დიდად აფასებდა ი. როსტომაშვილის წმიდა-მამულიწველიურ საქციელს და მას სამართლიანად უწოდებდა „ჩვენი ფურცარს“.

თითო-ორიოლა, სანთელივით გამნათებელი არასოდეს მოპკლებია საინგილოს. დვთის მადლით, ივანე როსტომაშვილის შემდეგ აქაურ ხალხს, თუ შეიძლება ითქვას, „მფარველ ანგელოზად“ მოვედინა იმდროინდელი თბილისის მოწინავე ინტელიგენციის წრეში გაზრდილი 20 წლის ქართველი ქალი - სოფიო კენჭოშვილი. იგი იყო ცნობილი ინგილო მღვდელისა და მოღვაწის - მიხეილ ყულოშვილის რძალი, რომელიც ფარვანასავით დასტრიალებდა და ცოდნა-განათლებას არ იშურებდა იქაური ხალხისათვის.

სოფიო ახლოს იცნობდა იაკობ გოგებაშვილს, ეკატერინე გაბაშვილს, ილია ჭავჭავაძეს; ინგილო ბავშვების აღზრდის საკითხებზე მიმოწერაც ჰქონდა მათთან.

ერთხელ თბილისში ე. გაბაშვილს შეხვდა და ერთად ესტუმრნენ სახლში ილიას. სტუმრებს ოღლა გურამიშვილი შეგება, სიყვარულით გადაკიცხა ორივე.

- ილია ჯერ კიდევ მუშაობს. მთელი დამე გაათენა ... დაბრძანდით, დაისვენეთ. -უთხრა მოსულესს. მალე გამოვიდა ილია - დადლილი თვლებითა და სახით. როცა მოსულეები იცნო, გაიღიმა, მიესალმა და მიმართა სოფიოს:

- როგორ ჩამოდი ჩვენი ნებათთვის გარეშე, შენ ხომ გადასახლებული გვყავხარ იქ?

სოფიოს ეკატერინე მიეშველა:

- წელიწადში ერთხელ ნებადართულია ბატონო ილია. მი-თუმეტეს, თუ განსაკუთრებული საკითხი აქვს გადასაწყვეტი და ჩვენი ვუგვიანებთ.

- ალბათ ძალიან მძიმე პირობებია მუშაობისათვის, არა? - ჰკითხა ილიამ.

სოფიომ ენა ამოიღდა:

- ია-ვარდებით მოფენილი გზა, რა თქმა უნდა, არ დამხვედრია, ბატონო ილია. დამფრთხალ, აწიოკებულ, ნაწამებ ხალხს საკუთარი ლანდიც კი აშინებს. თუ ძველად მათ ბატონობა არ იცოდნენ, თუ ისინი აზატნი იყვნენ, როგორც სანაპირო ქვეყნის დამცველნი, დღეს მონებად არიან ქვეყლნი. ელისუს სულთნები და ბეგები სულს ხდიან მათ გადასახადებით... ხალხი ებრძვის ამ ბოროტებს, მათ ჰყავთ მოწინავე კაცები, მოთავეები, მაგრამ ეს წვეთია ზღვაში, ამ საქმეს მანამ არაფერი ეშველება, სანამ სათავეშივე არ ჩაიხშობა ბოროტება, სანამ თვითონ მთავრობა არ მიიღებს გადაწყვეტ ზომებს მის საწინააღმდეგოდ. ამის შესახებ წინათაც მქონდა თქვენთან საუბარი. ქალბატონ ეკატერინესაც გავაცანი ეს ამბავი. და ყოველივე ამის გამო გამიჭირდა გოგონების მოყვანა სკოლაში, მე ვცდილობ, აღვზარდო ისინი კარგ ცოლებად, კარგ დედებად და კარგ მეხელგარ-ჯილოებად...

ილია წამოდგა, ბოლთის ცემა დაიწყო ოთახში, სოფიოს

პირდაპირ დადგა, თვალებში შეხედა, და ნაწყენი კილოთი უთხრა:

- აი, აქამდე ყველაფერი კარგი იყო, მისასალმებელი, საამა-ყო, აქ კი ნება მიბოძეთ, ჩემო კარგო მასწავლებლო, შეგნიშნოთ, რომ თქვენ ცდებით... ახლა თქვენი მეცადინეობა უნდა მიაქციოთ იქითკენ, რომ ქალს გონება გაუხსნათ ჭეშმარიტი აზრებისათვის, აღუფრთოვანოთ გული კაცობრიულის, მოქალაქეობრივის ინტერესისათვის... ასეთი რწმენით გაზრდილი ადვილად გაიგებს მეუღლისა და დედის მოვალეობას... ამაშია შენი ამოცანა, შენი რაინდული და მისიონერული სულის დანიშნულება.

დიდხანს ლაპარაკობდა ილია ქალის როლის, ქალის დანიშნულების შესახებ მომავალ საზოგადოებაში. იგი ქუხდა, ბოროტობდა, იწოდა... ქალები ანთებული თვალებით შესცქეროდნენ მას... ბოლოს განუძღა, მობრუნდა და მოწყვეტით ჩაეშვა სავარ-ძელში.

რამდენიმე დღის შემდეგ ლაგოდეხ-კახის გზატკეცილზე, კაკლის ხეივანში ეტლი მიჰქროდა, რომელსაც დიდი ილიას მოწაფე - ზემოთ მოხსენიებული პატარა მანდილოსანი მიჰყავდა საინგილოში. მას ილიას დარიგების მიხედვით უნდა აღეზარდა ინგილო ახალგაზრდობა. ხალხმა მას სიყვარულით „სოფიო დედა“ უწოდა და სამარადისო სასუფვეელი მიუჩინა კახის წმიდა ნინოს კელესიის ეპოში.


საქართველოს უგვირგვინო მეფეს, ქართველი ერის მიერ წმიდანად აღიარებულს, ბევრი რამ აკავშირებდა საინგილოსთან. მოგვყავს დღემდე გამოუქვეყნებელი მასალა ინგილო მოხუცი კაცის მოგონებიდან: 1980 წლის მარტში, 124 წლის ჯუმა პაპამ მზერა წარსულში გადაიტანა და გაიხსენა, თუ როგორ ჩაიკრა გულში ილიამ მასთან მისული ინგილოები, როგორ გულდასმით გამოჰკითხა იქაური მოსახლეობის მდგომარეობა, სახალხო სკოლების გახსნის საკითხი ქრისტიანულ და მაჰმადიანურ სოფლებში... „ჩონ საუბარში ოღლამაც მიიღო მონაწილეობა“ - აგრძელებს მოხუცი.

... მითხრეს ჩამოვალთ, აუცილებლად ჩამოვალთ, ვნახავთ ჩვენს ლამაზ მიწაწყალს. ახლოს გავეცნობით ხალხის სურვილს და სატკივარს. ჩვენი სახსრებით გავხსნით სკოლებს კახის, ზაქათლისა და ბელაქის ოცდაათსავე ქართულ სოფელში. ... ვიცოდი, ილიამ ტყუილი რომ არ იცოდა. ვიცოდი, აუცილებლად ჩამოვიდოდა, მთელმა სოფელმა იცოდა ილიას ფასი და ელოდნენ იმედით... მაგრამ სულ ცოტა ხანში გავიგეთ ილიას მოულოდნელი სიკვდილის ამბავი... მახსოვს სოფლის ხალხის ცრემლიანი სახეები: „ილია აღარა, ილიაა მოჰკლეს!“...

ჩავედი ოღლასთან სამძიმარზე. ცოტა ინგილოური მიწაც წავიღე და მის საფლავს დავაბნე... ოღლამ მიცნო, გადამეხვია, ცრემლნარევი ხმით მომმართა: არ დაგვცალდა, ძმავო თქვენთან ჩამოსვლა... აღარა გვყავს ილია... მეც ამომიჯდა გული. ორივენი დიდხანს ვტიროდით.

**მართა ტარტარაშვილი.**





## მკისტოლარული

### მემკვიდრეობის

იმხანად, როცა სამოღვაწეო ასპარეზზე ილიას თაობა გამოვიდა, საქართველოში ერთ-ერთ თვალსაჩინო სასწავლო დაწესებულებას წარმოადგენდა თბილისის სასულიერო სემინარია, სადაც ქართველი ახალგაზრდობის მრავალი თაობა აღიზარდა. ილია, აკაკი, სერგეი მესხი, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი, გიორგი წერეთელი საჭიროებისდა მიხედვით, სტატიებს სშირად ბეჭდავდნენ სემინარიაში გამეფებული ცარისტული რეჟიმის წინააღმდეგ და მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის სწორი გზით წარმართვას მოითხოვდნენ. ამჯერად გვინდა მკითხველს შევთავაზოთ ილიას ერთი წერილი სემინარიის რექტორ სერაფიმესადმი, წერი-

ლი დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ილია ჭავჭავაძის ფონდი №120). წერილი დაწერილია რუსულად. მისი ქართული თარგმანი 1957 წელს, ჟურნალ „მნათობში“ (№10), სათანადო კომენტარით გამოაქვეყნა პროფესორმა შალვა გოზალიშვილმა. ჩვენც მანვე მოგვწავდა წერილის რუსული ტექსტი და ასევე არქივმანდრიტ სერაფიმეს წერილიც ილიასადმი. ხოლო რაც შეეხება რუსულ ტექსტს, იგი შალვა გოზალიშვილისავე კომენტარით გამოაქვეყნდა 1969 წელს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში «Литературные взаимосвязи», II.

Благодарю Бога и В. Л. В., что мне удалось в 97 г. узнать благородство вашего сердца и выяснить ваш истинный смысл и условия семинарских событий. Я всегда признавал великое значение печатного слова и по сему каждую минуту 93-97 гг. чувствовал, что властителем дум народа грузинского все-таки остаетесь Вы и что какие бы предписания не выходили из Синода и кабинета Его Величества, они не пройдут в жизнь грузинского народа, если на него не будет вашего согласия и сочувствия. И вам ни на одну минуту нет надобности сожалеть о подчинении вашей страны славянскому самодержцу, ибо властный и влиятельный сын вашего духовного писательского венца — этой истинной диадемы — гораздо могущественнее и глубже воздействует на сынов Иверии, чем бывшие властные распоряжения Вахтангов и Багратидов. Поэтому мне чрезвычайно отрадно было убедиться, что Вы достаточно честны и искренны для того, чтобы понять истинную точку зрения на взаимные отношения грузин и русских, как членов православной церкви.

Будем правдивы. Любовь, как отличительный знак последователей Христовых (Ион. X, УИ,35), представляет редкое явления во взаимных отношениях русских, но еще она встречается между последователями Христа, принадлежащими к разным национальностям. И последнее ничуть не менее грустно, чем первое. Ибо среди грузин, да и

### «МНОГО ВЛАСТЕЛИНОВ СПОРИЛО НА ЗЕМЛЕ «НО ТОТ, О КОТОРОМ НЕ ДУМАЛИ, НОСИЛ ВЕНЕЦ. КН. СИР(АХОВА)11,5.

всякого народа в силу еще не исследованных причин, встретиться и существует много таких хороших, благородных личностей, которые несравненно приятнее многих (худых) русских; между тем в силу сознательных или многих недоразумений и подозрений люди из русских не могут уже подать руку дружбы, даже лучшим представителям грузинского народа и таким образом создается препятствие в деле существования задачи Христовой имеющей в виду собрание во единое семейство избранных (лучшую часть из всех племен). Между тем, эта задача была бы осуществлена, если бы все вожди и пастыри грузинского народа серьезно и искренно поставили свою задачу достижение праведности и святости (и благочестия), развитие трудолюбия и бескорыстия, а не такую условную вещь, как расширение сферы гражданского употребления родного языка. По моему убеждению, этот предмет выдвигался для отвода глаз своих соплеменников от некрасивых дел своей частной жизни или для приобретения хoduлей за неимением истинных доблестей и заслуг в глазах современников. в доказательство я мог бы назвать вам несколько имен, которые по моему глубокому убеждению, именно

\* არქიმანდრიტი სერაფიმე (იაკობ მენერიაკოვი, დაბადებული 1861 წ.) თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორად დაინიშნა 1893 წელს. იგი ამ თანამდებობაზე 1898 წლის აგვისტომდე მუშაობდა; შემდეგ გადაუყვანიათ ოსტროვის ეპისკოპოსად („ივერია“ 1898, №№154,

167, 168, 170). მისი წერილი ილიასადმი დათარიღებულია 1898 წლის 22 ოქტომბრით და ასევე დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში, — ილიას ფონდში №448. წერილის თავზე ილიას მიერ ფანქრით მოწერილია: Волынская губ. город Кременец, Епископу Острожскому Серафиму.

вместо личного созидающего труда разъезжали только на этом коньке — языке. Весь вопрос о языке церковном сводится к тому, на каком языке должно идти преподавание богословия в семинариях Тиф. и Кут. и на каком языке совершать богослужение в 20-30, не более, городских приходах Экзархата со смешанным населением.

Первая часть вопроса совершенно утрачивает свое значение ввиду того, что воспитанники русских семинарий не много лучше тифлисских, несмотря на изучение богословия на родном языке, а в частности, например, иеромонах Дмитрий Абашидзе повыше сотен и тысячи воспитанников русских семинарий; а вторая часть вопроса раздута людьми худыми, ибо люди честные вроде Марка Ткемаладзе (настоятеля Квашветской церкви) всегда скажут, что в этих городских приходах служба совершается на обоих языках по мере надобности. А затем искренность сетований на смешание в языке выясняется на таких, например, фактах, как тот, что в прошлом учебном 97-98 г., несмотря на мои неоднократные предложения готовить проповеди на грузинском языке (хотя бы переведенные с русских проповедей), воспитанники V и VI классов не обноружили, ровности

лучшие из них вроде Аладова, (который был замешан в событиях 93 г. и прощен) не написали ни одной проповеди, а некоторые посредственные представили не больше 2 в течение года. Вот, что худо и досадно. Но среди них есть, например, такие, как Владимир Чихладзе, которые по красоте своей души мне дороже многих моих соплеменников.

Нет, счастье и радость Грузии вовсе не в вопросе о пределах употребления церковного и гражданского языка, а в искреннем служении Христу. Тогда, мы русские, способные преклониться перед добром независимо от национального различия, поклонимся и Вам, как и теперь кланяемся искренно лучшим сынам и представителям Иверии.

На сем кончаю в надежде, что повторение вещей важных не умалит их важности и не покажется скучным и напрасным.

Сердечно кланяюсь вашей супруге и Вам обоим молю у Господа всякой радости и успеха.

**ЕПИСКОП ОСТРОЖСКИЙ СЕРАФИМ  
ОКТ.22-ГО 1898Г.**

**ქვემოთხატული წერილია დაწერილია მთავარი ეპისკოპოსის მიერ,  
ეპისკოპოსის სერაფიმისაგან**

**ილიას ავტოგრაფი. 1898 წ.**

**(ხელნაწერთა ინსტიტუტი. ილიას ფონდი №432)**

«Тысячу раз прошу извинения за запоздалый ответ на Ваше любезное и наводящее на многое размышление письмо от 22-го октября (1878г.) Я дерзаю выставить Вам более или менее уважительные причины в замедление ответа, признавая себя перед Вами виноватым во всяком случае. Тут нет у меня оправдания, и всякие ссылки на те или другие обстоятельства напрасны. Мне остается лишь уповать на Ваше великодушное снисхождение и всепрощающую любовь. Но я желал бы уверить Вас, что это произошло не из равнодушия моего к счастливому для меня случаю побеседовать с Вами, как с одним из просвещенных пастырей, с коим мне довелось встретиться на своем веку к искреннему моему удовольствию.

Как ни лестно для меня Ваше мнение о моем значении среди грузин, но я позволю себе доложить Вам, что пьедестал, на который Вы меня возводите слишком высок и недостижим для моих слабых сил. Скромная роль моя, проявляющаяся в попытках моих быть чем нибудь полезным народу, обрешшему после стольких тревог, терзаний и опустошений, свое спокойствие и возможность мирного развития под сенью могущественнейшей державы в мире, далека от того высокого значения, каким обыкновенно поражается властное влияние на умы людей. Прошу верить мне, что это я говорю не из ложной какой-то скромности, а из глубокого убеждения в слабости моих сил и незначительности моих заслуг. Я бы благодарил бога за свою судьбу, если бы плоды моих трудов дали мне право утешиться сознанием исполненного долга пред моею родиною, которую чтю и люблю, но, увы, я далек и от этого.

Тем не менее я с истинным удовольствием иду на встречу Вашему благородному призыву, будучи вполне проникнут благотворною мыслью о необходимости указывать своим соплеменникам истинный путь их нравственного и религиозного преуспеяния на почве взаимобратских отношений русских и грузин, как членов православной Церкви. Здесь я позволю себе остановить на некоторое время Ваше благосклонное внимание на одном обстоятельстве, которое, по

моему мнению, с каждым днем все более и более препятствует упрочению этих отношений и мешает всякому доброму чувству завоевать себе возможно просторное место и распространяться в глубь и ширь в смысле благотворном как для русских, так и грузин, как равноправных членов единой православной Церкви. У грузин есть почва, на которой возникают и растут эти добрые чувства, ибо твердо верят, что Россия явилась их спасительницею и защитницею. То спокойствие, та возможность мирного совершенствования которая мы обрели под покровительством России, слишком большое приобретение, чтоб не дорожить им всеми силами нашей души и нашего сердца. Эта вера в великодушное и безкорыстное заступничество России крепко крепится в грузине и возникшее из этого чувство глубокой благодарности и представляет собою неизсякаемый родник, способный превратить ростки добрых чувств из России в роскошное древо жизни, осеняющее все своими раскинутыми ветвями. Но, к глубокому прискорбию нашему, к величайшему нашему несчастью, живительная влага этого родника леденеет под влиянием холодного дыхания неверно понятой идеи Обрусения усердствующими не по разуму чиновниками. Я это говорю в том понимании, что здешнее чиновничество эту идею усвоило в смысле пересоздания природы людей и превращения всякого инородца в русского по внешнему образу и подобию. Но разве это достижимо

Бог, сотворивший мир, вовсе не желал единообразия, чему доказательством служит все необъятное разнообразие созданного. Это разнообразие, не мешая единству мироздания в конечном своем итоге, составляет ту величайшую тайну бытия вселенной, в которой человек ищет и находит Бога.

Применять идею обрусения в смысле неверном здешним чиновничеством, не значит — ли идти против Божественного провидения, нашедшего необходимым населить мир разными племенами и народами не с целью, конечно разрушения общечеловеческого единства а в видах дости-

жения добра, красоты и этими усилиями каждого из них по мере его сил и способностей, дарованных творцом. В этих отдельных усилиях, направленных к слиянию в единой цели всех и вся, нет малого и великого в смысле количественном, всем доступны пути совершенствования, ибо по священному глаголу Евангелия все призываются на то, чтоб быть совершенным как отец наш небесный.

Маленький Еврейский народ дал миру спасителя и величайших учителей и проповедников христианства. маленькая древняя Греция и сейчас удивляет мир величием своих произведений ума и чувства. Я указывая на это, далек от тщеславной мысли, сделать какой-либо намек хотя бы на отдаленнейшее сближение грузина с этими высокоодаренными народностями, но раз пред богом все равны, не грешно уповать на всемогущество Его даже таким слабым существам, как грузины, в стремлении не зарывать того малого в землю, что дано ему провидением все же для приращения и развития.

По всему этому идея Обрусения, понятая в смысле пересоздания людей по одному и тому же образу и подобно, в существе своем антирелигиозна, ибо она в этом виде не что иное, как отрицание воли Божьей, проявившейся в создании разнообразных племен и народов для своих Божественных целей.

И в самом деле, ужели это разнообразие племен и народов есть ошибка правления и человеку суждено ее исправить? Или быть может существование разных племен и народов на земле признается явлением, происшедшим по игре случайностей, ничего общего не имеющих с Божественною волею? Но как тогда помирить такую мысль с учением Христа о том, что даже единый волос не уподает с головы человека без воли на то Бога, а тут пришлось бы допустить, что такие мировые по своей значительности явления, как существование разных племен и народов могло произойти помимо Творца вселенной? Конечно найдутся на свете люди, находящие излишним считаться с истинами Христианского учения, но это вовсе не к лицу и чадам православной веры, которая только потому и православна, что почитает и слово-словит Бога во всем том, на чем виден истинный перст Его, в чем проявилась Его святая воля. Нет православия вне учения, что все исходит от Бога и все возвращается к нему.

Превратно понятая идея обрусения и антигосударственна, ибо она порождает стремления к установлению внешнего единообразия, может опираться лишь на заподозривание в неблагонадежности всего того, что не носит на себя русского облика. Русской внешности, как будто ношение, например, бороды клином или лопатою может быть показателем того или другого отношения инородца к русской державе. оно способно лишь вести к взаимному раздражению, тем более губительному, что страдающей стороне остается лишь молчать из опасения быть обвиненным в противодействии, предначертаниям и чиновничеству, не любящего, по обыкновению своему, деяния свой выставить на свет божий, ибо кое-где и кое-в чем нашлось бы как говорится, по сучку и позадоринке. Такое узкое и грубое понимание идей Обрусения естественно сопровождается бессельными и ненужными мероприятиями, имеющими характер крупных и мелких уколов для народного самолюбия в лучшем и благородном смысле сего последнего слова. Как в частной жизни отдельного человека, так и в жизни народа, частые, хотя бы булавочные уколы больше раздражают, чем зияющая рана, нанесенная одним ударом копыя. А на раздражении строит мечты об объединении и слиянии двух народов, хотя бы единоверных, — Это все равно, что огнем тушить пожар. А потому я глубоко убежден, что избранный здешним чиновничеством путь обрусения края ведет к совершенно противоположным результатам и как таковой не может быть одобрен высшими и правительственными сферами, если бы этим сферам представить все происходящее здесь в его правдивом и действительном освещении.

Таковым же должен казаться этот путь истинным гражданам земли русской.

Вся эта неурядица, вся эта превратность понимания окружающего и с ним связанных государственных задач ведет к отчуждению управляемых от управляющих, ибо население не видит во всем этом повода и недоумевает откуда, из-за каких причин всем этом возникает, куда все это стремится, к чему и для кого все это нужно?

Неумение слышать грузина, часто нежелание читать в его душе и сердце, а еще чаще предвзятая мысль о каком-то сепаратизме, будто бы скрывающемся в грузине, вот те плевелы, которые заглушают все доброе на ниве, подготовленной историей и провидением для сближения двух единоверных народов во имя единения и любви.

Россия знает Грузию через чиновников, а чиновники через безграмотных и невежественных переводчиков и удивительно-ли после этого, что все у нас блуждает по тьме и тот, кому любо и наруку заставлять всех оглядываться подозрительно на все четыре стороны. Тьма на то и тьма, чтоб под ее покровом каждая малейшая шалость самого невиннейшего свойства, не говоря об единичных проступках и даже преступлениях (где их не бывает?) представлялась каким-то пугалом в смысле всеобщего задора и возводилась на степень происков сепаратизма, или даже заговора против существующего порядка.

Заподозривание в сепаратизме и неблагонадежности всех, кто нерусского происхождения, пущенное вход с легкой руки Каткова вслед за Польским восстанием 1863 года, менее всего имело причину и основание касаться несчастной Грузии, но тем не менее и укоренилось в ней, как какая-то зараза, занесенная извне. Конечно, нет, к счастью нашему, никакого основания в этом за подозривании винить великодушный русский народ, всегда жертвовавший безкорыстно жизнь и имущество своих сынов ради священной идеи заступничества за единоверных ему народов с целью не уничтожения, а сохранения их. Не дерзаю также допустить какую бы то ни было мысль, чтоб верховные вожди русского народа в основу своих предначертаний клали соображения из недоверия к грузинам, простекающие. Но факт заподозривания налицо, и естественно является Вопрос — Кто в этом виновен?

Простите за откровенность, ибо с Вами беседую как со своим духовным пастырем и считаю преступлением не поговорить с Вами от души и от всего сердца, уповая, что вы поймете меня как человека, стремящегося к миру и благополучию двух единоверных народов, встретившихся по воле провидения на одном и том же пути земного существования, а потому позволю себе сказать с глубоким убеждением справедливости своих слов, что предвзятая мысль о сепаратизме и неблагонадежности грузина чистейший вымысел воображения местного чиновничества, которому всего более удобно убеждать всякого, что оно сидит на вулкане, там где все ниже травы и тише воды, и тем показать миру, что служение его есть подвиг самоотвержения, а не обычная погоня за куском насущного хлеба. Иначе как объяснить себе этот всеобщий крик местного чиновничества о том, что оно одно только призвано держать высоко русское знамя в крае, где ради торжества этого знамени грузины костями ложились на полях битв в братском единении с русскими. К чему такие возгласы? Здесь, у нас, среди православного грузинского народа, верно подданническое чувство которого так легкомысленно оскорбляется незаслуженным недоверием? Какое основание к тому, чтобы Грузин исключается из числа призванных держать высоко русское знамя, которому он присягал и всегда оставался верен при всех превратностях судьбы?

Не оскорбительно-ли для народного чувства грузина такое пренебрежительное исключение его из числа верных охранителей русского знамени? Это не значит-ли глумиться не только над святым чувством благодарности Грузина по отношению к спасшей его России, но и над его долгом и присягой верности царю и отечеству? Вся гордость, все чувство народного достоинства грузина искало и ищет все свое содержание в мысли, что он такой же гражданин великого Русского государства, как и русский и вдруг ему говорят служители же этого государства: нет! ты раб, орус-

говорят служители же этого государства: нет! ты раб, опускающийся. к долу русского знамя и не призван держать его на подобающей высоте.

Я трепещу за будущее несчастного грузинского народа, которого так незаслуженно, так оскорбительно оттолкнувает от себя местное чиновничество, злоупотребляя именем русского человека, трепещу потому, что такой порядок вещей, такое отношение острым оскорблением пронизывает все внутреннее существо грузина и далеко-ли после этого до потери благоразумия, до бессмысленной и бессильной, не дай Бог, вспышки.

Смешно было бы до глупости выставлять эту вспышку в виде угрозы. Грузия пред всеильною Россиею? Это пигмей перед колоссом и вспышка её для России все равно, что легкий ветерок в океане, перышко перед ураганом. Но что станет с несчастным грузинским народом, который сотрется с лица земли, если Россия вопреки своему великодушному обыкновению, прибегнет к не заслуженной нами каре? И что тогда? Этот прекрасный край будет представлять собой лишь могилу, на которой не будет даже надписи, что в ней покоится когда-то существовавший грузин. Как видите, есть за что трепетать нам и потому понятна наша мольба с которою мы обращаемся каждому просвещенному, честному русскому: не вводите нас во искушение, не озлобляйте, не оскорбляйте. Уверю Вас, что именно этою трогательною мольбою исчерпывается все стремление и помиление Грузина. Но сытый, как говорится, не разумеет голодного, и местное чиновничество не разумеет нас, принимая нашу мольбу за протест а раз протест есть, значит есть и почва, на которой могут быть выведены всякого рода узоры сепаратизма и неблагонадежности. За все, за все благодари или молчи, — Это может требовать лишь грубый властитель от раба, а не равноправный гражданин от гражданина, связанных между собою чувством единения и единодушия на пользу общую.

Теми или другими мероприятиями заставляя нас чувствовать и сознать себя в положении каких-то париев, которым остается лишь или за все благодарить или молчать. Для отчуждения от себя создается неравенство перед законом, неравноправность гражданская и общежитийская, все это, согласитесь сами, далеко не та почва, на которой может расти взаимная любовь. Не вдаваясь в область нравственных требований человека, в основе жизни которого должна лежать любовь, эта последняя имеет для нас, грузин, огромное значение и в практическом смысле. Потому-то она, эта взаимная любовь, нам нужнее, чем русским, ибо в ней единственный залог нашего благодетельства, нашего спасения. Для великой-же, необъятной России вопрос, — о любви к ней грузина может быть лишь предметом благородных забот нравственного порядка и не имеет никакого практического значения, ибо Россия слишком сильна и могущественна сама по себе, чтоб искать себе опору в сочувствии какого-то маленького народца. Повторяю, для нас Грузин любовь эта связана с вопросом быть или не быть нам. Не естественно ли, что такое положение вещей выработало в нас повышенную впечатлительность ко всему тому, что хотя-бы малейшим образом имеет соприкосновение с развитием этого благородного чувства, как /в смысле/ задерживающем, так поощряющем.

Понятна после этого, почему мы так чувствительны по всем мероприятиям, так или иначе отражающимся на росте и развитии взаимной любви, понятно почему мы /ревнивец/ пытаемся охранять все пути, ведущие к ней, и более всего тревожимся и смущаемся, когда те или другие отношения управляющих к управляемым то мешают идти вперед по этому пути, то обращают нас /вселять/ как бы обрекая нас на сизифову работу. Ко всему этому нас власть побуждает естественное чувство самосохранения, которое должно быть уважаемо и почитаемо всем, кто в образе человека признает подобие Божье и кто просветился до истинного


понимания человеческого достоинства и простирающегося отсюда человеческих прав на беззастенное и неприкосновенное существование. Чувством самосохранения одарены создателем и звери, и ужели в нем может быть отказано человеку.

Не место и не время, конечно перечислять здесь все те мероприятия, которые при поверхностном даже взгляде заключают в себе скорее элементы разъединения чем объединения Грузин с Русскими, но тем не менее для ясного уразумения существующего в этом отношении порядка вещей, я позволяю себе указать на некоторые факты:

В явное нарушение равенства пред законом не в пользу, конечно, нас, грузин, создан закон, в силу которого за одно и тоже преступление Грузин предается военному суду, уполномоченному приговаривать виновных к смертной казни, русский судится судом гражданского ведомства, действующим на основании уложения о наказаниях, в коем смертная казнь, как кровавая расправа исключена из числа наказаний к чести и славе русского законодательства. За что и в силу каких соображений такое обособление, такое отделение от себя грузина, такое исключение его из числа равноправных граждан Русской земли? К чему и для какой пользы навязывать Грузину мысль, что он не русский гражданин, и что закон по отношению к русским является заботливою всё же матерью, а по отношению грузин злобствующею и кровожадною мачехою. Я указываю на это вопиющее неравенство пред законом не из желания, конечно, снизить закон на степень кровавой расправы по отношению ко всем, а с целью одинокового ко всем применения того гуманного начала, во имя которого человечеством, осудила смертная казнь на исключение из числа наказаний и которое должно быть признаваемо лучшим приобретением человеческого прогресса в сфере нравственного совершенствования людских отношений.

Это неравенство перед законом, это отступление от гуманитарного начала по отношению к грузинам-дело рук местного чиновничества. А не есть ли все это прямое указание на то, что жизнь одной категории граждан ценится дороже, чем другой в одном и том же государстве. Может ли на токой почве рости и развиваться чувство единения и любви, которое составляет предмет Ваших благородных стремлений, как и моих искренних пожеланий. Как перед Богом, так и перед законом все должны быть равны. Это равенство и есть единственная прочная и верная основа жизни благоустроенного государства и следовательно грешащие в этом действуют в ущерб государственным интересам, ибо в самом начале калечат и парализуют все, ведущее к слиянию и единению. В этом же направлении стремятся разрешить у нас и вопрос переселенческий, который в последнее время стал злобною дня и предметом всевозможных толков. В крае, где на крестьянскую душу едва приходится два-три десятины земли, ибо это может доказать статистическими цифрами, задумывают расселение. Я мог бы указать и на некоторые другие мероприятия того же характера, которые способны растлевающим образом действовать на это чувство, но разрушительной их силе противостанет трогательная и благоразумная покорность Грузина, укрепляющая его твердою верою, что все это лишь плод временного переходящего... недоразумения и неведения, которые не сегодня, так завтра рассеются просвещенными усилиями истинно русских людей, проникнутых убеждением, что лучшим объединяющим началом всех разнородных частей великой империи может служить не страх и насилие, а любовь и сострадание.

.....  
нет конца



ჭავჭავაძიანო საგვარეულო ჯვარი (ყვარელი)

## ს უ ლ ო მ ა ლ ა ლ ო

როცა წიწამურის გზაზე ილია ჭავჭავაძეს ტყვია ესროლეს, მოეღკატნა ერთიან ერთად გლოვობდა ქართული ეკლესია... საგურამოდან ხელით წამოიღეს მისი ძვირფასი ცხედარი და დაასვენეს ჯერ ქვაშეთში, შემდეგ სიონში. არსებობს სიტყვები, რომლითაც ქართული ეკლესიის მოღვაწენი გამოეთხოვნენ ქრისტეს მცნების დაუღალავ ჯადაგსა და თავისუფლების წინა-სწარმეტყველს... მათი ძირითადი ნაწილი გამოქვეყნებულია კრებულში „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა და დასაფლავება“. ვბუკდავთ რამდენიმეს.

### ს ი თ ყ ვ ა

## ილიას გარდაცვალების გამომავალი შედეგების ტაძარში 1 სექტემბერს

მოიხსენიეთ **წინამძღვარი ივანე**  
**თაყაიშვილი... და ბაქმუცილი სარწმუნოებასა მათსა** /მზრ. 13.7/.

გვამცნობს მოციქული პავლე და ჩვენც, აღმსრულებელნი ამ მცნებისა, შეგვკრებლვართ დღეს ილიას სულის მოსახსენებლად. წინადაც მრავალჯერ შეგვკრებლვართ ამ ტაძარში, ამა თუ იმ პატივცემულის პირის სულის მოსახსენებლად, მაგრამ ასეთი მწუხარება ვერ შეგვიმჩნევია: დღეს, დიდს თუ პატარას, ქალსა თუ ვაჟს, განუსახდვრელის მწუხარების ნიშანი აღუქვია სახეზედ. დღეს თითქმის ყველას დავიწყებია საკუთარი ჭირი და ვარაძი, და ყველა ილიას დაკარგვას გლოვობს: ილია აღარ გვყავს, ილია მოგვიკლესო, გვესმის ყოველმხრივ...

ამ მოვლენის მიზეზი ცხადია: ყველა ქართველს ილია მიგვაჩნდა არა თუ მარტო დიდებულ მწერლად, ანუ ფასდაუდებელ მგოსნად, გინა თუ გამოჩენილ და სასიკეთოდ საზოგადო მოღვაწედ, არამედ, და უმთავრესად, გზის მანქანებლად, ანუ, სიტყვისაგან საღრმისო წერილისა, — წ ი ა მ ძ ე რ ა დ. ჭეშმარიტად „ჭმუნვასა და სიხარულში იგი იყო ჩვენი ნუგეშის „შთამაგონებელი“ და შევების მომცემი, ხოლო „ფიქრის, საქმის, შრომის დროსა“ ხომ იმას ბადალიც არა ჰყავდა: მისი რჩევა და ღარიბება უსასოდ ქმნილს იმედს ჩაუნერგავდა გულში და ბედისაგან განლაღებულს განსაცდელისა და საფრთხისაგან დაიხსნიდა...

მაგრამ დღეს ილია აღარა გვყავს, ილია მოგვიკლეს, ილია მოგვაშორეს და მოგვაშორეს სწორედ მაშინ, როცა მისი ქველობა და გამოცდილება ფრიად საჭირო იყო იმ მამულისათვის, რომლის აყვავება-აღორძინებაზედ იგი ოცნებობდა სიყრმით-

და ამ მოხუცებულობამდე, მოგვაშორეს უეცრად და მოულოდნელად.

რა დაგვშთენია დაობლებულთ? ნუთუ მარტო ტირილი და გოდება, სულთქმა და წუხილი? არა! მართალია ილია მოგვიკლეს, ილია მოგვტაცეს, მაგრამ მოკლეს ილიას ხორცი და არა სული. „კაცია-ადამიანის“, „გლახის ნაამბობის“, „ანრდილის“, „დიმიტრი თავდადებულის“ და მრავალ სხვათა შემქმნელი ვერ მოკვდება ქარველთა ერის ხსოვნაში; ქართველთა ერი ვერ დაივიწყებს მას, ვინც მუხლმოდრეკილი და ღმობიერად კვედრებოდა მამახეციურს:

**„მურს განმინათლდეს ცით ჩემი სული,  
შენგან მამცნების სიხარულით ამერთოს გული;**

ვერ მოკვდება ჩვენს გონება-მეხსიერებაში ის, ვინც

**„წმინდა სიტყვას უშიშრად მოჰყუნდა ხალხში“,**

მუდამ დაუვიწყარი იქნება ის, ვინც მოზარდ თაობის აღმზრდელს დაჟინებით უქადაგებდა:

**„საზრდოდ ხმარობდ ქრისტესა მცნებას,  
შთაგონებდ კაცთა სიყვარულს,  
მშობას, ერთობას, თავისუფლებას,  
რომ სიკეთისთვის გული უერთოდეს  
და მომავლისთვის შედთანა ბრძოლდეს;“**

საუკუნოდ სახსენებელი იქნება ის, ვინც გამუდმებით გვიკარნახებდა:

„ვაჟაკ იგია, ვინც მართალს  
 ეტყვის ქვეყანას მცდომსაო,  
 ვინც არ შეუდრკა მრავალსა,  
 ხშირათ მართლისთვის მწეროსაო,  
 ვინც კრავს უმანკოს კერძალვის  
 და პირში უდგა ლომსაო;“  
 სამარადისოდ უკვდავი იქნება ხსოვნა მისი, ვისაც  
 „ერის წყლული ანდა წელულად,  
 ეწოდა მის ტანჯვით სული,  
 მის ბედით თუ უბედობით  
 დადავია მტკიცე გული“...

ჩვენი ვალია, ილიას ნათქვამ – ნაანდერძევი საქმედ ვაქ-  
 ციით, სარგებლობა მოუტანოთ, ვინაითგან სარწმუნოება თვი-

ნიერ საქმეთასა მკვდარ არს /იაკობ.2.20/. ანუ, როგორც თვით  
 ილია ამბობს:

„ცხოვრებას აცისკროვნებს სული საქმით მტკველი“...

ხოლო ამ შავსა და უბედურ დღეს კი ვინუგეშოთ თავი მით,  
 რომ:

„არ არის მკვდარი, ვინც მოკვდეს,  
 და ხალხს შესწიროს დღენია,  
 მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ სახელი  
 არ დარჩენია...“  
 ამინ!

დჰკანოზი კალისტრატე ცინცაძე

## ს ი ტ შ მ ა თქმული ილიას კუროს შესვენებაზე სიონის ტაძარში

ზღვასავით ღრმა ილიას გულმა ორმოცდა ათი წელიწადი  
 განუწყვეტლად აფრქვია თავის სამშობლოს ნიდაგზე ცხოველი  
 სიყვარულის საღმრთო ცეცხლი, ორმოცდა ათი წლის განმავ-  
 ლობაში ილიას მირონცხებულ ენას არ მოუსვენია ქართველი  
 ერისადმი მხურვალე ფერად-ფერადი ძვირფასი გვირგვინების  
 თხზვა-ქარგვისაგან, ორმოც და ათი წელიწადი ამისი დალო-  
 ცვილი მარჯვენა უხვად მსთესდა ყოველი ქართველის გულში  
 კაცთა გატანისა, სიბრალულისა და სიყვარულის საკუთარი  
 თითით გარჩეულს, ხალხ და მამდარ თესლს!

დღეს მოულოდნელად წაგვართვეს ეს საუნჯე! დაუძინე-  
 ბელმა მტერმა დაგვიხსო ზღვა ეროვნული თვით ცნობისა!  
 ვერაგმა არსებამ ჩაგვიქრო მამულიშვილობის განადგობელი  
 საღმრთო კერა! ბოროტმა სულმა დაგვიმტვრია მტკიცე ბედელი  
 ჩვენი სულიერი სიმდიდრისა! მოგვიკლეს ილია და მწარე  
 მწუხარების ალში გახვეულგმა აღარ ვიცით, საით გადავვარ-  
 დეთ, რა მთას ვეცეთ, რა გზით მივავნოთ ამ ჩვენი გულის გამპო-  
 ბელს და როგორ გაუსწოროთ მას ანგარიშები!

ამბობენ ქვეყანაზე მოიპოვება მეტად იშვიათი და ძვირფასი  
 ლითონი, სახელად რადი, რომელსაც ისეთი თვისების სინათლე  
 აქვს, რომ მისი სხივები თავისუფლად ატანენ ყოველგვარ  
 ფარდას, კედელს და სახურავს გარეთო. ამ კეთილშობილი  
 ლითონის თვისებისაა სწორედ ჩვენი ილიაც. ამ შავი და ბნელი  
 კუბოლამაც ნათლად გამოსჭვივის ილიას მაღალი სული, ამ  
 კუბოლამაც ყველას გვარწმუნებს: რომ გავცოცხლდებოდე,  
 ჩემი სათხოვარი და სავედრებელი ღმერთთან ეს იქნებოდა:

„მწყურს მე განმინათლდეს ცით ჩემი სული,  
 შენგან მამცნების სიყვარულით აღმენთოს გული,  
 რომ მტერთათვისცა, რომელთ თუნდა გულს  
 ლახვარი მკრან

გთხოვდე: „შეუნდე, არ-იცინან ღმერთო, რას იქმან!“

მაშ ამაოა ეს ზომა გარეშე ჩვენი შეზრზინება, უსარგებლოა  
 ეს აწინდელი ჩვენი გულმოსულობა, ილიას დიდებული სულის  
 შეურაცხება იქნება მისი მკვლევლობისაგან ჩვენის მხრით რაიმე  
 ანგარიშების მოთხოვნა.

უცხო ყოველი მტრობა და შურისძიებისაგან, ილია გვთხოვს  
 გონება მოკრებით ჩაიხიედოთ ყველამ თავთავის გულში და  
 ყურადღებით გამოვიკვლიოთ ჩვენც ხომ არ გვიდევს წილი მის  
 მკვლევლობაში? ჩვენ ხომ არ შეგვიქმნია მისი სიცოცხლის მოს-

პობა-დაბადების ხელშესაწყობი პირობები, ვინაიდაც ცხობი-  
 ლია, რომ მებენარის მომრავლება პირდაპირ შედეგია ჭუჭყისა  
 და უფაქიზობისა?

ჩვენ რომ ილია თავის დროზე გვეცნო, ჩვენ რომ ილიას  
 ნამცნები მოძღვრება ურთ-ერთის სიბრალულ-სიყვარულისა  
 სამშობლოსათვის თავდადებისა და ქართველი ერის განვითა-  
 რებისა შშობელი დედის რძესთან ერთად გვექცია ჩვენი არსე-  
 ბობის სისხლად და ხორცად, მაშინ არც დღევანდელი მარცხი  
 შეგვენთხვეოდა. მაგრამ დამნაშავე ვართ ყველანი დიდიდან პა-  
 ტარამდე შენ წინაშე, სულ მალალო! არც კაცი და არც ქალი,  
 არც სწავლული და არც უმეცარი, არც დიდი და არც პატარა არ  
 გაფასებდით დირსეულად, არ გესარჩლებოდით თავდადებულად  
 და სწორედ ამან გახადა შესაძლოთ შენი ძვირფასი სიცოცხლის  
 მოსპობა ვერაგი სულისაგან.

შენთვის ისიც დიდი დასახარელი და საწუგეშო იქნება, რომ  
 ეხლა მაინც შევიგნოთ ჩვენი მძიმე დანაშაული, ეხლა მაინც  
 მივხვდეთ შენი მაღალი მოძღვრების მნიშვნელობას, ეხლა  
 მაინც გავიხადოთ იგი ჩვენი მოქალაქეობრივი არსებობის  
 მტკიცე კანონად.

გლოვით შეპყრობილნი, საყვარელო თანამემამულენო! კა-  
 ვკასიონის ქედის მწვერვალზე მცხოვრებ ჩვენ ძმებს — სვანებს  
 ჩვეულებად აქვთ: თუ ვისმეს მათგანს უცაბედად კაცი შემო-  
 აკვდა, ნიშნად გულითადი სინანულისა, გვერდზე იკიდებს მძი-  
 მე ლოდს. ჩამოვიკიდოთ ჩვენც დღეიდან მკვდრზე ლოდი სინა-  
 ნულისა ამ ბრწყინვალე ცხედრის წინაშე, ჩვენი პირადი ნებით  
 თუ უნებლიეთ დანაშაულისა და მივცეთ ჩვენს დიდებულ მიცვა-  
 ლებულს უტყუარი აღთქმა, რომ არ ჩამოვიხსნით ამ ტვირთს,  
 ვიდრე ჩვენც და ჩვენი შვილებიც არ შევითვისებთ სავსებით  
 მისგან ანდერძად დატოვებულ მაღალ მოძღვრებას.

მშვიდობით, დაულალო დარაჯო, უბადლო მოძღვარო, თი-  
 თით საჩვენებლო, ჩვენო მაღალო ჭირისუფალო, დაუვიწყარო  
 ილიავ! უკანასკნელათ ვეამბორებით შენს გაცეხულ გვამს და  
 გაძლევთ სიტყვას, რომ ხატად გვესვენება გულში კაცთა სიყვარ-  
 ულის შარავანდელით მოსილი შენი მაღალი გონების ცხადდ  
 გამომეტყველი პირის სახე. ამინ!

ქ ა ვ ი ს კ ო პ ო ს ი ლ ე ი ო ნ ი დ ი

ს ი ტ ვ ა  
წარმოთქმული სიონის ტაძარში  
პანაშვიდის წინ მე-2 საათზე

კვანდირდები და ვბედავ მეც ამ დიდებულ ცხედრის წინაშე ვსიტყვა ორიოდ სიტყვა.

დღეს მთელი საქართველო დასტირის დიდებული მამულის შვილის ცხედარს. დღეს საქართველომ დაპყარვა უდიდესი მგოსანი, საუცხოო და თავდადებული საზოგადო მოღვაწე, სიამაყე ლიტერატურისა. არა გვევს ილია გრიგოლის მე ჭავჭავაძე, — მოჭირნახულ თვის ერისა. ის მოიკლა ბარბაროსების ბინძურის ხელით.

მაგრამ მოკვლა კი დიდებული ილია? «იქმენ მორწმუნე ვიდრე სიკვდილამდე და მოგცე შენ გვირგვინი ცხოვრებისა» (გამოცხ. 2,10) გვიბრძანებს ჩვენ უფალი მოციქული იოანე ღვთის მტკველის პირით და ამით გვისახავს იმას, თუ რა ნაირი უნდა ვიყოთ ჩვენ ამ ქვეყნად, რომ დავიმკვიდროთ საუკუნო გვირგვინი, — გვირგვინი უკვდავებისა. ნეტარია ის, ვინც ამ ქვეყნად პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას, სწამს და თავგანწირულად ემსახურება სიმათლეს, ამას ისახავს მოქმედებად — მოღვაწეობის საფუძვლად; «პატრიოსხნად არს წინაშე უფლისა სიკვდილი» ამნაირის კაცისა (ფსალ. 115,6) ის უკვდავია მისი ნამოქმედარით, მისი ხსოვნა უკუნისამდე დარჩება მადლიერ ერში. ამისთანა კაცი სიკვდილის შემდეგაც თვისის ნამოქმედარ — ნაღწით მასწავლებელი და დამოტივებელია, რადგან, მოციქულის თქმით, ის სიკვდილის შემდეგაც მტკველებს (ებრ. 11,4)

მაშასადამე არ მომკვდარა ილიაც; ის ცოცხალია. ის მხოლოდ გარდაიცვალა სიკვდილისაგან ცხოვრებად. თუმცა დასდუმდნენ მტკვერმტკველებით განთქმული ბავები, მაგრამ საქმენი მისნი მტკვერმტკველურადვე დადადებენ და იდადადებენ. ის თვისი ნაშრომ-ნაღწით უკვდავად დარჩება, სანამ ქართველი ერი იარსებებს. მეტიც: ქართველი ერიც რომ გადაგვარდეს, განადგურდეს უკუღმართ დრო გარემოებათა გამო, მაშინაც არ იქნება დაკარგული დიდებულ მგოსან-მოღვაწის ხსოვნა, ვინაითგან ამ დიდებული საქართველოს შვილის ნაწარმოები კვუთვნის არა მარტო ქართველ ერს, არამედ მთელ კაცობრიობას, რომლის ნაწილსაც შეადგენს ქართველობა.

განსვენებული დიდებულა თვისი მრავალმხრივი მოღვაწეობით სამშობლოს საკეთილდღეოდ. მისი ღვაწლის სიდიადე არის მიზეზი, რომ ასე მწარეთ დასტირის მას მთელი საქართველო. მაგრამ, ქართველნი, არა დაუვიწყარი ილიაა საგლოვო — სატირალი, არამედ ბედისაგან განწირული ჩვენი სამშობლო, — მისი დამკარგველი. განა არა კმაროდა, რაც უკუღმართ დრო — ვითარებამ უბედურება დაგვატეხა თავზე, რომ ჩვენ თვითონ აუწერელი უბედურება არ მიგვემატებია?! მაგრამ დასაჯერებელი კია, ეს უმაგალითო ბარბაროსული მკვლელობა ჩაღინოს საქართველოს შვილს, იმ საქართველოსას, რომლის

თავგანწირულად სამსახურში გაატარა განსვენებულმა მთელი ორმოც და ათი წელიწადი.

თუკი ეს ბრალი დაელო ქართველობას, მაშინ ჭეშმარიტად ჩვენი გახრწნილება, ზნეობრივად დაცემა, ველურობა, უკუღმართობა იქნება სატირალი. ამას უნდა ღრმად ჩაუფიქრდეთ. თუ გვინდა დავრჩეთ ქართველ ერად. — განსვენებული კი ნეტარია. მან კეთილად განვლო გზა «კვლი», მისი ნავალი წარუშლელია, კვლიანი გზა გააფუღია. ის უკანასკნელ წუთამდის ერთგულად ემსახურებოდა იმ იდელებს, რომლებიც მან ამ ნახევარი საუკუნის წინად აირჩია ქართველი ერის საკეთილდღეოდ; ერთის ნაბიჯითაც არ გადაუხვევია, არ უდაღატონია მათთვის და ამისთვის, მოციქულის თქმისაებრ, მზა არს მისთვის «გვირგვინი ცხოვრებისა» (გამოცხ. 2,10), გვირგვინი უკვდავებისა.

დიდებულ გვაძოთ გარდაცვალებასაც კი აქვს ჩვენთვის რაიმე მნიშვნელობა, იხიც უთუოდ რამეს გვაწვდის.

მივიჩინოთ ეს ბარბაროსთაგან დაღვრილი სისხლი ჩვენს ეროვნულ ცოდვათა განსაწმენად, უკუღმართ გზიდან მოსაქცევად, მთლად საქართველოს შვილთა შესაერთებლად, განსამტკიცებლად.

შეფიცოთ ამ წინამდებარე ცხედარს, რომ ვიქნებით ნამდვილი აღმასრულებელი იმ მცნებისა, რომელიც განსვენებულმა თვისის მოღვაწეობით გვიანდერმა ჩვენ.

თუ ჩვენ გვექნება ერთობა ეროვნულ იდეალების მსახურებაში, მაშინ უეჭველია ჩვენი სამშობლო მხარე შეიძლებს კიდევ წარმოშოს აღიასებრი დიდებული მოღვაწენი და მაშინ საბოლოოდ განიხარებს განსვენებულის დიდებული უკვდავი სული. იყოს უკანასკნელი მსხვერპლი, სამშობლოს საკეთილდღეოდ და ჩვენთა ეროვნულ ცოდვათა სახსრად შეწირული ეროვნულ ტრაპეზზე. სილიადე ამ მსხვერპლისა თავდებია, რომ მომავალში ჩვენი უკუღმართობა, ჩვენი შეუგნებლობა მოსპობილ იქნება და ერთობილის ძალით შევუდგებით პირნათლად სამსახურს სამშობლო მხარის აღორძინებისას. თუ ამნაირი ღვაწლი დაგვდო ჩვენ ამ მსხვერპლის სისხლმა, თუ ჩვენ შეგვაერთა მამული-სათვის თავდადებით სამსახურში, — ეს იქნება უკანასკნელი ჭეშმარიტად დიადი ღვაწლი დიდებულის ილიასი — მისი ზანგრძლივი შრომის სასურველი ნაყოფი და გვირგვინი. ჩვენის მხრითაც ეს იქნება ნამდვილი ვალის მოხდა, მისი ანდერძის აღსრულება და თან საუკეთესო პატივისცემაც განსვენებულის ხსოვნისა. დემრთმან მოგვეცეს ამის შეძლება.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, მამულისათვის თავდადებულ, დიდებულ მგოსანო, ილიავ!

არქიმანდრიტი აბბროსი (ხალაია)



## ს ტ ი რ ო ლ ე თ

(ებრაული მელოდია)

ებრაელთა ერისადმი ღრმა თანაგრძნობა იხმის ამ ლექსში. შემთხვევით არ უთარგმნია იგი ილიას. დიდი ჰუმანიზტი, როცა თავისი ერის გადარჩენისა და მისი ადამიანური უფლებების აღდგენისათვის იღვწოდა, არც სხვა ხალხებს ივიწყებდა. იგი ქომაგად ედგა, როგორც საქართველოს, ასევე საერთოდ, კავკასიის მიწაზე მცხოვრებ ეროვნებებს და ცხადია, ქართველ ებრაელებს.

რედაქცია ამ საკითხზე ამზადებს საგანგებო წერილს — ილია და ქართველი ებრაელობა, რომელიც მომდევნო ნომერში დაიბეჭდება. ამჯერად კი შეითხველს ვთავაზობთ ჯორჯ ბაირონის ლექსის ილიასეულ თარგმანს.

ოხ, სტიროდეთ მათ, ვინცა სტირიან  
მდინარეებზედ ბაბილონისა,  
მათ, ვისიც ტაძარნი ნანგრევ არიან...  
ვისიც მამული სამშობლოისა  
არარა არს რა, გარდა სიზმრისა!  
სტიროდეთ მსხვრეულს იუდას ჩანგსა!  
სტიროდეთ, სადაც ღმერთი იმ მტირალთ  
იმყოფებოდა, აწ, იმ ალაგსა  
არიან — ვისაც ღმერთი არა ჰყავთ,  
რომელ წყაროში ღიდ ისრაილი  
დაიბანს თვის ფეხს აღსისხლებულთა?  
რომ იგალობებს კვლავცა სიონი  
ღრმა სიტკბოებით ხმით აღვსებულთა?  
ან მელოდია როს კვლავ იუდის  
გამოაცოცხლებს ისევ იმ გულთა,  
რომელნიც სძვერდნენ მის ციურ ხმისთვის?  
ტომო, ფეხითა — სვლით მოწყლულითა,  
ტომო, გულითა დაღალულითა,  
ვით აღფრინდები სამშვიდო ადგილს?  
მელას აქვს ხერელი, დათვს ბუდე — ჩიტს,  
კაცსა — სამშობლო, და ისრაილსა —  
არარა, გარდა თვის საფლავისა!

## ს ი ტ მ ვ ა

### თქმული 7 ენკენისთვეს, ილიას ქალაქში შეამოსვენების დროს

ქართველ ერის დიდებულ წინასწარმეტყველო, ქართველ ერის „ვარსკვლავთ“ მრიცხველო, ქრისტეს მცნების დაუღალაო ქადაგო, ჩვენო ტკბილ-მწარე „ნანიანათი“ აღმზრდელი, ჩვენო „თავისუფლების“ წინამორბედო ილია!

ეს, რა ზარ-ზეიმით გეგებება „მარად და ყველგან შენი საქართველო“?! — იქნებ, ორმოც-და ათი წლის სწორუბოვარ უმწიკვლო მოღვაწეობისათვის დაფნის გვირგვინით სურს შეამკოს, შენი ჩვენთვის სათაყვანებელი თავი?! — არა, — ეს ჩვენ ვერ მოვახერხეთ... ჩვენ მხოლოდ უსულოდ ქმნილ შენს ნაშთებს გვაგებებენ, — ეს მოვაგვარეთ...

მაგრამ, უკვდავების შეილო, მცდარია ის აზრი, ვითომც ილია მკვდარი იყოს! არ ვის ძალუქს იმის მოკვლა, იმის მოსპობა, ვისაც ქართველი ერი ნახევარ საუკუნის განმავლობაში თვითცნობიერებაში მოჰყავდა! არავის ძალუქს იმისი მაღლის დამხობა, რომელმაც საქართველო ევროპის ცივილიზაცია-აზროვნობის ფერხულში ჩააბა! არ შეიძლება იმისი აღვვა

პირისაგან ქვეყნისა, რომელიც ქართველ ერის სულსა და გულში ოქრო-მკერდით ჩაქსოვილ-მოქარგულია!

მაშ, ჰოი, უგუნურებავ, რომელმაც აღმართე ბოროტი მკლავი ქართველი ერის სათაყვანებელ არსებაზე!!.. უგუნურებავ, რომელმაც მხოლოდ განიზრახე ჩვენი ილიას მოსპობა! უგუნურებავ! შენ შემოგძახის ქართველი ერი და მასთან მისი მშობელი ივერიის ეკლესია, — ილია „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს...“

ივერიის ეკლესიის დიდებულო, ჭეშმარიტო-ღვიძლო შვილო, მუხლს იდრეკს შენს მოწამებრივ ნაშთთა წინაშე ქართველი სამღვდლოებაც, თავჯანს სცემს შენ ზეგარდმო-მაღლით ცხებულ შუბლს, მარად და მუდამ აღბეჭდილი იქნება ჩვენს გულში შარავანდელით გასხვიონებული შენი ხატება, შენი მოძღვრებათსწრაფებანი, რომ შენი „ანდერძი“ აღვასრულოთ და მით წამებულმან სულმან შენმან გაიხაროს... ამინ.

60კიტა თალაქვამი.  
დიდუბის ტაძრის წინამძღვარი

# სტრუბადოები

დედან ღვთისათ

ო. კახიანიძე

*Andante*

T. *p* ლე - ლავ ღვთი-სა - ო ეს ქვე - ყა - ნა შე - ნი

B. *p*

სველ- რი - ა შენს მე - ო - ხე - ჯას ნყ მო-აკ-ლებ

ქართ - ველ - სა ხალხ - სა საღმრ - თოდ

მი - ი - ლე სის- ხლი რთ - ძელ ამ

Եւրեմս ԿՐՅ-հո-՛՛ս ԿՐՅ-հո-՛՛ս ԻձՅ- հայրո՞՞ս ԵՍ - ԵՊ - Թ


Ես Ե - հո-ղը՞՞ թո՞՞՛՛՛ ԿԱ-ԼՈՅ տՅԱԼ - ԵՍ.

Ի՞նչ յայտ Կարծեց, - Ի՞նչ թարմացրե՞հո՞ւս?  
 Ի՞նչու այ կայ յի ընկերս-Ի՞նչ, Զ-ձար-ո կայնո՞ւ,  
 այժմե ժող-ոյ բարձրեմ, յե-րո ճա՞ Գնո՞ւ...  
 Զո՞ւ, յե-ր, յարդարեմ զ՞՞ թողածու թողե՞հո՞ւս!  
 « Ի՞նչ տղա-ն Ենձա-ր, - Ի՞նչ թարմացրե՞հո՞ւս? »

Եղե՛հո թղ-ո ճար-ը Ի՞նչ Ենձա-ր Ենձա-ր, յար-ժող-ոյ  
 Զո՞ւ թարմացրե՛հո՞ւ կրճո զ՞՞ թե՛ Ի՞նչ Կարծե՛ցի,  
 Ի՞նչ յարմարեցի՞նչ զ՞՞, այ յի ձո թողե՛ր թո՞ւ...  
 Զո՞ւ յի թողե՛ր Ի՞նչ Կարծե՛ցի Ենձա-ր թողե՛հո՞ւ...  
 « Ի՞նչ տղա-ն Ենձա-ր, - Ի՞նչ թարմացրե՞հո՞ւս? »

Զո՞ւ յի թողե՛ր Կարծե՛ցի զ՞՞ թե՛ յար-ժող-ոյ,  
 Զո՞ւ յի թողե՛ր Կարծե՛ցի զ՞՞ թե՛ յար-ժող-ոյ,  
 Զո՞ւ յի թողե՛ր Կարծե՛ցի զ՞՞ թե՛ յար-ժող-ոյ, Կարծե՛ցի:  
 Զո՞ւ այն թղ-ոյն Կարծե՛ցի զ՞՞ թե՛ յար-ժող-ոյ...  
 « Ի՞նչ տղա-ն Ենձա-ր, - Ի՞նչ թարմացրե՞հո՞ւս? »

1872 Յ. 15 Յունիս 24/40.



**ილია ჭავჭავაძის სიტყვა  
წარმოთქმული სახელმწიფო საბჭოში  
სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ  
1907 წელს.**

საკითხი ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობისა და სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ მისი გამოსვლის შესახებ, დიდ დაინტერესებას იწვევს. არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. ზოგ მკვლევარს მიაჩნია, რომ ილია სათათბიროში სიტყვით არ გამოხდა. საკითხი შეუსწავლელია.

ამჯერად შეითვალეს ვთავაზობთ ერთ-ერთ მოსაზრებას, რომლის ავტორია ცნობილი ქართველი მეცნიერი და მწერალი პავლე ინგოროფვა. ესაა ნაწევრი მისი წიგნიდან — „ილია ჭავჭავაძე“, 1957 წ. გვ. 178—180.

სახელმწიფო საბჭოს პირველი სესია გაგრძელდა 1906 წლის 27 აპრილიდან 12 ივლისამდე.

ივლისში ილია საქართველოში დაბრუნდა. ილია საქართველოში დარჩა 1907 წლის თებერვლამდე.

1907 წლის თებერვალში ილია ისევ რუსეთს გაემგზავრა სახელმწიფო საბჭოს მეორე სესიაზე, რომელიც გაიხსნა 20 თებერვალს და გასტანა 5 ივნისამდე.

სახელმწიფო საბჭოს ამ სესიაზე ილია გამოვიდა სიტყვით სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ.

ილია ამ გამოსვლისათვის დიდხანს ემზადებოდა. ჩვენამდე შენახულია ამ სიტყვის შავი, კონსპექტური ჩანაწერები, საიდანაც ჩანს, რომ ილიას ეს სიტყვა ვრცელი მოხსენების სახით მოუხაზავს.

სამწუხაროდ, სიტყვის სრული დედანი დღემდე აღმოჩენილი არაა. ირკვევა ამასთან, რომ ამ სიტყვის დაბეჭდვა, მისი წარმოთქმის შემდეგ, მთავრობას აუკრძალავს.

ილიას სიტყვის შესახებ წყაროებში შემდეგი ცნობებია შენახული.

ინიციატორი სახელმწიფო საბჭოში საკითხის დასმისა სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ — ილია ყოფილა. ეს კითხვა წინასწარ გარჩეულა სახელმწიფო საბჭოს მემარცხენეთა ჯგუფში, /რომლის ერთერთი მთავარი ორგანიზატორი და წევრი იყო ილია/ და ილიას თავისთავზე აუღია მოხსენების დამზადება ამ საგანზე. ჟურნალისტი მ. ბოლქვაძე, რომელიც, მოწმე იყო ილიას მოღვაწეობისა სახელმწიფო საბჭოში 1906—1907 წლებში, გადმოგვცემს:

„...სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ ვრცელი მოხსენების შედგენა ილიამ იკისრა“.

მოხსენების დამთავრების შესახებ იგივე მ. ბოლქვაძე გადმოგვცემს ილიას ნათქვამს:

„გუშინ საღამოს დავასრულე ჩემი მოხსენება სიკვდილით დასჯის შესახებ. ამ დღეებში ჩავუკითხე ჩვენ

წრეს სახელმწიფო საბჭოს მემარცხენეთა ჯგუფს, /მერმე, კი სახელმწიფო საბჭოს.

სახელმწიფო საბჭოს წევრი, ცნობილი რუსი მეცნიერი მაქსიმე მაქსიმეს-ძე კოვალევსკი აღნიშნავს ამასთან, რომ სახელმწიფო საბჭოში სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ილიასთან ერთად გამოსულა პროგრესული მოღვაწე პროფ. ტავანცევი. მ.მ. კოვალევსკი გადმოგვცემს: „Князь И. Чавчавадзе высказался за отмену смертной казни... заодно с проф. Таганцевым.“

ილიას სიტყვა სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ, როგორც ირკვევა, წარმოუთქვამს სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე, 1907 წლის 17 აპრილს, ან 2 მაისს. სახელმწიფო საბჭოს სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშები დაიბეჭდა ხარვეზებით, რადგან ამ სხდომაზე წარმოთქმული ზოგიერთი სიტყვის დაბეჭდვა მთავრობას აუკრძალავს. ამ აკრძალულ სიტყვათა შორის ყოფილა, როგორც ირკვევა, ილიას სიტყვაც.

ის გარემოება, რომ მთავრობას აუკრძალავს ილიას სიტყვის გამოქვეყნება, მოულოდნელს არას შეიცავს. ეს არის ის ხანა, 1907 წელი, როდესაც რევოლუციის დამარცხების შემდეგ, რეაქციის თარეშის დროს, რუსეთის იმპერიაში და კერძოდ საქართველოში სახრჩობელები იყო აღმართული ხალხის საუკეთესო წარმომადგენელთა დასასჯელად.

ილიას სიტყვა პირდაპირ იყო მიმართული მთავრობის რეპრესიების წინააღმდეგ. /სიტყვის მოკლე კონსპექტში ილიას ჩანიშნული აქვს გასაშლელად შემდეგი დებულება: „Убийство, смертная казнь стали таким обычным явлением... Подобные события, как обычные явления, перестали быть новостью...“/.

ილიას, რასაკვირველია, კარგად ესმოდა, რომ მისი სიტყვა სახელმწიფო საბჭოში დარჩებოდა „ხმად მღალა-

დებლისა უდაბნოსა შინა“ /სიტყვის იმავე კონსპექტში ილიას ჩანიშნული აქვს წარმოსათქმელად: “...Группа Ставящая для себя этот вопрос, слишком малочисленна, чтобы произвести какое-либо впечатление, какое-либо замешательство среди огромного большинства остальных»... Убийство, смертная казнь, стало до того приучили нас относиться к ним равнодушно, что притупилось чувство для возмущения и отпущения всей жестокости этих явлений, а это открывает путь к огрубению в стране народного чувства.

Подобныя события, как обычныя явления, перестали быть новостями.

He заговаривает уже чувство возмущения.\*

ფურცლის გადაკვიცილ ნახევარზე, 1 და 2 მუხლებს ბირისპირ მიწვრილია:

ბ.

Когда умирает Бог в душе противника смертной казни

/ეს ტექსტი, ციტატის მსგავსად, ჩასმულია წინწკლებში „ /«-»/ თავში უზის რიცხვი 1/

ბ

Вопрос как нам быть, если проект об отмене смертной казни, несмотря на все старания, не пройдет, не может быть разрешен доводами арифметического порядка, т.е. тем, что группа, ставящая для себя этот вопрос, слишком малочисленна, чтобы произвести какое либо впечатление, какое либо замешательство среди огромного большинства остальных. я не так прост, чтобы полагать, что уход наш (из заседания Государственного Совета...)

/აზრი დასრულებული არაა. ეს ნაკვეთი, ჩანს, ნაკარაუდევო იყო წარმოსათქმელად, როდესაც წინადადება სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ არ გავიდოდა და შემარცხენეთა ჯგუფი, პროტესტის ნიშნად, დასტოვებდა დარბაზს/.

### მთავარი კონსპექტი ილიას ჯანჯანაძის სიტყვისა სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ

ტექსტი დაწერილია ილიას ხელით, ფანქრითა და მელნით, ერთ ფურცელ ქაღალდზე, ქართულ-რუსულად. წარმოადგენს არა გაშლილს კონსპექტს ილიას სიტყვისას, არამედ ზოგიერთი აზრის ჩანაწერს, როდესაც ილია სიტყვაზე ფიქრობდა.

დედანი დაცულია საქართველოს სახ. გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში /1 - 17 13/.

### სიკვდილისათვის

/1/ გრძნობაც ერთი დარგია ცნობადობისა და საჭიროა, როცა ჭკუა მოკლებულია შეძლებას გაიგოს რამე. შექსპირმა გრძნობით სასწაულები მოახდინა ცნობისა და ცოდნისათვის. გრძნობა სულიერი მარტო აღამიანის ნიჭია.

2. ჰო და არა, არა მგონია ისე თვალსაჩინოდ გადაიხაროს ან ჰოსა და ან არასაკენ, რომ ამ გადახრამ დაარწმუნოს ვინმე და სხ. სხ.

3. ხოლო სამი რამ საბუთია წინააღმდეგ სიკვდილით დასჯისა:

ა. აჩლუნგებს გრძნობას ბუნებურს, რომელსაც სისხლი ეზიზღება და ხშირი ნახვით კი ყურაც ეჩვევა და გრძნობაც. მაგალითად ახლა სიკვდილი ისეთი ჩვეული რამ ამბავია, არავისღა უძღვრევს გულს და ყურადღებასაც არ იქცევს;

ბ. არყევს ზნეობას, რადგანაც ართმევს იმას, რის მიცემაც არ შეუძლიან;

გ. შეცდომა დასჯისა აღარ სწორდება და უდანაშაულოს ჰკლავს.

4. ეწინააღმდეგება ქრისტიანობას, რომელიც დაფუძნებულია სიყვარულზე|

5. მთელი ქვეყანა თხოულობს /სიკვდილით დასჯის მოსპობას/ და თუ ბანის მოცემაში შეეცდით...<sup>2</sup>, ნუგეში იმაშია, რომ აყვევით ხმას დვთისას, რადგან ხმა ერისა არის ხმა დვთისა.

6. ჰო და არას საბუთებს შორის ერთი რამ არის ზოგადი: ერთიცა და მეორეც ხელშესახებ საფუძველზე არ არის დამყარებული და წარმოადგენენ მარტო მ/რ/— წამს/ს/, როგორც ერთისა ისე მეორისას. აქ მარტო დიალექტიკური ღონისძიებაა ერთმანეთის დასაჯერად მიმართული.

აღსანიშნავია, რომ ილიას შემარცხენეთა ჯგუფში აღუძრავს საკითხი, რომ როდესაც კენჭის ყრის დროს წინადადება სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ არ გავიდოდა, ჯგუფს, პროტესტის ნიშნად, დაეტოვებინა სხდომა/.

ილიამ სახელმწიფო საბჭოს ტრიბუნა გამოიყენა იმისათვის, რათა გაბედულად დაეგმო ცარისტული თვითმპყრობელობის სისხლიანი გზა.

\* ჟურნალი „განათლება“. 1908 წ. № 3—4, გვ. 110—111.

\* პირველი ნაწილი ტექსტისა ამაზე წყდება.



# ს ი ნ ა თ ლ ე ა ლ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი დ ა ნ მ ო დ ი ს

## ს ა მ ა ა ზ ა ლ ი თ ო შ უ ა მ დ გ ო მ ლ ო ბ ა შ კ ვ დ ა ვ ი ს ი ლ ი ა ს მ ე შ ლ ო ს ა

1908 წლის 29 დეკემბერს კავკასიის ოლქის სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა მიუსაჯა ილია ჭავჭავაძის მკვლელებს. ამასთან დაკავშირებით, რამდენიმე დღით ადრე /13 დეკემბერს/ გამოქვეყნდა დიდი პოეტის ქვრების — ოლღა ჭავჭავაძის თხოვნა თბილისის გენერალ-გუბერნატორისადმი. ეს თხოვნა ჩვენს ჟურნალშიც დაიბეჭდა, მაგრამ ამჯერად ისევ გვინდა მკითხველს მისი შინაარსი შევახსენოთ.

„სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტა ჩემთვისა და მთელი საქართველოსთვის ძვირფას ილია ჭავჭავაძის სამ მკვლელს. სიცოცხლეში ჩემმა ქმარმა მთელი თავისი სულიერი ძალ-ღონე, ღვთის მიერ მასზე მოვლენილი მალაღი ნიჭი შესწირა ადამიანის სულში ადამიანურ გრძნობის, კაცთა შორის სიყვარულის განმტკიცებას. მე ღრმად მწამს, დღეს რომ ჩემი ქმარი ცოცხალი იყოს, შეუნდობდა იმათ, რომელთაც სასიკვდილოდ გაიმეტეს იგი და თავის უბედურ, გზადაბნეულ ძმებად მიიჩნევდა. დღეს კი ჩემი ქმრის თხოვნა საქართველოს ერის სულიერ ცხოვრებაში იმის მკვლელთა სიკვდილით დასჯით დაიხრდილება. ეს საზარელი სასჯელი დაარღვევს იმ ღვაწლს სიყვარულისას, ცხოვრების მასწავლებელ ქრისტეს იმ საუკუნო მცნებას, რომლითაც ცოცხლობდა ჩემი განსვენებული ქმარი. მოგმართავთ თქვენ, გულწრფელისა და მხურვალე თხოვნით: ნუ დაამტკიცებთ სასამართლოს განაჩენს ამ უბედურთა სიკვდილით დასჯის შესახებ. თვით მე მხოლოდ შემთხვევით ვადგენი სიკვდილს ჩემი ქმრის გვერდით და თითქო მხოლოდ იმისთვის დავრჩი ამ სოფლად, რათა დავაბოლოო ის ღვაწლი კაცთა მიმართ მხურვალე სიყვარულისა, რომელსაც

ჩემმა ქმარმა მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა — შეუნდო იმ უბედურ, გზადაბნეულ მოყვასთ, რომელთაც თვით ის შეუნდობდა. ჩემი დღეები დათვლილია. ამჟამად თქვენგანაა დამოკიდებული მოიქცეთ ისე, რომ სიცოცხლის აღსასრულის ვამს ვიგრძნო უძაღლესი ნეტარება, რომელსაც ადამიანის სულს ძალუმს მიადწიოს ამ წუთისოფელში — შეერთება დეერთთან, რომელიც განიცადა ქრისტემ, როცა ჯვარზე განთხმული, სიკვდილის ვამს, ღვთიურ სიყვარულის შუქით განათებული, ევედრებოდა შემოქმედს შენდობას იმის მტრებისას, რამეთუ „არა იციან რასა იქმან“.

ესაა უმაღლესი ქრისტიანობის გამოხატულება, ის რაც ძალიან ხშირად ძნელად მისაღწევია. და იმისათვის, რომ განვიწყნდით და შევიცნოთ ჩვენი ამ ქვეყნად მოსვლის აზრი, შევიგრძნოთ ის განუსაზღვრელი, ამაღლებული სიყვარული მიწაზე მცხოვრები ადამიანისა, სიყვარული, რომელსაც ჩვენი სული მიჰყავს უფალთან, კვლავ და კვლავ გვინდა, რომ წავიკითხოთ იგი, ჩავწვდეთ მის კეთილშობილ სულს — უღრმესს, უნათლესს, უღამაზესს...

უფრო დიდი მიმტვევლობა აღარ არსებობს ალბათ მიწაზე. ამიტომაც ამ წერილმა ააღლევა და გააოცა თავის დროზე ვველა. მხოლოდ საქართველოში კი არა, მის საზღვრებს გარეთაც გამოქვეყნდა გამოხმაურებები, რომელთა შესახებ ძალზე მინიშნულოვან ცნობებს გვაწვდის დიდი ქართველი პედაგოგი, „წვდამიანისა“ და „ბუნების კარის“ ავტორი, იაკობ გოგებაშვილი, მოგვყავს წერილი მთლიანად.

XXX

გაზეთებში დადადისი გავისმა ბოლოს ხანს შესახებ იმისა, რომ სამნი ილიას მკვლევები, რომელთაც სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა მიუსაჯა, სიკვდილით არ იქნენ დასჯილნი, რადგანაც ასეთი მათი დასჯა პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ღრმა კაცთმოყვრულს მიმართულებას, უღრმოდ მოკლულის პოეტისას. ეს სასიკვდილო აზრი ჯერ გამოითქვა ქართულს გაზეთს „დროება“-ში, მერე მას ბანი მისცა ორმა რუსულმა გაზეთმა: „ზაკავკასსკოე ობოზრენიე“ და „ნოვოსტი ზაკავკასია“. ამას შემდეგ თვით საზოგადოებაში გამოიჩინა ის აზრი, რომ არზა მიართვან გენ-გუბერნატორს სასჯელის შემცირებაზე ქართულის საზოგადოების წარმომადგენლებმა. თბილისის გარედაც შეიქმნა ძლიერი მოძრაობა, ამავე

მიზნისაკენ მიმართული. ამას მოწმობს, სხვათა შორის, ბათუმიდან გამოგზავნილი დეპუტა, „დროების“ გუმიწნელს ნომერში დაბეჭდილი.


მაგრამ ყველას წინ გაუსწრო მოსიყვარულე გულმა უკვდავი ილიას მეუღლისამ. კნეინა ოლგა თადეოზის ასულმა წარსულს ორშაბათს დააშადა შესაბამი თხოვნა გენ-გუბერნატორის სახელობაზე; ხოლო, რადგანაც ავადმყოფობა ნებას არ აძლევდა პირადად მიერთვა არზა, კნეინამ სთხოვა „წერა-კითხვის საზოგადოების“ თავჯდომარეს გიორგი ნიკოლოზის ძემ დიდი სიამოვნებით იკისრა შუა-კაცობა და გუშინ სამშაბათს ინახულა გენერალ-გუბერნატორი და არზაც გადასცა. თავის არზაში ყოვლად ღირსეული ქვრივი ილიასი სთხოვს გენერალ-

გუბერნატორს სიკვდილით ნუ დასჯიან მისი მეუღლის მკვლელებს, რადგანაც ეს ძლიერ დაამძიმებს ილიას სულსა, რომელსაც თავის ძირითად მცნებად ჰქონდა მაცხოვარისავით პატივება მტრებისათ. როცა გენერალს ყაზბეგს მიუერთმეფია არზა გენერალგუბერნატორისათვის, ამ უკანასკნელს უპასუხნია: „საქმე ამ სამის მკვლელის ჩამოხრჩობაზე ჩემთან ჯერ არ წარმოუდგენიათ, ამიტომ ეხლა გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. როცა საქმეს წარმომიდგენენ, გულდადებით გადავშინჯავ, ჩავაკვირდები და თუ შესაძლებელი იქნება, სიამოვნებით შევასრულებ მოკლულის ქვრივის სურვილსო“.

ახლა საზოგადოებამ უნდა უცადოს გენერალ-გუბერნატორის გადაწყვეტილებას. ჩემი აზრით, ყოველგვარი აგიტაცია საქმეს, თუ არ ავენებს, არას დაეხმარება, არას შემატებს.

როდესაც დრმა კაცთმოყვარეობით აღსავსე შუამდგომლობა ილიას მეუღლისა, რუსულად დაწერილი, დაიბეჭდა, არა მარტო ადგილობრივს რუსულს გაზეთებში, არამედ სატახტო გამოცემებშიცა, გამოუთქმელი შთაბეჭდილება მოახდინა რუსულ დაწინაურებულს საზოგადოებასა და სალიტერატურო სფეროებში. ერთმა გამოჩენილმა და უმწიკვლო რუსთა ლიტერატორმა საუკეთესო რუსულ გაზეთში „Русския ведомости“ აღფრთოვანებული სტატია უძღვნა ამ შუამდგომლობას და სხვათა შორის, სთქვა: როდესაც მთელს იმპერიაში გამეფებულია ზნეობრივი სიბნელე და უკუნი და ყოველ ნაბიჯზე გაისმის: მოჰკალ, ჩამოახრჩვე, დახვრიტე და ლამის სასოწარკვეთილების მორევში ჩავიხრჩოთ, ამ დროს საქართველოს საუკეთესო შვილის ქვრივი, რომელსაც უსაყვარლესი მეუღლე ბარბაროსულად მოუკლეს და თვითონაც იგი მხეცურად დაჭრეს, ევედრება მთავრობას: სიკვდილით ნუ დასჯით მკვლელებსაო. „აქამდინ ვიცოდითო, ამბობს ბოლოს ავტორი, რომ ფიზიკური მზე აღმოსავლეთიდან ამოდისო: ახლა უნდა ვსთქვათ: ზნეობრივმა მზემ — საქართველოდან აღმოაშუქაო“ ი. გოგებაშვილი. ტ. 4. 1955, გვ. 210/.


ი. გოგებაშვილის მიერ დასახელებული „გამოჩენილი და უმწიკვლო რუსთა ლიტერატორი“ ყოფილა ივანე ივანეს ძე გორბუნოვ-პოსადოვი. გამომცემლობა „პოსრედნიკის“ ხელმძღვანელი, ლევ ტოლსტოის ახლო მეგობარი და მიმდევარი, ცნობილი საბავშვო მწერალი და სახალხო საკითხავი წიგნების მბეჭდავი, რომელსაც გაზეთ **Руския ведомост**-ში მართლაც დაუბეჭდავს წერილი „სინათლე აღმოსავლეთიდან მოდის“. /აკაკი გაწერილია, „ლევ ტოლსტოის ერთი გამოუქვეყნებელი ბარათის გამო“. ტ. I 1962 გვ. 559/ გორბუნოვ-პოსადოვის ამ წერილში მთლიანად არის მოყვანილი ოღლა ჭავჭავაძის თხოვნის ტექსტი, რომელსაც რუსი მწერალი შემდეგ სიტყვებს ურთავს: **Да будет благословенно имя той женщины, которая писала эти строки... Да будет**



**благословенно имя княгини Чавчавадзе. Она возвращает нам веру в человека.»**

და რაც უსათუოდ საინტერესოა, გორბუნოვ-პოსადოვის წერილის მეოხებით ქვრივის შუამდგომლობას გაცნობია ლევ ტოლსტოი. იგი გულწრფელად აუღელვებია მას და გორბუნოვ-პოსადოვისადმი გაგზავნილ წერილში მიუწერია: **Получил Ваше прекрасное письмо с заявлением суду и Вашу статью о Чавчавадзе. Как трогательно!** ხოლო მაკოვიცკი თავის „იასნაპოლიანურ ჩანაწერებში“ ასე გადმოგვცემს ლევ ტოლსტოისთან 1909 წლის 3 იანვრის საუბარს: **За обедом говорили об И. И. Горбунове и его статье «Ex orientelux», напечатанной в «Русских ведомостях» 31 декабря, в которой он приводит письмо-прошение вдовы убитого грузинского князя Чавчавадзе кавказскому генерал-губернатору о том, что-бы он отменил смертный приговор трём убийцам её мужа.**

**Это письмо удивительно, — сказал Лев Николаевич — это такой ответ на вопрос: А если бы вас убили? —** (ა. გაწერილია. დასახელებული ნაშრომი). ოღლა გურამი შვილის წერილის შესახებ ცნობას მარჯორი უორდრობამდეც მიუღწევია... 1909 წლის 5/18 იანვარს ბუქარესტიდან გამოგზავნილ წერილში იგი /მარჯორი/ ქართულად წერს ილიას მეუღლეს: „დროებაში“ წავიკითხე თქვენი გულკეთილი თხოვნა გენერალ გუბერნატორთან. თქვენმა მოწყალე გულმა შეაგონა ფრიად საქებელ საქმეს. თავის მკვლელის პატიება უფრო ადვილია, ვიდრე საყვარელ ქმრის მკვლელობის პატიება“.



## Д Ж В А Р И В А З И С А

### «КРЕСТ ИЗ ВИНОГРАДНОЙ ЛОЗЫ» ЖУРНАЛ ГРУЗИНСКОЙ ПАТРИАРХИИ

12 марта текущего года исполнилось семьдесят лет со дня восстановления автокефалии Грузинской Православной Церкви. Эту милость давно ожидал верующий грузинский народ.

В связи с этой датой в журнале опубликовано письмо епископа Зосимы (Шношвили) «Семьдесят лет со дня восстановления автокефалии Грузинской Церкви», в котором обозревается путь, проделанный нашей Церковью за этот период. Здесь же публикуются документальные материалы: Послание первого Католикоса-Патриарха восстановленной Церкви Кириона II к пастве Грузинской Церкви и главам Церквей других христианских государств.

В текущем году исполняется 150 лет со дня рождения великого грузинского писателя Ильи Чавчавадзе. Вся его жизнь, деятельность, а также его мученическая кончина призывают родину и всех людей к высокой нравственности. Во взглядах видного деятеля чувствуется близость к евангельским идеалам. Опубликованные в журнале статьи, письма, воспоминания и произведения дают представление о заслугах Ильи Чавчавадзе перед собственным народом и в деле защиты человеческого достоинства.

Из-за такого большого вклада и мученической смерти Грузинская Церковь почитает Илью Чавчавадзе святым... Именно об этом рассказывает в своём вступительном слове, которым открывается раздел, посвященный писателю, Католикос-Патриарх всея Грузии Илия II. Он считает заслуги Ильи Чавчавадзе особенными и апостольскими. Здесь же напечатано решение Священного синода о почитании Ильи Чавчавадзе святым, а также тропарь, посвященный писателю. Тут же публикуется статья архиепископа Тадеоца (Иорамишвили) «Бессмертье».

Творческий путь и заслуга Ильи Чавчавадзе перед Грузинской Церковью, его статьи и письма широко обозреваются в статье Т. Кобаладзе «Тяжёлый крест».

В журнале опубликованы письма писателя, большую

часть которых можно назвать проповедями («Рождество Спасителя», «Пасхальное письмо», «Грузия турков»)...

В разделе «Поэзия», представлены стихи народного поэта Грузии Гиоргия Леонидзе и поэта Колау Надирадзе, посвященные Илье Чавчавадзе.

В статье проф. Ш. Бадридзе говорится о заслугах Ильи Чавчавадзе в деле восстановления автокефалии Грузинской Церкви.

В статье критика Акакия Бакрадзе «Путь к спасению» рассматривается поэма «Отшельник». Её сюжет исследователи часто связывают с такими известными произведениями, как «Жизнь Святого Мартиниана», романы Золя и Флобера, разные фольклорные сюжеты и др. В журнале печатается статья Т. Джваридзе «Народные источники «Отшельника».

В период творчества Ильи Чавчавадзе с помощью русского народа стало возможным присоединение к Родине древнейшего края Грузии-Аджарии. Писатель много заботился об этом историческом уголке Грузии, о чём рассказывает в письме Гайдара Абашидзе «Илья и Аджария».

Тут же печатается статья М. Тартарашвили Ильи и Сайнгило.

В рубрике «Из эпистолярного наследия» публикуется письмо тогдашнего ректора Тбилисской семинарии, епископа Серафима к И. Чавчавадзе и ответ писателя.

Когда по дороге в Цицмари убили великого писателя, вместе со всем народом его оплакивала и Грузинская Церковь... Гроб с прахом поэта был установлен сперва в Квашветской церкви, а затем в Сиони. Сохранились и публикуются в журнале прощальные слова деятелей Грузинской Церкви: священника Каллистрата Цинцадзе, епископа Леониды, архимандрита Амвросия и настоятеля Дидубийской Церкви протоиерея Никиты Талаквдзе.

В разделе «Поэзия» представлены стихи народного поэта Грузии Гиоргия Леонидзе и поэта Колау Надирадзе.

## განდეგილიდან

სადაც დიდებულს, მთასა მყინვარსა  
ორბნი, არწიენი ვერ შეჰხეზიან,  
სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი,  
მზისგან აროდეს არა ღნებიან,  
სად უდაბურსა მის მყუდროებას  
კაცთ ჟრიამული ვერ შესწვდენია,  
სად მეუფება ჭექა-ჭუხილსა,  
ყინულს და ქართა მხოლოდ ჰშთენია, —  
უწინდელს დროში ღვთისა მოსავთა  
გამოუქვაბავთ მუნ მონასტერი  
და იმ ყინულში შეთხრილს ღვთის ტაძარს—  
ბეთლემს უწოდებს დღესაცა ერი.  
ფრიალოსაებრ ჩამოთლილი აქვს  
იმ წმინდანთ სადგურს ყინულის ზღუდე,  
და ზედ კარია გმოკვეთილი —  
ვით კლდის ნაპრალზედ არწივის ბუდე.  
ზღუდის ძირამდე რკინის რამ ჯაჭვი  
ზედა ჰკიდია თურმე იმ კარსა, —  
და თუ არ ჯაჭვით, სხვაფრივ ვერა გზით  
ვერ ძალუძს ასვლა ვერარა კაცსა.  
იქა ყოფილა უწინ კრებული  
ღვთისთვის ქვეყნიდამ განდეგილ ძმათა  
და მყინვარს, ამა უდაბნოს თურმე,  
ისპოდა ქება წმიდა-წმიდათა.  
აქა გამდგარან, განშორებიან  
ამ წუთისოფლის სამაცდუროსა,  
აქ ჰღირსებიან მართალთა თანა  
სავანესა მის საუკუნოსა.  
გასულან ამა ქვეყნით მამანი  
და ტაძარი ღვთის, გაუქმებულა...  
ინათის ღუაწლით ამ ტაძრის მადლი  
მთიულთა შორის ყველგან განთქმულა...  
და ის ადგილი, ის არე-მარე  
ესოდენ წმიდად სწამს დღესაც ერსა,  
რომ ნასროლს ნადირს, მუნ შეფარებულს,  
მონადირეც კი ვერ ახლებს ხელსა.



ნუ მიწაქვლავთ მოსუცს ზრქნობას  
და ნუ ამოგბთ, რაც არ მჯერა,  
ნუთუ მართლა დღეს გადაწყდა  
საქართველოს ბედისწერა

ა კ ა კ ი.

მთაწმიდა... აქ განსვენებს დიდი ილია ჭავჭავაძე

ქართლის სამკვიდროვ, მვეზის თვალად დაბადებულო,  
რამდენ ვაიბას შენსა თავზედ ბარდაშვილი!...  
ჯვარცმულის ღვთისთვის თვით ჯვარცმულო და წაღებულო,  
იკლიანს გზაზედ შენებრ სხვასა როგორს უვლია?..


ი ლ ი ა.

Существует документ о том, что в 1907 году, в Петербурге, на сессии Государственного совета, участником которой являлся Илья Чавчавадзе, писатель произнёс речь об отмене смертной казни. Сохранены фрагментарные записи этого выступления. В журнале, наряду с ними, публикуются также и комментарии под заголовком: «Слово, произнесённое Ильёй Чавчавадзе в Государственном совете в 1907 году об отмене смертной казни». Автор П. Ингороквва. Своёобразным продолжением этих записей является следующая статья «Образцовое ходатайство супруги бессмертного Ильи Чавчавадзе».

Суд Кавказского военного округа 29 декабря 1908 года приговорил убийцу поэта к смертной казни через повешание. В связи с этим было опубликовано прошение вдовы писателя Ольги Гурамишвили-Чавчавадзе, адресованное генерал-губернатору г. Тбилиси, в котором в частности писалось: «Не утверждайте приговор суда о смертной казни

этих несчастных. Это ужасное наказание разрушит те заботы о любви, бессмертные заповеди учителя жизни Иисуса Христа, которыми жил мой покойный муж. Сама я случайно спаслась от смерти и осталась жить на этом свете как бы для того, чтобы завершить те заботы о горячей любви к людям, которым мой супруг посвятил всю свою жизнь, помиловать этих несчастных и сбившихся с пути, которых он сам помиловал бы».

Это письмо в своё время вызвало большой резонанс. На него отозвались Лев Толстой, зарубежные газеты. Обо всём этом интересный материал помещён в русской газете «Русские ведомости» (авт. Иван Иванович Горбунов-Посадов). К статье о ходатайстве Ольги Гурамишвили-Чавчавадзе прилагается комментарий с обзором существующих материалов.



## DJ V A R I V A Z I S A

[CROSS OF VINE]

In the current year, on March 12, we celebrate the 70 years anniversary of the restoration of real and complete Autocephaly of the Georgian Church. It was the great charity, which had kept the Georgian faithfuls waiting for a long time.

Our country groaning under the yoke of Tsarism longer than a century, had no rights of selfgoverning, the Georgian Church founded by the Holy Apostles of Christ, and being under the protection of the Most pure Virgin-Mother was deprived of managing rights as well.

The article «The 70th Anniversary of the Restoration of the Autocephaly of the Georgian Church», by Bishop Zosime (Shioshvili), is printed in the journal in connection with this date, reviewing the road, our Church has passed during this period.

The epistle of His Holiness and Beatitude Cyrion III, the first Catholicos-Patriarch of the restored Church, containing some materials concerning the Autocephaly and published in 1917 in the journal «Svetitskhoveli», is printed in this section. The epistle is addressed to the heads of Christian Churches, informing them about God's mercy bestowed upon the Church of Georgia.

This year we also celebrate the 70th Anniversary of the great writer and thinker, the own son of the people and of the Georgian Church Ilia Chavchavadze. According to acknowledged conception all his work, his life and his martyr demise is the appeal not only to his native country, but upon all the people for moral clearness. Martyr deceased layman connected the earthly paradise with the ideal of Gospel, work and brotherhood, friendship and unity, freedom and complete equality with the general Christian triumph.

In the section the journal presents articles, letters, recollections and selected works informing the reader of Christian belief and merits of this outstanding writer. Ilia Chavchavadze is sanctified by the Georgian Church for this great merits and martyr decease.

The information regarding this question, is delivered by the Catholicos-Patriarch of All Georgia ILIA II, considering the writers deeds and merits as apostolic, because our Lord Himself granted him the leading role of the nation.

The journal presents the letter and the verse «Ever Present Immortal Soul», by Archbishop Tadeus.

In the article «Heavy Cross», by T. Kobaladze, the activities and merits of the leading writer, his articles, letters about Georgian Saints, Bishops and Church-Monasteries are reviewed.

The journal publishes some works by the writer, the majority of which we may apprehend as preachings («Nativity of Christ», «Easter», «The Holy King David Agmashenebeli» (David the Builder), «The Georgian Monastery on Mount Athos», «Georgia under Turks»).

«Poetry» — under the heading some verses by famous Georgian poets George Leonidze and Kolau Nadiradze dedicated to Ilia Chavchavadze, are printed in the journal.

The remarkable poem «The Hermit», by Ilia Chavchavadze is reviewed in the article «The Way of Saving». The author Akaki Bakradze, concerning the knotty problem of asceticism, writes: «Religiousness first of all means high morality, the meaningful confession of the conviction, which Moseizm and Christianity expressed in the Ten Commandments and after all, he includes, that mankind has not yet enriched the principles of morality. Every man has to give up flesh for soul . . . but to save the soul is not an easy task. For this a man must have the faith of crucifixion, strong will, energy and spiritual strength. The hermit was defeated as he had not all these streaks in his nature. His death calls the reader to be spiritually strong, full of energy and power.

It is interesting, that scholars often connect the subject of the Hermit to such well-known literary works, as «The Life of Saint the Martiniani», the novels by Zolla and Flobier.

The article «Popular Sources of the Hermit», by T. Djvavidze, giving us interesting materials, legends and traditions on the «Mkinvartveri» Peak and more about the Bethlemlimount, heard by Ilia Chavchavadze while living in this part of Georgia, is printed in the journal.

In those days, when the honoured writer Ilia Chavchavadze lived and worked the question of time was keen interest the returning of Georgian land-Ajghara to Mother-Georgia. In the past this part of Georgia was conquered by Turks. In 1878 the problem was solved positively in which Ilia

Chavchavadze did his bit... He always showed interest, sensitiveness and attention for this long suffering country.

The journal publishes the letter «Ilia and Ajhara» by Gaidar Abashidze, the own son of Ajhara, where he tells us about these important events.

Ilia Chavchavadze did his great bit to the Georgian province Saingilo, as well. The journal presents the article «Ilia and Saingilo in the 19th Century», by M. Tartarashvili.

The article «From the Epistolar Heredity», giving us the information about the correspondence of Ilia Chavchavadze with Bishop Seraphim, the rector of Tbilisi Theological Seminary, and the writers return message, where he with a great concern touches the urgent problems of the church and seminary, are published here.

On the way to Tsitsamuri Ilia Chavchavadze was treacherously killed. All the nation together with the Georgian Church was in deep moaning. His corpse was transferred from Saguramo to Kwashveti Cathedral and later to Sioni Cathedral.

The speeches delivered by the representatives of the Georgian Church were published in the collection «The Assassination and Funeral of Ilia Chavchavadze». The speeches by Archpriest Kalistrate Tsintsadze, Bishop Leonide, Archmandrite Ambrosi and the Dean of the Didube Cathedral Nikita Talakvadze are reprinted in the journal from the collection under the heading «O, High Spirit

Hymns — In this section the journal publishes the song, by I. Kechegmadze based on the text of «Mother of God», by Ilia Chavchavadze.

According to information the session of the State Council was held in 1907, in St. Petersburg. Ilia, being a member of the council, made a speech about revocation of Capital punishment, from which only the fragmentary notes exist. The journal publishes some comments and writings under the title «The speech delivered by Ilia Chavchavadze in 1907, at the state Council about revocation of Capital Punishment». The symbolical continuation of this speech is the following article 'Exemplary Solicitation of Olga Guramishvili-Chavchavadze'.

On December 29, 1908, the Court Martial of the Caucasian region condemned to hanging the assassins of Ilia Chavchavadze.

The appeal of mercy to the Gubernator-General of Tbilisi, by Olga Guramishvili-Chavchavadze, the widow of the great Georgian writer, was published a little earlier, in which she wrote: 'I ask you to reverse the death-sentence of these unfortunate people. This dreadful punishment will be the denial of love and eternal Commandment of Jesus Christ. As to me, I escaped the death only by chance and remained in the world in order to contribute to the cause of the merit of ardent love to the mankind, to which my husband had sacrificed his whole life.'

In its time this letter caused a sensation and responded by lev Tolstoi, foreign newspapers and others. The russian newspaper 'Russkia Vedomosti' gives us an interesting information of all this. [Author Ivan Gorbunov Pasadov].

Olga Guramishvili-Chavchavadze's application and summons of it are added to the article together with the comments reviewing these materials.


## საქართველოს ეკლესიის დიდება

იხ. გვ. 2

შექმნილია გასული საუკუნის ამავე სახელწოდების საბინისეული ცნობილი ხატის მიხედვით. ძვირად ღირებულია საბინისეული ხატი, მაგრამ დრომ მოითხოვა მისი ახალი მხატვრული გაახრება. სიუჟეტში შეტანილი იქნენ წმიდანები, რომლებმაც არსებითი გავლენა მოახდინეს საქართველოში ქრისტიანობის განმტკიცებაში: წმ. იოანე ნათლისმცემელი, მოციქული სიმონ კანანელი, ასირიელი მამები — ღირსი ისიდორე, ღირსი მიხეილი, ღირსი პიროსი, ნანა და სალომე დედოფლები, ღირსი გრიგოლ ხანძთელი, მოწამე შალვა ახალციხელი, ღირსი სერაპიონ ზარზმელი, ღირსი პროხორე იერუსალიმელი, მოწამე ლუკა, მოწამე ნიკოლოზი, მოწამე ბავშვები: დავითი და ტარიჯანი, კოლაელი მოწამე მამები, ღირსი თებრონია — ხანძთის მონასტრის იღუმენია, ღირსი არსენ ივალთოელი, მიტროპოლიტი იოანე, თბილელი მოწამენი. ახალ რედაქციაში მნიშვნელოვნად შეიცვალა ფერთა გაბა. თვით მაცხოვარიც ახლებურად იქნა გამოსახული.

პირველისაგან განსხვავებით, რომელიც შესრულებული იყო პოლიგრაფიის ტექნიკით და რომლის შესაძლებლობანიც ხატწერისათვის ერთობ შეზღუდულია, ახალი ხატი მოიხატა კვერცხის ტემპერით.

ხატი შეიქმნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით. იგი მიეძღვნა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 70 წლის იუბილეს და უკვე ბინა დაიდო მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში.



ილია, 1863 წ.

რომ რქონს სკუიბვლ  
მისგონ რყვას სწებოკუძი,  
სამ ხელის მძაპ ვიყ  
ქმუნვადი ს სიხაყუძი,

## შ ი ნ ა რ ს ი

ეპისკოპოსი - ზო ს ი მ ე / შიო შვილი / 70 წელი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენიდან	6
<b>ჟურნალ „სვეტიცხოვლიდან“</b>	
მომენტისათვის	8
გუჯარი უწმიდესისა და უნეტარების, კათოლიკოს-პატრიარქ კ ი რ ი თ ი ს ა საქართველოს ეკლესიის სამწყვსოს მიმართ	9
ეპისტოლენი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კ ი რ ი თ ი ს ა აღმოსავლეთის პატრიარქთა, რომის პაპის, სომეხთა კათოლიკოს-პატრიარქის მიმართ	10
სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება	13
<b>საქართველოს ეკლესიის წმიდა ხინოდის განჩინება</b>	17
ლოცვა მუხლმოდრეკით სათქმელი წმიდისა და მართლის ილია ჭავჭავაძის მიმართ	19
ქადაგება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ისა — წმიდა ილია მართალი	21
მთავარეპისკოპოსი თა დ ე თ ზ ი. თანამდევნი უკვდავი სული	24
თ. კობალაძე. შიმშილგუჯარი	27
ილია ჭავჭავაძე. წერილები: შობა მაცხოვრისა. საადგდგომო. დავით აღმაშენებელი. ათონის ქართული სავანის შესახებ. ოსმალის საქართველო.	34
<b>პოეზია</b>	
გ. ლეონიძე. ილია ჭავჭავაძის აზრდის	43
კ. ნადირაძე. წიწამურიდან საგურამომდე	43
შ. ბაღრაძე. ილია ჭავჭავაძე და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი	45
ა. ბაქრაძე. გზა ხსნისა	48
თ. ჯგერაძე. „განდევნილის“ ხალხური წგაროები	55
პ. აბაშიძე. ილია და აჭარა	58
მ. ტარტარაშვილი. ილია და მე-19 საუკუნის საინგილო	60
<b>ეპისტოლარული შექვიდრებიდან</b>	
Епископ Серафим. Снятыйнейший князь	62
ილია ჭავჭავაძე. წერილი სასულიერო სემინარიის რექტორ ეპისკოპოს სერაფიმესადმი	63
<b>სული მადლო</b>	
ქართველ სამღვდელთა გამოსათხოვარი სიტყვები. დეკანოზი კ. ცინცაძე, ეპისკოპოსი ლეონიძე, არქიმანდრიტი ამბროსი, დიდუბის ტაძრის წინამძღვარი ნ. თალაგაძე	66
სტიროდეთ. (ბაირონიდან) თარგმანი ილია ჭავჭავაძისა	69
<b>საგალობლები</b>	
ი. კეჭავაძე. დედაც ღვთისაო	70
პ. ინგოროვა. ილია ჭავჭავაძის სიტყვა წარმოთქმული სახელმწიფო საბჭოში სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ 1907 წელს	72
სამაგალითო შუამდგომლობა უკვდავის ილიას მეუღლისა	74
რეზიუმე რუსულ ენაზე	76
რეზიუმე ინგლისურ ენაზე	77

### ჯვარი ვაზისა № 1. 1987

საგამომცემლო განყოფილების თავმჯდომარე — ეპისკოპოსი **ზოსიმე** (შიო შვილი)  
 ჟურნალის რედაქტორი **თ. კობალაძე**.

**საქართველოს საპატრიარქო.**

თბილისი. 1987 წ. სონის ქ. № 4. ტ. 72-04-53.

ტირაჟი 1000. შკეუთა № 2087

«Джвари вазиса» (Лозовый крест) № I. 1987 г.

Грузинская Патриархия

Тираж 1000 Заказ №2087

Набрано способом фотонабора

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა. თბილისი. 380060. კუტუზოვის ქ. № 19  
 Типография АН Груз. ССР. Тбилиси. 380060. ул. Кутузова № 19.

# ქართული ანბანი

1	2	3	4	5
ა	ბ	გ	დ	ე
1	2	3	4	5
ვ	ზ	ძ	წ	ჭ
6	7	8	9	10
ყ	შ	ჩ	ც	ცხ
11	12	13	14	15
ძ	წ	ჭ	ხ	ხვ
16	17	18	19	20
ბ	გ	დ	ე	ევ
21	22	23	24	25
ვ	ზ	ძ	წ	ჭ
26	27	28	29	30
ყ	შ	ჩ	ც	ცხ
31	32	33	34	35
ძ	წ	ჭ	ხ	ხვ
36	37	38	39	40
ბ	გ	დ	ე	ევ
41	42	43	44	45
ვ	ზ	ძ	წ	ჭ
46	47	48	49	50
ყ	შ	ჩ	ც	ცხ
51	52	53	54	55
ძ	წ	ჭ	ხ	ხვ
56	57	58	59	60
ბ	გ	დ	ე	ევ
61	62	63	64	65
ვ	ზ	ძ	წ	ჭ
66	67	68	69	70
ყ	შ	ჩ	ც	ცხ
71	72	73	74	75
ძ	წ	ჭ	ხ	ხვ
76	77	78	79	80
ბ	გ	დ	ე	ევ
81	82	83	84	85
ვ	ზ	ძ	წ	ჭ
86	87	88	89	90
ყ	შ	ჩ	ც	ცხ
91	92	93	94	95
ძ	წ	ჭ	ხ	ხვ
96	97	98	99	100
ბ	გ	დ	ე	ევ

1	2	3	4	5
ს	ლ	ლ	ს	200
პ	პ	ტ	ტ	300
კ	ყ	ვ	ყ	
კჲ	ყჲ	ვჲ	უ	400
ფ	ფ	ვ	რ	500
ჩ	ჩ	ძ	კ	600
ჩ	ჩ	წ	ჯ	700
კ	ყ	ყ	კ	800
გ	ყ	წ	ჭ	900
ხ	ჩ	ჩ	ჭ	1000
ც	ჩ	ც	ც	2000
ძ	ძ	ძ	ვ	3000
ჩ	ჩ	წ	ც	4000
ს	ს	ძ	ჭ	5000
ე	ე	ბ	ხ	6000
ყ	ყ	ჭ	კ	7000
ჯ	ჯ	ჯ	ჭ	8000
ღ	ღ	ვ	ხ	9000
ჭ	ჭ	ჭ	ღ	10000

